მნათობი

114
1936

ეროვნული
ბიბლიოთეკა

8

შინაარსი

ლ. ბერია — ს. ს. რ. კავშირის ახალი კონსტიტუცია
და ამიერ-კავკასიის ფედერაცია

პოეზია

გრ. აბაშიძე
ვლ. მაიაკოვსკი
გრ. ცეცხლაძე
ჰენრიხ ჰაინე

პროზა

ლეო ქიაჩელი
მ. ჯავახიშვილი
ა. გელიაშვილი
ს. თავაძე

ლიტერატურის ისტორია

ტ. ტაბიძე
მ. დუდუჩავა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ე. ასტვაცატუროვი

ხელოვნებათმცოდნეობა

ლ. კალანდაძე

1 9 3 6

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

1872
44499

სრულიად საქართველოს საბჭოთა
მწერლების კავშირის ყოველთვიური
სალიტერატურო, სახელოვნო და საზო-
გადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

8

წელიწადი მეცამეტე

სახელგამი 1936 ტფილისი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ/მგ. რედაქტორი ა. თათარიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ირაკლი აბაშიძე
ნოე ზოგმლეთელი
ნიკო ლორთქიფანიძე
კონსტ. ლორთქიფანიძე
გრ. მუშიშვილი
შალვა რადიანი
გალაკტიონ ტაბიძე
ტიციან ტაბიძე
ლეო ქიაჩელი
პანტელეიმონ ჩხიკვაძე
დემნა შენგელაია

რედაქციის მისამართი: ტფილისი მაჩაბლის ქ. № 13. ტელ. № 3—55—25.
ეგნ. ნინოშვილის სახელ. მწერალთა სასახლე.

კანტორის მისამართი: ტფილისი კიროვის ქ. № 7. პერიოდსექტორი.

სახელგამის პირველი სტამბა, პლეხანოვის პროსპექტი № 91.

მთავლიტის რწმ. № 7026. შეკ. № 405. ტირაჟი 7000.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლ. ბერია

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა ამხანაგ სტალინის მოხსენების გამო ძირითადად მოიწონა პროექტი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციისა, რომელსაც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე კომუნიზმის საქმისათვის მთელს მსოფლიოში.

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია ადასტურებს იმ უდიდეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის პირველი კონსტიტუციის მიღების შემდეგ განვლილ წლებში.

ახლა ამ სოციალურ-ეკონომიურ ცვლილებათა საფუძველზე, მასების აქტივობისა და პოლიტიკური შეგნების ზრდის საფუძველზე ჩვენ უკვე შეგვიძლიან ბოლომდე გავშალოთ საბჭოთა დემოკრატია, მშრომელთა ნამდვილი დემოკრატია.

იმ დროს, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები მიდიან ფაშისტური დიქტატურის, მშრომელი მასების თვით ყველაზე ელემენტარულ უფლებათა შემდგომი დათრგუნვისა და წართმევის გზით, საბჭოთა სახელმწიფო მიდის მთელი ხალხისათვის ნამდვილი დემოკრატიის უფართოესი განვითარების გზით. ამაში მდგომარეობს ჩვენი პარტიის უდიდესი გამარჯვებანი. ამაში მდგომარეობს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ჩვენი პარტიის ბელადის — დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობის გამარჯვებანი.

სოციალიზმის გამარჯვებებმა, რაც ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარების შედეგია, შესცვალეს ეროვნებათა მდგომარეობა საბჭოთა კავშირში. შესცვალეს მისი ნაციონალური რესპუბლიკების სახე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

ახალი კონსტიტუციის პროექტი, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული, ითვალისწინებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციას და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალოდ შესვლას სსრ კავშირში.

ეს წინადადება პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის, კერძოდ, ნაციონალური პოლიტიკის წარმატებებისა და გამარჯვებებიდან, რომლებიც მიღწეულია რევოლუციის წლების მანძილზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

რა ვითარებაში იქმნებოდა ამიერ-კავკასიის ფედერაცია?

ა) მშრომელი მასებისა და წითელი არმიის შეერთებული ძალღონით 1920-21 წლებში აზერბეიჯანსა, საქართველოსა და სომხეთში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება;

ბ) ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებმა მემკვიდრეობად მიიღეს ჩამორჩენილი მეურნეობა, საბოლოოდ დანგრეული მენშევიკთა, მუსავატელთა და დაშნაკთა ბატონობით;

გ) ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის იმ სისხლისმღვრელ შეტაკებათა შედეგები, რომლებიც მენშევიკებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა იმპერიალისტ ინტერვენტთა პირდაპირი დირექტივით მოაწყეს, ჯერ კიდევ არ იყო ლიკვიდირებული;

დ) მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ალვიებდნენ ნაციონალურ შუღლს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ასეთი მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების შექმნისა და განმტკიცების პირველ პერიოდში დაჟინებით მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შეერთებულ ძალღონეს სამეურნეო ნგრევის ლიკვიდაციისა და მეურნეობის აღმავლობისათვის, ისეთი სპეციალური ორგანოს შექმნას, „რომელიც შესძლებდა ეროვნებათა შორის ურთიერთობის რეგულირებას“ (ს ტ ა ლ ი ნ ი), მოითხოვდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა საერთო ღონისძიებებს იმისათვის, რომ საბოლოოდ გაენადგურებინათ მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური პარტიები.

ლ ე ნ ი ნ ი ს ა და ს ტ ა ლ ი ნ ი ს საერთო წინადადებით, 1921 წლის 29 ნოემბერს რ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნის გადაწყვეტილება, რომელშიაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ფედერაცია სცნო პრინციპულად აბსოლუტურად სწორად, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო განხორციელებული, და წინადადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მისცა საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ცენტრალურ კომიტეტებს ცხოვრებაში გაეტარებინათ ეს გადაწყვეტილება.

ასრულებდნენ რა ლენინ-სტალინის ამ პირდაპირ მითითებას და რ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა ამხ. ს. ორჯონიკიძის უშუალო ხელმძღვანელობით, შეჰქმნეს ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

ა.-კ. ფედერაციის შექმნამ და განმტკიცებამ, როგორც ცნობილია, ნაციონალ-უკლონისტთა წინააღმდეგ ბრძოლაში განვლო.

ნაციონალ-უკლონისტებს არ ესმოდათ რევოლუციის განვითარების იმ პერიოდის მთელი თავისებურება და ილაშქრებდნენ ფედერაციის წინააღმდეგ.

მათ არ ესმოდათ, რომ ა.-კ. ფედერაციის შექმნისა და განმტკიცების საკითხი იმ პერიოდში წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხს.

ნაციონალ-უკლონისტები, რომლებსაც არ ესმოდათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ბრძოლის ეს პირველხარისხოვანი ამოცანა, ქართველ მენშევიკოა, სომეხ დაშნაკთა და აზერბეიჯანელ მუსავატელთა პოზიციებზე ეშვებოდნენ.

ჰქმნიდნენ და ანმტკიცებდნენ რა ა.-კ. ფედერაციას, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა დიდი ბრძოლა ჩაატარეს ნაციონალ-უკლონიზმის წინააღმდეგ და გაანადგურეს ნაციონალ-უკლონისტური ოპოზიცია, რომლის ნაწილი, როგორც ცნობილია, შემდეგ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის ბანაკში გადაბარგდა.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა მემარჯვენე-ოპორტუნისტულ მიმდინარეობას, რომელიც გამოხატავდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური, მენშევიკური და კულაკური ელემენტების ზეგავლენას ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების ცალკეულ ფენებზე.

ნაციონალ-უკლონიზმი წარმოადგენდა იმ შემტევი ქართული შოვინიზმის აშკარა გამოხატულებას, რომელიც ცდილობდა გადექცია ამიერ-კავკასია ეროვნებათა შორის შეტაკებათა ქვეყნად, ცდილობდა აღედგინა მენშევიკური ბატონობის დროება, როცა შოვინისტური გააფთრებით შეპყრობილი ადამიანები ერთმანეთს სწვავდნენ და ხოცავდნენ.

ქართველ ნაციონალ-უკლონისტებს სურდათ გამოეყენებინათ საქართველოს გეოგრაფიული და ეკონომიური უპირატესობანი, რომლებიც იქიდან წარმოსდგება, რომ იგი ჰფლობს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო პუნქტებს, როგორიც არის ტფილისი და ბათომი. ამ საფუძველზე ისინი მოითხოვდნენ საქართველოს გამოსვლას ამიერ-კავკასიის ფედერაციიდან. უნდოდათ საბჭოთა აზერბეიჯანისა და სომხეთის ხარჯზე შეექმნათ პრივილეგიები საქართველოსათვის.

აგრარულ-გლეხურ საკითხში ნაციონალ-უკლონისტები გამონატავ-დნენ ქართველი თავად-აზნაურებისა და კულაკების ინტერესებსა და მოთხოვნებს, ისინი იცავდნენ კულაკურ აგრარულ პოლიტიკას, ისინი იყვნენ ჩვენი სოფლის განვითარების კაპიტალისტური გზების მღალადებელნი და დამცველნი.

ნაციონალ-უკლონიზმის საფრთხე იმაში მდგომარეობდა, რომ თავისი გამარჯვების შემთხვევაში იგი განამტკიცებდა ბატონყმობის ნაშთებს სოფლად, განამტკიცებდა კულაკობის პოზიციებს, გადააქცევდა საქართველოს და ამიერ-კავკასიას ერთაშორის შეხლა-შემოხლისა და სისხლის-მღვრელ შეტაკებათა ასპარეზად, ძირს გამოუთხრიდა საბჭოთა რესპუბლიკების მთლიან ინტერნაციონალურ ფრონტს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხელფეხს გაუხსნიდა მენშევიკთა და ბურჟუაზიულ ნაციონალისტთა რეაქციურ ძალებს და ამით გზას გაუკაფავდა იმპერიალისტურ ინტერვენციას და კაპიტალიზმის რესტავრაციას.

ამიტომ ნაციონალ-უკლონიზმთან ბრძოლა, ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნისათვის ბრძოლა იმ პერიოდში მოასწავებდა ბრძოლას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

ამიტომ იყო, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები ასე დაუნდობლად ანადგურებდნენ მაშინ ნაციონალ-უკლონიზმს.

*
* *

მხოლოდ ამიერ-კავკასიის ფედერაციის შექმნითა და განმტკიცებით შესძლეს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა სოციალისტური მშენებლობის იმ უდიდეს წარმატებათა მიღწევა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, რომლებიც დღეს გვაქვს და რომლებისთვისაც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები პარტიამ და მთავრობამ ლ ე ნ ი ნ ი ს ორდენებით დააჯილდოვეს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები — ქვეყნები „კიდევ უფრო გლეხური ვიდრე რუსეთი“ (ლ ე ნ ი ნ ი),—ახლა ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკებად იქცნენ. პირველი ხუთწლედის გეგმა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში წარმატებით და ვადამდე შესრულდა. წარმატებით სრულდება მეორე ხუთწლედის გეგმა.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლებამ შეჰქმნა მძლავრი ინდუსტრია. გაიზარდა ნავთის მრეწველობა აზერბეიჯანში. გაიზარდნენ მარგანეცის, ქვანახშირის, სამთამადნო და მრეწველობის სხვა დარგები საქართველოში. სომხეთში აშენდა და შენდება ქიმიური და სპილენძის მრეწველობის მსხვილი საწარმოები.

მრეწველობისათვის შექმნილია მძლავრი ენერგეტიკული ბაზა. შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები.

მრეწველობის ხვედრითმა წონამ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საერთო სახალხო მეურნეობაში უკვე 72 პროცენტს მიაღწია.

უდიდესი გამარჯვებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში. გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით 80 პროცენტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში. საკოლმეურნეო ცხოვრების სტალინური წესდების საფუძველზე უკანასკნელ წლებში მიღწეულია კოლმეურნეობათა განმტკიცება და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრების ზრდა. უდიდესი მუშაობა ჩატარდა სპეციალური ღა ტექნიკური კულტურების — ბამბის, ჩაის, ციტრუსების, ვენახის, თამბაქოს, ტუნგოს და სხვ. განვითარებისათვის. დიდი სამუშაოები შესრულდა და სრულდება ამოშრობისა და მორწყვის დარგში (კოლხიდა, მუღანი, ალაზანი, კირი და სხვ.).

სოფლის მეურნეობისთვის შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა. შექმნილია სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, საკოლმეურნეო მინდვრებზე მუშაობენ კომბაინები, ავტომობილები და ათი ათასობით სხვადასხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გაიზარდა ამიერ-კავკასიის ხალხთა კულტურა. სავსებით ისპობა წერა-კითხვის უცოდინარობა, შექმნილია უმაღლეს სასწავლებელთა ქსელი, სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტთა ქსელი, ვითარდება ლიტერატურა და ხელოვნება.

შეჰქმნეს და განამტკიცეს რა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებმა და მშრომელებმა ბოლომდე აღმოფხვრეს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის ნაციონალური შუღლის გამოვლინებანი და დაამყარეს მათი ურყევი მეგობრობა.

ამხ. მ ო ლ ო ტ ო ვ მ ა 1935 წლის დეკემბერში, საბჭოთა სომხეთის მშრომელთა დელეგაციის მიღების დროს, თავის გამოსვლაში შემდეგი სთქვა ამიერ-კავკასიის ხალხთა მეგობრობის შესახებ:

„ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მრავალერიან ამიერ-კავკასიაში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში სწარმოებდა გააფთრებული ბრძოლა სხვადასხვა ეროვნების მშრომელთა შორის, ბრძოლა, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდნენ კაპიტალისტები და მეფის მსახურნი, რომ ახლა ეს ბრძოლა საბოლოოდ ლიკვიდირებულია და რომ ამ ბრძოლის ადგილზე იფურჩქნება ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთა მეგობრული ცხოვრება“.

დიდი და ურყევია საქართველოს, სომხეთისა და აზერბეიჯანის ხალხების მშრომელთა ურთიერთმეგობრობა, დიდი და მტკიცეა ამიერ-კავკასიის ხალხების მშრომელთა მეგობრობა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მშრომელებთან.

შექმნეს და განამტკიცეს რა ა.-კ. ფედერაცია, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბოლშევიკებმა და მშრომელებმა შეერთებული ძალღონით, საბოლოოდ გაანადგურეს მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტრრევოლუციური პარტიები და მოახდინეს უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის — კულაკობის ლიკვიდაცია.

ჩვენი პარტიის გამარჯვებამ სოციალისტურ მშენებლობაში, სოფლად საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებამ ძირფესვიანად მოსპეს მენშევიკთა, დაშნაკთა და მუსავატელთა კონტრრევოლუციური საქმიანობის ნიადაგი.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის პარტიის გენერალური ხაზისა და მისი ნაციონალური პოლიტიკისათვის ბრძოლაში წარმოიშვნენ და გამოიზარდნენ მუშაკთა კადრები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში. გაიზარდნენ პარტიულ, სამეურნეო, საბჭოთა ხელმძღვანელების კადრები. გაიზარდნენ სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციისა და ჩვენი სამშობლოს შესანიშნავ ადამიანთა — სტახანოველთა კადრები, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის უაღრესად სხვადასხვა უბნებზე საგანგებო მუშაობის მაგალითებს იძლევიან. ამ კადრების ზრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ჩვენი პარტიის ერთერთ ყველაზე დიდ წარმატებას წარმოადგენს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მიერ მიღწეულმა ყველა ამ უდიდესმა წარმატებამ შეჰქმნა პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციისათვის. ამაში მდგომარეობს საბჭოთა სახელმწიფოს დიალექტიკური განვითარების პროცესის კანონზომიერება.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სამეურნეო-ეკონომიური ურთიერთობანი დღეს აღარ განისაზღვრებიან მარტო ფედერაციის შიგნით არსებულ ურთიერთობებით.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს: საქართველოს, სომხეთს და აზერბეიჯანს, თავიანთი მზარდი მეურნეობის პირობების გამო, ახლა ფართო სამეურნეო კავშირი აქვთ მთელი საბჭოთა კავშირის მრავალ მხარესთან და რესპუბლიკასთან.

გაფართოვდა და განმტკიცდა საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის უშუალო კულტურული კავშირიც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკათა ამ პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულების განვითარებამ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან და მხარეებთან სულ ახალი მდგომარეობა შეჰქმნა თვითეული ამ რესპუბლიკისათვის საბჭოთა კავშირის სისტემაში.

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებანი ნაციონალურ რესპუბლიკებში ამჟამად პარტიის წინაშე აყენებენ ახალ ამოცანებს ნაციონალური საკითხის დარგში. ნაციონალურ რესპუბლიკებში შექმნილია მრეწველობა, მასში გამოიზარდნენ მუშათა კადრები. რევოლუციამდე ამიერ-კავკასიის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში 67.200 კაცი იყო, ხოლო 1936 წლის 1 იანვრისათვის — 312.200 კაცი. ნაციონალური რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკათა გლეხობა დღეს საკოლმეურნეო წყობილებისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული კოლმეურნე გლეხობაა.

ამისდა მიხედვით — პარტიის ნაციონალური პოლიტიკის ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ შემდეგშიაც განვამტკიცოდ სწორი ნაციონალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირის მშრომელთა (მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციის) შორის, რომლებიც გაერთიანებული არიან დიდ საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებად და რომლებმაც უკვე მიაღწიეს არა მარტო უფლებრივ, არამედ ეკონომიურ თანასწორობასაც.

1931 წლის 31 ოქტომბერს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაუშვა მეტისმეტი ცენტრალიზაცია ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობაში, რამაც მთელ რიგ დარგებში გამოიწვია რესპუბლიკური ორგანოების გაუპიროვნება.

ამავე გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს — უზრუნველეყოთ ა.-კ. ფედერაციაში შემავალ ნაციონალურ რესპუბლიკათა ფართო თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა.

ნაციონალურ რესპუბლიკათა თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის განვითარების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის ამ მითითებათა შესრულებამ მოამზადა პირობები ამიერ-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის საკითხის დასაყენებლად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ დიდი როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბრძოლაში სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებებისათვის. მან მთლიანად გადასჭრა მის წინაშე დასახული ყველა ამოცანა, და ამიტომ ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაცია, რაც დასახულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში, წარმოადგენს სავსებით სწორსა და დროულ ნაბიჯს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი მშენებლობის გზაზე.

* * *

ზოგიერთი ყოფილ ნაციონალ-უკლონისტებიდან. ერთდროს რომ ა.-კ. ფედერაციის შექმნის წინააღმდეგ იბრძოდა, უარს არ იქნება ახლა ჩუმჩუმად ილაყბოს იმაზე, რომ ისინი — ნაციონალ-უკლონისტები — თითქოს მართალი იყვნენ, რომ წინადადება ა.-კ. ფედერაციის ლიკვიდაციის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის მიერ მოწონებული, თითქოს მათი წინანდელი სიმართლის დადასტურებას წარმოადგენდეს.

განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე რომ სრული სისულელე და ანტიპარტიულია ყოფილ ნაციონალ-უკლონისტთა ასეთი ლაყბობა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც სჩანს, ნაციონალურ რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გამარჯვებათა მთელმა 15 წელმა ამ ხალხს გვერდით ჩაუარა, და მათ დღემდე არ ესმით არც თავიანთი წინანდელი მეცდომები, არც ის, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში დღეს. ისინი სცდებოდნენ მაშინ, სცდებიან ახლაც.

ეჭვს გარეშეა დიდმპყრობელური ელემენტებიც შეეცდებიან გამოვიდნენ ხოლმე საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის შესახებ მიღებულ ამ მსოფლიო-ისტორიულ გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ.

ეჭვს გარეშეა, საბჭოთა ხელისუფლების ყველა დაუძინებელი მტერიც, პირველ რიგში ტროცკისტ-ზინოვიეველთა განადგურებულ ჯგუფების ნაშთებიდან, შეეცდებიან გამოიყენონ ახალი კონსტიტუცია თავიანთ კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ჩვენს წინაშე დგას ამოცანა საბოლოოდ მოვსპოთ, მიწის პირიდან აღვგავოთ სოციალისტური მშენებლობის მტრები, რა ნიღაბსაც უნდა ეფარებოდნენ ისინი, და ამ საფუძველზე მივაღწიოთ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას.

საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები, და ყველა მშრომელნი უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს სტალინური კონსტიტუციის შესახებ.

საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის ბოლშევიკები, რომლებმაც უდიდესი მუშაობა გასწიეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და ამ რესპუბლიკებში სოციალისტური მშენებლობის გაჩაღებისათვის, რომლებმაც ჩაატარეს ბრძოლა კონტრრევოლუციურ ნაციონალისტურ პარტიებთან, ტროცკიზმთან და ნაციონალ-უკლონიზმთან და დიდ წარმატებებს მიაღწიეს მასების ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში, ამიერ-კავკასიის ხალხებს შორის ურყევი მეგობრობის განმტკიცების საქმეში, — შემდეგშიაც შეურიგებლად და გაბნუხრელად იბრძოლებენ ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს დიადი საქმისათვის.

„პრავდა“ 12/VI.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლეო ქიაჩელი

გვადი ბიგვა

რომანი*)

VI

შუადღე ჯერ კიდე არ იქნებოდა, როცა გვადი შინ დაბრუნდა. ორთავ თვალგამოტენილი ხურჯინი მშვიდობით მოიტანა. ოფლში გალვრილიყო და ქოშინით სუნთქავდა.

ბილიკებითა და უგზო ადგილებით ეარნა. ტვირთი იმდენად მძიმე არ იყო, რამდენადაც გაბერილი და დიდი სჩანდა. გზაზე მხოლოდ ერთი საშიშროება შეემთხვა, რამაც ისე დააფრთხო, რომ კინაღამ სული გაძვრა... მაგრამ უვნებელი კი გადარჩა.

ტყე-ტყე რომ მოდიოდა, სრულიად დავიწყებოდა, რომ ორკეთის კოლმეურმეობა დღეს სწორედ ამ ტყის ერთს განაპირა ნაკვეთს სტეხდა და ჰკაფავდა. გვადის ეს ამბავი მეხსიერებიდან ამოვარდნოდა. ტყე გაევლო თითქმის და იმ ადგილს დაახლოებოდა. თვალით რას დაინახავდა ხშირ ტყეში, ხოლო ყური კი არავითარ ხმაურობისთვის არ მოუკრავს. იმის ნიშანწყალიც კი არ სჩანდა, რომ ამოტელა ხალხი აქ სადმე მუშაობდა, ისეთი სიჩუმე იდგა გარშემო. და მოდიოდა გვადი თავის ფიქრებში გართული, რომლებიც დღეს იმდენი დაგროვებოდა, რომ თავს ვერ ართმევდა.

უცებ თითქმის მის ცხვირისწინ რაღაცამ საშინლად დაიგრგვინა და როგორც მეხი, ისე გავარდა. კიდევ დაიგრგვინა, კიდევ გავარდა და მთელი ტყე საშინელმა ზანზარმა მოიცვა.

ეს მოხდა ისე მოულოდნელად, ისე უცბად, რომ გვადის კიმაღამ გონება ეღძრა. მაგრამ მიხვდომით კი მაშინვე მიხვდა, თუ სად მოსულიყო. იმწამსვე ხის ძირში პირქვე დაემხო და მიწიდან ამოჩრილ ფესვებს ორივე ხელებით შეეტოტა. პირველი მისი ფიქრი ის იყო, თავს როგორ ვუშველოო. მაგრამ თავი უმალვე დაავიწყდა, როგორც კი ხურჯინი მოაგონდა. მაშინვე მხრიდან გადმოიგდო, ნაბადში გახვია და ზედ მთე-

---

*) იხ. „მნათობი“ № 7.

ლი ტანით დააწვა. — აფეთქებას რომ ცოცხალი გადარჩენილიყვნენ, ამხანაგები ხომ მაინც დაინახავდენ. ეს სიკვდილზე არანაკლები სამხილება იქნებოდა. მაგრამ იმ საშინელებას კი რა შეედრებოდა, როცა საქონელით გატენილ ხურჯინს დაუნახავდენ?

არა ისევ ის ურჩევნოდა გვადის, რომ ხურჯინიანად აფეთქებულიყო და მისგან ფერფლიც კი არ დარჩენილიყო ქვეყანაზე.

მაღლა რომ აიხედა, თვალი შეასწრო: ცის ნაჭერზე სქელი მოშავო კომლი გართხულიყო და ჰაერში ერთმანეთის მიწყობილად ყირაობდა ჯირკვის ნაგლეჯი, მორის ნახეთქი და ხის ნაფლეთი. ცას ჭოლგასავით გაშლილი ფხვიერი მიწისა და ფერფლის კორიანტელი შეფენოდა და იქიდან თოვლის ფანტელივით მთელ ტყეს თავს ეყრებოდა.

ამდენხანს ძეხორციელის ჭაჭანება რომ არსად იყო, ახლა რამდენიმე მხრიდან ყიჟინა და სტვენა ატყდა. გვადიმ გარკვეულად იცნო გერას შეძახება, თოფის ხმასავით ტყეში შემოჭრილი:

— ფრთხილად! სმენა, არ დაიძრეთ საფრებიდან!

და ისევ სიჩუმე დამკვიდრდა.

გერას ბრძანება გვადიმაც თავის თავზე მიიღო. სული განაბა. ხურჯინს მთელი სიმძიმით დააწვა და ფესვს უფრო მაგრა მიეკრა.

კიდევ იფეთქა, კიდევ დაჰქუხა და დაიჭექა. გვადის საფარი ხეც შეინძრა. რამდენიმე შემხმარი ფოთოლი გვადის თავს დააცვივდა.

— ვილუპებით, შეეშინდა გვადის, ამაფეთქეს და ეს არისო. — წამოხტა. გაუკვირდა, რომ უვნებელი იყო. ხურჯინი ჩაბლუჯა და მეორე ხეს მიაშურა. ახლა ამას ამოეფარა. მის ბედზე იქვე ახლოს, ცოტა განზე დიდი ხრამი იწყებოდა, ისიც ტყით მოსილი. გვადი თავდაყირა გადაეშვა ამ ხრამში ხურჯინიან-ნაბდიანად და დაგორებულ ქვასავით ძირს დაეჭანა... მერმე შეუჩერებლად სულ ამ ხრამით იარა, სანამ გვერდის ასაქცევად მოხერხებულ ადგილს არ მიაგნებდა და ამ უბედურებას თავს არ დააღწევდა...

გადარჩა. არავის დაუნახავს.

თავის ეზოში რომ შევიდა, მხოლოდ მაშინ მოითქვა სული და სასტიკი დაღლილობაც სწორედ მაშინ იგრძნო. მუხლები უკანკალებდენ და ფეხებზე ძლივს იდგა. — პირველად კი არ იყო, რომ გვადი არჩილის ასეთ დავალებას ასრულებდა, მაგრამ ამნაირი საშინელება არასოდეს გადაწყდომია.

მაინც როგორ მოხდა, რომ უჭკუო ბატივით სწორედ იქ მიბაჯბაჯდა, სადაც ყველაზე უფრო მეტი საშიშროება მოელოდა. დილიდანვე ხომ ამ ადგილს გაურბოდა და ემალებოდა. ნეტავი რამ აუბნია ასე გზა და კვალი?

ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ დილიდანვე არაჩვეულებრივი ნაჭერები შეემთხვა. ჯერ შვილებთან ომის გამართვა მოუხდა იმ წყეული თიკნისათვის. მერმე მარიამის თავდასხმას ძლივს გადაურჩა. [illegible] გარეგანაც ისე შემოუტია, რომ კინაღამ ნაჯახით თავი გაუპო. [illegible] ბოლოს არჩილსაც გადაეკიდა და...

ბარდღუნიას ხელით მოვლილი, გაზრდილი და ნაპატიები ორი მანდარინის ხის ოქროს ფასად ღირებული, ნაადრევად დამწიფებული ნაყოფი ვიღაც ოხრებს მუქთად შეაჭამა... უმღერა კიდევაც და ასიამოვნა... ბოლოს, ნაქურდალი ბარგი ხურჯინში ჩაულაგეს, ზურგზე აკიდეს და გამოისტუმრეს. ბაზარში არც კი გაუვლია, სიტყვა არავისთან დაუძრავს. ბრაზისა და დარდისაგან მთელი გზა მოსვენება არ ჰქონებია. ტყეში კი არა, სწორ გზაზედაც მხარი აექცეოდა. ოდის ამბავიც კი დააავიწყდა და, აბა, ტყეში რომ მუშაობა იყო გაჩაღებული, საიდან გაახსენდებოდა?

ახლა ხუგეშად ისღა დარჩენია გვადის, რომ ბარგის წამოღებისათვის არჩილი კარგად დააცაჩუქრებს, და ამით, იქნება, აინაზღაუროს ის, რაც დაკარგა. რა თქმა უნდა, უბრალო ბარგი რომ იყოს, მისი ზიდვა იმდენი არ ეღირება, მაგრამ ნაქურდალის ჩამოტანა სულ სხვაა. თუ მეტად არა, ერთიორად მაინც ხომ უნდა დაფასდეს. აბა, გაბედოს არჩილმა წინანდებულად ახლაც რაღაც გროში მიუგდოს გვადის! ამაზე გვადი არამც და არამც არ დაყაბულდება...

ჯარგვალი გამოკეტილი დახვდა გვადის და ეზო ცარიელი. არც ბალღების ხმა ისმოდა, არც თხისა და მისი თიკნის. ლეკვი ბუთქიას ჭაჭანებაც კი არსად იყო.

ეს ლეკვი მაინც სად გადაიკარგა?

გულჩახვეული, უბედური სახე ჰქონდა ჯარგვალს. ცოცხალივით ნაღვლიანად შემოსცქეროდა გვადის. ეზოც უსიცოცხლო, გატიალებული გამოიყურებოდა. ორთავე მძიმე დუმილს მოეცვა...

ბალღების ჯავრი არ ჰქონდა გვადის. მათი ამბავი იცოდა და არ აწუხებდა. სამი სკოლაში ეგულებოდა, ორი — საბავშვო ბაღში. თიკნის ჯავრი კი გულში ჩარჩენოდა. ეზო რომ შეათვალიერა, ერთხელ კიდევ მოაგონდა თიკანი.

— რომ არ სჩანს, ალბათ, სახლს ვერ მოაგნო და დაიკარგაო, გაიფიქრა.

თიკანიც როგორ დაღუპა!

ფარდულში შევიდა. მოიკეცა და კართან ძირს მიწაზე ჩამოჯდა. ხურჯინიანი ზურგით ზღურბლს მიეყრდნო. მოეშვა... ტანს დასვენება ეამა.

ჰეე, მგონი, სიბერემაც უწია გვადის.

გაინაბა და გარინდდა. ფიქრისაგანაც უნდოდა დაეხვენებია, გული დაეხსნა შფოთიან წუხილისაგან. წინა ეზოს გასცქეროდა. გაძარცულ, უფოთლო ხურმის ხეს შეჰყურებდა, რომელიც ჯარგვლის ფან-ოდგა. ტანს ვენახი შემოკვროდა, ისიც გაძარცული იყო. ყურძნისათვის დამწიფება არც კი ეცლიათ, ისე გაენადგურებიათ ბალღებს. სულ კენწეროზე მოსხმული კი ჩიტებს გაეჩანაგებიათ. მაგრამ ამ საცოდავ ჩიტებზე, მაინცადამაინც ცუდი რა ეთქმის გვადის. ჩიტები ხომ ყოველ ეზოში არიან. უნდა იყვნენ კიდევაც. უჩიტობა ღმერთმა ნუ ქნას. შესჭამეს ყურძენი, მაგრამ სამაგიეროდ ბევრიც იჟღურტულეს. ეს ხომ რამედ ღირდა! გვადი ყოველთვის სიამოვნებით უგდებდა მათ ყურს.

მაგრამ ამ ჩიტების მოგონებაზე სხვა რამეც გაახსენდა გვადის, მეტად არა სასიამოვნო და ჯავრის მომგვრელი. ეს ის იყო, გვადის ეზოს რომ ერთი შეჩვენებული ძერა შემოეჩვია. არც ერთი წიწილა არ გაუშვა მის ეზოში ცოცხალი. დედალ-ქათამსაც კი უპირებდა მოტაცებას ის ყაჩაღი. უთუოდ მოიტაცებდა, მაგრამ გვადიმ დროზე დაასწრო და თვითონ დაკლა.

ის ძერა დიდი იყო. საიდღამაც გადმოხვეწილი უნდა ყოფილიყო. აქაურს არ ჰგავდა. მუქი ნაცრისფერი იყო. გვერდიდან გვერდზე წვებოდა და ისე დადიოდა მედიდური გამომეტყველებით. კაუჭა ნისკარტი ყოველთვის ოდნავ ღია და მომარჯვებული დაჰქონდა, რკინის რაზას მიუგავდა. გვადის ეზოში შინაურივით დასეირნობდა, ჩუმი, უხმო და გულჩათხრობილი. ბედისწერას რასმე ჰგავდა წყეული. ბოლო დროს ისე გაკადნიერდა, რომ აღარავისი რიდი არ ჰქონდა: უკანასკნელი წიწილი რომ შესჭამა, არ სჯეროდა რომ ის უკანასკნელი იყო, კიდევ სხვებს ეძებდა. ფარდულს თვალს არ აშორებდა. მერმე თვითონ დედალი ამოიღო ნიშანში. ხოლო დედლის დაკვლის შემდეგ ისე გათავხედდა, რომ ჯარგვლის კარსაც კი მოადგებოდა და შიგ ირიბად მოქცეული ცალი თვალით იჭვრიტებოდა: ეგონა, მიმალავენო. ბნელში რომ ნაკვერცხალი გამოაშუქებს, მზეზედაც ისე უნათებდა თვალი.

ჰეე, ძერას სათარეშო მას შემდეგ გახდა გვადის ეზო, რაც მისი ცოლი აღათია გარდაიცვალა. რამდენი ქათამი, იხვი და ბატი ჰყავდა მოვლილი იმ საწყალს ამ პატარა ეზოში. მოკვდა თუ არა აღათია, ქათამიც გაჰქრა, იხვიც და ბატიც.

ჭირიმია ერთი წლის თუ იქნებოდა, როცა აღათიამ სული ვანუტევა. უცნაურად მოკვდა ის უბედური. ერთხანს იავადმყოფა და მერმე წყალი შეუდგა ტანში. გასივდა და გაიბერა, ისე გაიბერა, რომ ლოგინზე აღარ ეტეოდა. საოცარი რამე იყო.

— ხო-ხო-ხო, მტრისას, რაც იმას სჭირდა!

არც ცხვირი უჩნდა და არც თვალები, როცა სიმსივნე მოერია. მათ მაგიერ პატარ-პატარა ნახვრეტები აჩნდა აფუებულ ცომივით შემრგვა-

ლებულ სახეზე. ენას ვერ სძრავდა, ოღონდ ხანდახან დაიფრუტუნებდა ხოლმე დასიცხულ ცხვარივით და მაშინაც პირიდან მყრალი წყალი წამოსქდებოდა ნაღველისფერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტყირპისგან თუ გაუჩნდა, აბა რა იყო ამისთანა საცოდაობა!

ჰმ... ბედი. უბედური კაცის ბედი! მაინცადამაინც რაღა გვადის ცოლს დაემართა ასეთი საშინელი ჭირი, — ხუთი შვილის დედას, რომელთაგან ოთხს ჯერ რძე არ შეშრობიათ ტუჩებზე. ცოცხალი რომ ყოფილიყო ის უხანო ახლა მარიამის ხნის იქნებოდა, მეტის კი არა... მარიამი ცოცხალია, იმ საწყლის მძორიც კი არ იქნება დარჩენილი, მიწა და მატლი შესჭამდა.

დაუშავდებოდა ვითომ რაიმე განგებას, მარიამის ჯანი და სიმრთელე აღათიასაც რომ გამოყოლოდა? — იტყვიან კიდევ, ღმერთი არისო, სამართალი არსებობსო...

— ფუი იმას, ვინც ამას ამბობს. — ხელისჩაქნევით წარმოსთქვა გვადიამ და გადააფურთხა.

ზღურბლზე ზურგით მიწოლილმა ნაბდის შესაკრავი შეიხსნა. ნაბადიც და ხურჯინიც იქვე დასტოვა, სადაც იჯდა და თავად წამოდგა. ჯარგვლის კარს მიაშურა გასაღებად. ის იყო ურდულს მიწვდა თუ არა მისი ყურთასმენა რაღაც ხმაურობამ გაიტაცა, რომელიც ჯარგვლის უკანა მხრიდან ისმოდა და უცნაურ რაისმე ხუნტრუცს მოაგონებდა. აქამდისაც უთუოდ ესმოდა იგი გვადის, მაგრამ, ალბათ, მის ცნობიერებას არ სცალოდა ასეთ რამისთვის და გულისყური არ უთხოვებია. მიაყურა. ის ხუნტრუცი ხან უცბად შესწყდებოდა, ხან კიდევ სხვადასხვა ადგილს ატყდებოდა, ხოლო ჯარგვლის უკანა არეს არ სცილდებოდა.

მალე თითქოს ცხენი შემოაჭენესო, თქარათქურის ხმა გაისმა. თქარათქურს ლეკვის ყეფა და წკავწკავი მოჰყვა. მოტრიალდა თუ არა გვადი, ფარდულში უცებ ხიკანი შემოიჭრა, თოკი ლეკურივით გვერდზე აკიდებული. თიკანს ენაგადმოგდებული ბუთქია მოსდევდა დასაჭერად. გვადის მოულოდნელ დანახვაზე თიკანი შეოცებით შესდგა, კისერი რაშივით მომართა და გვადის ფეხების ბაკუნით შეაცქერდა.

— შენ აქ საიდან გაჩნდიო, ვითომ გაკვირვებით შეეკითხა და ერთბაშად შეხტა ცალგვერდმოქცეულად. მერმე შეიკუნტრუშა და ისევ ეზოში გავარდა. ბუთქია კი ყეფით მივარდა გვადის; ვითომ სთხოვა მომყევი, დამაჭერინე ეს ეშმაკიო. მაგრამ პასუხისათვის არ დაუცდია, გვერდი აუქცია და წკავწკავით ისევ თიკანს გამოუდგა.

გვადის გაოცება და სიხარული უსაზღვრო იყო. ურდულს ხელი უშვა და ეზოში გავარდა. ორივე ხელი წინ გააშვირა და აღტაცებით შესძახა:

— ჭირიმე! ჭირიმე! ჭირიმე!—და თიკანს კვალდაკვალ მიჰყვა. მოულოდნელი სიხარულისაგან ყელი ისე შეკროდა, რომ ჭირიმეს მეტს სხვა სიტყვას ვერ ამბობდა.

ბუაეზოში შესდგა. პირველი აღტაცება რომ დაუცხრა, თიკანს გასძახა:

— მოდი, შევრიგდეთ, არაფერს გერჩი, ხატი, რჯულის! ჩემზე ეფერო ჭკვიანი ყოფილხარ და რა ნება მაქვს გაგიწყრე. ჩემთვის რომ დაგეჯერებია, ალბათ, მანდარინების ბედსა გწევდი და ახლა აქ არ იქნებოდი! თოკიც კი არ დაგიკარგავსო!

მაგრამ თიკანი ისე ერთბაშად გაქრა, როგორც გამოჩნდა. გვადიმ ხეირიანად თვალის შევლებაც კი ვერ მოასწრო.

დაავიწყდა გვადის, რაც დღეს ჭირი გადახდა.

— ინავარდე სადაც გინდოდესო, ნებაზე მიუშვა თიკანი და ისევ ჯარგვლის კარს დაუბრუნდა. ურდული აჰყარა, საიდუმლო საკეტი ახსნა და ხურჯინი ნაბდიანად სახლში შეათრია. გვადის საზრუნავი ახლა ის იყო, რომ ხურჯინი სადმე მოხერხებულ ადგილას დაემალა დაღამებამდე. ეშინოდა, ბალღებმა არ შენიშნონო. ისევ სხვენზე ატანა გადასწყვიტა. ეს ადგილი დაცდილი ჰქონდა. ლოგინზე შესდგა და დიდი ჭინთვითა და გაჭირვებით ხურჯინი სხვენზე შეაგდო. მერმე ქვემოდან რომ ახედა, მოეწონა, კარგად არის დაცულიო, და პატრონს ერთი-ოი ისე მაგრად შეუკურთხა, რომ თვითონაც კი შერცხვა. მაშინ თავისავე თავს თითი დაუქნია და გასაფრთხილებლად მიმართა:

— უარესის ღირსი ხარ! შემნახველიც ქურდიაო, ხომ გაგიგონია! რას მენაზები თუ იცი?

ჭვარტლიან კედელზე ბნელში ხელი გააფათურა, ძველი ყაბალახი ჩამოიღო. გაფერთხა და წელზე ქამარს ზემოდ მაგრად შემოიკრა. წვეტები ზურგს უკან გამოუნასკვა. მერმე კუთხეში მიგდებული წალდი აიღო და გარედ გამოვიდა.

ჯარგვლის კარს ისევ ურდული გაუყარა, ისევ საიდუმლოდ ჩაკეტა. წალდი იღლიაში ამოიჩარა და ტყისკენ გზას გაუდგა.

VII

გასაკაფავად დანიშნული ტყის სანაპირო გამოფერდილ ადგილს წარმოადგენდა ორკეთის გორების ტყიანი კალთების ძირში ნახევარ კუნძულივით გაწოლილს და სამხრეთის ცისკენ პირშებრუნებულსა. წინ ოდნავ დაქანებული მინდორი ედვა, რომელიც ძირს გაშლილი სოფლის შუაგულით, მთებისკენ მოლაშქრე ჯარივით მწყობრად დაძრულ ჩაის ბაღებს ეღობებოდა.

თავის მდებარეობითა და სილამაზით ეს ტყის მიდამო ორკეთის თვალად ჩაითვლებოდა. სოფელსაც თავისი ზრდის გეზი აქეთკენ ჰქონდა აღებული. ბაღებთან ერთად მოსახლეობაც აქეთ მოისწრაფოდა. სოფლის გზები და ბილიკები ამ მინდორზე იყრიდნენ თავს და აქედან ოთხივ კუთხით იფანტებოდნენ.

ამავე ადგილიდან იშლებოდნენ ორკეთის თვალწარმტაცი შორეული ჰორიზონტები, რომლებიც წრის სწორი ხაზივით მას გარს შემოერტყმოდნენ. უფრო მეტ წილად ეს ხაზი შორი მთების მუდამ თეთრად ... მიჰყვებოდა, ალმასის მძივივით ლურჯსა და მუქ ფერებში ჩაქდომილს. მხოლოდ დასავლეთის მხრით იგი ძირს დაშვებულ ცის არშიას ჩაქსოვებოდა, რომლის ლივლივში დროდადრო უჩინარი ზღვის თვალის კამკაჟი სასწაულივით გამოკრთებოდა და ორკეთს თავს გადაევლებოდა.

ტყე ძველი იყო. შიგადაშიგ ხშირი. განაპირებზე — მეჩხარი. კოპიტი და რცხილა სჭარბობდა. აქა-იქ მუხანარევიც იყო.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გერას წინასწარ ზუსტად დაეგეგმა გასაჩეხი ადგილი. საშენებლად გამოსადეგი მუხა და კოპიტი აღერიცხა, თითოეული ხე დაენიშნა, რომ მჭრელები განსაკუთრებული სიფრთხილით მოპყრობოდნენ.

მუშაობა აქაც ბრიგადებს შორის იყო განაწილებული. ერთი რომ სჭრიდა და კაფავდა, მეორე სხლავდა და მორებად ხერხავდა, მესამე კი მინდორზე ეზიდებოდა და იქ აწყობდა. თუ დიდი ხე იყო ხარებს შეაბამდენ, დანარჩენს ხელით მიაგორებდენ. ფიჩხებს, გამოუდეგარ ნაფლეთებს იქვე აგროვებდენ და სწვავდენ. თითონ გერა მიწაში ჩარჩენილ ძირებისა და კუნძების აფეთქებას ხელმძღვანელობდა.

შუალამემდე ჭრა და აფეთქება მოესრულებიათ, რაც ამ დღისთვის იყო ნავარაუდევი. დღის ბოლომდე მოჭრილი ტყის გასხვლა, მორებად დახერხვა და მინდორზე გადაზიდვა უნდა მოესწროთ.

რამდენსამე ადგილას კოცონი ენთო, ფიჩხი და ნარჩენი იწოდა. როგორც ახო ისე ტყე სქელ კომლს დაებურა.

შინიდან წამოსული გვადი ამ ადგილს ახლაც ტყის მხრიდან მიუახლოვდა. ტყეში შეიმალა და იქიდან დაუწყო ახოს თვალიერება. აზრად ჰქონდა, სანამ გამოცხადდებოდა, იქაურობა კარგად დაეზვერა. გერას შიში და რიდი ჰქონდა. არ უნდოდა ასე დაგვიანებული პირისპირ შეჩეხებოდა. გულში ფიქრობდა, ტყიდან ახლობლები და მოკეთეები დაენახა, მერმე შეუმჩნევლად მათთან მისულიყო, ეთხოვა, რომ არ გაეცათ და ისე დაეწყო მუშაობა, როგორც დიდი ხნის მოსულს. მაგრამ ტყეს ისეთი შავი კომლი შემორტყმოდა, რომ გვადი ახოზე მომუშავე ადამიანებს ვერ არჩევდა. რამდენჯერმე გამოიცვალა საფარი. სხვადასხვა მხრიდან მიუდგა ახოს, მაგრამ ნიავს სულ ტყისკენ მოჰქონდა კომლის ღრუბლები და გვადი ყოველთვის გაწბილებული რჩებოდა.

ერთხანს შემდეგ გადასწყვიტა წინ წაწეულიყო. კომლი იფარა და ახოზე გასვლა გაბედა. მაგრამ როგორც კი ტყეს მოშორდა, წინ რალაც შხეილით ჩაუქროლა, კომლიანი ... ტალღებად შეჰკრა და გვადის ისე მძლავრად შეახეთქა, რომ ... ბუნდოვანი მოიტაცა. გვადიმ პირი ... ტყისკენ ... მაგრამ ... ფეხის

Библиотека

მოცვლაც კი ვერ მოასწრო, რომ ახლა ვიღაც დაეჯახა, ხელი ჰკრა და მედგრად შეაძახა:

— გზა, გზა, ამხანაგო! ბრმა ხომ არა ხარ, რომ წინ მიდიხ?

გვადი ხმას როგორ ამოიღებდა. იცნო ვისთანაც ჰქონდა საქმე. გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს ქარმა იმ ადგილს კომლის ფარდა ძეაფხრიწა და ნაფლეთები განზე გაჰყარა. ადგილი გაშიშვლდა. გვადი და ის ვიღაცა პირისპირ შერჩნენ ერთმანეთს,

გვადის წინ ბრიგადირი ზოსიმე იდგა, ცალგვერდით მისკენ მობრუნებული. კომლით და მიწით შებურული სახე ოფლის ღარებს დაეხეთქა. შუბლი წითელ ნარმით წაეკრა და ხელში უშველებელი ოლოკეტი დაეჭირა. გვადი რომ იცნო, გაწითლებული თვალები შეანათა და გაკვირებით შეაშტერდა. დაბალ ტანზე ჯირკვივით წამოგებული, განიერი და სქელი მხარბეჭი შეათამაშა და ერთი ომახიანად შეჰკიჟინა. მერმე უცებ ხმა დაუშვა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკაო, ისე გრძლად გაიბა:

— აქეთ სად ყოფილა, ეს ღობემძვრალა?

— რომ გაგეტანე, ზოსიმე, ჩემს ობლებს რა პასუხს მისცემდი? — ალერსიანად შეეკითხა გვადი ბრიგადირს და მთელი სახით ისე დაეჯღლამა, თითქოს მისი ნახვა გაუხარდაო.

— შენზე უკეთ მოვუვლიდით... მაშ რა გგონია!.. აქ რას აკეთებ? — შეუტია ზოსიმემ.

— რასაც სხვები აკეთებენ, ჭირიმე, მაგრამ შენს მორს კინაღამ მოვქეცი, რომ არ მემარჯვნა.

მორის ხსენებაზე ზოსიმე ისევ თავის დაგორებულ ხისკენ მიტრიალდა. გახედა. რაკი დარწმუნდა, რომ მორი დაქანებულზე დაუხმარებლად მიგორავდა, მისკენ ოლოკეტი გააშვირა და გვადის მოკლედ ესროლა.

— მიჰყევი მინდვრამდე! — და თავად უკან გაბრუნდა.

გვადის ამის მეტი არა უნდოდა რა. ისე მოჰკურცხლა ზოსიმეს ხისკენ, რომ თავისი ტყირპიანი მუცელიც კი დაავიწყდა. მაგრამ სანამ გვადი დაეწეოდა, მორი ახოს შუაადგილას რაღაცას წამოედვა და დადგა. იქვე ახლოს ულელი ხარი ვეება ხეს მიათრევდა. ხარებს რამოდენიმე კაცი მიშველებოდა. ზოსიმეს ხეს დადევნებული გვადის დანახვაზე ხარის მშველელნი მისკენ მობრუნდნენ და ერთხმად შესძახეს:

— ეს რა ამბავია! შეხედეთ, გვადი რა ვეება მუხას მოაგორებს! ყოჩაღ, გვადი!

გვადიმ კარგად გაიგონა ეს შეძახილი და თავიც მოიწონა. რაც კი მუხლებში ძალა გააჩნდა, არ დაუზოგავს, ისე გამოიქცა მორისკენ და ზედ მთელი ტანით დაეძგერა, რომ ადგილიდან დაეძრა. ისე მოუვიდა, რომ დაძგერება ცალ კიდეზე მოუხვდა. მორი განზე მოიქცა, ალმაცერად და ისე გადაგორდა. გვადის ზედ ხელები აუსხლტა და განზე გასროლი-

ლი დარჩა. თავი ვერ შეიკავა. ჯერ ჰაერში შეტრიალდა ბურთივით და მერმე მიწაზე დაენარცხა. ბრაგვანის ხმა და გვადის დაგმინება მთელ ახოს გადაწვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებში სიცილი ატყდა. ვიღაცამ გადაიხარხარა კიდევაც. შეაყენეს ხარები. სიცილ-ხარხარის გაგონებაზე ამათ კიდევ სხვები მოემატნენ და მიწაზე დამხობილი გვადის გარშემო ხალხი კარგა ბლომად შეჭუჩდა. სიცილი ყველას გადაედვა. სიცილს ოხუნჯობაც დაერთო.

გვადიმ მძიმედ წამოსწია თავი. სიცილი და ოხუნჯობა რომ გაიგონა, მიმოიხედა. ტანი მოიმარჯვა და მკლავებზე ცალგვერდით დაეყრდნო.

— იცინეთ, ძმებო! — ცრემლიანი ხმით მიმართა მან ხალხს. — იცინეთ! ჯანი მოგცათ ღმერთმა და ხალისი. მე რა? დღე და ღამე ხუთი ლეკვი მწოვს და ტყირპისაგან სისხლი მაქვს გამშრალი... აღარ შემიძლია. ჰა, ამას თქვენც ხედავთ და ისაა... იცინეთ, ჭირიმე!..

უცებ შესწყდა სიცილი და მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა. მოიღუშენ შემურული ოფლიანი სახეები.

წრეში ზოსიმე და გერა შემოვარდნენ.

— ზედ შეაკვდა მეთქი კი არ მითქვამს, შე კაი კაცო! — პირველად ზოსიმე მიუახლოვდა და თანაგრძნობიანი საყვედურით მიმართა გვადის—. მერმე, როცა დახედა და დაინახა, რომ გვადის დიდი გასაჭირი არ ჰქონდა, გაუხარდა და თავისებური მჭექარე ხმით შესძახა:

— ჰაიტ, შე გლახა შენა. წამოდექი! ვაჟკაცი არა ხარ?

გერა ცოტა მოშორებით იდგა. სახეზე უნებლიე შიში გამოხატოდა და ისე დასცქეროდა გვადის. როცა გვადიმ გამოჭყლეტილი თვალები გაუსწორა, შიშის მაგიერ უნებლიედვე სახეზე ღიმილი აუთამაშდა.

— შეგეშინდა, გვადი? არაფერია... არა გიშავს რა! — უთხრა, მიუახლოვდა, წაკაპიწებული მარჯვენა მკლავი გაშალა, ფართოთ მოიქნია და გვადის წამოსაყენებლად ხელი გაუწოდა.

— ადექი! აქ არც კი მეგულებოდი, ზარმაცო! მითხრეს დოხტურთან არისო.

— დოხტურთან ხომ არ დავალამებდი, ჭირიმე... მაინცადამაინც კი არ დამგვიანებია! — უპასუხა ჩქარი წართქმით გვადიმ და გერას გამოწვდილი ხელი მაგრად ჩაბღუჯა. გერამ აიქნია, და გვადიც ფოთოლივით აჰყვა მის ჯაჭვისკუნთებიან მკლავს.

— დადეგ, გაიმართე! — ფეხზე დააყენა გვადი გერამ და შესათამამებლად ხელი მხარზე დაჰკრა.

გვადი წელში მაინც ვერ გაიმართა. ცალი ხელი ტყირპზე მიედვა, ცალი წელისთვის შეეყენებია და ტანი ისე შეემაგრებინა. დაიმანჭა და ჩვეულებრივ ოხუნჯურ კილოზე მიმართა გერას:

— მითხრეს: გერა ვითომ ოდას გიშენებსო, ჭირიმე, და თავი, ალბათ, მდევად წარმოვიდგინე, რომ ამხელა ხეს დავეტაკე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვადის სიტყვებმა, როგორც ქარმა ნისლი, ისე გაჰფანტეს მუშების წუხილიანი ძდუძარება. ყველას გულზე მოეშვა, რომ გვადი მარცხს ასე ადვილად გადარჩა.

ისევ გაისმა სიცილი და ოხუნჯობა. მაგრამ კოლეგიონ ონისეს უეცარმა აყივლებამ ყველას ხმა დაფარა.

— კუბოში რომ იწვეს, მაგისი ენა მაინც ბურთივით ითამაშებს პირში! ოჰ, კარგად სთქვი, რაცა სთქვი ასე უნდა! აფერუმ შენს საქმეს, ჩემო გვადი! — წვრილი გამყივანი ხმით შესძახა მან გვადის და მერე ისე გულიანად გადიკისკისა, თითქოს მთელ იმ არეზე ფერადი კენჭები მიმოაბნიაო. იგი ცოტა განზე გამდგარიყო მარტო, ტანდაბალი და ძველი ვაზის ძირივით დალრაკნილი, მხარზე გრძელტარიანი წალდი გაედვა და პირში ყალიონი გამოეჩარა. ჭალარა თმა თავზე ჩირგვივით ადგა, ხოლო თამბაქოს კომლით შეყვითლებული და სიცხით მომწვარ ბალახს დამზგავსებული წვერულვაში ისე უბურავდა მთელ პირისახეს, რომ ნისკარტივით წაგრძელებული ცხვირი და ჭრელი თვალიღა მოუჩნდა. ძალიან ჰგავდა ჩხიკვს.

გვადის არ უნდოდა უპასუხოდ დაეტოვებია ონისეს სიტყვები, მაგრამ ბრიგადირმა ზოსიმემ დაასწრო და ონისეს შეესიტყვა:

— მაშ, მოდი, ონისე! ენის თამაში ისევ გვადის დაუთმოთ, ჩვენ კი ეს მუხა გადავაგოროთ! აბა, ჰა, მხარი-მხარს, ბიჭებო! — მოუწოდა მან. იქ მდგომთაც და მორს თავისი ოლოკეტი ამოსდვა. ზოსიმეს ყველანი მიეშველენ. ონისემაც არ დააყოვნა და ბრიგადირს გვერდში ამოუდგა.

გვადის მარცხის ადგილას მალე გერა და გვადი ღა დარჩნენ. გერამ ერთხელ კიდევ შეათვალიერა გვადი თავით ფეხამდე და უთხრა:

— შენ ცოტა დაისვენე ახლა, გვადი. შიში მალე გაგივლის! — მერმე ხმას აუწია, რომ დაშორებულებსაც გაეგონა მისი სიტყვები და განაგრძო: — რაც შეეხება ოდას, ჩემო გვადი, ნუ გგონია, რომ კოლექტივი მას შენ გიშენებს... არ დაგიმსახურებია, ამხანაგო. ბარდლუნიას და მის ძმებს დაუმადლე. სახლი მათი იქნება!

გვადიმ შეუძლებლად დაინახა გაჩუმება. ისიც დიდი დათმობა იყო, ონისეს და ზოსიმეს რომ გაუჩუმდა. ახლა გვადიმაც ყველას გასაგონად მიმართა გერას:

— ცდები, ჭირიმე, არ დაგიმსახურებიაო რომ ამბობ. მეტიც მაქვს დამსახურებული... ოდა რაა? ხუთ ვაჟკაცს რომ ვუზრდი სახელმწიფოს, ეს არაფერია? ხუთ დამკვრელ ვაჟკაცს? აბა, ერთი ჩემიც იანგარიშე შენის ანგარიში რომ ისე გიყვარს... ვერა, ერთი ოდით ჩემი ვალიდან ვერ ამოხვალ, ჭირიმე.

ონისე უცებ ჩამორჩა ხის დამგორებლებს. ნისკარტი გვადისკენ შემოატრიალა და ახლაც მადიანად გადიკისკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ჰო, ასე მეზობელო! ღონე თუ არა, ენა ხომ მოგცა გამჩენმა. ჩემო ბიძია. შენ ახლა ზრდი შენს ლეკვებს, მე კი ხუთი ვეფხვი დამიხვდია, მაგრამ ჩემთვის ფაცხაც კი არავის დაუდგამს! მაშ...

— მაშინ ძველი დრო იყო, ონისე. ახლა კი სხვა ამბავია. მაგრამ რაკი დაზრდილან, შე კაცო, ის შენი ვეფხვები, დახმარებაც ალარ გინდა. ოდასაც დაგიდგამენ და ქარვასლასაც! საქმე დაზრდაა! — არ შეარჩინა გვადიმ ონისეს სიტყვა.

გვადის სიტყვებს ვაშას ძახილით შეხვდა ზოსიმეს ბრიგადა. ენაწაბორძიკებულ ონისეს პესუხის გაცემა ალარ დააცალეს. მორზე ახალი ხალისით მიტანილი იერიშში ჩაითრიეს და გვადისთან უსწორო პაექრობას მოსწყვიტეს.

VIII

ის მუხის მორი მაინც ჭირვეული რამე გამოდგა. მინდვრის ცოტა ზემოთ, დალმართზე, მგორებლებს ხელიდან გაექცა და ახლა ძირს თავად დაქანდა ლიწინით. ბრიგადის წევრებმა პირველად იგი ნებაზე მიუშვეს იმ იმედით, რომ მინდორს მანც ვერ ასცდებოდა. მაგრამ რა დაინახეს, რომ მინდორი პახვალას მორეკილი ნახირით მოფენილიყო, და რამოდენიმე ძროხა ახოსკენაც გამოჰყოლოდა ბალახს, დაქანებული ხის პირდაპირ, ყიჟინა მორთეს. პახვალას უხმეს, მაგრამ იგი არსად სჩანდა. მაშინ მორს კვალდაკვალ გამოუდგნენ. ახოს სხვა ადგილებიდანაც ასტეხეს განგაში, რომ ძროხები დაეფრთხოთ. მაგრამ მორმა დათქმულივით სწორეთ დროზე აუქცია გვერდი ძროხებს და ხელმარჯვნივ ხრამისკენ გაგორდა. ხრამის ნაპირზე მტვერი ბრდღვნით ჰაერში აჰყარა, მიწას მოწყდა და ბზრიალასავით შუვილიანი ტრიალით შიგ ხრამში აკი გადაეშვა.

ზოსიმე და მისი ბიჭები მორს აქაც კვალდაკვალ მიჰყვნენ.

მაგრამ ხრამიდან ხის ამოზიდვა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ალმართზე მას ძვრაც კი ვერ უყვეს. სხვა გზა არ იყო, ხარები უნდა მოეშველებიათ.

ხრამში ერთი ტანმორჩილი ნიკორა კამეჩი ჩასულიყო, კიდეს მიდგომოდა და ისე გართულიყო ბალახის ძებნით, რომ არც მორს აქცევდა ყურადღებას და არც მის გარშემო ჭირში მყოფ ხალხს.

ის დრო იყო, როცა ბიჭები ხარების მოსაყვანად უნდა გაქცეულიყვნენ, რომ ზოსიმემ ძალაუნებურად თვალი შეავლო მის გვერდით მობალახე კამეჩს. უცებ მოულოდნელმა აზრმა გაჭკრა თავში. კამეჩისაკენ ნაბიჯი გადადგა და ახლა გულმოდგინედ შეათვალიერა.

— ცოტა მოიცადეთ, ამხანაგებო! — ხელის საიდუმლო ნიშნებით გასძახა მან ხარების მოსაყვანად გამზადებულ ყმაწვილებს. მერმე ონისესკენ მობრუნდა:

— ონისე, თუ არ ვცდები ეს კამეჩი გოჩას ნიკორა უნდა იყოს! ა? შენ რას იტყვი?

— ნამდვილად მისია! — დაუდასტურეს ზოსიმეს ბიბეკერა ონისეს-თან ერთად სხვებმაც.

სულ ერთი წამით გაჩუმდა ზოსიმე. მერე უცებ ფარული ბრაზის მხილებელი ხმით წარმოსთქვა:

— მერედა, ეს გოჩა შავ სამუშაოს რომ გაურბის და ჩვენ კი ზურგზე ტყავი გვძვრება, ვითომ რა იქნება, ეს ხე რომ მის კამეჩს მინდორზე ავაზიდვინოთ!

ამხანაგებმა აზრი მოუწონეს ბრიგადირს. ამით წაქეზებულმა ზოსიმემ ახლა განკარგულებაც კი გასცა:

— მაშ ივარგეთ, ბიჭებო! შეაბით თოკი და ბარემ მოვრჩეთ ამ ტიალ ხეს, ისედაც ბევრი დრო წაგვართვა!

არ გასულა ხანი, რომ გოჩა სალანდიას ნიკორამ მორი ხრამის თავზე ამოათრია.

ხრამიდან ამოსვლისთანავე ზოსიმემ თვალი მოჰკრა, რომ მინდორზე დაწყობილ მორების ერთ-ერთ ყორეს ვიღაც კაცი მისდგომოდა, გადასადავებული ცხენი ზურგს უკან მიეყენებია და წინ გაშვერილი მათრახის ტარით ხეებს სათითაოდ ითვლიდა. რომ დააკვირდა, იცნო არჩილ ფორია.

კამეჩშებმული ხის გარშემო თავმოყრილ მუშების ხმაურობაზე ფორია ხრამისკენ შემოტრიალდა და, დაინახა თუ არა ზოსიმე, შორიდან შესძახა:

— ბარაქალა, ამხანაგო ზოსიმე! ყოჩაღ მედაჩემმა ღმერთმა! არ მოველოდი სწორედ, იმდენი გიმუშავნიათ! — ყორეს თავი დაანება და მისკენ წამოვიდა. გადასადავებული ცხენი ნასწავლივით უკან გამოჰყვა მოკლე ნაბიჯის ფრთხილი დგმითა და საგანგებოდ კისერმომართული.

— ამხანაგებს გამარჯობა! — მიესალმა ფორია მუშებს და დიდის აგზნებით წარმოსთქვა: — აშენდა სწორედ ორკეთი და ისაა! ან საღ იყო, კაცო, ამხელა მუხა და კოპიტი: თითოდან მთელი სახლი გამოიჭრება. ბარაქალა სწორედ, ბარაქალა! — მერმე ხმას დაუკლო და ბოდიშიანი ფრთხილი საყვედურით განაგრძო: — ერთი ჩემი სამდურავი მაინც უნდა გითხრათ, ამხანაგებო. მორები თანაბარ სიგრძეზე არ დაუხერხიათ და ეს ჩემს ქარხანას ზედმეტად დატვირთავს. გერასაც კი ვთხოვე, რომ თვალყური...

და უცებ, თითქოს ენა მუცელში ჩაუვარდაო, პირზე სიტყვა შეაწყდა და ქვედა ტუჩს კბილები დააჭდო. თვალების უცნაური ახამხამებით როგორც რასმე მოჩვენებას, ისე შეაშტერდა ხეში შებმულ გოჩას ნიკორას. მაგრამ უმალვე იგრძნო, რომ გაკვირვება მეტისმეტად გამოაშკარავებული დაურჩა. იმასაც მიხვდა რომ მისი დამალვა უკვე აღარ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძლებოდა. შეცდომა იმით გამოასწორა, რომ დაუყოვნებლივ ზოსიმეს თავი აუქნია. შეუღიმა და ცალი თვალის მოხუჭვით უთხრა:

— კინაღამ გოჩას ფურ კამეჩად ჩავთვალე! გამიკვირდა, საიდან სად მეთქი! კოლექტივში ხომ არ შამოუყვანიათმეთქი! — და ნაძალადევად გაიცინა.

— მისია, მისი... დღეს თავის მაგიერ გამოგზავნა სამუშაოდ. ვე არ მცალია, მაგრამ არც თქვენ მიმდა ჩამოგრჩეთო ვითომ... ხე-ხე-ხე.. გადაკრულად უპასუხა ზოსიმემ და ამანაც ნაძალადევად ჩაიცინა.

— თუ უნდა, მოვიდეს და შეენაცვლოს! — შეტევის მაგვარ კილოზე დასძინა ონისემ ბრიგადირის სიტყვებს და დამდგარი კამეჩი წალდის ტარის კვრით წინ მინდვრისკენ გაიგდო.

— ეშმაკმა წაიღოს ერთიც და მეორეც! რა ჩემი საქმეა! — მიხვდა არჩილი, რაც გოჩას ნიკორას დამართოდა და სიტყვა ბანზე გადააგდო:

— ხო, იმას ვამბობდი: გერასაც ვთხოვე მეთქი, რომ ხეები ერთ ზომაზე დაეხერხათ. აბა, ცალკე თავების მოსწორებას რამდენი დრო მოუნდება. ახლა მაინც მიაქციე ყურადღება, გეთაყვანე ზოსიმე.

ახოსკენ მიტრიალდა, თვალი შეავლო და იკითხა:

— სად იქნება, ნეტავი, ახლა გერა? სიტყვა მაქვს მასთან. რაიონიდან დამაბარეს. იმისთვის გამოვიარე, აქ ვნახავ მეთქი.

ზოსიმემაც ახოსკენ აიხედა.

— აი, იქ იყო წეხან. — უპასუხა და ხელის გაშვერით აჩვენა ის ადგილი, სადაც ამასწინად გვადი კინაღამ დამარცხდა. იმ ადგილას, ცოტა განაპირებულად, მაღალ და განიერ კუნძზე გვადი მხართეძოზე წამოწოლილიყო, ჩრდილქვეშ ფეხი ფეხზე გადაეწყო და თავით იდაყვზე დაყრდნობილი ყალიონს არხეინად აბოლებდა.

— ე, მანდ გვადი რომ ისვენებს, იმას ეცოდინება, თუ სად წავიდა! — უთხრეს ყმაწვილებმა არჩილს.

არჩილი მოახტა თავის ცხენს და ნაჩვენებ ადგილისკენ გასწია. გვადის გაუპირისპირა.

გაკვირვებული იყო ფორია, მთელი კოლექტივის თვალწინ გვადი რომ ასე ფაშასავით ნებივრობდა ჩრდილქვეშ, როცა მის გარშემო ყველანი ოფლში იწურებოდნენ. ეცინებოდა გუნებაში, ალბათ, თავი მოიავადყოფაო.

გვადისთამ განზრახ ახლოს არ მივიდა, მოშორებით დააყენა ცხენი და, თითქოს უცხო ვინმე გზად გამვლელი ყოფილიყოს, ისე შეეკითხა ხმალლა:

— მეგობარო, ვერ მეტყვი გერას ნახვა აქ სად შემიძლია?

გვადი მიუხვდა საქციელს.

— ფრთხილიც რომ არის ეს ოჯახდაქცეულიო, გაიფიქრა თავისთვის და თვითონაც თავი უცხოსავით დაიჭირა. პასუხი დაუგვიანა და

ერთხანს გულგრილად უცქირა, კუნძზე ლაღად დასვენებული ტანის შეუნძრევლად. მერმე უცებ ყალიონის ტარი ცალ უბანაურ ხელში მოიგდო, კუნძიდან მთელი ტანით გადაიხარა და ხელ[illegible] ტყეს კიდისკენ გააშვირა.

— გოჩას ნაია იყო წელან და იქეთ გაიყოლია! — თავიც ისე დაუქნია და სახეც ისეთი უჩვენა, თითქოს სხვას ამას არ გაუმხელდა და არჩილს კი საიდუმლოება გაანდო. — მგონია, ჩაისკემ წავიდნენ, აი ტყე რომ არის, იმ მხარეს მიიმალნენ.

— რას ამბობ, კაცო? მაქეთ ჩაის რა უნდა? — ენამ უსწრო. გაკვირვებულ არჩილს და სახე უნებურად შეეკრა. შეეტყო, რომ გვადის მიერ მოწოდებულმა მოულოდნელმა ცნობამ გული აუმღვრია ვაჟკაცს. —

— უცნაური რამეა: ჩაიში თუ წავიდნენ, ტყეში რა უნდოდათ! არეულად ლაპარაკობ რალაც! — და არჩილმა უნდოთ, ეჭვით შეხედა გვადის. მაგრამ გვადიმ სრულიად მშვიდად, უწყინრად დაუდასტურა:

— რა ვიცი, ჭირიმე, ისე კი წავიდნენ და...

არჩილმა მოუთმენელი თვალები გადაჭკრა იმ არეს, საითაც გვადის თითი ჰქონდა გაშვერილი, რომ ვერაფერი დაინახა, სახე მოეჭცა.

— ჰმ... — ჩაიწკმუილა მკერდის შიდნით და ცხენს ქუსლი ჰკრა უზანგზე აიმართა და ლაფშა იმ ტყის კიდისკენ წაახტუნა. ცოტა რომ გაიარა, უცებ ისევ შესდგა.

— ჰო, ოჰ! — გასძახა გვადიმ წასაქეზებლად, ვითომ კვალს სწორედ მიჰყვები და რატომ შესდექიო.

მაგრამ არჩილს ალბათ ჭკუაში არ დაუჯდა ცხენით ამდენი ხალხის თვალწინ ტყეში გერასა და ნაიას ძებნა. ცხენს მათრახი ტკაცანით გადაჭკრა და წინსვლის მაგიერ, უკან დაბრუნდა. ახლა გვადისკენ აღარც მოუხედავს, ისე მინდვრისკენ დაეშვა სხვა მიმართულებით.

გვადიმ მათრახის გატკაცუნების ხმაზევე შეატყო, რომ მიზანს სწორედ მოარტყა და არჩილს გულში ბრაზი შეუკიდა. კვლავ მხართეძოზე წამოწვა თავის ალაგას და მიმავალ არჩილს თვალი გააყოლა. ახლა თვალითაც კარგად დაინახა, თუ რა გუნებაზე დააყენეს ფორია მისმა სიტყვებმა: გულზე ნაკბენს გვადი მას ზურგს უკამ ამჩნევდა, ისე მოტეხილივით მიჰქონდა იგი არჩილს და კუდამოძუებულივით მიდიოდა.

და გვადის გესლიანი მოკლე ხითხითი მოწყდა პირზე. უხაროდა, რომ მწვავე რამ საფიქრებელი გაუჩინა არჩილს. უთუოდ სწორედ იანგარიშა გვადიმ, რომ ნაიას ტყეში წასვლა გერასთან ერთად ფორიასთვის ადვილად მოსანელებელი ამბავი არ იქნებოდა.

— ასე უნდა! ერთი იგემოს, რასაც ნიშნავს აფორიაქება! — ამბობდა გვადი თავის გულში. — აბა, მანდარინებს რომ ყლაპავდა ეს დალოცვილი და სხვებსაც საკუთარსავით სთავაზობდა, ვითომ რაო? ნაოხრალი ნახა! — ახლა უფრო გრძლად ჩაიხითხითა გვადიმ. მაგრამ იმდენად იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი ნასიამოვნები თავისი საქციელით, რომ გულზე მოწოლილი სიბარულის გამოსახატავად ეს თავშეკავებული, ფარული ჩახითხითი ... ეყო. რომ შესძლებოდა ისეთს დაჰყიჟინებდა, რომ მთელ ქვეყანას მოსდებდა ამ თავისი უცნაური შურისძიების ამბავს. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

ისლა მოახერხა, რომ მკერდში ბლომად ჩაითქვა ჰაერი და ზედიზედ მაგრად და მჭექარედ დაახველა, რომ ამ სახით მაინც გახმაურებოდა თავის გახარებას. ამით დაკმაყოფილდა.

IX

ტყიდან წამოსული არჩილი არსად შემდგარა. არც შინისკენ შეუხვევია, არც სახერხ ქარხანაში შეუვლია. იგი პირდაპირ გოჩა სალანდიას ჭიშკარს მიადგა. შეაღო და ცხენიანად ეზოში შევიდა.

დაუმთავრებელ ოდის წინ გაწყობილ დაზგაზე გოჩას ფიცარი გაემართა და აშალაშინებდა. მისი ცოლი ტასია ქმრის გვერდით დაბალ სკამზე მოკალათებულიყო. ძველი მოღრენცილი სათვალეები ცხვირზე ჩამოედვა, თავსაკრავს უკან კეფაზე შენასკვილი ზონრებით დამაგრებული. მატყლის საზამთრო წინდას ქსოვდა და ჩხირებს ნავარჯიშევ თითებში ისე ათამაშებდა, რომ კაცი თვალს ვერ შეასწრებდა. ეზოში შემოსული ფორია პირველად ტასიამ დაინახა. სათვალეები შუბლზე აიცურა, ხელსაქმე შეკეცა და ზეზე წამოდგა. კაბა შეისწორა, თავსაკრავზე ხელი გაიკრა.

— არჩილია, კაცო. შეეგებე! — გადაალაპარაკა ქმარს და თვითონ სტუმრის შესახვედრად წალასლასდა.

დაინახა თუ არა არჩილი, გოჩამ შალაშინს მაშინვე ხელი შეუშვა და მისკენ მიტრიალდა. ტასიას სალამის მიცემაც დაასწრო და მოპატიჟებაც.

— ესაა, შენთან წამოსვლას ვაპირებდი, არჩილ. უნდა მენახე! — მიუახლოვდა, ცალი ხელი ლაგამზე წაუვლო, ცალით აბჟანდი დაუჭირა და ცხენიდან ჩამოსვლა სთხოვა. არჩილი შეყოყმანდა. ამდენი არ მცალიან, მაგრამ მერმე ისევ ჩამოხტომა არჩია. გოჩას მადლობა გადაუხადა აბჟანდის დაჭერისათვის და ცხენი იქვე დაზგას ყურეზე მიაბა. როცა ისევ მასპინძლისკენ მობრუნდა, პალტოს ჯიბიდან მოგრძო, ოთხკუთხიანი კოლოფი ამოიღო ქაღალდში გახვეული. ტასიასკენ მიიქცა და უთხრა:

— შენს ქალიშვილს ვითომ საჩუქარი მოვუტანე.... მაგრამ ვერსაღ ვნახე... და ისევ შენ მიირთვი, ძვირფასო ტასია... აბა, შინ ხომ ვერ წავიღებ! — და კოლოფი გაუწოდა.

— უიმე, თვალი დამიდგეს! ნაია ჩაის კრაფაზეა, შემოგევლე. — მიუგო უცხო საჩუქრის დანახვით გახარებულმა ტასიამ. — დღეს მეც იქ უნდა ვიყო, მაგრამ ეს კაცი მარტო ვერ დავტოვე.

ტასია კოლოფს თვალს ვერ აშორებდა. არჩილმა იგი ხელში შეატრიალა და ტასიას სიტყვა ასეთი საყვედურით მოუჭრა:

— ჰოდა, იქ რომ არ არის, მეც ამიტომ გითხარი, ჩემო ტასია. მითხრეს სადღაც ტყეში წავიდაო ვიღაც... — შებორძიკდა, უხერხულობა იგრძნო და სიტყვა გასწყვიტა. შემდეგ მაინც დასძინა:

— როგორ გითხრა, მაგრამ ერთადერთი გასათხოვარი ქალი გყავს, ტასია და....

მაგრამ ახლაც აზრი არ დაასრულა, არც სიტყვა მოეწონა თავისი და არც ხმის კილო. განზრახვა ჰქონდა ხუმრობით გაეგებინებია მშობლებისათვის გვადის გადმოცემული ამბავი და სერიოზულად კი გამოუვიდა. ვაჟკაცისათვის შეუფერებლად მოეჩვენა, რომ ნაიას მაგიერ დედამის ეუბნებოდა სამდურავს. გვიან გაისწორა საქციელი. სახის გამომეტყველება შეიცვალა. გაიღიმა და კოლოფი ტასიას ხელში ჩაუჩარა.

— გეხუმრე... რა შენი ბრალია, ნაია რომ ტყეში დადიოდეს.... გამომართვი... ნაიას ნურც ეტყვი, რომ ჩემგან არის.

— ისედაც დავალებული ვართ შენგან, არჩილ, — ბოხი, დაბალი ხმით დაიწყო ცოტა განზე მდგომმა გოჩამ. — რატომ იხარჯები, შე კაცო! — მერმე უცებ ხმას აუწია და ცოლს მუქარით მიმართა:

— გესმოდეს, დედაკაცო, რასაც გეუბნებიან. მართლა ხუმრობა არ გეგონოს. გასათხოვარი ქალიშვილი ტყედ და ველად რომ დაგიდის, ეს წესი არ არის. რამდენჯერ მითქვამს, შინ გააჩერე მეთქი. გაფრთხილებ, ისე გამოასწორო საქმე, რომ მე შიგ არ ჩამრიო, თორემ...

ისევ არჩილმა დააშოშმინა გოჩა. ხელი მკლავში ამოსდვა და ოდისკენ გაიყოლა.

— საწყენად კი არ მითქვამს, გოჩა... როგორ გეკადრება, შე კაი კაცო. აბა, კომკავშირელ ქალს სახლში ხომ ვერ დაამწყვდევ. რა ვუყოთ მერმე. ნუ ჯავრობ!

როგორც უცბად აენთო გოჩა, ისე უცბადვე მოლბა. დაზგასთან შეჩერდა და თავის ცოლს გადმოხედა. ტასიას ფორიას მოტანილი ძღვენი ხელის გულზე ფაქიზად დაედვა, დიდათ გასაფრთხილებელი საუნჯესავით. ხელი წინ გაეშვირა და დაბნეულად იცქირებოდა. ქმრის მოურიდებელი შენიშვნისაგან შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და ნაიას ამბის გართულების შიშით ხმაც ვერ ამოელო. იმის მოსაზრებაში იყო, ჩემმა სიჩუმემ ნაიას რამე არ ავნოსო. მაგრამ გოჩამ ახლა ლმობიერად შეხედა მას და ტკბილი ხმით მიმართა:

— სტუმრის შესაქცევად ერთი ბოთლი ღვინო და ცოტა ხილი მაინც გამოგვიტანე, შე ქალო. მანდ რას უდგეხარო! —

ამ წინადადებამ გამოაფხიზლა ტასია.

— თვითონ როგორ ვერ მივხვდი მე უბედურმაო, წარმოსთქვა და მაშინვე სახლისაკენ გაეშურა საუზმის დასამზადებლად. წინ გაშვერილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლოფიანი ხელი ისევ ისე გაჰყვა, როგორც ჰქონდა გაწვდენილი, სანამ ერთ ადგილზე იდგა.

გოჩამ ბურბუშელა და ნაფოტი გადაგავა დაზგიდან. არჩილს დასაჯდომად ადგილი გაუსუფთავა და სთხოვა ცოტახნს შეესვენებია.

— სხვა, შენი ოდის საქმე როგორ მიდის, გოჩა? ფიცარი თუ შემოგელია? — ჰკითხა არჩილმა გოჩას, როცა დაზგაზე ჩამოჯდა და მის წინ ამართული ოდის კედელი შეათვალიერა.

— ისემც შენს მტერს დღე და ღამე დაელიოს! უკანასკნელ ფიცარს ვაშალაშინებ! — სასოწარკვეთილი ხმით უპასუხა გოჩამ. — ვითომ არაფერი ეშველება ამ ჩემ საქმეს, არჩილ?

— ეშველება, ეშველება! შიში ნუ გაქვს! — სწრაფად მიუგო ფორიამ და ცოტა დაფიქრების შემდეგ დაბალი ფრთხილი ხმით დასძინა: — აი კოლექტივებს რომ დაშლიან მაშინ....

გოჩამ ხუმრობაში ჩამოართვა ეს პასუხი.

— აბა, დავღუპულვარ კაცი და ეს არის. კოლექტივი მთელ ქვეყანას მოედვა და რა დროს დაშლაზე ლაპარაკია, შე კაცო.

— რატომ არა, კომუნები ხომ დაშალეს, და კოლექტივი რით არის ვითომ უკეთესი? — შეტევით შეუბრუნა კითხვა არჩილმა.

— რაღაცა არ მჯერა! ნუთუ სხვა საშუალება არ არის, არჩილ, რომ ამ ჩემ საქმეს მოვუარო. რაღაც ორიოდე ფიცარი მაკლია, სიტყვაზე, და ყავარს კი განზედაც გავახერხებ... ვერაფრით დავიყოლიებ ვითომ გერას, ა? შენ რას მეტყვი? — გულისწუხელით ეკითხებოდა არჩილს გოჩა, რომელსაც კოლექტივის მომავალი ბედი იმდენად არ აინტერესებდა, რამდენადაც თავისი დღევანდელი გაჭირვება. მაგრამ არჩილმა მაინც თავისი არ დაიშალა:

— ორიოდე ფიცარი რა არის, შე კაცო, ამისათვის გერა რად გჭირია... ჩვენც გავახერხებთ როგორმე, თუმცა კომისია დამინიშნეს, და ყოველი ფიცარი აღრიცხული აქვთ... არავისთვის მიკითხავს, ისე მომიცია და კიდევ მოგცემ, კომისია კი არა, თვითონ გერაც რომ თავს დამადგეს. სხვა არა იყოს რა, ჩემი ქარხანაა. ჯამაგირს რომ მომიგდებენ ორიოდე გროშს, ვითომ ამას ვიკმარებ?.. მაგრამ შენ რომ კოლექტივის დაშლა არ გჯერა, ეს კი მაკვირვებს სწორე გითხრა. ჭკვიანი და დაკვირვებული კაცი ხარ, გოჩა, და ნუთუ არაფრად გენიშნება, რაც ხდება ქვეყანაზე. საკარმიდამო მიწების, თუ ბაღების ნაწილის დაბრუნების ამბავი არაფრად მიგაჩნია? აბა, დააკვირდი, თუ ეს დაშლის დასაწყისი არ არის. მაშ, ერთბაშად ხომ ვერ აუსვამენ ხელს კოლექტივს. რაც უნდა იყოს, პატარა საქმე ხომ არ არის... ახლა კიდეც მუშა საქონელზედაც ალაპარაკდნენ რომ... ვითომ... ჰმ... და ასე ნელ-ნელა გამოეთხრება ძირი მაგ შენს კოლექტივს. საბელმწიფო სხვანაირად კი ვერ გაძლებს, მერწმუნე ამაში. ასეა, გოჩა... ბოლოს მოიგებენ ისინი, ჩემო კეთილო, ვინც არ შესულა კოლექტივში

ან მას დროზე თავი დაანება. დაასაჩუქრონ იქნება კიდევაც, რომ წინ-
დახედულად მოიქცენ... — აქ მოულოდნელად შესწყვიტა სიტყვა არჩილ-
ამ და გოჩას თვალებში შეაცქერდა. მერმე სულ სხვა ხმაზე დაიწყო:

— ო, მართლა, ამ მუშა საქონელზე გამახსენდა. წარმოიდგინე: შე-
ნი საყვარელი ნიკორა ხეში შეუბამთ ამხანაგებს... წეიას რომ გამოვია-
რე ტყეში, მაშინ დავინახე... ოღრო-ჩოღროებში წალმაუკულმა უშველე-
ბელ ჯირკვებს აზიდვინებენ. მართალი გითხრა, შემეცოდა პირუტყვი,
ისე ქოშინებდა ქანცგამოლეული... რამ გააგიჟა გოჩა, ფური კამეჩი კო-
ლექტივს როგორ ათხოვა მეთქი? რამდენად ვიცი, ნიკორას შენ ულელში
არ აბამდი!

დაზგას ცალგვერდით მოწოლილი გოჩა უცებ წელში გაიმართა, თავი
უკან გადიგდო და არჩილს წარბების აწევით ისე შეაცქერდა, თითქოს შინ-
წინ მოყვარე კი არა, მტერი მჯდარიყოს.

— როგორ თუ მე ვათხოვე? ვინა სთქვა? — შეეკითხა შეკავებული
ხმით და აზნექილი წარბები ფრთებივით შეკეცა. სახეზე შავი ღრუბელი
შეაწვა.

— ასე მითხრეს. თუ ტყვილია და შენ არ გითხოვებია, უთუოდ სა-
სტიკად აგებენ პასუხს. ახლა ასეა: რაც შენია კანონით, მას ხელს ვეკ, ახ-
ლებენ. შეგიძლია სამართალშიც კი მისცე.

— სისხლად ვარწყევინებ ჩემს აგდებას, თუ გოჩა ვარ, სისხლად! სა-
მართალში მიცემა რას მიქვიან! მე თვითონ გავასამართლებ მაგ თავგა-
სულებს! — იყვირა ახლა გოჩამ. დაზგის კუთხეში დაყენებულ ხელ-
ჩოს მიწვდა, ხელი მარწუხივით ჩასჭიდა და ადგილიდან მოირღვა.

არჩილს არ ეგონა, რომ გოჩას ბრაზი ასე უცებ მოერეოდა. დაზგა-
დან ჩამოხტა და უკან გამოუდგა.

— ჩხუბი არ გარგებს, გოჩა, იცოდე! საქმითა და ჩივილით უფრო
მეტს გაიტან... დამიჯერე. ყური დამიგდე, რა გითხრა... მიაძახა. მაგ-
რამ გოჩამ ხელის ჩაქნევით ჩამოიცილა და ჭიშკარს გრგვინვით მიაშურა

ამდროს ტასიაც გამოჩნდა. ორსავე ხელში თეფშები ეჭირა, ჩურჩხე-
ლითა და ხილით სავსე. ე რთი ბოთლი კიდევ მკლავით გულზე მიეხუტე-
ბია და ასე ოდესკენ მოიჩქაროდა. აყვირებული და მუქარით მიმავალი გო-
ჩა რომ დაინახა, შეოცებული შეჩერდა.

— სად მიხვალ, კაცო? რა მოხდა იმისთანა, რომ სტუმარი მარტო
დაგიტოვებია. — მიაძახა, გზიდან გადაუხვია და ისიც ჭიშკრისაკენ გაე-
შურა. მაგრამ გოჩას მისი სიტყვები არც კი გაუგონია, ისე გავიდა ჭიშ-
კრიდან.

არჩილი კი ტასიას წინ გადაეღობა და გოჩას წასვლის მიზეზი ასე
აუხსნა:

— ვითომ ფური კამეჩის ჩამორთმევა დაუპირებიათ და საქმის გა-
მოსარკვევად წავიდაო. არაფერია, ნუ შეწუხდებიო, დაამშვიდა.

. ტასიას თეფშები ხელიდან კინალამ გაუვარდა, ისე შეიცხადა ეს ამბავი. არ დაიჯერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი მეწველის ჩამორთმევა სად გაგონილა და ჩვენც მეტი კაი გვყავხო.

— მეც ასე მგონია... მართალი არ უნდა იყოს. გაუგებრობაა რალაცა. — არაფრად ჩაუგდო შეწუხება არჩილმა და აღელვებულ დედაკაცს შეეშველა: ერთი თეფში და გულზე მიჭდომილი ბოთლი ჩამოართვა.

— ნამყენისაა ვითომ ეს ღვინო, ჩემო ტასია? — აზრის გასაფანტავად ჰკითხა ტასიას, ბოთლი მაღლა ასწია და გახედა. — აბა, ადესა რა შვილია, აქამდე მოაწევდა!

X

რაკი ერთ ხეს შეაბეს გოჩა სალანდიას ნიკორა, აღარ მოეშვენ. ახლა ონისემ ითავა და კამეჩი ხისმზიდავთა სხვა ჯგუფსაც მიაშველა, რომელშიაც ორი მისი ვაჟი ერია. ამ ჯგუფს მრუდი რამე საშეშო ჯირკვი უსწორმასწორობის გამო ვერ დაეგორებინა და მიწოლით ძლივს მოათრევდა მინდვრისაკენ.

გვადი ბიგვაც ახლა ამ ჯგუფს შეერთებოდა და დასვენების შემდეგ ჯირკვს ხან წინიდან ხან უკნიდან ეპოტინებოდა და თუმცა ბევრს ტყუილია ქაქანებდა, მაგრამ მაინც რაც ძალა გააჩნდა, არ ზოგავდა. მას არც კი უცვნია გოჩას კამეჩი, როცა იგი ჯირკვს მიუყენეს. კოლექტივის მუშა საქონლად ჩასთვალა. გაუხარდა კი. კარგი სასახრე წკნელი აირჩია იქვე ახლოს დაყრილ აუგველ ნასხლეტებიდან და კამეჩის გარეკა თავს იდვა.

ბრიგადირ ზოსიმეს არ ეჭაშნიკა ეს ამბავი. შიშმა გაჰკრა. შეიძლება ამას უსიამოვნება რამე მოჰყვესო, გაიფიქრა. მაგრამ მაინც არა უთქვამს რა.

— ერთი ჯირკვიც რომ გამოათრიოს, ნაპატიებ პირუტყვს ამით რა დაუშავდებაო, — დაიმშვიდა თავი. მაგრამ განზე მაინც გადგა ყოველ შემთხვევისათვის. და თავი მოარიდა.

ამასობაში გოჩა სალანდიაც მალე გამოჩნდა მინდვრის თავთან. ახოს შერჩენილ ოლესავით დადგა შიშველ მინდორზე. და ხელ ჩამოფარებული თვალები შორი-ახლო მოავლო იქაურობას. მაშინვე დაინახა ჯირკვში შემბული თავისი ნიკორა. თითქოს არ მოელოდაო, ისე შეოცდა და მკერდადან სიმწრის გმინვა აღმოსკდა. კბილები კბილებზე ღრჭენით დაასო და ხელეჩო ქარქაშიდან ამოწვდილი ხმალივით მოიმარჯვა. ტანშემართულად პირდაპირ გაემართა ნიკორასაკენ. კუნთებდაჭიმულ მუხლებს განზრახ განსაკუთრებული ძალის დატანებით შლიდა და ჰკეცავდა, რომ ბრაზის დულილი არ შენელებოდა, სანამ საწადელ ადგილს მიაღწევდა. ძძიბე ფეხებს ურიოსავით ისე ურტყამდა მიწას, რომ უკან კვალი რჩებოდა, როგორც ახალ ნათოვზე.

ცოტა რომ გაიარა, ჭჭკუაში არ დაუჯდა ასე ხელაღებით მისვლა მოწინააღმდეგეებთან. დამინახავენ და დასახვედრად შეემზადებიანო, პირდაპირი ხაზიდან გადაუხვია და ახლა მიმრეც-მომრეცად, კორდის აფარებით განაგრძო გზა. აზრად ჰქონდა თავს მოულოდნელად წამოდგომოდა მისი უფლების შემლახველთ და სასტიკად ემხილებინა ყაჩაღური საქციელისათვის.

განზე გამდგარ ზოსიმეს მოახლოვებული გოჩას ლანდი უკნიდან შეადგა. თავზე გადაევლო და მის წინ ყორეს მიმართულებით მინდორზე მხარ-ბეჭ გაშლილად გაერთხა, სადაც ნიკორასაც ჯერკვიანად მიეღწია. ლანდის მხარბეჭის დანახვაზე ზოსიმეს ელდა ეცა.

— გოჩა აქ საიდანსად გაჩნდაო? — მაგრამ მისკენ მობრუნებაც ვერ მოასწრო, რომ გოჩამ შუვილით ჩაუქროლა, თითქოს არც კი შეუმჩნევიაო, და ნიკორას გარშემოხვეულ ჯგუფს მთელი თავისი მაღალი ხმით შესძახა!

— ჰაა ჰატ! ვინც ბედავს ამას, მანდ დამხვდეს, თუ დიაცი არ არის!

ეს იყო საომრად გამომწვევი შეკიჟინება, რომელმაც მთით დაგორებულ ლოდივით კიდით კიდემდე ჩაიროხინა.

ყველამ ერთად მიიხედა გოჩასკენ. შეაყენეს კამეჩი. არავის ეგულებოდა იქ ამ დროს გოჩა სალანდია და მისმა უეცარმა გამოჩენამ ყველა ძალზე გააკვირა.

გვადი ამდროს თავთან უდგა ნიკორას. ყველაზე უფრო მეტად გვადი გააოცა გოჩას მოულოდნელმა თავდასხმამ. არასოდეს არ დაბნეულა იგი აგრერიგად. თვალების მოფშვნეტაც კი დააპირა, რადგანაც გოჩას მოსვლა დაუჯერებლად მიაჩნდა. როცა გოჩას ხმა მეხივით გავარდა, რაღაც მანქანებით გვადის სწორედ მაშინ მოხვდა თვალში კამეჩის შუბლზე მრგვალად დამჯდარი, ჯორის ნალის ოდენა თეთრი ხალი და სახტად დარჩა. უცებ ყველაფერი ცხადი შეიქნა მისთვის. თითქოს უბიძგესო, ისე გაშორდა კამეჩს და სახრეც მაშინვე ხელიდან შეუმჩნევლად გააგდო. თითქოს უჩინმაჩინის ქუდი დაიხურაო, ისე ზურგს უკან შეაფარა თავი დანარჩენებს, რომ გოჩას არ დაენახა.

ონისემ კი იგრძნო, თუ გულმაგრად არ იქნებოდა და უკან დახევას დააპირებდა, გოჩა უფრო გათამამდებოდა და მისგან მეტიც იყო მოსალოდნელი. ამიტომპირიქით შეტევა ამჯობინა. ნისკარტი მაღლა შეისროლა და ჩხიკვივით დაიჩხავლა:

— დიაცი თუ არ ხარ, მთელი დღე შინ რა გინდა, რომ გვემალები! ვაჟკაცები აქ ვართ ყველანი! — ღრაკნილი ტანი გაიმართა, რომ უფრო მაღალი გამოჩენილიყო და თავის ვაჟებს დაუახლოვდა. წინ დაუდგა, წალდის წვერი მიწაზე დააბჯინა და ტარი ხელში ისე დაიჭირა, თითქოს ძოსაქნევად მოიმარჯვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩამ ერთი ალმაცერად გახედა ამ პატარა მოხუცს, მისი შემარცხვენლობა საჭაცილოდ მოეჩვენა, მაგრამ შეკრული წარბები არც კი მეურხევია.

— გხედავ, რაც ვაჟკაცი ბრძანდები, ონისე! — უთხრა ონისეს, — მე სხვებსაც გადაკრა თვალი და დასძინა: — ერთ ფურ კამეჩს მორევიხართ არა? — ნიკორასთან მიიჭრა, საბელზე ხელი აჰკრა, ისევ ონისესკენ მიტრიალდა და ბრძანებით შეჰყვირა:

— აუშვი მეთქი ახლავე კამეჩი!

— თუ შენ შეებმები მაგ ჯირკვს, გაუშვებ, ისე კი არა! აბა, რა გეგონა! შენი გადასათრევია!... ბატონობა წამომიწყე?.. ხელი არ ახლო კამეჩს! — შეტევითვე მიუგო ონისემ და ახლა იმითაც შეურაცყოფილმა, რომ გოჩამ ვაჟკაცობა დაუწუნა, მისკენ შეუპოვრად ნაბიჯი გადადგა.

ვილამაც ონისეს სიტყვას კვერი დაკრა და გოჩას მიმართ მუქარით წამოიძახა:

— დიახაც!

ეს წამოძახება საბედისწერო შეიქნა. თითქოს ნიშანი მისცაო, ისე იმოქმედა გოჩაზე.

— ჩემია და ხელიც არ ვახლო! როგორ მიბედავ! — შებღავლა მან და ხელეჩო თავს ზევით მაღლა ამართა. შემდეგ ისევ ძირს დააქანა მკლავის ფრთოდ გაშლით და ზურგს უკან მოიგდო მოსქნევად. იმავე წამში ონისეს გრძელტარიანი წალდიც ჰაერში აიმართა.

შეიქნა დიდი აურზაური.

ზოსიმეს თავიდანვე ენიშნა, რომ გოჩას უეცარი გამოჩენა კარგის მომასწავებელი არ იყო. ჩაუქროლა თუ არა გოჩამ, მაშინვე უკან მიჰყვა, რომ მოსალოდნელ აყალმაყალში დროზე ჩარეულიყო. მაგრამ იმას კი მაინც არ მოელოდა, რომ საქმე ხელეჩოსა და წალდის მოქნევამდე მივიდოდა. გაშალა თუ არა გოჩამ მკლავი ხელეჩოს მოსაქნევად. ზოსიმე ერთი ნახტომით მივარდა მას და მკლავი ორივე ხელით დაუჭირა.

— ღმერთი არ გაგიწყრეს, არ გაბედო! — შეუყვირა და სანამ გოჩა მის მოულოდნელ თავდასხმაზე რასმე პასუხს მოიაზრებდა, მკლავი მოუქცია და თვალის დახამხამებაში იარაღი ხელიდან გამოაცალა.

ონისეს კი ამხანაგები შემოერტყეენ. უფროსმა ვაჟმა ჩაგონებით უთხრა:

— მე გავცემ პასუხს, შენ გაჩუმდიო, — და ახლა თვითონ დაუდგა წინ. რა დაინახა განიარაღებული გოჩა, ონისემაც თავისი წალდი ძირს დაუშვა.

ჩხუბმა მთელი მინდორი შესძრა. ახოსაც მოედვა ეს ამბავი და იქიდან ჩაის პლანტაციაშიც შეიჭრა. ვინც ახლოს იყო, გოჩას ყვირილის პირველ გაგონებაზევე გამოიქცა ჩხუბის ადგილისკენ. მერმე შორი კუთხეე-

ბიდანაც დაიძრა ხალხი. სულ მოკლე ხანში მინდორზე [illegible] მთელმა კოლექტივმა მოიყარა თავი.

— გოჩა სალანდია ჩხუბობსო, გავარდა ცნობა ჩაის [illegible]ციაში. ჩაის კრეფაზე მომუშავე ქალები ცნობისმოყვარეობამ აიტანა. ძიახებეს მუშაობას თავი და მინდორს მიაშურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერას ყურამდე ჩხუბის ამბავმა მაშინ მოაღწია, როცა ის ერთი ბრიგადიდან მეორეში გადადიოდა დასათვალიერებლად. შესდგა. ყურები დასცქვიტა. ყვირილი და უჩვეულო ხმაურობა რომ მოესმა, გაუკვირდა. ვერ წარმოედგინა ვის შორის უნდა მომხდარიყო ჩხუბი და რატომ. სულ ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რაც იქაურობა დატოვა, და ამ ცოტა ხანში ასეთი რა უნდა მომხდარიყო? მინდვრისკენ სირბილით მიმავალი ხალხი რომ დაინახა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. კვლებიდან კვლებზე გადაევლო ჩაის ბუჩქებს და, თითქოს მუხლებში ნიავქარი შეიყენაო, ისე მოქუსლა იქითკენ, საითაც დიდი და პატარა გარბოდა.

გოჩას ნაიამ კი არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, როცა უთხრეს, მა მაშენს ჩხუბი აუტეხიაო. ჯერ არც დაიჯერა. მაგრამ რა ნახა, რომ მისი გვერდით მომუშავე ქვრივ მარიამსაც კალათი განზე მიეგდო და ისიც სხვებთან ერთად გაქცეულიყო, გული აუჩქროლდა. ჩაის ფოთლით სავსე კალთის დაცლაც კი დაავიწყდა, ისე მოწყდა თავის ადგილს და ამხანაგებს დაედევნა.

(გაგრძელება შემდეგ №-ში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძე

მოედანთან

რომ მოიკრიბა
ძალა ზევსური
დღემ — და გაბრწყინდა
ცა დარბაზებად.
მზე ჩადიოდა —
მთვრალი ხევსური
და მთებზე
ჩრდილებს აბარბაცებდა.
დავტოვეთ ბინა
და გამოვედით,
გავყევით ჩუმად,
გზას ჩვეულებრივ,
შორს მოედანზე
ჩანდა პორტრეტი
განათებული
ფარჩეულებით!
ქალალდებს, ფერადს,
ქარი ფარული
ატრიალებდა
თითისტარივით.
და გაჰყურებდა ხალხს
სიყვარულით
განათებული
დიდი სტალინი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თითქო დაგვადგა
    შუქნი მზისანი
შთაგვაგონა და
    ცაში გვატარა...
რა დიდი არის
    ჩვენი მიზანი —
ამ შთაგონების
    ხალხში გატანა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხ. ჯავახიშვილი

ქალის ფვიქრთი

რომანი *)

XV

ანდრომ ყველანი ერთად მოიწვია საუზმეზე, შვილებიც და ძმისწულებიც. ქეთო მიპატიჟებული არ იყო. შემთხვევით შემოვიდა, თითქმის ცივად მიესალმა ყველას და დაღვრემილი მიუჯდა სუფრას.

მისი მამაც დაღვრემილი იყო. სანამ საუზმეს შემოიტანდნენ, ანდრო მოუსვენრად დაბორიალობდა და დროგამოშვებით ისე ოხრავდა, თითქო უმძიმეს სათქმელს ამზადებდა. არავინ იცოდა რა კაეშანი აწუხებდა სამოქალაქო გენერალ ახატნელს.

ამას წინათ ანდროს სოფელში „მისდა დაუკითხავად“ ასი ყაფაზი ასულიყო, იქაურობა აეკლოთ, ორი გლეხი დაეჭირათ, ერთი მოეკლათ, თორმეტი თავიკაცი დაეპატიმრებინათ, ანდროს კუთვნილი ღალა აეკრიფათ, „სრული წესრიგი დაემყარებინათ“ და მეორე სოფელში გადასულიყვნენ. ამის გამო ანდრო არა სწუხდა, არც სიხარულს ამჟღავნებდა. მხოლოდ ამბობდა: ვინც კანონი დაარღვია, პასუხიც იმან აგო, მორჩა და გათავდაო. მაგრამ ბობოქარ ერთობას ფიქრადაც არ მოსვლოდა გათავებულიყო. ყოველგვარი „თავისუფლება“, ჩვიდმეტ ოქტომბერს გამოგლეჯილი, მან ძირფესვიანად გამოიყენა, რათა ძალღონე მოემრავლებინა და საბოლოო იერიშისათვის მომზადებულიყო. ანდროს ესეც აწუხებდა, მაგრამ მან თავის შვილებსა და ძმისწულებს სხვა რამისთვის დაუძახა. საუზმის დროს ხმა არ ამოუღია, ცოტას სჭამდა, ისევ ოხრავდა, თავჩაქინდრული იჯდა და საუზმის გათავებას მოუსვენრად ელოდა. სმაჭამა რომ გათავდა, ანდრომ წვერზე ხელი მოისვა და ბორძიკით დაიწყო:

— შვილებო, ჩვენს მამაპაპურს მამულს მეორე მხრიდანაც გაუჩნდა ხიფათი. თქვენც იცით, რომ იგი დაგირავებულია და პირველ იანვრისათვის დიდი თანხა უნდა შევიტანოთ ბანკში. ამას როგორმე მოვიშორებ, ვადას გადავადებინებ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ კერძო უვადო

*)გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამასუქები მაქვს გაცემული, რომელნიც ნოტარიუსისთვის გადაუციათ საპროტესტოდ. ახლა მწადიან თქვენი რჩევაც მოვისმინოთ, რა ქნა, როგორ მოვიქცეთ?

— ვის მიეცით თამასუქები? — ჰკითხა გრიგოლმა.

— წვერაძეს, ავშაროვს, რახმანოვს, პეტროსიანს და ცეიტლინს. — უპასუხა ანდრომ და თითები აატკაცუნა.

— მევახშეთა დიდი კრებული შეუდგენია. — ჩასჩურჩულა ნიკომ აკაკის და ჩაიცინა.

— სულ რამდენია?

— ოცდაათი ათასია. — ჩუმი ხმით მისცა ცნობა ანდრომ.

— პასუხს ვინ აგებს? — ოდნავ აუწია ხმა გრიგოლმა.

— პასუხს ეს საერთო სახლი და ჩვენი საერთო მამული აგებს. — უფრო მეტად დაუწია ხმას ანდრომ.

— ბიძაჩემო, — წამოიძახა გრიგოლმა, — ჩემთვის, მიტოსთვის და ჩემი ცოლშვილისთვის ყელი გამოგიჭრიათ.

გრიგოლს სისხლი აუვარდა თავპირში. მრგვალ მუშტს ოდნავ ურახუნებდა მუხის მაგიდას და ცხარედ ჩიოდა: მისი ბიძა თავის ძმისწულების მზრუნველი იყო და საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს ხუთმეტიოდე ათასი მანეთი ვალი დაედო. მამულისა და სახლის დაგირავების დროს გრიგოლმა და დიმიტრიმ სრული რწმუნება მისცეს ანდროს, რომელმაც ბანკიდან ფული გამოიტანა და ძმისწულების ძველ ვალს ათიოდე ათასი კიდევ მიუმატა. ახლა მას ის რწმუნება ხელახლა გამოუყენებია, ოცდაათი ათასი კიდევ უსესხნია და ეს ფულიც მარტო თვითონ დაუხარჯავს.

— რას გვიშვრები, რაზე გვლუპავ, ბიძაჩვენო?! ოთხი ათასი თუმანი საიდან უნდა გადაგვიხადო? — ეკითხებოდა გრიგოლი და გაშმაგებული დარბოდა ოთახში. — გაგვაგებინე, რას აპირებ? რა იმედს გვაძლევ?

დიმიტრი გაფითრებული იჯდა და პასუხს ელოდა.

ანდრომ იმედის მიცემის მაგიერ სუფრაზე თითი ააკაკუნა და წაილულლულა:

— ქეთოს გათხოვება ხუთმეტი ათასი დაგვიჯდა. ყველანი ქეთოს დააშტერდნენ. ქეთოს შერცხვა, თვითონაც არ იცოდა, რად შერცხვა. გაწითლდა და თავჩაღუნულმა წაილაპარაკა:

— რა ჩემი ბრალია... მე არაფერიც არ მითხოვნია.

— შენი რა ბრალია, შვილო. — დაამშვიდა მამამ. — შენმა ქმარმა კი ჩვენც გვიმტყუნა და თვითონაც ჭკუა წააგო: ათას-თუმნიანი თამასუქი წვერაძეს ექვსას თუმნად მიუგდო. რადგან შენ წვერაძე დაიწუნე, ის ჩვენი მოსისხლე გახდა. ჩემს თამასუქებს ყიდულობს და განიავებას გვიპირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კეთილი, მაგრამ ჩვენ რად ვიჭყლიტებით შუაში, ბიძაჩვენო? კვლავ წამოიძახა გრიგოლმა. — ხუთმეტი ათასი ქეთოს გადმოვიბა, და-გიჯდათ, ხუთმეტი ათასი ილიკომ გაფლანგა....

— მე არ მახსენო! — დაიძახა უცებ ილიკომ და ფერწასული წამოხტა. — არ მახსენო მეთქი, თორემ სისხლს დავღვრი. მე არაფერიც არ გამიფლანგავს. ჩემზე სულ არაფერი დახარჯულა. დროა მეც მოვითხოვო ჩემი წილი. მეც მომბეზრდა უთავბოლო ხეტიალი. მინდოდა ცოლი შემერთო, მაგრამ ნება არ მომცეს. იმ ქალს ამ სახლში არ შემოუშვებთო. რაკი აგრეა, ნებადაურთველად შევირთავ. თუმცა, რაღა დაგიმალოთ, გუშინ ჯვარი დავიწერე და გავათავე.

— ვაიმე! — ამოიკვნესა მარიამმა, რომელმაც თავის და ანდროს სახელით ნება არ მისცა ილიკოს ის ქალი შეერთო.

— ბინა უნდა მოვაწყო, ვალი უნდა გავისტუმრო. — განაგრძო ღვინით აფორიაქებულმა ილიკომ. — თუ ხვალ შუადღემდის ხუთი ათასი არ ჩაგიბარებიათ, ვილაცას მოვკლავ, ამ სახლს გადავწვავ და მეც თავს მოვიკლავ. — და ისტერიკულად გაიმეორა: — თავს მოვიკლავ მეთქი!

ყველანი შიშით და გაოცებით შესცქეროდნენ ილიკოს. ბოლოს ნიკომ ჰკითხა:

— ვინ შეირთე ბიჭო? ბარემ ეგეც გვითხარი...

— ვინა და პეტიპას მეტოქე, სახელოვანი ადელ ჰოპკინსი შევირთე, მაშ! უბრალო ვინმე ნუ გგონია.

— წყალი! დედას გული შეუწუხდა. — წამოიძახა ქეთომ და კინალამ თვითონაც გული შეუწუხდა.

ორმა საშინელებამ — გალატაკების ხიფათმა და მადამ ჰოპკინსის დანათესავებამ — ყველას თავზარი დასცა. მხოლოდ ნიკო ილიმებოდა გულგრილად. მარიამის გულყრამ ყველანი წამოშალა. ყველაზე ადრე ნიკო წამოვარდა და წყალს ეცა.

ანდრომაც წამოიწია, მაგრამ გულზე ხელი ირტაცა და ისევ სკამზე დაეშვა. ალიაქოთმა იმატა. შეწუხებული მარიამი თავის ოთახში გაიტანეს. ანდროს აკაკი და ილიკო მიეშველნენ, წამოაყენეს, ილლიებში შეუსხდნენ, კაბინეთში შეიყვანეს და ტყავგადაკრულ ტახტზე მიასვენეს.

ნახევარი საათის შემდეგ გონსმოსულ მარიამს მშვიდად ჩაეძინა. ანდრო ისევ ჰბორგავდა. დიმიტრი იქვე ეჯდა და უვლიდა. ანდროს შვილებმა და გრიგოლმა სასტუმრო ოთახში მოიყარეს თავი. ჩუმად ისხდნენ, ფეხაკრეფით დადიოდნენ და სათქმელს ვეღარ ამბობდნენ. ბოლოს გრიგოლმა ჰკითხა ილიკოს:

— შენი ცოლი რამდენ ხანს მოლვაწეობდა შანტანში?

— ცხრა წელიწადს. — მიუგო ილიკომ და ზღარბივით აიშალა. — მაგას რად მეკითხები? — პასუხს აღარ მოუცადა, უცებ ხანჯალზე გაიკრა ხელი და შესძახა: — ვინც ჩემ ცოლზე ცუდს იტყვის, ასო-ასო ავქნი!

ფრთხილად მეთქი, თორემ... — ყველას ავი თვალით გადახედა, მერმე მოსხლტა და საჩქაროდ გავიდა შინიდან.

„უაზრობა იქნება ვუთხრა, რომ მაგის ადელი აშკარა შეძავრა, რომ ის ჩემ ქმარსაც ჰყვარობდა, რომ მას ათასობით ჰყავდა კურო — ზოგი მხოლოდ ერთი ღამით, ზოგი ერთი კვირით და ზოგიც ორი თვით. ვაი სირცხვილო! ვაი წაბილწულო ოჯახო!“ — გაიფიქრა ქეთომ და ფანჯარას მიადგა.

— ყველაფერი ინგრევა: სახელმწიფოც, საზოგადოებაც, ოჯახიც და გვარიც. — მწუხარებით ჩაილაპარაკა გრიგოლმა. — შვიდ საუკუნეზე მეტია, რაც ჩვენს მამულ-დედულს თავს ვევლებით. ამ ხანში მას ათასი სული ახატნელი მაინც გამოუზრდია. ახლა კი ანდრო ახატნელის ხელში უნდა გაიყიდოს? არ შეიძლება! ვერ დავიჯერებ!!

ხმა არავინ გასცა. ყველას ბოლმა ჰქონდა მოწოლილი და არავინ იცოდა, რა გზით აეცილებინათ ავი ხიფათი, რომელიც უკვე კარს ურახუნებდა მათ. მხოლოდ ნიკო დარჩა უდარდელი. დაუდევრად გაწოლილიყო საქანელაში და დამცინავად იღიმებოდა.

ქეთო ფანჯარაში იხედებოდა. უცებ მოღრეცილი სახლის იქით ხევიდან ვინმე კაცმა ამოჰყო თავი და იქაურობა მოათვალიერა. ქეთომ მაშინვე იცნო ზურაბი, გაოცებული ამოეფარა ფარდას და გურგენიძეს დაადგა თვალი. „იმ ხევში რა უნდა? რას ეძებს? ვის უთვალთვალებს?“

მცირე ხნის შემდეგ თავჩაღუნულმა ზურაბმა ფართე ვერანი ეზო დინჯად გადმოსერა და გვერდელა სახლს შეაფარა თავი. ქეთოს მაშინვე გაახსენდა ლევანი, რომელიც ოთხიოდე თვის წინათ იმ ეზოში ცოდვილობდა, გაახსენდა და გონების მთელი ძალღონე მოიკრიფა იმის გასაგებად, თუ რა უნდა ყოფილიყო იმ სახლში? „ალბათ იმ ქოხში ბინა გაუჩინეს ზურაბს“. — თითქმის მიაგნო სიმართლეს ივდითმა და დამცირება იგრძნო: რატომ ერთხელ მაინც არ დაიბარა ზურაბმა ქეთო? თუ ოდნავ მაინც მოსწონს მას, მაშ რაღად ერიდება? რისთვის დასჭირდა მას ნიკოს შუამავლობა? ნუ თუ ის დაუვიწყარი ამბავი, რომელიც ბნელ გვირაბში მოხდა, ზურაბმა მეორე დღესვე დაივიწყა? ქეთო იმ სამიოდე საათს სამარემდის მიიტანს, ერთად რომ გაატარეს გვირაბში, ზურაბმა კი... ჰოი ვერაგო, უმადურო მამაკაცნო! ვაი იმ ქალს, ვინც მოგენდობათ. მზაკვარი, გულცივი და მოღალატე ყოფილხარ, ზურაბო! ქეთოს უმწიკვლო სხეულს დამპალი ხილი ამჯობინე? კეთილი, აგრე იყოს. ნათქვამია ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო. თუ ზურაბი ქეთოს შეხვდა სადმე, ალბათ თავს გაიმართლებს: ერთობას გადავეგე, ველარ მოვიცალეო. ვითომ ერთი საათითაც ველარ მოიცალა? ტყუილია! ჭორია! ნამდვილი მიზეზი სხვა ვინმეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართავ, შე უმადურო, შენ გადაელობე გზაზე შენს კეთილისმყოფელ ქეთოს, შენ მოხიბლე ზურაბი. მაგრამ რა თილისმით შეჰბოლქვინ აჯადოვე? სულიერი ნათესაობით?

არა, ქეთოს არა სჯერა. მარტო საერთო რწმენა და საერთო საქმე რა საკმარისია! ალბათ სხეულიც სხეულმა იცნო და სისხლიც სისხლს მიუდგა.

ქუჩის გადალმა იმ სახლის ორ ფანჯარას უცებ თეთრი ჩითის ფარდები ჩამოეფარა. „ალბათ ზურაბი მარტოა. — გაიფიქრა ქეთომ. — მაგრამ იქნება მართაც იქ არის?“

ნიკო გვერდში ამოუდგა ქეთოს და ჰკითხა:

— რას დაღონებულხარ? ახატნელების გაჭირვება შენც გეწყინა?

— მე ჩემი ქმრის მაგივრად მრცხვენიან. — მიუგო დამ. — ის ათიათასი მანეთი ჩემი მზითევი იყო, მან კი მე არა მკითხარა და თამასუქები ნახევარ ფასში მიუგდო წვერაძეს.

— სჯობს სულ დაივიწყო.

— მეც აგრე ვაპირებ.

— ახალს რას მეტყვი, ივდითო?

— არაფერს. რაც გითხარით, ისიც გეყოფათ. — ბრაზიანად უთხრა ქეთომ.

— გაჯავრებული ყოფილხარ.

ქეთომ არაფერი უპასუხა, მცირე ხნის შემდეგ ქოხზე მიუთითა და შეცვლილი ხმით ჰკითხა:

— ნიკო, აგერ იმ სახლში ვინა ცხოვრობს?

— მე რა ვიცი? — მიუგო ძმამ და მის ხმას შფოთი დაეტყო. — რად მეკითხები? რა მოხდა? იქ ხომ არავინ დაინახე?

— არავინაც არ დამინახავს.

— მაშ რათა მკითხე?

— რა ვქნა, რას ჩამაცივდი?

მე კი არა, შენ ჩამაცივდი. აქამდის არ გიკითხავს და რაღა ახლა მეკითხები?

— ქეთო ფანჯარას მოშორდა და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იმ სახლში ზურაბი ცხოვრობდა.

მან ნიკო მეორე ოთახში გაიყვანა და ჩუმად ჰკითხა:

— ზურაბზე ხომ არაფერი გაგიგია?

— არაფერი. რა უნდა გამეგო?

— სულ არაფერი გაგიგია? — ჩააცივდა ქეთო.

— არაფერი მეთქი.

— იმაზე ცუდს ხომ არაფერს ამბობენ?

— რა უნდა სთქვან, ქალო? რა ირიბულად მეკითხები?

— საიმისო არაფერია. ხმა დადის, ინტრიგანიაო. — მარდად გადაუხვია ქეთომ.

— ეგ ხომ ძველისძველი ამბავია. შურიანი ხალხი არ გამოილევა. ზურაბი მედგრად იბრძვის, ზოგ ვინმეს ლაშქარი წაართვა და ამიტომ ჭორიკანაობენ. მეტი არაფერი?

— მეტი არაფერი. — მიუგო დამ და მოშორდა.

— ქეთო უცებ ზურაბის ნახვის წადილმა შეიპყრო. ახლავე წავა, ერთხელ კიდევ მოელაპარაკება და საბოლოოდ გაიგებს, ვინ არის ქეთო ზურაბის გულში, საყვარელი თუ ჯაშუში? დიაღ სწორედ ისე ჰკითხავს: „სთქვი, ზურაბ, გიყვარვარ თუ არა?“ — „მიყვარხარ“. — ცალი ყბით ეტყვის ზურაბი. „შენი სიყვარული ეგ არის? ორ თვეში ერთხელაც არა მნახე, არც მოკითხვა შემომითვალე“. ვნახოთ რას იტყვის ზურაბი. არა მეთქი: ქეთო თავს არ დააჩაგვრინებს მართას. აგრე ადვილად არ დაუთმობს მას გურგენიძის თავს. რაც გინდ მოხდეს, ახლავე გამოარკვევს ყველაფერს. ეყო ამდენი ლოდინი!

იმ სისხლიანი დღის შემდეგ, როცა ქეთომ ზურაბს ქმრის საიდუმლოება უამბო, გურგენიძემ დაუყოვნებლივ მოშალა ბუდე თავის ჯგუფისა, რომელიც ხან რაჟდენთან და ხან მართასთან იკრიბებოდა. ყველანი დაიქსაქსნენ, თავიანთ თავს თვალი დაადგეს რათა გაეგოთ, ადევნებდა თუ არა მათ „ახრანკა“ თვალყურს. ყველაზე მეტად რაჟდენი მოიბუზა. ასე ურჩია ზურაბმა და იმანაც თავი მოიმკვდარუნა.

ლევანი დაიკარგა. მან სამიოდე ჯგუფი შეჰკრა ხელოსნებში და შინ კვირაში ერთხელ ბრუნდებოდა ერთი საათით.

ნიკოც ხელახლა მოსწყდა ახატნელთა სახლს.

მართა მარტო დარჩა. მან მალე შეამჩნია, რომ მას ლანდივით დასდევდნენ. მართამ ეს აინუნშიც არ ჩააგდო და, თითქო არაფერი იცისო, უწინდელზე უფრო გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი შეგირდებსა და ხელსაქმეს. ერთ ხანს მხოლოდ სკოლაში დადიოდა, ხოლო დანარჩენ დროს შინ იჯდა, მუშაობდა და თავის მეთვალყურეს თვითონაც ჩუმად ადევნებდა თვალყურს. ერთი თვის შემდეგ მართას ეგონა: მათ ამ ქუჩაზე ხეტიალი მოჰბეზრდათ და თავი დამანებესო.

ზურაბიც მიიმალა. იმ ორ თვეში მართა მხოლოდ ორჯელ დაიბარა, მაგრამ არავითარი ახალი საქმე არ დაუვალებია. პირიქით, რაც ებარა, იმაზედაც ხელი ააღებინა და ანუგეშა: როცა თავს დაგანებებენ, მე თვითონ შეგატყობინებ, ჯერ კი ჩრდილში ჩადექი და მოითმინეო. მართა ჩრდილში ჩააყენა, თვითონ კი უფრო ღრმად ჩაძვრა ჯურღმულში და უწინდელზე უფრო ხშირად ჩააწყო ნაღმები. ზურაბი მიიმალა, მაგრამ მართას უბანს მაინც ვერ მოშორდა. იქ ჰქონდა მას სტამბაც, საწყობიც და ბინაც, იქ იყო თავფეხიანად მიბმული და იქაურობას ვერ მოსწყდებოდა.

იმ ორ თვეში ზურაბს ახატნელების ქუჩაზე ერთხელაც არ გაუვლია. იმ ნაჭერს მიწისას, სადაც მოლრეცილი სახლი იდგა, უკნიდან [illegible] დიოდა. ზურაბი ხევიხევ უვლიდა და მხოლოდ იმის გამო [illegible] ის სახლი და მისი ეზოც ახატნელთა სახლის ზემო-სართულიდან მოსჩანდა. გურგენიძე ფრთხილობდა და ერიდებოდა ის ალაგი დღისით გაევლო ხოლმე. მაგრამ საქმე მუდამ არ ნებდებოდა და მას ზოგჯერ დღისითაც მიიყვანდა ახალ ბინაზე და იქიდანაც დღისით გამოიყვანდა ხოლმე.

იმ დღეს რაჟდენი თავისუფალი იყო, თითქმის რიჟრაჟზე შესხლტა იმ სახლში, მარდად ჩაცურდა ხვრელში და გაზეთის აწყობას შეუდგა.

ზურაბი შუადღის შემდეგ მოვიდა. მან საკუთარი გასაღებით გააღო კარი, შიგნიდან ჩაკეტა, თეთრი ფარდები ჩამოუშვა და ისიც ბუხარში ჩაძვრა. გურგენიძემ ახალი წერილი ჩაუტანა რაჟდენს, ნახევარ საათში უკანვე ამოძვრა, ბუხარში ფილაქანი გაასწორა, ზედ პრიმუსი ააშიშინა, ჩაიდანი შესდგა, მერმე მაგიდას მიუჯდა და კორექტურის გასწორებას შეუდგა. მან რამდენიმე წერილი გაასწორა და ბოლოს საკუთარი წერილიც გადაიკითხა.

ზურაბი სწერდა: ოქტომბრის მანიფესტი ჯერ არ გაციებულიყო, როცა მთავრობა სამზადისს შეუდგა. მან შავი რაზმები შეადგინა, ჯარი „გაწმინდა", აფიცრები შეარჩია, კამარილა მოაწყო. სათათბიროს დიდი ძალა არ ექნება. დეპუტატების საკრებულოს უფლება აქვს ითათბიროს, მაგრამ ნება არ აქვს ძირითად კანონებს გადასცდეს. მას ზემოდან სახელმწიფო საბჭო დასცქერის, რომელსაც შეუძლიან ყოველი მისი დადგენილება გააუქმოს, თუ იგი არ მოეწონა, ხოლო ორივეს თავით-ფეხამდის იარაღში ჩამჯდარი მთავრობა ადგია, რომელსაც სულ ადვილად შეუძლიან ყურმოჭრილ ყმებად აქციოს ისინი, და თუ ურჩობას გაუბედავენ, უბრალო მსახურივით დაითხოვს და უფრო მორჩილ ხალხს მიიწვევს. გურგენიძის აზრით თავდაპირველად საჭირო იყო დამფუძნებელი კრების მოწვევა და ძველი ძირითადი კანონების გაბიავება, ხოლო ამ საქმის შესრულება მხოლოდ გამარჯვებულ აჯანყებას შეეძლო. დასასრულ ავტორი აფრთოვანებით მოუწოდებდა ხალხს იარაღი აესხა, დარაზმულიყო, წითელ დროშას გაჰყოლოდა და გადამწყვეტ ბრძოლაში ჩარეულიყო, რომელიც საცაა უნდა დაწყებულიყო.

გურგენიძემ თითქმის ბოლომდის ჩაიკითხა წერილი. უცებ კარი დააკაკუნეს. ზურაბი შეკრთა, წამოხტა, რევოლვერზე იკრა ხელი, ფეხაკრეფით მივიდა ფანჯარასთან და ფრთხილად გაიხედა გარეთ. იქ არავინ მოსჩანდა. ზურაბს თითქმის გაეფანტა კრთომა. მტერი რომ მოსულიყო, თავდაპირველად ალყას შემოარტყამდა. მაშ კერძო ვინმე იქნება.

კარი უფრო გაბედულად დააკაკუნეს. ცხადია, რომ მტერი არ არის, მაგრამ არც ზურაბის ამხანაგია. მათ სამჯერ უნდა დააკაკუნონ მაგრამ ეს ვილაც კი უთავბოლოდ არაკუნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი ხარ?

ქეთომ ზურაბის ხმა იცნო და მთრთოლვარე ხმით მოგვაგონა:

— ზურაბ, მე ვარ... ქეთო ვარ. კარი გამიღე.

გურგენიძემ კარი გაულო, შემოუშვა, ისევ მიუკეტა და ცივად დაეკითხა:

— მარტო ხარ? როგორ მომაგენი? ვინ მოგასწავლა?

ქეთო გაშეშდა. მას ეგონა, ზურაბი გადაეხვეოდა, სიხარულით ცას დაეწეოდა, მან კი სალამიც არ აღირსა და სუსხიანი ხმით განაგრძო:

— სთქვი რალა? როგორ მომაგენი მეთქი? ვინ მოგასწავლა? რას გაჩუმებულხარ?!

ქეთო აიმრიზა. ჯერ კარგა ხანს იყუჩა და მერმე ნაწყენი ხმით ჰკითხა:

— სალამსაც არ მაღირსებ?

— რა დროს ეგ არის! გეკითხები, როგორ მომაგენი მეთქი?

— თუ სალამის ღირსიც აღარა ვარ, მაშ უკანვე დავბრუნდები. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისათვის.

— დაიცა. ვერ წახვალ. კარი დაკეტილია. აქ მო. აი აქ დაჯექი და ყური დამიგდე.

მკლავში ხელი წაავლო, ტახტზე დასვა, თვითონ გაიარ-გამოიარა, მერმე გვერდით მიუჯდა, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— ჩემო ქეთინო, ნუ გწყინს, ნუ მიჯავრდები. ჩვენი ამბავი რომ გცოდნოდა, არც მოხვიდოდი და არც გეწყინებოდა.

ზურაბმა მოკლედ უამბო: ახლა გაცხარებული სამზადისია. რამდენიმე დღეში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაიწყება და, რა საკვირველია, რომ ზურაბმა ვერ მოიცალა. არც ახლა სცალიან. საცაა უნდა წავიდეს. ამხანაგები ელოდებიან.

— მაშ წავალ. მშვიდობით იყავი. — ცივად მიუგო ქეთომ და წამოდგა.

დაიცა მეთქი, ქეთინო. ჯერ მითხარი, გზა ვინ მოგასწავლა. ზურაბი ამან შეაწუხა და სანამდის არ გაგიშვებს, მანამ ამას არ გაიგებდეს.

— ამ ეზოში რომ შემოდიოდი, მე იმ ფანჯარაში ვიყურებოდი და დაგინახე. — და თავიანთ სახლზე მიუთითა.

ზურაბი თითქმის დამშვიდდა. მან შვებით ამოისუნთქა და ჰკითხა:

— ეზოში საიდან შემოხვედი?

— ერთი საათია რაც ამ სახლს გარშემო ვუვლი. ბოლოს ხევში ჩავედი და იქიდან ამოვედი.

— ხომ არავინ გითვალთვალა?

— ნუ გეშინიან. სულ ირგვლივ ვიხედებოდი. ფრინველსაც კი არ დაუნახივარ. დაწყნარდი მეთქი. დანამდვილებით ვიცი, რომ მე თვალს არ მადევნებენ. — დაამშვიდა ქეთომ ზურაბი და ხელზე ხელი დაადო:

— არა მჯერა. გული სხვას მეუბნება. შენი ქმარი დაგეშილი მეძებარია და იცის, რომ შენ ჩვენს ჯგუფთან რალაც კავშირი გაქვს, რომ სამუდამოდ არ ჩამოგვშორებიხარ და, მაშასადამე, ჯაშუშს მოგიჩენდა.

— მართლია, მომიჩინა, მაგრამ ის ჯაშუში მოვისყიდე და ხელთ ჩავიგდე. — გამოუტყდა ქეთო ზურაბს და წელანდელი ამბავი უამბო.

ქერა ჯაშუშის ხსენებაზე გურგენიძე უარესად შეშფოთდა.

— ეგ რა გიქნია, ქეთო!

— ხელთა მყავს მეთქი, ზურაბ.

— შენ კი არა გყავს, — გააწყვეტინა მეგობარმა, — იმას ჰყოლიხარ ხელთ, შე საწყალო, შენა. სანამ ფულსა და ბეჭედს მისცემდი, რატომ მე არა მკითხე?

ქეთომ დრო იხელთა და ზურაბი საყვედურით გაავსო. ქალმა მას უბიწოება შესწირა, ზურაბი კი დაიკარგა და მას აქეთ ერთხელაც არ გამოჩენილა. ქეთოს გაგიჟებით შეუყვარდა გურგენიძე და იმის გარდა სხვა არავინა ჰყავს.

— შენა ხარ ჩემი ნამდვილი ქმარიც, ჩემი ძმაც და ჩემი ერთადერთი მეგობარიც, შენ კი... გცხვენოდეს... არც კი შემიბრალე... ერთხელაც არ გამიხსენე.

ზურაბმა გულაჩუყებულმა ქეთოს მკლავები მოხვია, ცრემლიანი სახე დაუკოცნა და შეცოდება აღიარა:

— მე ვტყუი, ვტყუი მეთქი... ჩემი ბრალია. დამნაშავე ვარ და მაპატიე....

— თუ შენც გიყვარვარ, გაპატიებ....

— რაც მოხდა, დაივიწყე...

— თუ შენს თავს კვირაში ერთხელ მაინც მაჩვენებ, ყველაფერს დავივიწყებ... ჩემო ზურაბ... ჩემო მტანჯველო ზურიკო.

დიდხანს ისხდნენ ჩახლართულნი. მერმე ქეთო გაძალიანდა და აბუტბუტდა:

— დაიცა... არ შეიძლება... არ მინდა მეთქი... მაგისთვის არ მოვსულვარ... ახა ღმერთო ჩემო!..

ქეთოს დიდხანს ჰყავდა ზურაბი მკლავ-ჩახვეული. თმებს უჩეჩავდა, ჰკოცნიდა და მაძღარ კატასავით ხრუტუნებდა:

ბრაზიანო... ბუტიავ... კიდევ გამაჯავრებ?.. კიდევ დამემდურები? კიდევ დამეკარგები? — და უცებ უნებურად წამოსცდა: — ზურაბ, ნუ თუ მართას ჩემზე მეტად უყვარხარ?

მართას ხსენებაზე ზურაბმა სახე შეიჭმუხნა და ქეთოს მკლავებს თავი დააღწია. ქეთომ ხელი სტაცა და დამნაშავესავით შეეხვეწა:

— ზურაბ, ნუ გამიწყრები. ამას იქით იმის სახელსაც კი აღარ გაგახსენებ. ეს ერთი წამომცდა და მაპატიე, დაივიწყე.

ზეზე ამდგარმა ზურაბმა ქალს დახედა. გულღმა მწოლარე ქეთოს შიშველი მუხლები უჩანდა. პაწია ფეხებზე ლაქის ფეხსაცმელი უკრიალებდა, ხოლო გამოქანდაკებული წვივები და მუხლის თავები სახიან

შავ წინდებში ჰქონდა გამოწკეპილი. ქეთომ მორცხვად გაუღიმა და ფეხები კაბაში შეიკეცა. ზურაბმა მის სხეულს თვალი ააყოლა [illegible] ფესავით გადავლებულ თეთრ ნასთს დააცქერდა. „ლამაზია, [illegible] — გაიფიქრა მან, — მეტად მგრძნობიარე, ვნებიანი, ამავე დროს ოდნავ მომსუბუქო, მიამიტი და ადვილმორწმუნეა, ის კი“...

მან, მართამ, შორიდანაც გადასწია სასწორი.

ზურაბს ქეთო კვირაში ერთხელ თუ აგონდებოდა, მართა კი მუდამ თან სდევდა, მისი სახე სულში ედგა, მისი ნახვა სწყუროდა, მართას დინჯმა ჭკუამ, მუდამ სწორმა ხასიათმა, უზადო ერთგულებამ, დაუზარლობამ და ბავშობიდანვე შესისხლხორცებულმა რწმენამ ისე ღრმად შეიდუღა ზურაბი, რომ მას უმართოდ ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა. „ის ჩემი მეუღლეა და სამუდამო მეგობარი, ქეთო კი გზაზე შემხვდა... ესეც მიყვარს, მაგრამ ქეთო დროებითია, სადღაც დამივარდება, ჩამომშორდება და თავის გზით წავა“.

გურგენიძეს თავის ორგულობა და ღალატი გულს უკაწრავდა. აქამდის ეგონა, იმ ჯურღმულში მომხდარი ამბავი უნებური ცდუნება იყო და აღარ გამეორდებაო, ახლა კი თითქო რწმუნდებოდა, რომ მართას გარდა ეს ქალიც ჩაექსოვა მას და ისე ღრმად გამოება ფესვივით, რომ იმის ამოსაგლეჯი ძალა აღარ ეყოფოდა. მართას ზურაბის ერთგულებაში ეჭვი არ შეჰქონდა, ქეთო კი თავის ხასობას უკვე შეეგუა და ახლა იმასღა ემუდარებოდა ზურაბს, რომ მას ხელი არ ეკრა მისთვის და კვირაში ერთხელ მაინც ენახა.

— და თუ ამის ღირსიც არა ვარ, თუ სულაც არ გიყვარვარ, სამუდამოდ ჩამოგშორდები და ვეცდები გულიდან ამოგიგდო.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში ნელი შორეული კაკუნი გაისმა. ზურაბი ჩაფიქრებული იდგა, ქეთომ კი სმენა გაიმახვილა და ჩუმს რითმიულ ჩახუნს მიუგდო ყური.

— ზურაბ, გესმის?

— რა იყო? რა უნდა მესმოდეს? — ჰკითხა შემკრთალმა ზურაბმა.

— აბა ყური დაუგდე. ქვეიდან რაღაც ხმაურობა ისმის, თითქო რაღაც ნანქანა მუშაობდეს.

— ქვევით მანქანას რა უნდა? მოგეჩვენა... ალბათ აქვე მეზობლად ხმაურობენ.

— აბა ყური მიუგდე.

— არა მეთქი.

ზურაბს მოუსვენრობა დაეტყო. ქეთოს გვერდით მიუჯდა. მან თეთრი ნასთი ჩამოუშალა, მიუალერსა და ჰკითხა:

— მაშ ქმარი აღარ გიყვარს?

— განა როდის მიყვარდა, რომ ახლა მიყვარდეს?

— მართასთვის გითქვამს, ძალიან მომწონსო. — გაახსენა ზურაბმა.

— მომწონდა... ძალიან მომწონდა. — მიუგო ქეთომ ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ. — გარდა ამისა, ჩემს დედამამასაც უნდოდა [illegible] ზრდ[illegible] მქონდა თქვენთვის სამსახური გამეწია, მაგრამ... ჩემი [illegible] ვინმე გამოდგა... მცხვენიან, ვერ გეტყვი.

— ბარემ დაასრულე. — მიაწოდა ზურაბმა და ლამობდა მანქანის ხმაურობა ლაპარაკში ჩაეხშო. — მიამბე, მე რას მიმალავ!

— არამზადაა, ჯიბგირია... ახლავე მღალატობს. — და ქეთომ ცრემლიანი ხმით უამბო ავშაროვის წარსული და ადელის ამბავიც.

— საწყალო... საბრალო ქეთინო. — შეიცოდა ზურაბმა. — სიცოცხლე თავიდანვე ჩაგმწარებია. მაგრამ ეს არაფერი. გაფრთხილდი, თორემ შეესაძლებელია ამაზე უარესი დღე დაგადგეს. გათხოვება რომ დააპირე, მართამ გაგაფრთხილა და ჩემი აზრიც გადმოგცა. მან გითხრა, მეტად ძნელი ტვირთი აგიკიდნია და იქნება დავარდეო.

— მახსოვს. მე ჯერ სასინანულო არაფერი მაქვს... თუმცა... იქნება მაქვს, მაგრამ სანამ შენა მყევხარ, მანამ ყველაფერს მოვითმენ.

— კეთილი, ჩემი იმედიც იქონიე, მაგრამ იცოდე, შენი მოსვლა პირველი და უკანასკნელი იყოს.

— მაშ სადა გნახო? — სასოწარკვეთით შესძახა ქეთომ.

— მაგას მე თვითონ შეგატყობინებ ხოლმე, ახლა კი ეს სახლი სამუდამოდ დაივიწყე და აქეთ არც კი მოიხედო, არც სადმე ახსენო, თორემ. .

ზურაბმა ველარ დაასრულა. უცებ ბუხარში ყრუ რახუნი გაისმა. გურგენიძე დაკბენილივით წამოვარდა. ქეთოც წამოხტა და გაფითრდა. რახუნი უფრო მკაფიოთ გამეორდა.

— რახუნი ბუხარში გაისმის. — ჩუმად სთქვა ქალმა და ბუხარს ეცა. მერმე ზურაბს გადმოხედა, გაულიმა და დაასრულა: — მესმის, მიგიხვდი. ლევანი რომ მუშაობდა, ფანჯრიდან დავინახე და მაშინვე ვიფიქრე, აქ რაღაც ამბავია მეთქი.

— აქეთ მოდი! რა შენი საქმეა! — ჩაიხრიალა გაჯავრებულმა ზურაბმა და ქეთო მკვახედ გაიყვანა განზე. გურგენიძე მიხვდა, რომ დამალვა ამაო იქნებოდა. მაგიდიდან სწრაფად მოხვეტა კორექტურა, ბუხრიდან პრიმუსი გამოდგა, ფილაქანი გასწია, რაკდენს ფურცლები მიაჩეჩა და ბრაზიანად ჩასჩურჩულა:

— ბედოვლათო! უშნოვ! ველარ მომიცადე?!

პასუხი აღარ დააცადა, ფილაქანი კვლავ შესწია, პრიმუსიც შესდგა, ხელები უკან დაიწყო და პირსუსხიანმა რამდენჯერმე ჩამოიარა ოთახი. მერმე მოღიმარე ქეთოს მიადგა და სთქვა:

— რაც არის, არის. რაღა დაგიმალო: აქ პატარა სტამბა გავმართე და.... რას იცინი, ქალო!

— შენზე მეცინება. — მიუგო ქეთომ და ორივე მკლავით ჩამოეკიდა კისერზე. — ისე დაფაცურდი, თითქო ქურდობაში დამეჭირე. რად მი-

ჯავრდები? ნუ თუ არ მენდობი? ნუ მიმალავ, ნუ ხარ გულჩახვეული. იმედი მქონდა, ზურაბი პარტიაში შემიყვანს მეთქი, შენ

— რა დროს ეგ არის! რა შენი საქმეა პარტიაში [illegible] — გადაწყვეტინა ზურაბმა და ქეთოს მკლავებს გაუსხლტა.

— თუ კი მართას შეუძლიან...

— მართას ნუ ედრები. მართა ხუთი წელიწადია მუშაობს. ის გამძლეა, დაგეშილია, ერთგულია.

— ორგული არც მე ვარ. — წყენით წამოიძახა ქეთომ. — მე მართაზე უფრო სახიფათო საქმეს ვაკეთებ. მაშ რას მერჩი, რატომ მჩაგრავ?

— დაწყნარდი, ქეთინო. — მოლბა უცებ ზურაბი. — დაჯექი და ყური მიგდე. შენ მართალს ამბობ, მაგრამ...

ქეთო მართალს ამბობს, მაგრამ საქმეს მეორე მხრიდანაც უნდა შეხედოს. ქეთო ჟანდარმის ცოლია. მან თავის ქმარს ხაფანგი დაუგო, მაგრამ შესაძლებელია იმ ხაფანგში ნადირზე უფრო ადრე თვითონ მონადირე გაებას. ქეთოს ტყუილად ჰგონია თითქო მას ის ქერა ჯაშუში გადმოებიროს.

— ნუ დაუჯერებ მეთქი. ის ორ ძროხას სწველის. უბრალო რამეზე არ გაგცემს, მაგრამ ბირკვით აგედევნება და როცა დიდ ნადირს მიაგნებს ისეთ დროს დაგცხებს, როცა არაფერსაც არ მოელი.

— ალბათ დიდი ნადირი შენ იქნები. — ჩაურთო ქეთომ და შეშინებულმა წამოიძახა: — ღმერთმა დაგიფაროს! უწინამც მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოს! უწინამც მზე დამიბნელდეს!

ქეთინოს მზის დაბნელება ვეღარას უშველის. სჯობს ახლავე დაუჯეროს ზურაბს და მის დარიგებას ოდნავაც არ გადაუხვიოს, თორემ....

ზურაბმა მრავალი დარიგება მისცა, მისგან ახალი ცნობა მოისმინა და ბოლოს ჰკითხა:

— ჰო, მართლა: ახალი ხომ არაფერი გაგიგია?

ქეთო შეყოყმანდა. სანამ ზურაბს მოაგნებდა, მანამ გადაწყვეტილი ჰქონდა ის ამბავი შეეტყობინებინა, რომელმაც დილას თავზარი დასცა. მერმე თანდათან დაწყნარდა, მოიფიქრა და გადასჭრა ზურაბისთვის არაფერი არ ეთქვა. გადაჭრილი ჰქონდა: ჯერ ჩემ ქმარს, „ჩემ აგენტს“ და მეგობრებს ფრთხილად გამოვკითხავ და მერმე გარემოების მიხედვით მოვიქცევიო. მან არ გაითვალისწინა ზურაბის კითხვა და ფორხილით უპასუხა:

— ახალი?... არაფერი.... საიმისო არაფერი.

ზურაბმა ყოყმანი და ფერის ცვალება შეატყო და —

— რას მიმალავ! მითხარი, რა იცი?

— არაფერი მეთქი.... საიმისო არაფერი. — წაილულლულა ქეთომ.

— შენს ქმარსაც აგრე ელაპარაკები ხოლმე? — გაულიმა ზურაბმა. — აკი ამბობდი, ისე ვიტყვი ტყუილს, რომ ეშმაკიც ვერ შემატყობსო. ახლა კი ბალღიც კი შეგატყობს, რომ რაღაც ამბავი იცი და მიმალავ.

ქეთომ უცებ გაჰბედა და სხაპასხუპით დაიწყო:

— ჩემ ქმართან ისე ვტყუი ხოლმე, რომ წარბსაც არ შევიხრი, მაგრამ შენ... ვერა, შენ ვერ მოგატყუებ, ვერაფერს ვერ დაგიმალავ. ყური მიგდე, ზურაბ. აქ მო, დაჯექი... საქმე ის არის, რომ ჩემი ქმარიც მატყუებს. წელან მართალი სთქვი, ხაფანგს გიგებსო. დღეს ერთ ხაფანგს წავაწყდი, მაგრამ ვერ მივართვი, ვერ გამაბა. სხვა ჩემ მაგიერ უეჭველად გაებმეოდა, მე კი ის ხაფანგი შორიდანვე დავინახე და... ჯერ თავზარი დამეცა, მერმე კი გამეცინა... დიაღ, გამეცინა.

— გამაგებინე, რა მოხდა მეთქი?

— ის მოხდა, რომ... სათქმელადაც არა ღირს, მაგრამ რაკი დავიწყე, ბარემ სულ გიამბობ. დღეს დილით არტემს თავის მაგიდაზე რამდენიმე საქმე დაავიწყდა.

— განგებ დაავიწყდა. — ჩაურთო ზურაბმა.

— რა მალე მიხვდი. — გაეხარდა ქეთოს. — შენი ძველი საქმეც იქ იყო. გადავშალე და ის ფურცელი წავიკითხე, სადაც ეწერა: მართას ბინას თვალი ადევნეთო, ზურაბს ჯერ ნუ დააპატიმრებთო და... ფოცხვერი ჩვენი აგენტიაო. მართლა, ჯერ ეს მითხარი, ფოცხვერის ღალატი კარგად შეამოწმე?

— მე აქ არ ვიყავი და მაგისთანა საქმეში არც ვერევი. ის კი შაინც იცოდე, რომ ჩვენი ბიჭები ტყუილუბრალოდ არავის გაიმეტებენ. მე დღეს დილით დავბრუნდი და გავიგე: თურმე ფოცხვერისთვის თვალი უდევნებიათ და სწორედ მაშინ მიუსწრიათ, როცა ის წუპაკი და შენი ქერა ჯაშუში „ახრანკის“ საიდუმლო ბინაში ტკბილად კურკურებდნენ. ფოცხვერი იქვე გაუთავებიათ, შენი აგენტი კი ფანჯარაში გადამხტარა და მიმალულა.

— მაშ ავშაროვის წერილობითი შენიშვნა ფოცხვერზე მართალი ყოფილა? — ჰკითხა ფერმიხდილმა ქალმა.

— სჩანს მართალი ყოფილა. ახლა სთქვი, ახალი რა გაიგე?

— ახალი?.. ახალი ის არის, რომ ჩემ ქმარს იმავე ფურცელზე მიუწერია: გურგენიძეს ხელი არ ახლოთ, დიდ სამსახურს გვიწევსო. აჰა, გითხარი და გავათავე. — და ქეთომ ისე ამოიხვნეშა, თითქო ზურგიდან ვეება ლოდი ჩამოეგდო. ცოტა ხანს იყუჩა და ზურაბს შეხედა.

ზურაბი არც კი შეინძრა თითქო არც შეკრთა და არც გაოცდა. მან ლიმილით შეხედა ქეთოს და დინჯი ხმით ჰკითხა:

— მერმე?

— მერმე არაფერი. საქმე იქვე დავდე და შენ საძებნელად წამოვედი.

ზურაბი სდუმდა და ისევ ილიმებოდა, ქეთოს კი უკვირდა: რატომ არ მეკითხება, მისი ღალატი დავიჯერე თუ არაო? ... ამ კითხვას კარგა ხანს ელოდა, თანაც აღტაცებაში მოდიოდა თავის საყვარელი მეგობარის სიდინჯით და დუმილით. უცებ ფიცხლად მოეხვია ბაბ. თან ჰკოცნიდა და თან ეუბნებოდა:

— შენ კი გენაცვალე, ზურაბ... თავს შემოგევლოს შენი ქეთინო... ნუ დამილონდი. შენი ღალატი ერთი წამითაც არ დავიჯერე.

— ვითომ? მართლა? — თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა ზურაბმა.

— ქეთო მოგიკვდეს, თუ ვტყუოდე. აბა მოიფიქრე: მე რომ დამეჯერა, ნუ თუ წელან დაგნებდებოდი და ამდენს გიალერსებდი? ნუ თუ...

— კარგი, მჯერა. — გააწყვეტინა ზურაბმა და თვითონაც მოეხვია.— მჯერა მეთქი... გმადლობ ქეთინო, გმადლობ. ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა ერთგული მეგობარი ყოფილხარ, რომ ნამდვილად გყვარებივარ და არც არასოდეს მიღალატებ. მაგრამ...

მაგრამ ზურაბს ისევ ის აშინებს: ქეთო ბადეს ეთამაშება. ერთხელაც იქნება ის ბადე თავს შეიკრავს და ქეთოსაც, ზურაბსაც და მათ მეგობრებსაც შიგ მოიყოლებს. ზურაბი ერთხელ კიდევ შეეხვეწა ქეთოს მეტად ფრთხილად ყოფილიყო, მრავალი რჩევა-დარიგება მისცა და დასრულა:

— შენს ქმარს კი იმასვე მივუზღავ, რაც მან მომიზღო. ახლა კი წადი და ამ სახლის გზა-კვალი სამუდამოდ დაივიწყე. მშვიდობით იყავი. მალე მოგიკითხავ... კარგი, გეყოფა... სული შემიგუბდა.

ანაზდად სამჯერ ზედიზედ დააკაკუნეს კარი. ქეთო ძლიერ შეკრთა. ზურაბმა წაიბურტყუნა:

— ყველას ახლა მოუნდა მოსვლა. ან მართა იქნება, ან ნიკო. — და კარი გააღო.

ორივენი შემოვიდნენ ოთახში, მართაც და ნიკოც.

წელან ნიკომ ქეთოს თვალი აადევნა ფანჯრიდან და მიხვდა, რომ ქეთომ ზურაბის ახალ ბინას მიაგნო. მან ჯერ განიზრახა დასწეოდა ქეთოს და გზაკვალი აერევნა, მაგრამ მერმე ვერაგულმა აზრმა გაუფუჩუნა და მაშინვე მართას ბინისკენ დაეშვა. მართა შინ არ დაუხვდა. ნიკო ისევ ზემოთ ამოვიდა და ორჯელ კიდევ ჩავიდა. მართა რომ დაბრუნდა, ნიკომ უთხრა:

„მართავ, წამო ზურაბი ვნახოთ. ქუთაისიდან დღეს დილით უნდა დაბრუნებულიყო და ახლა იქ იქნება“.

„იმის ნახვა მეც მინდა, საქმე მაქვს, — უპასუხა ქალმა, — მაგრამ იქ მისვლა სახიფათოა. ზურაბი გაჯავრდება“.

„წამო მეთქი. პასუხს მე ვაგებ“.

მართამ დასთმო. ორი კვირა იქნებოდა, რაც ზურაბი არ ენახა, და მასთან ყოფნა მოსწყურდა. ნიკო გამოჰყვა და ახლა გაშტერებულიდგა კარებში. წელან რომ ნიკოს ეთქვა მისთვის, იმ საიდუმლო ოთახში ქეთო დაგიხვდებაო, მართა არც დაიჯერებდა და არც გამოჰყვებოდა, ახლა კი ორივე ქალი ფერწასული იდგა და არ იცოდნენ სად დაემალნათ შემკრთალი თვალები და რა ეთქვათ ერთმანეთისათვის.

— გამარჯობა, ზურაბ! მიესალმა ირიბული ღიმილით ნიკო. — რასა იქმ, როგორა ხარ?

— მართა რად მოიყვანე? დღისით რად მოხვედით? — ცივად ჰკითხა ზურაბმა.

— მართას მოსვლა გეწყინა? — უკბინა ნიკომ. რახან ქეთოს შეუძლიან მოვიდეს, მგონი ჩვენც უფლება უნდა გვქონდეს...

— ქეთომ ერთი დააშავა და შენ ორი. — გააწყვეტინა ზურაბმა. — ქეთომ თვითონ მომაგნო. დიდი საქმე ჰქონდა, მან არ იცოდა, რომ აქ მოსვლა სასტიკად ავკრძალე, შენ კი იცოდი, არც დიდი რამ საქმე გაქვს და სულ ხვანაირმა ზრახვამ მოგიყვანა.

— მაგაზეა ნათქვამი: ჩემი შენ გითხარი. გული მოგიკალიო. ბარემ უბრალოდ ვთქვათ: ხელი შეგიშალეთ, ეს არის და მეტი არაფერი.

ზურაბს მეხით აევსო თვალები. ნიკოს პირისპირ მიადგა და უნდოდა მკვახე რამ ეთქვა, მაგრამ ნიკომ დაასწრო:

— ჩემო ზურაბ, ხუმრობა არა გცოდნია. ნუ გვიწყრები. მართას ბრალი არ არის. წესი მე დავარღვიე. საქმე მქონდა, მაგრამ სჯობს გადავდოთ მართა, წავიდეთ.

მას უნდოდა ქეთო ზურაბისთვის დაეტოვებინა, თვითონ კი მართა წაეყვანა, ნუგეში ეცა მისთვის და მისი გული მოეგო. ეგონა, ახლა ზურაბის ღალატი მართამ საკუთარი თვალით ნახა და მას სამუდამოდ ჩამოშორდებაო, მაგრამ ზურაბმა მართა არ დაანება:

— შენ ქეთო წაიყვანე, მართა კი აქ დარჩება.

ქეთო მაშინვე გაემართა კარისკენ, მართა კი ტახტზე ჩამოჯდა.

ელდანაცემი ნიკო თავის დას გამოჰყვა.

ზურაბი და მართა მარტო დარჩნენ. თავჩაქინდრული, პირმოლუშული ვაჟი სწრაფი ნაბიჯით დადიოდა ოთახში. მას თითქო დაავიწყდა, რომ მისი საყვარელი მეგობარი იქვე იჯდა და მისგან ნუგეშსა და წელანდელი სიტყვების განმარტებას ელოდა: „ქალმა თვითონ მომაგნო, დიდი საქმე ჰქონდაო“. ბოლოს ზურაბმა მიიხედა და დაინახა: მართას პირსახე ხელებში ჩაემალნა და ჩუმად ტიროდა. ვაჟი გაოცებული შესდგა. რას

იფიქრებდა, რომ ცეცხლსა და გრიგალში ნაწრთობ მართას ტირილი შეეძლო? ისიც რისთვის და რატომ? თქმა არ უნდა, რომ იჭვიანობამ აატირა, მაგრამ რა დროს იჭვია!

ზურაბი მართასთან მივიდა, გვერდზე მიუჯდა, ცალი ხელი მოხვია და მეორე ხელი თმაზე გადაუსვა.

— დამშვიდდი, მათიკო... დაწყნარდი, გენაცვალოს ზუოაბი.

მართამ პირსახე მკერდზე მიაყრდნო და ცრემლით დაუსველა.

— დამშვიდდი მეთქი. ყველაფერს გიამბობ.

ნახევარი საათის შემდეგ მართა დამშვიდებული და დაჯერებული წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმირ მაიაკოვსკი

შინისკენ უცხოეთიდან

მონახეთ გზები,
ჩამომშორდით ჩემო ფიქრებო.
შეერთდით,
შეხვდით
სილრმეებო ზღვისა და სულის.
სიფხიზლის შუქი
ზოგჯერ კაცში თუ რომ მიჰქრება, —
ასეთი კაცი ემსგავსება
უთუოდ სულელს.

გემზე ვარ.
მერგო კაიუტა უსაძაგლესი:
ჩემს ზევით სცეკვენ,
ჰკვნესის ჭერი,
ქუსლით ნაგლესი.
და რიჟრაჟამდე,
მთელი ღამე,
სტირის ჭოტივით,
ამ ღრიანცელში ჩაქსოვილი
ერთი მოტივი:
„მარკიტა,
მარკიტა,
ჩემო მარკიტა, —
მითხარ,
ჩემი სიყვარული
რატომ არ გინდა“.

აბა, რისთვის შემიყვარებს
ქალი მარკიტა, —
ვერ მოჰხიბლავ მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფულო სიავკარგითა.
ხოლო კოცნა მარკიტასი
თუ მოგინდება,
ასი ფრანკი უჩვენე და
მოგიფრინდება.

ეს ფულიც კმარა,
ცხოვრებას რომ სიამე შესჭრა.
ინტელიგენტო,
ბურძგლიან თავს
სხვა რა გიღონებს:
გინდა რომ ხელში
ქალს საკერი მანქანა შესჩრა,
აბრეშუმზე რომ აგვირისტებს
ლექსთა სტრიქონებს.

კომუნიზმისკენ მუშამ ტვირთი
ქვევიდან ზიდა, —
ფიწალით,
ნამგლით,
მაღაროთი ზრდილ სიმწარეში.
მე კი ვეშვები კომუნიზმში
პოეტურ ციდან,
რადგან ვერ ვპოვე სიყვარული
ამის გარეშე.

სულ ერთი არის,
გამაგდეს თუ წაველი ნებით,
სჩანს,
უცხოეთში სიტყვის ფოლადს
ჟანგი ედება.
რისი გულისთვის
ამ შორეულ წვიმებში ვდნები.
და აქ რომ ჩავლპე,
ჩავიჟანგო, —
რა გაკეთდება.

ზღვებს გალმა ვგდივარ,
უმოძრაო მანქანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალად.
ეს სიზარმაცე მე
რა საზღვრებს გადამაცილებს.
ჩემში კი ქშინავს
საბჭოეთის იმ ქარხნის ძალა —
ბედნიერებას რომ სჭედავს და
რომ ანაწილებს.

არ მინდა ვიყო მე ყვავილი,
რომელსაც ტყეში
მოსწყვეტს მოხელე,
ან გასთელავს
ვისიმე ჩექმა.
მინდა —
„გოსპლანმა“ დებატებით
და ოფლის თქეშით,
ჩემთვის დასახოს
ლექსთა წერის წლიური გეგმა.

მინდა, რომ ფიქრი
აზროვნება,
იმ გზას დანებდეს,
რომელსაც დროთა კომისარი
მათთვის ბრძანებდეს.
და როგორც სპეცის ზე-ულუფა,
ზე-წარჩინება, —
გულს არ მიაკლდეს
სიყვარულის მძლავრი დინება.

მინდა ქარხკომი დამადებდეს
ტუჩებზე კლიტეს,
რომ შრომის შემდეგ,
ხელახალი
შრომა არ მღლიდეს.

მინდა რომ ხიშტთან
კალმის ქებაც
თანაბრად ითქვას.
თუჯის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოლადის
და შესახებ ლექსების ძალის, —
პოლიტბიუროს სახელით რომ
იტყოდენ სიტყვას,
და იგი სიტყვა ეკუთვნოდეს
პირადათ სტალინს,
„მაშ,
ამრიგათო...
მუშა მტვერში ალარ აგდია, —
ასწია თავი, მწვერვალების თანასწორმაო, —
და ჩვენს კავშირში, ლექსის ძალამ, უკვე ფაქტია. —
უკან დასტოვა
ომის წინა დროის ნორმაო“.

1925

სთარგმნა **ნიკოლო მიწიშვილმა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გელიაშვილი.

ბაგრატა

მოთხრობა

ზემბო მიეყრდნო სადგურის ბაქანზე რკინის სვეტს და ნელა დაიწყო ღიღინი. მრავალი ქვეყანა შემოიარა ზემბომ და მიეჩვია ყოველი გამვლელის კირკიტს. ახლაც სადგურის ბაქანზე მოსიარულე ხალხი ინტერესით აკვირდებოდა მას, როგორც უცხო ქვეყნიდან მოსულ ჯარისკაცს, და მისთვის გაუგებარ ენაზე საუბრობდა. ღმერთო ჩემო, რამდენ ენაზე ლაპარაკობს თურმე ხალხი! თავდაპირველად ზემბოს ეგონა, რომ ინდუსებს გარდა მთელი ქვეყანა ინგლისურ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ თურმე სულ სხვადასხვა ენა ყოფილა ქვეყანაზე. საფრანგეთში ფრანგულად ლაპარაკობდნენ. შემდეგ ტყვე გერმანელებიც ნახა, ისინიც თავიანთ ემაზე ლაპარაკობდნენ. სტამბოლში რომ მივიდა, რა ენაზე არ ლაპარაკობდა ხალხი. ზემბომ იქ პირველად ნახა თურქები, ბერძნები, რუსები. ახლა აქ კიდევ ქართველებიც ყოფილან, ესენიც თურმე თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ.

სადგურის მესამე ხაზზე იდგა მათი სამხედრო მატარებელი და ყოველი ოცი ნაბიჯის შემდეგ, ხაზის გასწვრივ, იდგნენ ინდუსი გუშაგები. მატარებელში მარტო მათ ჯარისკაცებს და ოფიცრებს შეეძლოთ შესვლა. უკვე მესამე დღეა აქ დგანან და მორიგეობისაგან თავისუფალი ჯარისკაცები არხეინად დასეირნობენ ბაქანზე სადგურში და სადგურის ახლო-მახლო ქუჩებში.

ზემბო გაკვირვებული უცქეროდა ამ მიხერგილ და დამახინჯებულ ვაგონებს, ჩამქრალ ჟანგიან ორთქმავლებს, ლიანდაგებს შუა მოსიარულე ხალხს, ტომრიან და კალათებიან დედაკაცებს და სულ სხვადასხვაგვარად ჩაცმულ ჯარისკაცებს, რომელნიც არავითარ დისციპლინას არ ემორჩილებოდნენ. მუდამ უქმად ხეტიალობდნენ, ლაზღანრარობდნენ, ლოთობდნენ, ჩხუბობდნენ და არავინ არ იყო მათი პატრონი. ძალიან უკვირდა ყველაფერი ეს ზემბოს. რა უცნაურ ქვეყანაში მოხვდა ან რაზე წამოიყვანეს აქ, არც ეს იცოდა. სამხედრო გემით მოიყვანეს ბათომში. იქ ზემბომ ნახა ლამაზი ბაღი და ქერა პროსტიტუტი ქალები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც თვალების ნაბვით ეპატიჟებოდნენ ზემბოს და სიყვარულში მარტო ერთ შილინგს მოითხოვდნენ.

იქიდან მატარებელში ჩასხეს მათი ნაწილი და [illegible] ოთქ-მავალმა ისინი ტფილისში ჩამოიყვანა, სად დადიან, რისთვის დადიან, ამის შესახებ ზემბომ არაფერი არ იცოდა. მათი ოფიცრები ყოველ დღე და დიოდნენ ქალაქში, იცვამდნენ საპარადო მუნდირებს და ყოველ ღამე ძთვრალები ბრუნდებოდნენ თავიანთ სალონ-ვაგონებში. ერთხელ გენერალიც კი ისეთი მთვრალი მოიყვანეს, რომ საკაცეზე დააწვინეს და ისე შეათრიეს ვაგონში. ამბობდნენ, ღვინის ქვეყანაში მოვედითო. მართლა ღვინის ქვეყანა ყოფილა!

ფიქრებში გართული ზემბო სადგურზე ამტყდარმა ყვირილმა და ყაყანმა გამოარკვია. სადგურის მოხელეები გაფაციცებით გარბოდნენ და ხელების ქნევით საოცრად უყვიროდნენ ერთმანეთს. ზემბო ძალზე დაინტერესდა და მის გვერდით უცბათ შეჩერებულ ქართველ ჯარისკაცს ინგლისურად ჰკითხა:

— რა მოხდა?

ის კი პატარა ქვაბით ხელში პირდაღებული შესცქეროდა ამ უცნაურ სცენას. მან ზემბოს შეკითხვას ყურადღება არ მიაქცია და ისე გადიხარხარა, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა.

ზემბოს ისევ უნდოდა ეკითხა, მაგრამ გაახსენდა, რომ ამათ ინგლისურისა არაფერი გაეგებოდათ და ხელი ჩაიქნია. მოულოდნელად ჯარისკაცმა მიიხედა, და ზემბოს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მან დამტვრეულ ინგლისურ ენაზე უპასუხა:

— სადგურის ზარი მოუპარავთ.

— ოჰო, როგორ თუ მოუპარავთ!

— ზემბოსაც გაეცინა. რა ხალხი ყოფილა ამ ქვეყანაში. წესრიგი სულ არ არის. სად გაგონილა, რომ რკინის გზის სადგურზე ქურდებმა ზარი მოიპაროონ, ხუთფუთიანი ზარი.

— მატარებელი გამოსულა ნავთლულიდან, — განაგრძო ჯარისკაცმა თავის გაჭირვებული ინგლისური ენით, — გამოსვლის ზარი უნდა დაეკრათ და თურმე მოუპარავთ...

სადგურის თანამშრომლებმა კარგა ხანს იყაყანეს, ბოლოს საიდანლაც რელსის ნაჭერი მოათრიეს, ზარის ადგილას დაჭკიდეს და შემოკრეს.

ზემბოს კვლავ გაეცინა. ხელი ჩაიქნია, რა ხალხი ყოფილა აქაო, და ისევ ჯარისკაცს მიუბრუნდა:

— თქვენ საიდან იცით ინგლისური?

ჯარისკაცმა თავის პატარა ქვაბს დახედა, რომლითაც ულუფა წვენი უნდა მიეღო, და ზემბოს უპასუხა:

— კანადაში სამ წელიწადს ემუშაობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა!

— იქ ვისწავლე.

— თქვენ რა გქვიათ?

— ბაგრატა. თქვენა?

— ზემბო.

— უცბად დამეგობრდნენ. ბაგრატას სულ დაავიწყდა წვენის მიღება და ზემბოს თავისი თავგადასავალი უამბო. მისი სოფელი მთებშია, გლოლა ჰქვიან. იქ წერილი მიიღეს, კანადაში დიდი სამუშაოებიაო, და თხუთმეტი გლოლელი წავიდა. რიგაში გემში ჩასხდნენ და ნიუ-იორკში ამოჰყვეს თავი. მაშინ ენა არც ერთმა არ იცოდა და საბაჟოში ყველას ზურგზე დააკერეს ტილოები, რომლებზედაც მისამართი იყო დაწერილი. წაიკითხავდნენ თუ არა კონდუქტორები მათ ზურგზე მისამართებს, შესაფერ სადგურზე ჩამოსხამდნენ და მეორე მატარებელში გადასხამდნენ. ამგვარად მივიდნენ ისინი ვინიპეგამდე და იქიდან ყველანი რკინის გზის მშენებლობაზე წაიყვანეს. იქ ისწავლა ბაგრატამ ინგლისური. კიდევ რომ დარჩენილიყო, ალბათ, სულ კარგად ისწავლიდა, მაგრამ ომის ხმა რომ გავარდა, თავის ქვეყანაში დაბრუნება არჩია. სან-ფრანცისკოში ჩავიდნენ, იქ გემში ჩასხდნენ და ვლადივოსტოკით შინ დაბრუნდნენ.

ზემბომაც უამბო, რომ ის ინდუსია. ჰაიდარაბადელი. მისი სოფელი ჰაიდარაბადიდან სულ ერთი დღის სავალზეა. იქ ბევრი სპილოებია. ბაგრატას უნახავს სპილო სამხეცეში? ჰო და სწორედ იმისთანა სპილოები ტყეებში ცხოვრობენ.

კარგა ხანს ისაუბრეს. ზემბოს აინტერესებდა, თუ რით იყო გამოწვეული ეს არევ-დარევა. ბაგრატამ აუხსნა, რომ აქ რევოლუცია მოხდა რუსეთის იმპერატორი — ტყაპ! ძირს ჩამოაგდეს. მერე რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო და ბოლშევიკების მეთაურობით მუშებმა და გლეხებმა ჩაიგდეს ხელისუფლება.

ზემბოს პირველად ესმოდა ასეთი ამბავი. თავის სოფელში ისე გაიზარდა, რომ წერა-კითხვა არც კი იცოდა. ჯარში რომ წაიყვანეს, მარტო მწკრივში სიარული, თოფის ხელში დაჭერა და მორჩილება ასწავლეს. გაჭირვებამ შეასწავლა ინგლისური ენა და აქამდე არც კი ეგონა, თუ მთელ დედამიწაზე ინგლისელების მეტი ვინმე ბატონობდა. სიტყვა რევოლუციაც პირველად ესმოდა, და თუ ხალხს მეფის ჩამოგდება შეეძლო, ამის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა.

ბაგრატას ამხანაგები შემოესიენ. მისი ინგლისურით აღტაცებაში მოვიდნენ. ქვიტირელმა რაჟდენამ მუცელში ცერი ჰკრა ბაგრატას და ჩაულაპარაკა:

— მინისტრად გამოდგები, შე დასალუპავო! რას გეუბნება მაგ თათარი?

ბიჭებმა ჩაიცინეს. ქოსა ნესტორამ, რომელსაც რაზმში მეტსახელად რატომღაც ვაყას ეძახდნენ, წინ წამოიწია და ბაგრატასკენ:

— ერთი ჰკითხე, თუ კაცი ხარ, რა ამბებია ინგლიაში?

მხიარულად აყაყანდნენ.

— მიდი ვაყა, მიდი!

— გოუგე ერთი, თუ კაცი ხარ, ინგლისის ჯავრით მთელი ღამეები არ ძინავს?

— ბიჭო, ჰკითხე ერთი, მართალია, რომ ინგლისში ქალებიო...

ულწიაწურ შეკითხვაზე ყველამ გადიხარხარა. ზემბოც იღიმებოდა. რა უდარდელი და მხიარული ხალხი ყოფილა აქ, თუმცა, რა აქვთ სადარდელი? ზემბომ იკითხოს, რომ რამდენიმე ათასი კილომეტრითაა დაშორებული თავის ქვეყანას, მერე რისთვის...

ბაგრატა გამოეთხოვა ზემბოს და ამხანაგებთან ერთად კერძის მისაღებად წავიდა. მათი ჯავშნიანი მატარებელი ეს არის ეხლა დაბრუნდა ფრონტიდან და საღამომდე აქ დარჩება. ჯარისკაცები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი სიამოვნებით დაეტვირთათ თავისუფალი დრო და სადილობის შემდეგ ყველა აპირებდა სადგურის ქუჩაზე ადანაიას სასტუმროში წასვლას.

ჯავშნიანი მატარებლის უფროსმა მაისურაძემ ბრძანება გასცა, სადგურს და სადგურის ქუჩას არავინ არ გასცილებოდა, რადგან შეიძლება მოულოდნელად დასჭირებოდათ გასვლა.

მეტად მკაცრი კაცი იყო მაისურაძე. მეფის არმიაში მსახურებდა, და შტაბს-კაპიტანის ჩინი ჰქონდა. ვლადიკავკავის კადეტთა კორპუსი დაამთავრა და ბავშვობიდანვე ისეთ წრეში მოხვდა, რომ თავის თავს რუსის მეფის ერთგულ მონად სთვლიდა. თავი რუსად მიაჩნდა. ავსტრიის ფრონტზე გიორგის ჯვარი დაიმსახურა. ნამდვილი მგელი იყო, ომის დროს არაფერს არ ერიდებოდა. ძალიან პატარა თავი და აზროვნება ჰქონდა იმისათვის, რომ გარკვეულიყო, თუ რისთვის იბრძოდა და ან რა დროს იყო საჭირო წინდახედულება. რევოლუცია რომ მოხდა, სულ აერია დავთარი. ფრონტზე ჯარისკაცებმა პაგონების აგლეჯა მოუნდომეს, ორი მათგანი ნაგანით მოჰკლა და საქართველოსაკენ მოუსვა. პაგონები ვლადიკავკავში მაინც ააგლიჯეს და მხოლოდ ტფილისში დაიკერა ისევ. აქ უკვე პოლკოვნიკის პაგონებმა დაუმშვენა მხრები და რუსული გიორგის ჯვარიც ხომ ნებადართული იყო.

ერთ დღეს მენშევიკების სამხედრო მინისტრმა დაიბარა და უთხრა:

— უნდა მოგვიხერხოთ, ბატონო პოლკოვნიკო, და ჯავშნიანი მატარებელი გაგვიკეთოთ. აი არსენალის სახელოსნოები და აი დეპო. ითავეთ ამ საქმის ხელმძღვანელობა, იხსენით დემოკრატია, თორემ ყველგან ხალხი აჯანყებას აწყობს...

ითავა., სამხედრო ინჟინერები მონახა. სახელოსნოებში ფოლადის ჯავშანი გამონახა, და მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ დეპარტამენტის ფრქვევებითა და ზარბაზნებით მორთული ჯავშნიანი მატარებელი მოაგოგეს. ჯავშნოსანის უფროსობა თითონ მაისურაძემ იკისრა.

სხვადასხვა ნაწილში გაჭირვებით მოაგროვა სათანადო რაზმი და აა. მოქმედა თავისი ჯავშნოსანი.

*
* *

ბაგრატამ აავსო თავისი ქვაბი წვნით, მიიღო პრტყელი და ნოტიო ყვითელი ჭადის ნაჭერი და ვაყასთან ერთად უკან გამობრუნდა. ორივემ ფეხს აუჩქარა, რადგან ბაგრატას უნდოდა სოფელში წერილის მიწერა მოესწრო. სადგურის ბაქანზე დახურჯინებული გლოლელები შეხვდნენ. მისი სახლის ამბავი და წერილი გადასცეს. ყველა კარგად ყოფილა, მაგრამ ბაგრატას დარდი აწუხებთ თურმე. გლოლელებს ძალიან გაუხარდათ ბაგრატას ნახვა, ღმერთს მადლობა შესწირეს, რაკი ცოცხალი ნახეს და უთხრეს, წერილი დაეწერა, რადგან ამაღამვე აპირებდნენ წასვლას, თუ კი მატარებელში შესვლას მოახერხებდნენ...

ბაგრატას მოაგონდა თავისი სოფელი, ეზო, მიდამო, ნაძვნარი, ვეძა. საშინლად მოენატრა შინ ყოფნა. საჩქაროდ აიღო თავისი ულუფა და ბიჭებს შეეხვეწა სამსონას დუქანში მოეცადა, ის მიუტანდა წერილს აჩქარებული გაექანა თავის ვაგონისაკენ. გაირბინა სადგურის აყროლებული დარბაზი, გავიდა ბაქანზე და, რაკი თავისი ჯავშნოსანი პირველ ხაზზე ვერ დაინახა, ამხანაგს ჰკითხა:

— რა იქნა, კაცო, ჩვენი ჯავშნოსანი?

— მეოთხე ხაზზე გადააყენეს წყლის ასაღებად.

ბაგრატამ ლიანდაგებისაკენ გაიხედა. წინა ხაზი თავისუფალი იყო, მეორე ხაზზე ინგლისელების ეშელონი იდგა. ეშელონის იქით შეამჩნია ჯავშნოსნის ორთქლმავლის მილი.

— ჩვენი ჯავშნოსანი რა იქნა? — შეეკითხა წამოწეული ვაყა.

— იქით გადაუყენებიათ. წამოდი, შემოუაროთ.

— შემოუაროთ, კი არა, პირდაპირ გავძვრეთ ამ ანგლიჩნების მატარებლის ქვეშ. იქიდან რა შემომარონიებს ამ სიგრძე მატარებელს! — სთქვა ვაყამ და მატარებლისაკენ გაემართა.

— მოიცა, კაცო! — მიაძახა ბაგრატამ, მაგრამ ვაყა პირდაპირ გაემართა. სწრაფად დაიღუნა და ის იყო გაძვრა კიდეც ორ ვაგონს შუა, რომ ამ დროს ტალანზე მდგარმა ინგლისელმა ლეიტენანტმა პაიკმა ინდუს ჯარისკაცს ჯუნგოს ხელიდან ხიშტიანი თოფი გამოგლიჯა და თავწაბრილ ვაყას ხიშტი კისერში ჩასცა. ვაყას ხმა არც კი ამოუღია, ისე წაიქცა ლიანდაგებში. წვნით სავსე ქვაბს თავზე დაეცა. ქვაბი წაიქცა, წვენი

ეროვნული

დაიღვარა, ხოლო ალაპლაპებული ფოლადის ლიანდაგი სისხლის ზოლმა შელება.

არამზადა! — ჩაილაპარაკა პაიკმა. — მაგას ჰგონია, [illegible] მატარებლის ქვეშ დაძვრება.

ვაუას ერთი კი შეაკრეჭოლა და გათავდა. ლეიტენანტმა გულცივად დახედა ზემოდან, შემდეგ ჯუნგოს თოფი დაუბრუნა და მრისხანედ უთხრა:

— რა გქონდა ნაბრძანები?

ჯუნგომ კანკალით უპასუხა:

— ჩვენ ამ წუთში გამოგვცვალეს. ვერც კი მოვასწარი შემეხედა.

— მატარებელთან არავინ მოუშვათ!—გადაუბრიალა თვალები ჯუნგოს პაიკმა და ვაგონში შევიდა.

იქ არხეინად გატენა ჩიბუხი, გააბოლა და ოდნავ ირონიულად გაიღიმა, როდესაც გარედან ქართველი ჯარისკაცების ყაყანი მოესმა. ფანჯრიდან დაინახა ჯუნგოს გარშემო შეჯგუფული ჯარისკაცები. ისინი თავიანთი ამხანაგის წაღებას ცდილობდნენ, მაგრამ ჯუნგო იღლიაში გამოჩრილ თოფით წინ დადგომოდა და მატარებელთან არ უშვებდა. როგორ ღრიალებენ! ერთხელ პაიკმა სომალში მაიმუნი მოჰკლა კოლტით, სწორედ ასე აღრიალდნენ თავმოყრილი მაიმუნები, ერთი ალიაქოთი ასტეხეს და მართლა ადამიანებივით გლოვობდნენ. ამათაც რა ამბავი ასტეხეს. საკვირველია, ცხოველებსაც აქვთ გვაროვნული თავდაცვის ინსტიქტი

ასეთ ჩვეულებრივ ფიქრებში იყო გართული ლეიტენანტი პაიკი, როდესაც თავდაცვის ინსტიქტმა მოულოდნელად მრისხანე სახე მიიღო.

ვაგონში გაფითრებული ზემბო შევარდა და ლეიტენანტს ხელი აუღო.

— ბატონო ლეიტენანტო, ჩვენს ეშელონს ალყა შემოარტყეს და ჯავშნოსანის ტყვიამფრქვევები ჩვენსკენ მომართეს.

— რაო?—შეკრთა ლეიტენანტი, მაგრამ გულის დასამშვიდებლად ხელი ჩაიქნია. — სისულელეა, წადი, ვერაფერს ვერ გაბედავენ.

ფანჯრიდან დაინახა, როგორ გაიშალა ხანჯლიანი ჯარისკაცების მწკრივი. ყველანი სათითაოდ ჩაწვნენ რელსებს იქით და შაშხანები მომართეს. სადგურის ბაქანი სწრაფად დაიცალა ხალხისაგან. დებარკადერზე რამდენიმე ჯარისკაცმა სირბილით გამოაგორა მაქსიმის ტყვიამფრქვევი და პირველმა ნომერმა მარდად ჩაუგდო საკეტში სავაზნე ბაბთა. ტყვიამფრქვევის ლულა სალონ-ვაგონისაკენ მიმართეს.

სალონ-ვაგონის დარბაზიდან მოისმა გენერლის ხმა:

— ლეიტენანტ!

პაიკი შევარდა კუპეში და გენერლის წინ გამოიჭიმა. ოფიცრები აღელვებით შესცქეროდნენ ფანჯრიდან საბრძოლოდ ამოძრავებულ ჯარს.

გაიგეთ, რა მოხდა, ახლავე!.

— ბატონო გენერალო... — პაიკს ენა დაება. უნდოდა აეხსნა მდგომარეობა, მაგრამ ყველას ყურადღება მიიპყრო ქართველმა ოფიცერმა, რომელიც ორი ჯარისკაცის თანხლებით მიუახლოვდა სალონ-ვაგონს.

—შემოვიდნენ! — ბრძანა გენერალმა.

ოფიცერი ჯარისკაცთა თანხლებით შეევიდა ვაგონში. გენერალს სამხედრო სალამი მისცა და ფრანგულ ენაზე უთხრა:

— ბატონო გენერალო, თქვენმა ოფიცერმა სრულიად უდანაშაულოდ მოჰკლა ჩვენი ჯავშნოსნის საუკეთესო მეზარბაზნე. ჯავშნოსნის უფროსის განკარგულებით, თუ ოცდაოთხ წუთში არ გადმოგიციათ ჩვენთვის მკვლელი, თქვენს ეშელონს გავანადგურებთ.

გენერალმა უნებურად წაიღო ხელი საველე ტელეფონისაკენ.

— მე თქვენ არ გიცნობთ, ვინა ხართ! ახლავე დაველაპარაკები პირდაპირი მავთულით თქვენ მთავრობას.

ოფიცერს გაეცინა:

— ტყუილად ეცდებით, სერ! ყველა მავთული გადაჭრილია და თქვენც ალყა-შემორტყმული ხართ. ახლა ოცდა შვიდი წუთია სამი საათისა, სრულ ორ საათსა და ორმოცდა თერთმეტ წუთზე ჩვენ ვიწყებთ სამხედრო მოქმედებას.

— ბატონო ოფიცერო, თქვენ გავიწყდებათ, რა არის აღნიშნული ინგლისელის პასპორტში.

— ჩვენთვის სრულიადაც არ არის საინტერესო.

— მე მაინც გეტყვით, რა არის აღნიშნული: ყოველი ინგლისელის სიცოცხლეს ჩემი სახელმწიფო იცავს მთელი თავისი შეიარაღებული ძალებით.

— ბატონო გენერალო, მე თქვენთან საუბარი დავამთავრე

ოფიცერი მიბრუნდა, მისი თვალსისხლიანი ჯარისკაცებიც ძიბრუნდნენ და წავიდნენ. სწრაფად გადაირბინეს ლიანდაგი და გენერალმა დაინახა, თუ როგორ მიუახლოვდა ტყვიამფრქვევს ოფიცერი. პირველი ნომერი წამოაყენა და სადგურის საათზე მიუთითა. ეტყობოდა, რომ სროლის ვადა აუხსნა. ჯარისკაცმა ხელი აუღო და ისევ ტყვიამფრქვევთან ჩაიჩოქა. ოფიცერი კი სირბილით გაემართა მწკრივის გასწვრივ.

გენერალმა ვაგონის მეორე მხარეზე გაიხედა ჯავშნოსნისკენ. იქიდან ტყვიამფრქვევები მოემართათ. ლიუკები დაეკეტათ, თოფიანი ჯარისკაცები იქით-აქეთ გარბოდ-გამორბოდნენ და წინა ბაქანთან ზარბაზანთან დამდგარი პოლკოვნიკი მრისხანედ იძლეოდა განკარგულებას. მასთან მიირბინა ოფიცერმა, ხელი აუღო და შედეგი მოახსენა. პოლკოვნიკმა რაღაც უთხრა და ყველანი ჯავშნოსნის ვაგონში შეიკეტნენ.

— ეს თქვენ ჩაიდინეთ, ლეიტენანტ? — მოუბრუნდა გენერალი პაიკს.

— დ... დიახ! თქვენი განკარგულება იყო, რომ მატარებელთან არავინ დაგვეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე?

— ის ჯარისკაცი კი ჩვენი მატარებლის ქვეშ აპირებდა ვაძრომას.

— იარაღით?

— არა, კერძი მიჰქონდა პატარა ქვაბით.

გენერალმა თავი ჩაჰკიდა და შეეერცხლილ თმაზე ხელი გადაისვა. ათი წუთი სწრაფად გავიდა და სადგურის არე-მარეში საზარელი სიჩუმე ჩამოვარდა.

— ლეიტენანტ პაიკ, ესენი აღარ ხუმრობენ! ხუთ წუთს ვადას გაძლევთ, ნახეთ გამოსავალი.

გენერალი გაჩუმდა. ოფიცრებიც სდუმდნენ. კუპეში აშკარად ისმოდა კედელზე ჩამოკიდებული საათის ტიკ-ტაკ!

ლეიტენანტი პაიკი აკანკალდა. პირველად იგრძნო სიკვდილის შიში. ერთ წუთში თვალწინ გაუელვა წარსულმა ცხოვრებამ და ყველაფერი ერთად მოაგონდა. ამ ქვეყანაში თავი უკვე სამშვიდობოს ეგონა. ფიქრობდა ისევ ლივერპულში დაბრუნებას, სადაც, მას ოქროსფერ-თმიანი მისის ეთელი დაუხვდებოდა და თავის სახლს კვლავ აავსებდა სიხარულით. ახლა კი ვილაცის მოკვლისათვის პასუხი უნდა აგოს.

საათი ისევ განაგრძობდა ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ!

— ლეიტენანტ პაიკ, წადით კუპეში და დაისვენეთ. თქვენ ღელავთ. ინგლისელი არასოდეს არ უნდა ღელავდეს. მე უკვე გამოვნახე გამოსავალი, — სთქვა გენერალმა. სწრაფად ჩაჯდა, რამდენიმე პწკარი დასწერა რუსულად, დაკეცა, კონვერტში ჩასდო და ადუტანტს მიმართა:

— მომიყვანეთ შემთხვევის ადგილას მდგარი გუშაგები.

ადუტანტი გავიდა

— ლეიტენანტ პაიკ, გიბრძანებთ, წადით კუპეში!

აკანკალებული პაიკი ბარბაცით გავიდა. თითქმის მაშინვე შემოვიდა ადუტანტი და ორივე ინდუსი მოიყვანა. მათ სამხედრო სალამი მისცეს გენერალს.

— ზემბო, აი ეს წერილი გადაეცით ჯავშნოსნის უფროსს ხუთ წუთში, — გაუწოდა წერილი გენერალმა.

ზემბომ წერილი გამოართვა და ჯუნგოსთან ერთად ვაგონიდან გავიდა.

— ათ წუთში ალყას მოხსნიან, — მშვიდათ ჩაილაპარაკა გენერალმა.

ოფიცრებმა გაიღიმეს. მიხვდნენ.

ზემბომ ჯუნგოსთან ერთად გადაიარა ლიანდაგი და ჯავშნოსნის კარებზე დააკაკუნა. ლიუკი გაიხსნა, ვილაცამ გამოიხედა და ცოტა ხნის შემდეგ ფოლადის კარებიც გაიღო. ორივე პოლკოვნიკის წინაშე წარსდგა, ზემბომ კონვერტი გადასცა და სამხედრო წესის მიხედვით გამოიჭიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლკოვნიკმა წერილი გადაიკითხა, შემდეგ ორივე ინდუსი თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერა და თავის ბიჭებს გადახედა.

— რაო, რას იწერება? — ველარ მოითმინა ვილაცამ.

ყველას საშინელი დაძაბულობა ეტყობოდა. ძლივს იკავებდნენ სიბრაზისაგან თავს. ყველანი გრძნობდნენ, რომ ამ გადამწყვეტ წუთს ან უნდა არახრახებულიყო ტყვიამფრქვევები, ან...

— ერთი ოფიცრის ნაცვლად ორ ჯარისკაცს იძლევიან, ისიც ინდუსებს, წაიყვანეთ ორივე და დახვრიტეთო, — ბრძანა პოლკოვნიკმა.

ბაგრატა ძლივს გამოერკვა. მთელი ეს უბედურება თავისი თვალით დაინახა და ახლაც კანკალებდა. საბრალო ქოსა ნესტორა! ერთი საათის წინად ბაგრატას თუმანი სთხოვა. ვილაც ვაჭრისაგან აბრეშუმის წინდები იყიდა, ცოლს უნდა გაუგზავნოო.

— მის დღეში არ ცმია ამისთანა რამე ჩემ ცოლს, გაუგზავნი ერთი რავა გადირევა საწყალი.

ის წინდები ალბათ ისევ ჯიბეში უდევს საბრალოს და ისე გდია იმავე ადგილას ვაგონებს ქვეშ.

— წაიყვანეთ! — საშინლად ამოისროლა ეს გამხმარი სიტყვა პოლკოვნიკმა.

— ესენი რა შუაში არიან! — უცბად შეედავა ბაგრატა და ჯარისკაცების ორმოცდაათ სისხლიან თვალს თამამად შეხედა. ნესტორა მოკლა ოფიცერმა, ამათ კი არ მოუკლავთ.

პოლკოვნიკმა გაკვირვებით გადახედა ბაგრატას.

— შენ რომ საუკეთესო მსროლელი არ იყო, ასეთი თავხედობისთვის იცი, რას გიზამდი?

ბურთი ყელში მოაწვა ბაგრატას.

— ახლავე დამხვრიტეთ, თუ გინდათ. მე მაინც ჩემი, უნდა ვთქვა. მაგენი რა შუაში არიან?

— ჩუმად! — დაიღრიალა პოლკოვნიკმა.

რაჟდენამ ხელი ჰკრა ბაგრატას, ვაგონის კუთხეში მიაგდო და აღელვებულად ჩაუჩურჩულა:

— გაგიჟდი, თუ რა ღმერთი გაგიწყრა!

ჯარისკაცები სწრაფად შემოეხვივნენ ინდუსებს, ძირს ჩაიყვანეს და სადგურის მეორე მხრისკენ გაირეკეს, სადაც ამართული იყო მაღალი კედელი ნაძალადევის ქუჩის გასწვრივ. ჯარისკაცები მკლავებზე გადაკიდული თოფებით შორი-ახლო მისდევდნენ. ზემბო თავდახრილი მიდიოდა. ჯუნგომ შეშინებულად ჩაულაპარაკა:

— ესენი მგონია არ ხუმრობენ, სად მივყევართ?

ზემბომ აიხედა და დაინახა, რომ მათ კედლისკენ ერეკებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ივანემ ხორაგით სავსე კალათა ძირს დადგა და გაბრწყინვებული სახით ყარამანს გადაეხვია.

— რამდენი ხანია არ მინახავხარ. საიდან სად? როგორა ხარ, ბიჭო?

ორივეს ხნოვანება ერთად ას ოც წელს უდრიდა და ერთმანეთს მაინც ბიჭოთი მიმართავდნენ მხიარული ბებრები. ერთი მათგანი ხარაგოულში მუშაობდა მეისრედ, ხოლო მეორე ჭიათურა-საჩხერის ხაზზე ოცდა ათ წელიწადს მუშაობდა კონტუქტორად.

ყარამანმა თეთრ წვერებზე ხელი ჩამოისვა და მხიარულად უპასუხა:

— ჩემ ქალიშვილთან ჩამოვედი, ჩემო ივანე! შენ რავა ხარ, დაბერებულხარ შე გლახა.

— დავბერდი, ჩემო ყარამან, დავბერდი! ახლანდელ დროში დაბერდები კი არა, რატომ მეტი არ მოგივა კაცს. მოდი ერთი აქეთ მოდექი თუ კაცი ხარ, — კალათა გვერდზე მიდგა ივანემ და უნებურად სადგურისაკენ გაიხედა.

— ი, ეს რა ამბავია თუ კაცი ხარ?

მოხუცებს უცბად ყველაფერი დააციწყდათ და კისერწაძაბულებმა კედელს იქით გადაიხედეს.

ქუჩა კედლის სიმაღლეზე გადიოდა და მთელი სადგურის მიდამოები ხელისგულივით მოსჩანდა.

ჯარისკაცებმა ორი ინდუსი მიიყვანეს. კედელთან გააჩერეს. ოფიცერმა რაღაც ჰკითხა თავის ჯარისკაცებს. მათ ჯიბეები მოიქექეს. ბოლოს ერთი ჯარისკაცი ჩაჯდა და ფეხზე მოხვეული პაჭიჭები მოიხსნა. იმ პაჭიჭებით ინდუსებს თვალები აუხვიეს.

ყარამანი შეწუხდა.

— რ.ს უპირებენ ეგ ოჯახ დასაქცევები?

— ბიჭო, ხვრეტენ, მგონია!,

ჯარისკაცები გამწკრივდნენ. თოფები შემართეს. ოფიცერმა ხმალი აიღო. დაიქნია. და თოფებმა დაიქექა. ერთი ინდუსი მაშინვე წაიქცა. მეორე ისევ ფეხზე იდგა. მაშინ ერთმა ჯარისკაცმა მეორედ ამართა თოფი. რაღაც უცნაურად დაიქუხა შაშხანამ და ფეხზე მდგარი ინდუსი ნელა წაიქცა.

ორივე მოხუცი გაფითრებულის სახით შესცქეროდნენ ერთმანეთს.

— რას ერჩოდნენ ნეტა უბედურებს? — გულის სილრმიდან ამოხდა ყარამანს.

— წამო, თუ ძმა ხარ, გავსცილდეთ ამ დაწყევლილ ადგილს. რა ვნახე ეს ამ სიბერის დროს! — დაავლო ხელი თავის კალათას ივანემ და ორივემ აჩქარებული ნაბიჯით გადაიარეს ქუჩა. მარცხნივ შეუხვიეს. ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანით აიარეს ალმართი, გორაკზე ავიდნენ და რომელიღაც სახლთან გაჩერდნენ. სულს ძლივს ითქვამდნენ.

ლიანდაგებიდან ორთქლმავლის სტვენა მოესმათ.

მიიხედეს.

ნავთლულის მხრისკენ ზლაზნით მიიპარებოდა ურჩხულის მაგვარი ჯავშნოსანი.

*
* *

მატარებელში ხალხი ერთმანეთზე იყო მიხერგილი და ჰაერი ისე იყო დახუთული, რომ რკინასაც კი გაავარვარებდა, საპირფარეშოს წინ დერეფანში ჩაჭედილი გლოლელები ჩუმად ჩურჩულებდნენ:

— თუ მშვიდობით ჩევედით გლოლაში, რას აპირებ მერე? —შეეკითხა ბაგრატას ისმაილი.

— კირკიშოზე გადავალ, ბალყარში. აჯანყებულ ბოლშევიკთა რაზმებს შევუერთდები.

— ბალშევიკებს? — წამოიძახა ისმაილმა.

გლოლელებმა აქეთ-იქით მიიხედეს.

— გაჩუმდი, კაცო, არავინ გაგვიგონოს! — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ჰო იმათთან მივდივარ. — დაემოწმა ბაგრატა ისმაილს. რასაც ისინი ამბობენ, ყველაფერი მართლდება. მენშევიკებს არაფერი შეუძლიათ, ისევ ბურჟუები და მემამულეები ბატონობენ. მათ მიემატა ინგლისელი იმპერიალისტების თავგასულობა. მალე დავბრუნდებით იქიდან, ნუ გეშინია... ბოლშევიკები გვიშველიან, ისინი გაანთავისუფლებენ მშრომელებს...

გლოლელები გაჩუმდნენ. ჭრიალით და კვნესით მიდიოდა მატარებელი. ვაგონში ჰაერი უფრო გახურდა და ვიღაც მგზავრის მიერ ანთებული პატარა სანთლის ნაჭერიც ჩაქრა.

ბნელოდა და მძიმე ჰაერი სულს უხუთავდა ყველას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

დაბრუნება

ყველა პოეტი იმ სოფლის დილას
უმღერის, ლექსით შეაქოს უნდა,
სადაც შობილა, სადაც გაზრდილა,
სად ხეტიალის შემდეგ დაბრუნდა.

მეც ვინახულე ჩემი სოფელი,
შვიდი წლის ბიჭმა რომ მივატოვე, —
გამოცვლილია ირგვლივ ყოველი,
ისიც ძლივს ვიცან რაც ძველი ვპოვე.

გადავიარე მე უნაგერა,
მდინარე სუფსის ლამაზი ჭალა, —
მე სინამდვილე თითქოს არ მჯერა,
ცხადი სიზმარებრ გადაიშალა.

იქ სადაც იყო მიწები მწირი
და სილატაკე გულს არინებდა, —
თვალს იტაცებენ ბაღები ხშირნი
ოქროებდასხმულ მანდარინებთა.

ტყის და მინდვრების ვხაროობ სიმწვანით,
უცხო კაცივით მივალ მარტოკა;
როს ნასახლარი ჩვენი ვიცანი
გულმა მეტ ძალით დაიწყო ტოკვა...

ოთხი სახლია ჩვენს ნასახლარზე,
ოთხი ეზოა, ოთხი ბაღნარი...
მოხუცი ქალი მოდგა ჭიშკარზე,
და მომაჩერდა მე სახით წყნარით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სალამი დედი!
—„იცოცხლე შვილო!
რად აცქერდები ამ არე-მარეს!?“.
— მე მოვიგონო ბავშვობა ვციდლობ,
ჩემი ბავშვობა აქ გავატარე!

შაშინ პატარა ბიჭი ვიყავი...
მახსოვს ეგ ვაშლი...
მაგრამ სად არის
ბელელის გვერდით ბებერი წყავი,
ან დიდი მუხა,
ან ის ჭადარი?..

— „შვილო გრიგოლ ხარ,
ჩემი გრიგოლი!.?.
ღმერთს მადლი.
ესეც ნანატრი წუთი,
შენ ჩემი შვილის ხარ თანატოლი,
შენ გაზრდილი ხარ ჩემი ძუძუთი“...

მომეალერსა, მომხვია ხელი;
ვსინჯავდით სახეს ჩვენ ერთმანეთის, —
და მე ვიგრძენი ჩემი გამზრდელი,
ვით გაცოცხლება დაკარგულ დედის...

11/II — 1935 წ.
ს. ზაიდანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. თავაძე

ფრთები

რომანი *)

XXIV

აივანზე რომ ავიდნენ, განცვიფრებით შეათვალიერა ფარეშმა ლადი: ეს რა ახალგაზრდა მიჯნური შეუძენია ნინოს. ხოლო ლადი ტყვესავით მიჰყვებოდა მასპინძელს და ორგვარი გრძნობით იყო შეპყრობილი: ქალის შიშველი მკლავიდან გადმოსული საამო სითბო ხვევდა ტკბილ ბურანში და თან იმასაც ნატრობდა — მალე განშორებოდა მას

— აი, ლილი, შენ რომ მეუბნებოდი, ბატონი ლადი გამაცანიო, ხომ მოვიყვანე ახლა.—მიმართა ნინომ ლია კართან ატუზულ ბავშვს.

ლილიმ პირველად გაიგონა ამ უცხო კაცის სახელი და არც მოუსურვებია ოდესმე მისი გაცნობა, მაგრამ დედის სიტყვები შეიფერა, წამოკაკლული თვალები ლიმილით ააციმციმა და ლადის ხელი გაუწოდა. შევიდნენ სუფთად მილაგებულ ფართო ოთახში და ამდენი უხერხულობა არ შებოჭავდა ლადის — ეს რომ არისტოკრატული სალონი ყოფილიყო; არც ბარმაქსიზში და, მით უმეტეს, არც ტაშბაშში ასე სანებივროდ მოწყობილი ბინა არ უნახავს. მიხას სიტყვები მოაგონდა რატომღაც, ამ დილით რომ უთხრა — ნინო დიდი კულტურული ქალიაო.

— დაბრძანდით, ლადი ჩემო! ბოდიში! მე ისეთი ხასიათი მაქვს, კაცს ერთხელ თუ დავუმეგობრდი, მერე ოფიციალობა აღარ მეხერხება...

სასადილო მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია ნინომ და დარბაისლურად მჭევრმეტყველობდა განუწყვეტლივ, მჩქეფარე ნაკადივით აფრქვევდა გრძნობით გამთბარ სიტყვებს.

ლადიმ მარტოოდენ შეკითხვებზე უპასუხა მხოლოდ და მერმე ლილის გაესაუბრა.

ფარეშმა ყავა დაუდგა წინ, ხოლო ნინომ კონიაკი დაუსხა.

— მიირთვით, გენაცვალე, მიირთვით. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემეცოდვეთ წუხელის, როდესაც იმ ბნელ ხრამში გაეშურეთ საჩქარო საქმისათვის. არც დღისით და არც ღამით მოსვენება არა გაქვთ!

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმეჯერ გააპარა ლადიმ თვალი ნინოს მოშილულ-მკერდისაკენ, წუხანდელი სცენაც ხომ თვალ წინ ედგა, ბოგმანი ბიჭი პირველად მოაგონდა თითქო და სახე აეწვა, თავი დახარა და ავტომატურად მისწვდა ფინჯანს.

სიამით ნაფეთქი ლიმილი მოეფინა ნინოს ლალისფერ ტუჩებს, ადგა და სარკეს მიაშურა, პუდრიანი ფოჩი მოისვა ლაწვებზე; თახაც იდუმლად საუბრობდა გუნებაში: „არ უყურებ, როგორი მორცხვი ყოფილა? ხომ არ ნახობს ნეტავი? არა, ასეთი ვაჟი და სინანული!.. მაინც მეტი იერიშია საჭირო... არჩილის საქმე მართლაც ცუდათაა. მოსე? დაიკარგოს იქით, გლახაკი! არავითარი უნარი მას აღარ შერჩენია. მიხას მეტი დამხმარე არავინაა. ისიც განზე გადგება, როცა გამოსავალი აღარ იქნება... თუ ჩაჯდა, დიდი ხნით ჩაჯდება. ეს კი ახალგაზრდა ინჟინერია, მომავალი ამისია... ისედაც რომ კარგია“...

პერანგის ლენტი გაისწორა, ნელსურნელიანი ხელი უბეში ჩაიყო და ფარეშს გადაჰკრა თვალი.

და ლადის არ შეუმჩნევია, ისე მოხერხებულად გაიყვანა ფარეშმა მეორე ოთახში ლილი.

გოგმანით მიუახლოვდა ნინო, ნაზად დააყრდნო მხარზე ხელი, დაიხარა და ფირუზისფერი თვალებით მოუალერსა უსიტყვოდ, საამბოროდ გამზადებული ტუჩები კი ოდნავ უთრთოდა ნიავისაგან შერხეულ ყაყაჩოს ფოთლებივით. მოჯადოვებულივით დააცქერდა ლადი ჩამოზნექილ გულმკერდს, სურნელოვან საიდუმლოებით სავსეს, ულმობელის ძალით მიმზიდველს, ჟრუანტელმა დაუარა და თავი რომ გადასწია, ნინოს მოზეიმე თვალების შუქმა შეაკრთო, საულვაშე და ხელისგული ცივი ოფლით შეეჟონა, სკამს მიეყრდნო და თვითონაც არ მიმხვდარა, საიდან მოუვიდა თავში ეს:

— რამდენი წლისაა თქვენი ქალიშვილი?

მწვავედ დასუსხა ნინო ამ შეკითხვამ, მაგრამ მაინც არ დაიბნა, ოდნავის შეხებით მოუსვა ნიკაპზე საამოდ ფშვინვარე თითები, გვერდით მიუჯდა, კონიაკი დაისხა და სასმისზე მიურაწკუნა:

— ეს ჩვენი განუყრელი მეგობრობის სადღეგრძელო იყოს...

ზომაზე მეტად შეზარხოშებული იყო არჩილი და კარი მძლავრად შეაღო, ჯერ შედგა, ცივად დააშტერდა ლადის, მერმე ნათელი ღიმილი შემოეფინა ღაჟღაჟა სახეზე და თაფლისფერი თვალები გაუბრწყინდა.

— ამას ვის ვხედავ?! ლადი ჩემო, ნუთუ თქვენ ბრძანდებით?! ეს რა ბედნიერი საათი ყოფილა! მე კი სად ვიყავი!..

ლადისთან მიიჭრა და ორივე ხელები მოხვია მაჯაზე.

— აი, ეს მესმის! განა დასაშვებია, ჩვენ ერთმანეთთან არ მივიდეთ, ერთმანეთის სიხარული და ჭირვარამი არ გავიზიაროთ?.. დამისხი, ნი-

ნო, აი, ამ მაღალ ჭიქაში დამისხი! პირველადაა ლადი ჩემს ოჯახში და ეს უბედნიერესი დღეა ჩვენთვის. ო, შენ არ იცი, ნინოჯან, რა [illegible] ხიშნავი ახალგაზრდაა ეს! მთელი ხრამჰესის თვალია, თვალი!..

არჩილმა სასმისი ასწია, ფრიად გრძნობიერი გამომეტყველება მიიღო და სადღეგრძელო წამოიწყო:

— ლადი ჩემო...

აუტანელი შეიქნა ლადისათვის კვლავ ამ სანებივროდ მორთულ ოთახში დარჩენა და წასასვლელად წამოიწია. არჩილს კი ეგონა: ფეხზე ადგომით აპირებს ლადი სადღეგრძელოს მოსმენასო; მეგობრულის თავაზიანობით დაადო მხარზე მარცხენა ხელი და მოთაფლული ხმით უთხრა:

— აჰ, როგორ გეკადრებათ! დაბრძანდით, ლადი ჩემო!

წელში გაიმართა, სასმისი ასწია და განაგრძო:

— არავის ისეთი საპასუხისმგებლო საქმე არა აქვს აქ დავალებული, ჩემო ძვირფასო მეგობარო, როგორც თქვენ, და ვერავინ ისე ჩინებულად ვერ უძღვება მშენებლობას, როგორც თქვენ. ეს ყველამ იცის, ლადი ჩემო, თამაზმაც იცის და ბაგრატმაც. ჩვენი პარტკომი ხომ მუდამ თქვენს ქებაშია. ჭეშმარიტად, ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილი ხართ, ლადი ჩემო! მაგრამ ახლა ამაში კი არ არის საქმე, ახლა ჩემი აღფრთოვანება უნდა გაგიზიარო. ჩემს ერთადერთ შვილს გეფიცებით, კარი რომ შემოვაღე და ჩემს ბინაში დაგინახე, ყელამდე სიხარულით ავივსე. რატომ მერე, ლადი ჩემო? იმიტომ, რომ რაც არ უნდა იყოს, ერთ დიდ საქმეს ვემსახურებით და ერთმანეთთან მისვლაც უნდა გვიყვარდეს. რა ვუყოთ მერე, ეგება საქმეში ყოველთვის ერთმანეთს ვერ ვასიამოვნეთ, საქმე სხვაა და მეგობრობა და პურმარილი სხვა. ჰო, არა, პურმარილი, ლადი ჩემო, ქართველი ხალხის სული და გულია, მზესავით ნათელი გული. თეთრსა და შავს პურმარილი გამოაჩენს...

ოთახში ლილი და ფარეში შემოვიდნენ. ლილი დედას ამოუდგა გვერდით, ხოლო მარუსია ეშმაკურად უთვალთვალებდა ლადისა და ნინოს. არჩილი მაღალფარდოვანად მჭერმეტყველობდა და შემოდგომის ბუზებივით ეხვეოდა ლადის უხვად მოთაფლული სიტყვები.

— კარგი, არჩილ, თავი ნუ მოაწყინე სტუმარს! — შეაჩერა ბოლოს ნინომ და ლადის მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა, ღვინო დაუსხა და ხელში მიაწოდა.

სულმოუთქმელად გამოსცალა ლადიმ ის ჭიქა და, სანებლიძის დაუსრულებელი პატიჟის შემდეგ რომ თემშარაზე გამოვიდა, თავისუფლად ამოისუნთქა. ასალო სასადილოში ეგულებოდა და იქით გაეშურა.

განმარტოებით იჯდა ასალო გზის პირად დაყრილ ქვებზე, დაღვრემილი, უღიმღამო ფიქრებში დანთქმული, სწორედ ისე, ნისლიან ჭაობში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მგზავრს გზა დაებნევა და მზის ამოსვლამდე უნდა იხეტიალოს შეუსვენებლად, რათა ტკბილ ნანასავით მოშრიალე ლელში ვერ ჩაეძინოს და რომელიმე ქვეწარმავალმა არ დაშხამოს. იქვე, მის გასწრივ აღმართული ეკლესიის მაღალი გუმბათი უჩრდილავდა ჰორიზონტს და ეგონა: აქაც, ამ მიძინებულ სოფელშიაც იბრძვისო ჯერ კიდევ ორი ბანაკი: ერთს თამაზი, ლადი და ნათელა მიუძღვის წინ, ხოლო ძეორეს სანებლიძე, მიქატაძე და ფოფხაძე რაზმავს საიერიშოდ...

არ შეუმჩნევია ასალოს, მაღალ ქედზე რომ პირსავსე მთვარე გადმოდგა და მტრედისფერ ღრუბლებივით ამოტივტივდნენ მთაგრეხილები, სწრაფად მომავალ ლადის მოჰკრა მხოლოდ თვალი და სიხარულით მიეგება:

— გული გამიწყალდა, ბიჭო, შენს მოლოდინში...

— აქ რას აკეთებდი, სასადილოში რატომ არ დამიცადე?

— ფოფხაძემ არ დამაყენა... გალეშილია და კაცმა არ იცის რას მიედებ-მოედება.

— მაინც რა მინდაო?

— არ იცი მთვრალი კაცის ამბავი?.. მე მგონია, ბარსეგიანმა გადასცა შენი ნალაპარაკევი და იმან გადარია.

— ეგ რაა, უარეს დღეს დავაყენებ! — ჩაილაპარაკა ლადიმ და ნაბიჯს აუჩქარა.

მორიდებით შეათვალიერა ასალომ ეს ხმააწეული ჭაბუკი და მყისვე მიხვდა — სანებლიძის ბინიდან კარგ გუნებაზე არ დაბრუნებულა იგი. და ფრიად სასიამოვნოდ დაურჩა ეს ასალოს, ვინაიდან ბუნდოვანად წარმოესახა, თითქო იქ — სანებლიძის ოჯახში — მაცდურებით სავსე ქსელი იხლართებოდა და იმ ქსელში გახვევას უპირებდნენ ლადის.

სამუშაოთა სამმართველოსთან, გზაჯვარედინზე შემოეხეჩა მათ ფოფხაძე; ახლა უფრო დარხეულად მოაბიჯებდა მრუდე ფეხებს, მაგრამ ასალო და ლადი რომ დაინახა, ფხიზელივით გაიმართა წელში და ამაყად წამოიძახა:

— ა, ბატონო, ა! ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში გეჭიროსო. მოიწი აქეთ, შენ, ჩემო ძმაო, დამანახე ერთი შენი სიფათი!

ხმა არ ამოუღია ლადის, ზიზღით ახედ-დახედა მიხას და გზა განაგრძო

მოწყვეტით გადახტა მაშინ ფოფხაძე, გულისპირში ჩაავლო ლადის მარცხენა ხელი, მარჯვენა ასალოს ჰკრა და დაუყვირა:

— დაიკარგე იქით, ბებერო ძაღლო!

მერმე ლადის შეანათა მგლურად ანთებული თვალები და ბრაზისაგან დახშული ხმით შეეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ილაპარაკე შენ ამ საღამოს ჩემზე? ზურგს უკან მითხრი სამარეს? ინტრიგანობა დაიწყე? ვერ გავიგებდი გეგონა? ... დამაკლებს მე რამეს?..

შესაძლოა სხვა დროს ასე მკაცრად არ მოქცეულიყო ლადი, ტკბილი სიტყვით დაემშვიდებია ეს გაბოროტებული კაცი, მაგრამ ახლა სანებლიძის ბინიდან გამოყოლილი გულისწყრომა შემოენთო და ცალი ხელი რომ მაჯაზე მოუჭირა მარწუხივით, მეორე ნიკაპზე აჰკრა ქვასავით...

გულშელონებულივით წაბარბაცდა მიხა და ასალოს ფეხებთან ჩაიკეცა, მაგრამ უმალვე წამოიჩოქა, ჯერ ყბაზე მოივლო ხელი, დაჭრილივით დაიგმინა და გრძლად გაბმული გინება აღმოხდა, ბერმე წაშოიწია და ბრაუნინგი იშიშვლა.

რამდენი ხანია ასე მძლავრად არ დაჭიმულა ასალოს კუნთები! ჭაბუკური თავდავიწყებით ეცა მიხას, მკლავი დაუწირეხა და რევოლვერი ხელიდგან გამოსტაცა, ტყვიები ამოიღო შიგ და ცარიელი ბრაუნინგი დაუგდო წინ, შემდეგ გარინდულ ლადის დაუყვირა:

— წამოდი, ბიჭო! ამისთანა მხეცზე უნდა გაისვარო ხელი!..

მრისხანედ წამოიშართა სავსებით გამოფხიზლებული მიხა, რევოლვერი რამდენიმეჯერ შეატრიალა ხელში, ჯიბეში ჩაიდო და ენით გამოუთქმელი სიძულვილით გადაჰკრა თვალი ასალოს:

— ასე ხომ, გურგენიძევ? კარგი, მე შენ გიჩვენებ სეირს!..

— რას იმუქრები, ყაძახო? შენ კი არა, თვითმპყრობელობის ჯალათებმაც ვერაფერი დამაკლეს მე! — უპასუხა ასალომ და ლადის ხელი გამოსდო.

— წავიდეთ, ძამია...

ჰო, მძიმე ტვირთივით მოიხსნა მხრებიდან ახლა ასალომ ათეული წლები და ისე მსუბუქად მიაბიჯებს, თითქო ლადის ტოლა იყოს...

ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა ლადი და ჯერ კიდევ დაუწმენდელ შთაბეჭდილებებში ერკვევოდა; ერთი კი ცხადი იყო: მეტი სიფხიზლე საჭირო. ეს მაშინაც იგრძნო ლადიმ, როდესაც ნინო შეუძღვა სანებლიძეროდ მორთულ ოთახში... შემდეგ: სანებლიძის სადღეგრძელო. განა გულისამრევი პირმოთნეობა არ იყო იგი?.. **ის** ქალი კი ნამდვილი დედაკაცია, ვინც მოეწონება, ყველას გულს გადაუხსნის... ფოფხაძე რამ გადარია?.. სარდიონ წილოსანმა რომ უამბო ერთხელ, მაშინ წარმოუდგა ისეთი სახე, როგორიც მიხას ჰქონდა წელან, და სწორედ იმ სახეს აჰკრა მუშტი ნიკაპზე ლადიმ...

გასცილდნენ სოფელს, პატარა ხევი გადასჭრეს და წელამდე შემოყრილ ყანაში ვიწრო ზოლად გავლებულ ბილიკს აჰყვნენ. მრავალკეც ჭავლებივით ლივლივებდა თავთავებზე ცის იერიდან გადმოღვრილი შუ-

ქი მთვარისა და პურის ღეროებით სუნთქავდა მიწა, რძე'ანით მედიდებულ მარცვლებს აწოვებდა ნოყიერებას თვისას და ...ჰხაროდა წელგამართულ პირმშოებს. მეოცნებე გოლიათებივით გარიდულიყვნენ გამსჭვირვალე სამოსში გახვეული მწვერვალები და ფოთებდამძიმებული ნიავი არწევდა ქციის ტრამალებში ჩაწოლილ დუმილს.

ფართო გზაზე გავიდნენ და ასალომ ნაბიჯი შეანელა, თითქო მეტად ღიდი მანძილი განვლეს და რამდენიმე წუთით დავიწყებული ხანდაზმულობაც დაუბრუნდა.

— იცი, ლადი, რამდენი ჭუჭყი და ნაგავია ჯერ კიდევ დარჩენილი?

— შენ სხვა რამე სთქვი, თორემ...

— არა, მე ადამიანის შეგნებაზე ვლაპარაკობ, წარსულის შხამით გაჟღენთილ შეგნებაზე. აქ იყრის თავს ყველაფერი: საზოგადოებრივი ქონების მტაცებლობა, ბატონკაცური მედიდურობა, მატყუარობა, ზნედაცემულობა და ყოველივე ის, რაც კერძო საკუთრების ნიადაგზე განმტკიცებულმა ადამიანთა ურთიერთობამ წარმოშვა.

— ბიძია ასალო, გეტყობა, პოლიტიკური ეკონომია არ დაგვიწყებია.

— მოიცა, თუ ბიჭი ხარ! წიგნებში ისედაც ყველაფერი ნათელია, მე ცოცხალ სინამდვილეზე გელაპარაკები. დავანებოთ თავი სანებლიძეს და მისთანებს... თუმცა რატომ? შენ წელან მის ბინაში იყავი და დარწმუნებული ვარ, შეამჩნევდი, — შენ გგონია კანონიერი ხელფასით კმაყოფილდება ის, ისე დადგება, რომ სადმე რაიმეს არ წაჰკრას ხელი! კარგი, ჯანდაბას მისი თავი! სადაც იქნება მოიტეხს კისერს! აი ფოფხაძე, — არა, იმიტომ კი არ ვლაპარაკობ მასზე, რომ ახლა უსიამოვნება მოგვივიდა, ეგ რა შუაშია, ან მთვრალ კაცს რა მოეთხოვება. მაგრამ განა შეიძლება კომუნისტი ვუწოდოთ ისეთ ადამიანს, რომელიც არაფერს სწავლობს, თავისი საქმეც ხეირიანად არ გაეგება და მთელ თავისუფალ დროს ნარდის თამაშს და ქეიფს ანდომებს?... კომუნისტი! იცი ბიჭო, რამხელა ადამიანი უნდა იყოს კომუნისტი? მარქსისა და ენგელსის მიწერმოწერა წაიკითხე, იქ არის დიდი ადამანების დიდი მორალი, სიყვარული, მეგობრობა...

ლადიმ შეატყო: აღელვებული იყო ასალო და აღარ გაეკამათა.

წყაროსთან ჩაუხვიეს. ქვებზე ჩამოსხდნენ... ყრუ გუგუნი ამოიჭრა ხრამიდან და შორეულ მოძახილივით დაინთქა ნაპრალებში.

— ბიჭებმა ლაღუმი ააფეთქეს! — სიხარულით წამოიძახა ლადიმ.

მთვარის შუქით დამშვენებულ მთაგრეხილებს მოავლო ასალომ თვალი და თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა კარგია, ბიჭო, ქვეყანა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXV

აგვისტოს პირველ დეკადაში კიდევ უფრო გააძლიერეს ბრიგადებმა იერიში. ვასო დვალიშვილის წინადადების მიხედვით გარდაქმნეს მუშაობა და დიდ ხარჯებასაც მიაღწიეს, შრომის ნაყოფიერება საოცრად გაიზარდა. მაგრამ გვირაბის დამთავრების ვადა დღითიდღე ახლოვდებოდა და ჩამორჩეხა ჯერ კიდევ გამოსწორებული არ იყო. ნიკო გოგოლაძის ბრიგადა წააწყდა მხოლოდ ადვილად სანგრევ ქვის ფენას და ვასოს რამდენიმე მეტრით წინ გაუსწრეს. ბიჭებს ხალისი მოემატათ და მხიარულად ოხუნჯობდნენ — ნახავ, თუ ვასოს ბუქსირზე არ ავიყვანთო. გოგოლაძე კი ჩვეულებრივის სიდინჯით უწევდა მათ ხალმძღვანელობას და შემთხვევით მოპოებულ გამარჯვებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, ვინაიდან არავინ იცოდა — ამ სხმულ ფოლადივით შეკრულ კლდეში როგორი ნიადაგი შეხვდებოდათ.

ლადი ალანია დღეღამეში თვრამეტი საათი ფეხზე იდგა, ოდნავ გახდა კიდეც. გუშინ წინ ნათელასაგან წერილი მიიღო და მხოლოდ რამდენიმე სიტყვით უპასუხა, ხანგრძლივად წერისათვის არ ეცალა. ხანდახან ბარმაქსიზში თუ ჩაირბენდა ცხენით ბაგრატთან სათათბიროდ, ან რაიმე მასალის მისაღებად. რამდენიმეჯერ მოჰკრა იქ თვალი ნინოს, მიმზიდველი ღიმილით დამშვენებულს, მაგრამ ლადიმ თავი აარიდა. ერთხელ კი გზაზე გადაუდგა ნინო ცხენით მიმავალს და მოხდენილად დაუქნია ხელი; ლადის თითქო არ შეუმჩნევია, ცხენს მათრახი გადაჰკრა, გვერდი აუარა და ტაშბაშისკენ მოჰკურცხლა.

საკვირველი იყო ფოფხაძის საქციელი. ლადისა და ასალოსთან რომ ჩხუბი მოუვიდა, მეორე დღესვე გასწია ტფილისს, ოთხი დღე დარჩა იქ და საუკეთესო მანქანა ჩამოიტანა. საქმიანი გამომეტყველებით შეხვდა ლადის ხევში, გვირაბის სათავესთან, და ხელი ისე გაუწოდა, თითქო მათ შორის არაფერი არ მომხდარიყოს.

ასალოც იქვე იყო მაშინ, სამჭედლოში მუშაობდა და ლადისთან შერიგებული მიხა რომ დაინახა, ულვაშებში გაეღიმა, ბრვარით ხელი გაიწმინდა, ფიცრულზე ჩამოკიდებულ ქურთუკის უბიდან ბრაუნინგის ტყვიები ამოიღო და ფოფხაძეს მიუტანა.

მედიდურად გამოართვა მიხამ ტყვიები ასალოს, ჯიბეში ჩაიწყო და ნაძალადევად გაიღიმა. მერმე ლადის გადაულაპარაკა:

— ეჰ, ჩემო ძმაო, როდის იყო, მთვრალ კაცს რომ ჭკუა ეკითხებოდა...

„კუპრივით ბნელია ამ კაცის სული — გაივლო გუნებაში ასალომ,— გულითად მეგობარივით ეხმატკბილება ლადის. ვინ იცის, იქნება მართლა შესტკივა გული საქმეზე. ნაკლი ვის არა აქვს“...

მხოლოდ ერთ საღამოს ჩაფიქრდა ღრმად ასალო, მაგრამ „ამ კუპრივით ბნელი სულის“ ამოცნობა მაინც ვერ შესძლო. დავით ტეფლიანი ესტუმრა ოთახში. მარტო იყო ასალო და ჩვეულებრივად ვახშამს ამზადებდა. დავითი შეშფოთებული იყო და მისვლისთანავე წამოიძახა:

— საშინელებაა სწორედ!..

— რა მოხდა, დავით?

— რავა რა მოხდა, შე კაცო! წუხელის ფოფხაძის ორი წლის ბავშვი დაიღუპა.

— ვაი, უბედური!.. სად, როგორ?

— ნუ მკითხავ, თუ ძმა ხარ! ყელში დანა რომ გაძიყარო, სისხლი არ გამომივა. დავიწვი იმ ბედკრული ქალის საცოდაობით. ჩემი მეზობელია. მშვენიერი გოგო იყო, სანამ მაგ წყეულს გადაეყრებოდა. ახლა აქანე წამოსულა და ის არის ქე დაიღუპა.

ასალომ მკვდრული დუმილი ვერ აიტანა და კვლავ შეეკითხა:

— მაინც როგორ იყო მაგათი საქმე?

— ეჰ, რაც გინდა ის მითხარი და მაგისთანა ხალხს ვერ ვურიგდები მე... ჰო, როგორ იყო და...

* * *

კოჯრიდან მანგლისისაკენ დაეშვა ავტობუსი და აშრიალდა ფერდობებზე აქოჩრილი ხეები. ტფილისში აუტანელი სიცხე იყო, აქ კი ჰაეროვან ნაკადივით მოსისინებდა ნიავი გრილი და ცხოველმყოფელი. მგზავრებს უმოწყალოდ ანჟღრევდა მოშლილ რესორებიანი მანქანა, მაგრამ აქ მაინც შვებით ამოისუნთქეს და სიამით ათვალიერებდნენ მიდამოს: მაღალ კლდეზე ფრთამოტეხილ არწივივით გადმომდგარ ძველ ციხეს, ღრმა ხევებს, მოხასხასე ველებსა და შორეულ მთებს; აგერ რუხი გორებით შემოზღუდული კუმისის ტბა კამკამებს თეთრად, მეთოლიების გუნდებივით დაფარფატებს თავს ცის იერში მოციმციმე ნისლის ქულები.

მეტისმეტად დაიკლაკნა გზა, შოფერი კვლავ ხელმარჯვედ მიაქროლებს ავტობუსს და ყუთში ჩაწყობილ ბოთლებივით ეჯახებიან ერთმანეთს მგზავრები, მაინც მხიარულად ხმაურობენ, იცინიან და ოხუნჯობენ.

წინა სკამზე ზის ახალგაზრდა ქალი, ტანმორჩილი და გამხდარი, თმა მწვანე დოლბანდით აქვს გადაკონილი და მიწისფერი ადევს მოგრძო სახეზე, ცრემლით ამომწვარ დიდრონ თვალებს დაფეთებულივით აელვარებს და ხშირხშირად დაჰყურებს მუხლებზე მწოლარე ბავშვს. ფრთხილად გადაუწევს პირზე გადაფარებულ მანდილს, სიცხისაგან წამონთებულ ღაწვებსა და ნაკვერცხლებივით გაღვივებულ ტუჩებს უცქერის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდხანს, მერმე ნაზად, ნაზად შეახებს ხელს ხუჭუჭა თმაზე — ერმად ამოიოხრებს და ირგვლივ რომ მიმოიხედავს, სხვას ვერ ეტრფიალებულ ... ამ უცხო ქვეყანაში, მარტოოდენ შიშველი მთებია აქ და თვალუწვდენელი ხრამები, საბედისწერო საშიშროებით სავსე...

რამდენიმე დღის წინათ მიიღო თებრონემ უსახელო წერილი: შენი ქმარი სხვა ქალს ირთავსო და თუ შეგიძლია დროზე მიუსწარიო. კარგად იცოდა თებრონემ: მიხა უთუოდ გაიჩენდა საყვარელს, მაგრამ ცოლშვილზე თუ მთლად ხელს აიღებდა, ეს წარმოდგენილი არ ჰქონდა. ქუთაისში ყოფნის დროსაც დასდევდა მიხა სუბუქი ყოფაქცევის ქალებს და ამიტომ არის ახლა თებრონე ასე ჩამომჭკნარი; სულ რამდენიმე წელიწადში დაჰკარგა ფერხორცი და ჭლექიანს დაემსგავსა. მიხა თორმეტი წლით უფროსია მასზე, მაგრამ დღესაც ისევე ჩამრგვალებული და ჯანლონით სავსეა, როგორიც პირველი გაცნობის დროს იყო. ახ, ნეტავი არ გაეცნო მაშინ! პასუხსაგები თანამდებობის კაცი იყო და როგორ იფიქრებდა, ასე თუ გაუმწარდებოდა სიცოცხლე. ამ ბოლოს ხომ სულ დაილია ქალი. რამდენი ეხვეწა — მეც წამიყვანეო ხრამჰესში, მაგრამ უარი უთხრა. ახლა კი სხვა ქალს თხოულობს თურმე...

კვლავ ბავშვს დააშტერდა ცრემლით დანისლული თვალებით და შეაჟრჟოლა, გაცრეცილ ტუჩებზე იკბინა სიმწარით. მერმე დაიხარა, ნაზად აკოცა ბავშვს გახურებულ შუბლზე და ათრთოლებული ხმით ჩასჩურჩულა:

— დედა გენაცვალოს, შვილო, ერთი შემომხედე, დედა!

ბავშვმა დედის მსგავსი დიდრონი თვალები გახსნა, უმწეოდ დაიკვნესა და მყისვე დახუჭა, ვინაიდან მოვარვარე ცეცხლად შემოენთო უსაშველო ტალღებივით აგორებული სინათლე...

წერილი რომ მიიღო და წამოსვლა გადასწყვიტა, ბავშვი ცოტათი შეუძლოდ იყო, ხშირად ტიროდა და კაცმა არ იცოდა, რა სტკივოდა. ექიმს უჩვენა და საშიში არაფერიაო, დაამშვიდა. ოჯახშიაც დააიმედეს, რაკი წასვლა გულში ამოიჭერი, ბავშვს რა უჭირსო, ხრამჰესში კარგი ჰაერი ყოფილა და ორთავეს მოგიხდებათო, თან იმ შენს გადარეულ ქმარს ცოლშვილისაკენ მოახედებო.

მატარებელში კარგად მოეწყო. ტფილისში პაპანება იყო და ბავშვს სული ეხუთებოდა, ჭირვეულობდა და ტიროდა, ამ დილით კი, ავტობუსი რომ დაიძრა, თითქო დამშვიდდა და ჩასთვლიმა, სიცხე მისცა მხოლოდ და თვალის გახელა უჭირდა.

მანგლისში რომ შეჩერდნენ, ცივი ტილო დააფინა შუბლზე და ოდნავ ასწია ბავშვმა ქუთუთოები, პაწია ტუჩებიც გახსნა ლიმილით და გალხვა, აჩქროლდა დედის გული: აქამდე განუჭვრეტელი ნისლი ეხვია თითქო გარს და ეს გაუთავებელი გზაც უფსკრულისაკენ ეშვებოდა,

ახლა კი რიჟრაჟივით აენთო ალიკოს ღიმილი და... პირველად ხედავს თებრონე გარკვევით გრძელ აივნიან თეთრ დუქნებს, ვეება ტაძარს და ქუჩაში მოსეირნე მოაგარაკეებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ დამთავრდა ხვეულები აღმართში, გუგუნით მირახრახებს ავტობუსი, კარუსელივით ტრიალებს ხევიდან ხევამდე; ხან ალგეთის მიდამოები გადაიშლება მრავალფერადად და ხან ბედანის ქედი აღიმართება ცის კიდურამდე.

თებრონეს საგონებელიც ასევე იხლართება:

...მოიკეთებს ალიკო... როგორ დახვდება მიხა?.. მატარებელში გაუცივდა ალბათ, ფანჯრები ღია იყო... ვინ არის ნეტავი ის ქალი? უთუოდ ლამაზი იქნება... სიცხემ თუ აწყინა ტფილისში. ახლა მშვიდათაა, თვალის გახელა უჭირს მხოლოდ...

მიჰქრის მანქანა ზეგანზე; გზა ახალი შეკეთებულია, ჯერ გატკეცილი არაა და შოფერს მინდვრის პირად მიჰყავს ავტობუსი, ორმოცდაათ კილომეტრს ჰკეცავს საათში. ჯერ სამსარის თხემები ამოტივტივდა სივრცეში, მერმე თრიალეთის მწვანე კალთები შემოერკალა ჩრდილოეთს და აჰა მთაგრეხილებში მომწყვდეული ქციის ხეობა, — ქორის ბუდეებივით მოჩანს გორებზე შერჩენილი ძველი ეკლესიები და თვალი ვერ სწვდება ოლოროჩოლორო ტრამალებს...

დაეშვნენ დალმართში, ყაზარმებს გვერდით ჩაუარეს და ბარმაქსიზში რომ შეიჭრნენ, უაზროდ მოავლო თებრონემ თვალი გრძელ სახლებსა და გომურებს, კვლავ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ შეხვდებოდა მიხა, იქნება ის ქალი უკვე ბინაში ჰყავს და მაშინ სად წავიდეს, ეს ავადმყოფი ბავშვი სად წაიყვანოს?..

სასტუმროს წინ დადგა ავტობუსი. სერგო ნიკურაძე იყო იქ, ამხანაგს ელოდა და მგზავრებს ათვალიერებდა, თებრონე იცნო და შიეშველა; ხემოდანი გამოართვა და ქმრის ბინისაკენ გაუძღვა.

გულზე მოეშვა თებრონეს: სჩანს კარგად ყოფილა საქმე, რაკი სერგო არაფერს ეუბნება და ქმრის ოთახში მიჰყავს. ბავშვი გულზე მიიხუტა, სახეზე ლოყა მიაყრდნო და უსიტყვოდ ანუგეშა ისიც და თავისი თავიც: „ნუ გეშინია, გენაცვალე. აი, მივალთ მამაშენთან და შენც კარგად იქნები და მეც“... მაგრამ ეს ვინაა? ვინ მოჰყვება მიხას ხელგამოდებული?.. ღმერთო, რა შესანიშნავად აცვია და რა ლამაზია! ეს არის ნამდვილად... შესდგა, გაშეშდა თებრონე, ლამის ბავშვი დაუვარდეს ხელიდან...

პროვინციის მივარდნილ სადგურზე რომ გამოვლენ მოცლილნი მატარებლის მოსვლის დროს, ისე მოსეირნობდნენ თემშარაზე ნინო და მიხა, რათა გაეგოთ მათი მეგობარი ხომ არავინ ჩამოვიდა ტფილისიდან. არჩილი სახლში არ იყო და ერთად ისადილეს დღეს; მიხა ოდნავ შე-

ზარხოშებულიც კი იყო და რაღაც სასაცილო ანეკდოტს უამბობდა ნინოს; მაგრამ ახლა უცებ შეაშრა ღიმილი სქელ ტუჩებზე, თვალები დაწკურა და გარინდებულ თებრონეს დააშტერდა, მერმე ნინოს მკლავი შეუშვა და მრისხანედ გაემართა მისკენ:

— რა გინდოდა, ქალო, შენ აქ?

ნიკაპი აუთრთოლდა თებრონეს, თვალთაგან ცრემლები გადმოცვივდა და სხვა ვერაფერი მოახერხა, ეს უთხრა მხოლოდ:

— ალიკო გამიხდა ავად...

— მოდი და ჭკუა ჰკითხე ახლა ამას შენ! ავადმყოფი ბავშვი აქ წამოიყვანე?

— არა... გზაში... გზაში...

— ნუ იჯღანები ამ ქუჩაში, თავი ნუ მომჭერი! — მგესლავი ხმით ჩასისინა მიხამ და მერმე სერგოს მიმართა:

— აიყვანე, სერგო, ოთახში, მე ერთი საჩქარო საქმე მაქვს და ახლავე მოვალ.

მორჩილად გაჰყვა თებრონე სერგოს; ჩაუარა ნინოს გვერდით და ვერ მოითმინა, ცრემლიანი თვალები შეავლო შურით; მწარედ, მწარედ შეეკუმშა გული, ამ უცხო ქალის წითლად შეღებილ ტუჩებზე რომ დაპცინავი ღიმილი დაიკლაკნა გველივით.

ოთახი მიულაგებელი და დამტვერილი იყო. იატაკზე პაპიროსის ნამწვავები ეყარა. ეს კარგი ნიშანი იყო. აქ ქალის ხელი არ ემჩნეოდა. დააწვინა ბავშვი და ამბორით გაუსინჯა სიცხე. პირსაბანზე ტილო დაასველა და ტაშტი რომ წყლით სავსე იყო, ესეც კარგ ნიშნად მიიჩნია. მაინც ვერ დამშვიდდა, იმ მკერდსავსე ქალის სახე ედგა თვალწინ...

უსაშველოდ დაუმძიმდა წუთები, სანამ მიხა კარს შეაღებდა, და ამ დაუსრულებელმა ტანჯვამ შეუფაკლა სისხლნაკლული ღაწვები, მკაცრად შეაგება ცრემლამომშრალი თვალები:

— ვინ არის, მიხა, ის ქალი?

— ა, ბატონო, ა, ჯერ არ ჩამოსულა და თავისი უზნეობა უკვე დაიწყო!..

— არა, მე გეკითხები, ვინ არის-მეთქი ის ქალი?..

— შენ ჭკუაზე ხომ არ შეიშალე, ქალო! ვინ იქნება, ამხანაგის ცოლია. რამდენ ქალთანაც კაცი გაივლის, ყველა საყვარელი ხომ არაა?.. შენ ის მითხარი, რატომ არ მაცნობე, თუ მოხვიდოდი? დასაზვერავად დამესხი თავს? კიდევ ვერ მოიშალე შენი უზნეობა? ნუ თუ ჩვენს დროში ვერ უნდა შეიგნოს ქალმა, რომ ეჭვიანობა უდიდესი უკულტურობაა? რა მოგივიდა, რამ აგიშალა ასე ნერვები?..

მართლაც რა აღელვებს ახლა თებრონეს? ის უსახელო წერილი ხომ არ გამართლდა. მიხა ისევ ისაა, რაც იყო. და მოლბა, მოეშვა თებრონე,

სევდიანი ღიმილით აუთრთოლდა ფერმკრთალი ტუჩები და ქმარს მოეხვია.

— მიხა, გენაცვალე, ავად არის ჩვენი ალიკო... ექიმი აქ და მოიყვანე მალე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყისვე გაიქცა მიხა ექიმთან. ბავშვის ავადმყოფობა სავსებით არღვევდა მის გეგმას. რამდენიმე დღეში მანგლისიდან საყვარელს მოელის და მანამდე ესენი უთუოდ უნდა გაისტუმროს აქედან... „ახია ჩემზე, — უსაყვედურა თავს მიხამ — აქამდე უნდა მომეცილებია თავიდან ეს ძვალტყავა ქალი... ექვსი თვეა არ მინახავს და მთლად დალეულა, საფრთხობელას დამსგავსებია“...

ექიმმა დაკვირვებით გასინჯა ბავშვი, მაგრამ საშიში ვერაფერი აღმოაჩინა. სიცხეც დიდი არ ჰქონდა: ოცდათვრამეტი და ორი ხაზი. ტვინის ანთება არ უნდა იყოსო, გაივლო გუნებაში და მშობლები დაარიგა, თუ როგორ უნდა მოევლოთ, წამლებიც ისეთი გამოსწერა, რაც ადგილობრივ იშოვებოდა.

...მეორე დღეს ნაშუაღამევს მძიმედ ჩაეძინა თებრონეს, ჩაეძინა და... ალიკოს ხმა ესმის თითქო მეორე ლოგინიდან, აი, კიდევაც წამოჯდა ის, დედას გაუღიმა და ხელი დაუქნია, მერმე გაიბუტა და ამიზეზებული ხმით ეძახის.

„რა მოგივიდა ახლა, დაგენაცვლე, ბიჭუნი. დაღლილი ვარ და ცოტა მაცალე, ჭირიმე!“—ეხვეწება თებრონე და ძილს თავს ვერ აღწევს, მძიმე და უფერულ სიცალიერეში იძირება... მაგრამ ბავშვის ხმა ისევ ჩასწივის ყურში და ახლა ნათლად ხედავს: თვალუწვდენელ უფსკრულზეა გადებული ეს ხიდი და ძლივს გაჰყავს ბავშვი: მზარავი შხუილი მოისმის სკვარამიდან და ძარღვებში სისხლი ეყინება, საცაა სავსებით გამოეცლება მკლავებში ძალა და მერმე საშველი აღარაა; მაინც როგორმე უნდა გავიდეს ამ ხიდზე და აკანკალებული მუხლებით განაგრძობს სვლას. მაგრამ აგერ ის მკერდსავსე ქალი შემოეფეთა კატასავით გაყინული თვალებით და დამცინავი ღიმილი აუსრიალდა წითლად შეღებილ ტუჩებზე. გული შეუღონდა თებრონეს და ბავშვი ხელიდან დაუვარდა...

ძლივს წამოიკვნესა და ზეწამოიჭრა...

დუმილია. ალიკოს სძინავს. მიხას ფშვინვა ისმის მხოლოდ; საბანი წელამდე გადახდილი აქვს და შავბანჯგვლიანი მკერდი და მკლავები მოუჩანს ანთარივით. ფანჯარაში განთიადის შუქი შემოღვრილა; სული მოითქვა თებრონემ და ბავშვს მიაშურა. ვისილაც უხილავმა ხელმა გაღო ფანჯარა და იდუმალი შრიალით შეიჭრა ოთახში ზარდამცემი სახე სიკვდილისა. პირი ღია დარჩენოდა ალიკოს, თვალებიც გაეხილა და ცივად, უაზროდ შეჰყურებდა დედას. გალიგვებულ ნიკაპზე მოუსვა ხელი და... უსასოოდ დაიკივლა, ლოყები დაიკაწრა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კვირაა დღეს და სოფლის განაპირას, მდინარის გასწვრივ, ბაზრობაა. ხრამჰესელებმა ააგეს ამ ტაფობში ეს ფარდულები და ახლა ყველა სოფლიდან — რეხადან მოკიდებული გომარეთამდე — აქ მოდიან კოლმეურნეები, მოაქვთ გასასყიდათ ყველი, კარაქი, კვერცხი და თამბაქო; თავმორთულ ქალებს ქათმები უჭირავთ ხელში, ხოლო ქალამნიანი ჭაბუკები გოჭებს სთავაზობენ მუშტარს. ახალციხელ მუსლიმანებს კეხიან ცხენებზე აკიდებული გოდრებით მსხალი, ვაშლი და კორკიმელი მოუტანიათ, ბორჩალოელებს კი — საზამთრო და ნესვი; დინჯად სხედან ისინი მაღალ ურმებზე და გრძელი დანები ლაპლაპებს მზის სხივებში. აგერ ერთმა თავზე ხელაღებულმა ფეხშიშველა ბიჭმა საზამთრო მოიტაცა და ღელეში შედგვაფუნდა, პატრონს წყალში შესვლა დაეზარა და ხელი ჩაიქნია, სხვები კი მხიარულად იცინიან. ბერძნების, სომხების, გერმანელების, ქართველების, თურქებისა და რუსების ნაირნაირი სახეები ერთმანეთში ირევიან. ნინოს კალათიანი ფარეში ახლავს, გვერდით მიქატაძე მიჰყვება და წიწილებს ჰყიდულობს. ფარდულების ირგვლივ შეჯგუფულ ხალხს საგარეოდ მორთული ბერძნის გოგოები გამოეყვნენ, ფართოდ გაშალეს ფერხული, მონოტონურად ღიღინებენ და ნაოჭიან გრძელ კაბებში არხევენ რიტმიულად თეძოებსა და გულმკერდს; თვალებიდან უბიწო ვნების ნაპერწკლებს აფრქვევენ; სქელი ქამრები არტყიათ და ამ ქამრებს უმღერიან ისინი:

„გოგოვ, შენი ქამარი“...

* * *

ფოფხაძის ოთახი ცრემლით აივსო. შუაში, მაგიდაზე დგას პატარა თეთრი კუბო და მინდვრის ყვავილებში სძინავს თითქო მშვიდათ ალიკოს. ახლად დავარცხნილი წაბლისფერი ხუჭუჭა თმა შვენის ფერმკრთალს და არავინ უწყინს, სად წაიღო სიკვდილმა მისი ნორჩი ღიმილი. ლანდივით დაჰყურებს ლოყებდახოკილი, სანთელივით ჩამომდნარი დედა. ცრემლამომშრალ თვალებს ახამხამებს საცოდავათ და შეშლილივით ბუტბუტებს...

ასწიეს კუბო და მაშინ შეიცხადა ხმაჩახლეჩილმა, თავში მოირტყა ხელი და ცრემლებად დაიწურა.

ალმართს შეუყვა პროცესია. წინ ხრამჰესელების დროშა მიუძღოდათ და რამდენიმე გვირგვინი, მინდვრის ყვავილებისაგან დაწნული. ასალი დავითს მიჰყვებოდა გვერდით და გულზე შხამად ევლებოდა თებრონეს სიტყვები. ორ ქალს მიჰყავდა იგი და ჩავარდნილი ხმით მისტიროდა თავის პირმშოს:

...მე მოგკალი, შვილო, დაგენაცვლე, ჩემი ხელით მოგკალი... რა გვინდოდა აქ? ვისთან მოვდიოდით?.. რა ვიცოდი, ჭირიმე, [illegible] თეა თუ გეონდა... მარა ხუ გეშინია, გენაცვალე, დედიკო ხუ-არ [illegible]ტოვებ, მალე მოვალ და წაგიყვან... ბებიაშენი სახლში არ მიმიშვებს, შვილო, ისე... ცოტახანს მოითმინე, ჭირიმე, არ შეგეშინდეს, შვილო, ჩემო ბიჭუნი...

ასე მოსთქვამდა, ვიდრე სასაფლაომდის ავიდოდნენ, აქ კი, გათხრილი სამარე რომ დაინახა, გული შეუღონდა და ჩაიკეცა, საფლავის ძეგლის ჩრდილს დაემსგავსა.

უხილავმა ძალამ წაუბიძგა თითქო ასალოს, ქალთა წრე გაარღვია და თებრონეს მიეხალა. მაგრამ სანუგეშო სიტყვა ვერ იპოვნა, შებრუნდა და კუბოსთან ჩაიჩოქა, ოდნავ შეახო ათრთოლებული ხელი ხუჭუჭა თმას და ორი მოკამკამე კურცხალი დაეცა ყვავილებს... ვინ იცის, იქნება ამ ბავშვთან ერთად თავის დალუპულ გოგონასაც სტირის ახლა ასალო; იქნება ჰგონია: საპატიმროდან გაუშვეს და ახლად ამოთხრილ საფლავთან მიუსწრო მისი სიცოცხლის ყვავილს...

დააყარეს ბელტები კუბოს და სადღაც ტაშბაშისაკენ მშენებლებმა ლაღუმები ააფეთქეს; გაზაფხულის ჭექა-ქუხილივით გადაუარა გუგუნმა სასაფლაოს და შორეულ ხრამებში დაინთქა.

დაიცალა სასაფლაო. მხოლოდ რამდენიმე ბერძნის დედაკაცი დარჩა გალავანთან; ერთს გულმა არ მოუთმინა, მივიდა და მზრუნველი ხელით გააასწორა ამ უცხო ბავშვის სამარეზე უწესრიგოდ დაყრილი ყვავილები. მერმე ტაფობს გადახედა: ბაზრობა დაშლილი იყო.

XXVI

გულჩათხრობილი ბრუნდებოდა ასალო ტაშბაშში; ქუდი ხელში ეჭირა და ჭალარა თმა დალარულ შუბლზე ჩამოშლოდა. მის სმენამდე ვერ აღწევდა, ირგვლივ ყანებში რომ მწყერები ჭუკჭუკობდნენ, ვერც იმას ამჩნევდა, გადახრილი მზე რომ სწვავდა კეფას. რამდენიმეჯერ შეავლო თვალი სერს, მაგრამ თითქო არც კი დაუნახავს მოხასხასე მოლზე ცხვრის ფარასავით მიმოფანტული ქვები. სასაფლაოზე დავითს რომ განშორდა. მას შემდეგაც დედის წამებული სახე ედგა თვალწინ და კუბოში ჩასვენებული ბავშვი. ყურში ჩასწივოდა, ფიცრებზე რომ ბელტები ახრიალდა, თითქო ჯალათმა დაიგმინა საზარლად და სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს კისრის ძარღვები დაუწყვიტა. ეს მზარავი სურათი აგონდებოდა მუდამ, როდესაც მძაფრი სევდა შეიპყრობდა, ვინაიდან ჭაბუკობისას საპატიმროებში ყოფნის დროს აღებეჭდა იგი ხსოვნაში. სწორეულ იმ კვირაში გაიყვანეს ციხიდან დასახრჩობად სამი ვაჟკაცი, როდესაც ჩვილბავშვიანი ელენე საავადმყოფოში ესალმებოდა თურმე სიცოცხლეს...

ახლა ისიც კი არ იცის, თუ სად არიან ისინი დამარხული, ერთად ჩაჰ-
ყარეს დედა-შვილი ბიწაში, თუ ცალცალკე...

„ვბერდები, მაგრამ მოგონებები კი არ ბერდებიან!“ — ხმამაღლა ჩაილაპარაკა ასალომ და შორეულ ქედებს გაჰხედა; ვერც ღორღებიან კლდეებს სჭვრეტს და ვერც გომარეთის გასწვრივ ფერდოზე შეფენილ ტყეს, თითქო რკინაბანდი ალიმართა სივრცეში და სანახავად მოსულ ელენეს ესაუბრება საპატიმროში; ბავშვი ზეწარშია გახვეული, სახეც შეფუთვნილი აქვს და მარტოოდენ თვალები მოუჩანს, სწორეთ ისეთი, როგორიც დედამისს აქვს...

ხევის პირად ჩაუხვია და ქვას ფეხი წამოჰკრა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა და სოფლიდან წყაროზე მომავალი სომხის გოგოები განცვიფრებით შეათვალიერა, ერთი მისი ბინის მეპატრონის ქალიშვილი იყო და ასალოს შინაურულად გაუღიმა, მჩქეფარე სიცოცხლის ნაკადი გადმოაფრქვია თითქო თავისი მარღი თვალებიდან და ქართულად მიესალმა:

— გამარჯობა, ამხანაგო ასალო!

მერმე თვის ტოლებს გაუცინა ხმამაღლა და ვედროების რაწკუნით გაიქცნენ ისინი წყაროსაკენ; მოზრდილ ქალებივით მიაფრიალებდნენ გრძელ კაბებს და ხევი ბანს აძლევდა გაუბზარავ გულებიდან წკრიალით ამოხეთქილ სიცილს.

ასალოსაც უნებლიედ გაეღიმა და უმალვე ლადის ჩემოდანში ჩაკეტილი პორტრეტი მოაგონდა, ნათელას პირმცინარე პორტრეტი... რა იქნება, რამდენიმე დღით რომ წავიდეს ტფილისს და პირადათ ნახოს ეს მამაცი გოგონა, რომელიც ასე საოცრად ჩამოჰგავს ელენეს?..

ბრწყინვალე ოცნებასავით დაეუფლა ეს აზრი და ნაბიჯს აუჩქარა, თითქო ეს არის უკვე ტფილისს მიეშურებაო.

ლადი არ დასწრებია ფოფხაძის ბავშვის დაკრძალვას, გადაუდებელი საქმეები ჰქონდა. მას შემდეგ, რაც ვასო დვალიშვილის წინადადების მიხედვით გარდაქმნეს მუშაობა და შრომის ნაყოფიერება ერთობ გაიზარდა, უბნის ხელმძღვანელის მოვალეობაც გართულდა; ახლა გაცილებით მეტი დახმარება სჭირდებოდა ბრიგადებს, მეტი ხელსაწყო. მეტი მასალა...

ასალომ ოთახი გამოჰგავა და ვახშმის სამზადისს შეუდგა. მოუთმენლად მოელოდა ლადის, თითქო ეს ჭაბუკი მისი მბრძანებელი ყოფილიყოს და არ იცოდა, მისცემდა თუ არა ტფილისში წასვლის ნებას.

გვიან მივიდა ლადი და მაშინვე ახალი გაზეთი აიღო ხელში. თან დაკვირვებით მოავლო თვალი მაგიდას. წერილი ხომ არ მოუტანიათო. მერმე ასალო რომ ბავშვის დაკრძალვის ამბავს უყობოდა, ერთხანს თანაგრძნობით უსმენდა, შემდეგ კი რაღაც მოაგონდა და საგენერატორო საოგურის სამონტაჟო ნახაზები გაშალა... თხრობა შესწვიტა ასალომ, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ახლა მისი სიტყვები ყრუ გუგუნივით

დაინთქებოდა სიცალიერეში. სახეზე დააცქერდა მხოლოდ და... „გახდ ეს ბიჭი! მზეც მეტისმეტად მოეკიდა. დაღლილობა არ ემჩნევა, მგელ ცხლია და სიცოცხლით სავსე. მაგრამ ხანდახან ისეთი გამ... აქვს, თითქო მძაფრ ვნებას ებრძოდეს. რა მოხდა? სანებლიძის ცოლმა ხომ არ აუმღვრია გული? იქნება“...

ალარ დაუმთავრებია ასალოს ეს ფიქრი, ვინაიდან ლადიმ ისეთი ღიმილით მიუხედა, რომელიც მას ფრიად შვენოდა. გული გაუნათლდა ასალოს და სულ სხვანაირად მომზადებული ფრაზა ასე წარმოსთქვა:

— მოდი, ბიჭო, გამიშვი ტფილისში!.. ოთხი დღე დამაგვიანდება, მეტი არა.

— რა დროს წასვლაა ახლა! ხომ ხედავ, როგორი გამწვავებული მუშაობა გვაქვს! — გაიკვირვა ლადიმ.

— ძლიერ საჭირო საქმე მაქვს, ჩემი მეგობარი ქალისაგან წერილი მივიღე. — იეშმაკა ასალომ. — ნათელასაც ვინახულებ, თუ მისამართს მომცემ.

ლრმა შინაგანი ღიმილით გაუბრწყინდა ლადის თაფლისფერი თვალები და ასალოს სახე აარიდა.

— არა, ნათელა რა შუაშია! ისე კი, თუ აუცილებელი საქმე გაქვს წადი. ბიძია ასალო. სარდიონ წილოსანი შენს მაგივრადაც იმუშავებს...

*
* *

მეორე დღეს ღამის თორმეტ საათზე ასალო უკვე ტფილისში იყო. მეტისმეტად ეუცხოვა ეს გაჩირაღდნებული და აბობოქრებული ქალაქი, თითქო მთელი წლები გავიდა მას შემდეგ, რაც სავსებით მოსწყდა ამ გამუდმებულ გუგუნსა და ოროომტრიალს, ქუჩაში მიმომავალთა მრავალსახეობას და ქცეის ხეობის მყუდრო და უშფოთველ ცხოვრებას შეეთვისა. ეს ხალხიც თითქო სადღესასწაულოდ მორთულა და მრავალფერად ლივლივებს. ბრწყინავს, კაშკაშებს ათასნაირი სამოსი...

თავისუფლების მოედანთან ჩაუხვია და მყისვე შესდგა გაოგნებული: პროექტორების გრძნეულმა ალმა აიტაცა თითქო სივრცეში უზარმაზარი ნაცრისფერი შენობა და კამოს მოიერიშე ჯგუფიც განცვიფრებით გაჰყურებს თითქო ამ პრიალა ასპარეზს... სად გაჰქრა ტფილისის ქორვაჭრების ხიამაყე, ან ირანული მაღაზია სადღაა თავისი ნუშითა და ქიშმიშით?! ერთი წელიწადიც არ შესრულებულა ჯერ, ასალო რომ ტფილისში არ ყოფილა და, ხედავ, როგორ შეცვლილა აქაურობა!...

გამოუცდელ ბიელივით აუარა გვერდი თეატრებიდან გამოსულთ და ბინაში რომ მივიდა, დიდხანს არ დაეძინა. უამრავი სახეები ეხვეოდა გარს და განუწყვეტელი გუგუნიც მღვრიე მორევსავით იგრაგ-

ნებოდა, თანაც ხვალ დილით ლადის მიერ გამოგზავნილი წერილი უნდა გადასცეს ჩაოელ ას და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახთიადისას ჩასძინებოდა ღრმად. ცხრა საათზე [illegible] ...ასახლისმა საუზმე გაუმზადა, მაგრამ აღარ დაუცადა, დაიბანა თუ არა ხელპირი, უმალვე ნათელას ბინისკენ გაეშურა.

გული უჩქროლავდა, კარზე რომ ხელი დააკაკუნა, მწვავე ჟრუანტელმა აიტანა და თვალებზე ბინდი გადაეფინა; ეგონა, აი, სადაცაა გადაიხსნება კუპრივით პირგადაგლესილი უფსკრული და ელენეს მოალერსე სახე ამოანათებს დაუვიწყარი ღიმილით...

ხანდაზმულმა ქალმა გააღო კარი და მოკრძალებით შეეკითხა:

— ვინ გნებავს, ბატონო, თქვენ?

— მე... ნათელას ნახვა მინდოდა.

— ნათელა უკვე წავიდა. საღამომდე აღარ დაბრუნდება... რა საქმე გქონდათ მასთან?

— მინდოდა წერილი გადამეცა.

— დაგვიტოვეთ, ჩვენ გადავცემთ.

— არა, საღამოს მოვალ და მე თვითონ ჩავაბარებ.

დამძიმებული ნაბიჯით ჩაჰყვა ასალო კიბეს, ეზოდან გავიდა და მწარედ გაეღიმა, მერმე თავისთავს უსაყვედურა: „მუდამ ასეთი ფანტაზიორი უნდა იყო, ბიჭო, შენ?.. რას დაეძებ, ვისი პოვნა გწადია? გაგონილა, მიცვალებული რომ საფლავიდან დგებოდეს?.. არ გინახავს, ადამიანი რომ ადამიანს დაჰგვანებოდეს?.. სრულიად უცხო, სულ სხვა დედმამის შვილი... საავადმყოფოში ხომ ყველაფერი გამოირკვა, ხომ გასკდა მიწა და სამუდამოდ ჩაიტანა მთელი შენი იმედი, ელენეც და ის თოთო ბავშვიც... ჰო—და, ნულარ ჩერჩეტობ ამ სიბერის დროს, პირდაპირ შეხედე თვალებში სინამდვილეს“...

ვერის ხიდთან მტვერს თავი დააღწია და ახალ სანაპიროს გაჰყვა. ჰაერი დაიწმინდა. ლამაზ სარტყელივით დამშვენებია მტკვარს ფართო სვეტებიანი მოაჯირი. ცოცხალ მესრებივით ჩამწკრივებულა ნორჩი ჭადრები, აქა-იქ უკვე შეფოთლილი. ოდნავის შრიალით მიმოჰქრიან ავტობები სარკესავით სხმულ ასფალტზე. აქ კი, მადათოვის კუნძულზე, სადაც შმორიანი ჭაობი იდგა და მთელი ტფილისის სანაგვე იყო, ბაღი აღმოცენებულა, მაღალი ნაძვები და კვიპაროსები ამოხეთქილან რამდენიმე თვეში; ახალ მორწყულ ყვავილებზე უამრავი ალმასი ციმციმებს და... როგორის ოსტატობით ასრიალებს ეს ბავშვი პატარა ველოსიპედს!..

მოალერსე ღიმილით დააცქერდა ასალო ამ მალხაზ ბიჭუნას და ისევ ეგონა, თავზე ხელი მოუსვამ, ეს სიტყვები რომ გაივლო გულში: „ინავარდე, ჩემო კარგო, ინავარდე! შენთვის შენდება ეს ბაღი, შენთან ერთად დავაჟკაცდებიან ეს ნერგები და შენ რომ შენს სატრფოსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაივლი ამ ხეივანში, ეს ხეებიც თანშეზრდილივით აშრიალდებიან, მშობ-
ლიურად შეარხევენ შტოებს და იდუმლად მოგიყვებიან ...
ბელთა გმირულ თავგადასავალს"...

მუხრანის ხიდთან ჩამოხტა ტრამვაიდან და კვლავ მტვერში გაეხვია. აქ ქვებისა და სილის გორები იდგა. ავლაბრისაკენ, ნესტიან კლდის პირად, აღმართი თითქმის გაესწორებიათ და მოედანივით ფართო გზას მოერიშე ათასეულივით შესევოდნენ მუშები, ფისს ადუღებდნენ ვეებვა ქვაბებში, ხრეში მოჰქონდათ, ტრამვაის ლიანდაგი გაჰყავდათ, ქვებს სთლიდნენ და მოაჯირს ალამაზებდნენ. ბუღში გახვეული, წელზემოდ სამოსგახდილი ვაჟკაცები, მზისაგან დამწვარნი, ფოლადივით მაგარკუნთებიანნი და ხელხვავრიელნი პირქუშად გამოიყურებოდნენ და ისე იყვნენ დანთქმული თავიანთ საქმეში, თითქო თაკარა სიცხისაგან გავარვარებული ქალაქის გაბმული გუგუნი მათ სმენამდე ვერც კი აღწევდა. ხოლო ხელჩართული ბრძოლის ასპარეზივით გაშლილი გზა ბუნდოვან ოცნებასავით მიიწევდა ზევით, თითქო ჟუჟუნა წვიმისაგან პირდაბანილ ღილას მოელისო...

მეტეხის შესახვევთან შესდგა და უნებლიედ ირგვლივ მიმოიხედა. ხიშტებიანი ჯარისკაცები ხომ არ მომყვებაო, ხელებიც შეათამაშა: ჯაჭვები არ აჩხარუნდესო. მერე ციხის კედლებს შეავლო თვალი და ძველისძველი მრისხანებით გადმოდგა ეს სისხლჩაქცეული ჯალათი, სახრჩობელასავით აღიმართა და უამრავ განწირულთა ლანდები შავ ძაძაში გაჰხვია; მუნჯი იყო ეს კედლები და ენით გამოუთქმელი მწუხარებით გაჟღენთილი...

ჟანგისაგან დაჭმულ რკინის კარებს მიადგა. დაკეტილი იყო. მერე ნაცნობი შეხვდა და ქვედა კორპუსიდან შეუძღვა.

— აქ ქართული ხელოვნების მუზეუმისათვის ისეთი სასახლე შენდება, მთელი ტფილისის თვალი იქნება. — ეუბნება ასალოს თანამგზავრი.

ჰო, ინგრევა, სავსებით აღიგვება დედამიწის პირისაგან ეს ბასტილია. მარტოოდენ ეს ძველი ეკლესია დარჩება ხელუხლებელი. ხუთმეტი საუკუნეა დგას ეს ძეგლი აქ; მრავალმეტყველ მოწმესავით დაჰყურებდა საქართველოს დედაქალაქის არაერთგზის აოხრებას. მეფე ერეკლემ გაანთავისუფლაო წაუწერიათ ამ ტაძრის კედელზე. ჰმ, გაანთავისუფლა! ! წოლიდ მერმე ააგეს ეს ცოცხალთა სასაფლაო... ახლა კი რა მსუბუქი და საანო ჰაერია აქ, თითქო ამ წუთას შემოევლო თავს ეს ნიავი კავკასიონის ბროლივით მოკაშკაშე მწვერვალებს, თერგისა და არაგვის ნანჩქრეცი ნიიტაცა და უცნაური შრიალით დაბორიალობს ამ ნანგრევებში.

აბჩატდა, წელში გაიმართა ასალო, ვიწრო კიბეს აჰყვა მეორე სართულისაკენ. თაღებს ძელები ჰქონდა შედგმული და აგურის ნამსხვრევები ეყარა საფეხურებზე. აკლდამისებურ დერეფანში შეუხვია; გამონ-

გ/ეულ ფახ.ერებიდან და ლია კარებიდან სინათლე შემოღვრილიყო შიგ
და აღარსად იყო სულის შემხუთავი ჰაერი საპატიმროსა, ერეკ ადგისითა
და ლა.ით მხრჩოლავი ლამპები ეკიდა გამჭვარტლულ [illegible] ამ საკ-
ხის კარს მიადგა, სადაც მთელი წელიწადი იყო ჩაკეტილი, და ფრთხი-
ლად შეახო ხელი რკინის ურდულს, დამტვერულსა და ჟანგმოკიდებულს;
სარკმელსაც მიაპყრო მოგონებათა ანარეკლით დაჩრდილული თვალები
და... რამდენჯერ მიყრდნობია ასალო შუბლით ამ ფიცარს, როდესაც
შავფარაჯიანი მეციხოვნე აბრახუნებდა ლურსმნებიან ჩექმებს დერე-
ფანში, თითქო ახლად გათხრილ საფლავში ჩაშვებულ ცხედარს ბელ-
ტებს აყრიანო... ამ დახშულ საკანში თავსდებოდა მაშინ მთელი ქვეყნი-
ერება და ნაადრევად მოწყვეტილ ფოთლებივით სცვივოდა დღეები სი-
ჭაბუკისა; სასიკვდილოდ განწირულთა გმინვასავით ამოიჭრებოდა დი-
ლით ბორკილების ჟღარუნი და სიმწრის ოფლივით შეჟონილ ჭერს ქვეშ
ტრიალებდა მზარავი ზუზუნი, ცივი და ულმობელი. აი, გაუღეს თითქო
კარი ასალოს და სხვა კატორღელებთან ერთად გამოუშვეს სამსართუ-
ლიან ციხის კედლებით შემოზღუდულ ეზოში; ჯარისკაცებივით ჩამ-
წკრივდნენ ორ-ორი და აჩხარუნდა კრიალა რგოლები, სქელი სალტეე-
ბით კოჭებთან შეჭედილი. მედიდურად დგას შუაში მეციხოვნე, პირქუ-
შად უთვალთვალებს მათ და ხუთმეტი წუთით საკნებიდან გამოყვანილთ
ბრძანებლობს: „წინ დაიხედე!“ „ლაპარაკი არ გაბედო!“ და გარს უტრია-
ლებენ ისინი ამ საფრთხობელას, მძიმე რევოლვერითა და ხმალით შე-
ბურვილს, თავისუფლების შემმუსვრელთა მონას, რომელსაც თითოეული
მათგანი მოერეოდა, კედელზე შეანარცხებდა მჩვარივით, მაგრამ მის
ზურგს უკან მთელი ლაშქარი იდგა და სივრცეც სახრჩობელას მარყუ-
ჟებით იყო დაქსელილი გალავნიდან გალავნამდე. ამიტომ იდგა მეციხოვ-
ნე ასე ამაყად და დაუშრეტელი ბოლმით ივსებოდა შეჯაჭვულ ადამიან-
თა გული. ბორკილების რაჩხარუჩხით გარს უვლიდნენ ისინი მეციხოვნეს,
ჭერგადახდილ ზეცისაკენაც იშვიათად აიხედავდნენ გულჩათხრობილნი,
ხოლო ირგვლივ სქელი კედლები იყო აღმართული და სარკმლებიდან
ტუსაღთა შუქმოწყურებული თვალები გამოკრთოდა ნისლგადაფენილ
ვარსკვლავებივით. და ჩვეულებრივი სართულები კი არ იყო ეს, ცხრა
მთას იქით ჩამოქცეული ნაპრალი იყო, მოწყვეტილი ყოველივე ადამია-
ნურს; მზის ამოსვლასაც ისეთივე მწუხარებით ეგებებოდნენ აქ, როგორც
უძილო ღამეს, გაზაფხულიც ისევე მოსაწყენი იყო და აუტანელი, რო-
გორც შემოდგომის ღრუბლიანი დღეები. სიზმარივით ახსოვდათ, იქვე ახ-
ლოს რომ დიდი ქალაქი ბობოქრობდა, ქუჩებში ეტლები მიმოჰქროდა და
ბაღებში მოსეირნენი იცინოდნენ... ქარხნის საყვირის ხმას თუ მოჰკრავ-
დნენ დილით ყურს და სასიცოცხლო ნუგეშით გაიმსჭვალებოდნენ...

საკანში შევიდა ასალო და კედელს დააცქერდა: ძველი წარწერები
ხომ არ დარჩენილაო; ეკრანივით აენთო იგი და ლ ა დ ო კ ე ც ხ ო ვ ე ლ-

მა ნაღვლიანად გაუღიმა, სწორედ ისე, ამ საკანში ყოფნის დროს რომ წარმოადგენდა მის სახეს, იმედის შარავანდედით მოსილს, [illegible] შუქით ანთებულ მწვერვალისაკენ აღმავალს. მაგრამ ეი [illegible] და ტარგადატეხილ დროშასავით მოსწყდა ფანჯარას ლადო, იატაკზე დაეცა განგმირული და ახალ საუკუნეთა მხილველი გულის სისხლით გაბრწყინდა დროშა... ეს არსენ ჯორჯიაშვილია. ღამეა ჯერ და მეტეხიც ღამესავით ჩაშვავებულია; უფსკრულია ყველგან და დასაყრდენი არსად მოიპოვება. სიკვდილ მისჯილთა საკნიდან გამოჰყავთ ჯორჯიაშვილი, უმოწყალოდ ნაცემი და დაჭრილი. ღამის სისხლმა იფეთქოს ფრჩხილებიდან, ისე მაგრად აქვს ხელები გაკრული. და რამდენი ჯალათი ეხვევა!.. თავით იგერიებს არსენი იმათ, წელში იმართება და ამაყად მიდის სახრჩობელასკენ... ეს კი კამოა. პირდაპირ შეჰყურებს თვალებში სიკვდილს და ჩიტი უზის მაჯაზე მიმინოსავით, ფრთებს უსწორებს; თვითონაც გასაფრენად ემზადება. შეშლილივით გაუღიმებს მეციხოვნეს, ხოლო მარტო რომ დარჩება, იმას ანგარიშობს, თუ რამდენი ყუმბარა უნდა ააფეთქოს კიდევ, ან ლენინი და სტალინი როდის ინახულოს... იმ ყუმბარების ძალამ ხომ არ შეანგრია ახლა ეს კარები...

ურკინაბანდო ფანჯარას მიადგა; ღორღებიან გამოქვაბულს დამსგავსებოდა იგი და ჰორიზონტზეც სულ სხვა სურათი გადაიშალა. მხოლოდ რუხი გორები დარჩენილიყო უცვლელად; რამდენჯერ უნატრია იქ ასვლა ასალოს...

სხვა საკნებშიაც შეიხედა და უამრავი ლანდები დაბორიალობდა ოთქო ამ მკვდრულ დუმილში... აქ თომა ჩუბინიძე იყო ძოთავსებული. მაგიდასთან იჯდა ხოლმე და წიგნს ჰკითხულობდა. წვეული მოშვებული ჰქონდა თომას და სახეზე საპატიმროს ჩრდილი ეფინა. მაინც მხიარულად გაუღიმებდა ასალოს და ეს ღიმილი მომავლის ანარეკლივით ენთებოდა ვიწრო საკანში...

„ეს ეს ეს, ეს ეს“...

წამოდგა. ნანგრევთა შორის თვალი მიმოატარა, თითქო აქ ჩარჩენილ დღეებს იბეჭდავსო მეხსიერებაში. მერმე ამჩატებულ[illegible] ქალაქისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXVII

ქუჩებში აუტანელი სიცხე იდგა. ჩაიქროლებდა ავტომობილი და მღვრიე შადრევანივით აიჭრებოდა გავარვალებულ სივრცეში ქვაფენილიდან ახვეტილი მტვერი. მთიდან ჩამოსულ ასალოს სული ეხუთებოდა. მოენატრა ტაშბაშის ცივი წყარო და წმინდა ჰაერი. ნეტავი მალე დაღამდესო, ჰფიქრობდა ასალო. გადასცემს წერილს ნათელას და ხვალვე გასწევს ხრამჰესისაკენ. ბიჭებს ახლა იქ დღედაღამე გასწორებული აქვთ განა შეიძლება ასეთ დროს დღეების გაცდენა? სარდიონი კარგი მუშაა, მაგრამ ორი კაცის საქმეს მაინც ვერ გასწვდება... ლადისაც უნდა მიხედოს, ის ქალი ეშმაკივით შეუჩნდა. რა დაუშლის ხელს. სილამაზე აკლია, თუ გამოცდილება...

საჭმელების საამო სუნი მოხვდა და შიმშილი იგრძნო. მყისვე შეუხვია სასადილოში. კუთხეში პატარა მაგიდა თავისუფალი იყო. მის წინ, სულ ახლოს ოთხი ახალგაზრდა ხმაურობდა; უკვე საკმაოდ დანაყრებულიყვნენ და ღვინოს შეექცეოდნენ. თეთრხალათიანი კაცი მიეახლა ასალოს და თავაზიანად შეეკითხა:

— რას ინებებთ, ჩანახსა თუ ყაურმას?

ასალომ კერძი დაუკვეთა და ირგვლივ თვალი მოავლო: ყველას, დახლში მყოფ ქერა ჭაბუკსაც, სახე შეფაკლოდა და ეს იყო კახური ღვინის ნაძალი, სასმისში მოთამაშე წინწკლებივით მჩქეფარე, სიცოცხლით სავსე. ამ ოთხ ახალგაზრდას კი ფრიად ენაწყლიანი თამადა ჰყავთ, ინტიმურად ლაპარაკობს და ეტყობა გულწრფელია, თვალები უბრწყინავს და ამ ფართო თვალებში სამეგობროდ გაშლილი გული უელვარებ[illegible].

მოეწონა ასალოს ეს ღიმშეუმშრალი თამადა და სიამოვნებით უგდებდა ყურს. თვითონაც მოითხოვა ნახევარი ბოთლი ღვინო და თავი ისე წარმოიდგინა, თითქო მათთან ერთად მხიარულობდა. მაგრამ აი ერთი თმახუჭუჭა ახალგაზრდა წამოდგა და მეორემ მაჯაში ჩაავლო ხელი.

— არა, ჯერ ნუ, თუ ძმა ხარ, შალიკო, თითო ჭიქა კიდევ დავლიოთ!

— ნუ გაჭირვე, კაცო, საქმე, დაჯექი! რაღაცა „სახალტურო“ საქმე გექნება ამ სალამოს, მეტი ხომ არაფერი! ამისთვის გვტოვებ ამხანაგებს! — მიმართა მესამემ.

— ძალზე საჩქარო საქმე მაქვს, ძმობას გეფიცებით, თორემ თქვენთან ყოფნას რა ჯობია. განაგრძეთ, ნუ მოიწყენთ. — უპასუხა მათ თმახუჭუჭამ და ქუდი დაიხურა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამადამ ანთებული თვალები გადაჰკრა ამხანაგებს:

— გაუშვით, წავიდეს! მაგას განა მეგობრობა და სიყვარული გაეგება?

თმახუჭუჭა ღიმილით გამოეთხოვა მათ და სუფრაზე უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ასალომაც იგრძნო თითქო ეს და კოხტად გამოწყობილ თმახუჭუჭა ჭაბუკს თვალი გააყოლა.

—იცით რა? — დაარღვია სიჩუმე თამადამ. — მაგასთან დღეს მე პურისჭამაც არ მინდოდა.

— რატომ?

— რატომ და... მაგრამ ჯერ დაიცათ, ერთი ჭიქა დავლიოთ... ეს ჩვენი თაობის სადღეგრძელო იყოს, კაი ბიჭის, ახალი ადამიანის...

გრძლად გააბა სიტყვა თამადამ და ფართო თვალებში კვლავ სამეგობროდ გაშლილი გული აუელვარდა. ასალომაც მათთან ერთად გამოსცალა ჭიქა და, ახალგაზრდებმა რომ ხმადაბლა მრავალჟამიერი ჩააღიღინეს, გუნებაში თვითონაც ბანი მისცა.

— ვინ იყო, „სახალტურო“ საქმე გექნებაო რომ უთხრა? — წამოიძახა შემდეგ თამადამ. — ჰო, შენ ალექსი! სწორია, ნამდვილი მეხალტურეა მაგი, საძაგელი მეხალტურე!

— ვაჰ, ერთი ამას უყურე და! შენ არ დადიხარ ქალებში თუ რა? — შენიშმა შავთვალწარბა ჭაბუკმა.

— დამაცა, ჯერ გაიგე რაშია საქმე. ახალგაზრდა კაცმა თუ ცოტა არ იეშმაკა, ისე როგორ იქნება, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს... შენ ეს მითხარი, არსებობს თუ არა სიყვარული, მეგობრობა, ოჯახი?

— მა რა, ველურები ხომ არა ვართ!

— მართლაც და, ჩვენ ხომ თავი მოგვწონს: ახალი ადამიანები ვართ, სოციალისტური საზოგადოების წევრიო. ახლა მაგის ამბავს დაუგდეთ ყური და სთქვით მერე — ღირს თუ არა მაგასთან ამხანაგობა და პურის ჭამა.

— რა მოხდა, კაცო, ისეთი?

— ნამდვილია ეს, შეთხზული არ გეგონოთ. შემთხვევით წავაწყდი. ერთ ქალიშვილს ვიცნობდი, წინად კომკავშირში ერთად ვმუშაობდით. მშვენიერი გოგონა იყო, გატაცებული, გულწრფელი. მერე მასწავლებლობა დაიწყო. გადაკიდებია ეს ყმაწვილი, ცოლად შეგირთავო, მოუხიბლავს. მე შენ გეტყვი, გარეგნულად ცუდი ბიჭია, ან ენა არ უვარგა თუ რა. ამას წინათ შევხვდი იმ ქალს და ველარ ვიცანი, ლანდს დამსგავსებია, თვალები ჩავარდნია, ჭლექიანი გეგონება. მერე ამხანაგმა მიამბო: მთელი თვეები ქალის ბინაში ცხოვრობდა თურმე, მაგრამ როგორც კი შეატყო ფეხმძიმედაო, მაშინვე გაიპარა თურმე, ორ თვეს არ გამოჩენილა, მშობლებთან ყოფილა საავარაკოდ. ქალს კიდევ იმედი ჰქონდა —

არ მიღალატებსო. ტფილისში რომ დაბრუნდა, ქალმა მოსძებნა, მაგრამ ვინ ხარ, ჩემთან რა საქმე გაქვსო... ქალი ზაფრისაგან [illegible] ჩავარდნილა. წარმოიდგინეთ ახლა თქვენ იმ ლანდათ ქცეულ ქალის მდგომარეობა და თქვით — ღირს მაგასთან ამხანაგობა და მეგობრობა?

სასადილოში მეჭიანურე შევიდა. ყველანი მხიარული შეძახილით მიეგებნენ. ჭუჭყიანი ხალათი ეცვა მეჭიანურეს, საკინძგახსნილი. სოკოსფერი სახე ჰქონდა და წყალჩამდგარ თვალებს მაგიდიდან მაგიდისკენ აცეცებდა. რამდენიმე ჭიქა გადაჰკრა ზედიზედ, მეოცნებესავით ჭერს შეაშტერდა და სიმები ააკრიმანჭულა. ყველანი სმენად იქცნენ. ასალოც გარინდული უგდებდა ყურს ამ უცნაურ მსახიობს და თანაც ჰფიქრობდა: „რამხელა მანძილია ადამიანიდან ადამიანამდის!? მე მთელი სიცოცხლე დაღუპულ ცოლშვილისათვის გლოვას შევალიე, ის ყმაწვილი კი ორსულ ქალს გაურბის! არც შვილი სწამს და არც მეგობრობა...ეს რა ტერმინი შემოულიათ! წინათ „ხალტურას“ იმას უწოდებდნენ, მწერალი რომ თავის ნიჭსა და უნარზე უფრო დაბალ ნაწარმოებს გამოაქვეყნებდა. მერმე შოფერების მიმართ შემოიღეს, ზედმეტ მგზავრს რომ წაიყვანენ და ფულს ჯიბეში ჩაიდებენ, ახლა კი მეხალტურე მგონი რაღაც ახირებულ დონჟუანს გამოხატავს... ჰაი, ჰაი, ბიჭებო! უფრო მწვავე, უფრო გესლიანი დაღი უნდა დაასვათ იმათ, ვისაც სოციალისტურ საზოგადოებაშიაც შემოაქვს აზნაურული ზნედაცემულობა“...

საიდან მოაგონდა ეს სიტყვა — აზნაურული? ჰო, ნათელას წერილში ამოიკითხა...

საათს დახედა და მყისვე წამოდგა. ქუჩაში რომ გამოვიდა, თითქო ჩრდილდაფენილმა ტალღამ მოიტაცა (მზე გორს მიჰფარებოდა); მრავალ წელს ფიქრთა ხვეულებში შემონახული ოცნება შეფართქალდა, მძლავრ ფრთებში გახვია ქალაქის გუგუნი, მოოქროვილ ცის თაღისაკენ აიჭრა და... ასალო ისე მიისწრაფის, თითქო მისი და ელენეს თამარი გაუცოცხლდა, თითქო დიდი ხანია მიელის ის, მშობლიურ ალერსს მონატრებული... დაძრულ ტრამვაის შეახტა და მგზავრებში გაიჭედა; შალის კოსტუმი აცვია და ოფლშია გაღვრილი, მაღალი შუბლის ნაოჭებშიაც ოფლი ჩასდგომია და ფართო თვალები აბანოდან გამოსულივით უბრწყინავს. ურთიერთზე მჭიდროდ მიტმასნებული ხალხი მხარით გაარღვია და კართან გაჩერდა. არ გაუგონია, ვილაცამ რომ დაუყვირა, გვერდები ნუ ჩამამტვრიეო. გადაბინდული მზერით გაჰყურებს ქუჩას და მასთან ერთად მოძრაობს და მიჰქრის წინ სახლების დამტვრეული კედლები, ავტოები და სახედაგრძელებული მოსეირნენი, ტროტუარის გასწვრივ ჩამწკრივებული ხეებიც ჩაბმულან ფერხულში და უწყვეტი გრიალით, რახრახითა და ზვაურით მიემართება ყველაფერი იქითკენ, სადაც თამარი დგას ახლა და მოუთმენლად მოელის ასალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერებამდე გადმოხტა და ეზოში შესავალთან შესდგა, გულზე დაიდო ხელი, თითქო ბადეში გახვეული მიმინო შეირხა მძლავრად და გაფრენას ლამობსო. მერმე ოფლი მოიწმინდა და ირგვლივ მიმოიხედა. ტარა ბიჭს უთოს ოდენა ავტომობილი შერჩენოდა ხელში და ამ სახეწამოგზნებულ უცხო კაცს მისჩერებოდა; შეიძლება მთვრალი ეგონა და გასაქცევად მზად იყო. აი მართლაც შებრუნდა იგი და ეზოდან გამოსულ ქალ-ვაჟს მიაშურა:

— დეიდა, ნათელა! როდის წამიყვან აეროდრომზე?

კედელს მიეყრდნო ასალო, ციებცხელებიანივით შეაკრეჭოლა და თვალთ დაუბნელდა; შორეულ აჩრდილივით ხედავს ბუნდოვნად, ნათელა რომ დაიხარა და ბავშვს ნიკაპზე ხელი მოუსვა. სურს თვალები მოიწმინდოს და მოწყურებული მზერით მიიხუტოს მკერდზე ეს ნანატრი სახე, მაგრამ თითქო დამბლა დაეცა და განძრევა არ ძალუძს, თითქო კიდევაც ეშინია: მოჩვენება არ იყოსო და არ დავაფრთხოო. რამდენი ხანია იდუმლად მოელის ამ წუთს და ხლა რომ უცებ მოსწყდეს წამწამებს სიხარულის ცრემლივით, ხომ მასთან ერთად დაინთქება ჟამთა უფსკრულში! აქვე ახლოს არის სადღაც დიდი ქალაქი, ქვაფენილზედაც მიმოდიან ალბათ, ასალო კი მარტოოდენ ნათელას პროფილსა სჭვრეტს და ელენე უდგას თვალწინ. არა, ეს თამარია; მოხდა სასწაული და ვილაცამ გადაარჩინა სამადლოდ...

მაგრამ ის მიდის, კოხტა ვაჟმა გამოსდო ხელი და ასალოსაკენ არც გამოუხედავს. მყისვე გამოფხიზლდა და უკან დაედევნა მათ. საკმაოდ მიუახლოვდა; ხმა ესმოდა მათი, მხოლოდ სიტყვებს ვერ არკვევდა, არც აინტერესებდა, ნათელას აღნაგობას აკვირდებოდა და... ელენე უფრო მაღალი იყო, ეს ოდნავ ტანმორჩილია; ელენემ გოგმანით სიარული იცოდა, ეს კი ვაჟკაცურად ადგამს ლამაზად ჩამოსხმულ ფეხებს, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელები აცვია და თმაც ვაჟურად აქვს შეკრეჭილი. იმისი თმა ასეთი დაყურსული შავი არ იყო, ეს ყორნის ფრთასავით ბრწყინავს. მიხვრა-მოხვრაშიაც მეტი ნებისყოფა გამოსჭვივის... არა, რატომ ჰგონია ასალოს, რომ თვალებითა და სახის იერით ერთმანეთს არ დაემსგავსებიან შორებლები? სხვა რაა მათ შორის საერთო? ეს მოქნილი მხრები და მზემოკიდებული ყელი... იქმნება ნაწნავები რომ არა აქვს, იმიტომ მოჩანს ასე მაღალი? სმენად იქცა ასალო და ნათელას ხმაც ეუცხოვა, სულ სხვა კილოა ეს, სხვანაირად ჟღერს და სხვა ხასიათს, სხვა მისწრაფებებს გამოხატავს. თითქო ორი გუმბათი ალიმართა სივრცეში: ერთი დაბალია და ჰაერდახშული, გაბზარული ხმა აწყდება თაღებს და ამაოდ ეძებს გამოსავალს, უსასოოდ ზუზუნებს და უკურნებელი სევდით ჰკაწრავს გულს, ხოლო მეორე ცის ლაჟვარდებშია გადასარკული და არა აქვს დასასრული ზეაღმავალ ჰანგების ჰარმონიას...

მოსახვევში ვაჟმა უკან მოიხედა და ზარდაცემულივით შეხტა ასალო. ეს ხომ ის თმახუჭუჭა ყმაწვილია, წელან რომ [illegible] ალარ დაიცადა და თამადამ მასთან პურისჭამა სამარცხვინოდ მიიჩნია! დაიცა. შალიკო ახსენეს მგონი მათ?.. აჰ, აი ვინ ყოფილა შალიკო ქავთარაძე! ფეხმძიმე ცოლი მიუტოვებია და ახლა...

ლადი მოაგონდა ასალოს და ნათელას წერილი. ახლა მიხვდა, თუ რატომ აუმღვრია ლადის გული ქავთარიძის ხსენებამ. ისეთი გრძნობა დაებადა, თითქო ასალო კი არ გაჰყურებდა მათ, ბალისაკენ მიმავალთ, არამედ ლადი იდგა მის ნაცვლად აქ და მძვინვარე ეჭვის ცეცხლი შემონთებოდა.

„ჰმ, ასეა მაშ საქმე!“ — გაივლო გუნებაში ასალომ და ქალ-ვაჟისაკენ გასწია. მთვარეულივით მისდევდა მათ და, ქუჩა რომ გადასჭრა, ბეწვზე გადარჩა, ავტომობილმა კინალამ გაიტანა. ისინი უკვე ბაღში შევიდნენ, როდესაც ასალო ჭიშკარს მიადგა. ვილაცამ ზრდილობიანად მოაგონა — ბილეთი აიღეთო. სალაროს მიაშურა, თვალი კი მოსეირნეებისაკენ ეჭირა, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ნათელას ხედავდა.

მაღალი ხეების გადაბარდნილ შტოებში უკუქცეულ შადრევანივით ღვრებოდა ნათურების შუქი და ნაზად ციმციმებდნენ რძისფერი ნანჩქერივით გაბანილი ფოთლები; და ისეთი მყუდროება სუფევდა ამ შებურვილ სივრცეში, თითქო ნიავიც არ შეხებოდეს კენწეროებს ოდესმე.

მორწყულსა და ჰაერდაწმენდილ ხეივნებში ჯგუფჯგუფად მიმოდიოდნენ მოსეირნენი. ასალოს გაბმული ხმაური ესმოდა მხოლოდ, იშვიათად თუ მოჰკრავდა ყურს ლაღ კისკასს, თითქო მოჭიკჭიკე ფრინველი შეფართქალდაო ფოთლებში. ნათელას დაეძებდა გულაჩქროლებული, ეგონა,საშინელი განსაცდელი მოელისო ახლა ნათელას და თუ დროზე არ მიეშველა, რა პირით უნდა მივიდეს ლადისთან, რითი უნდა იმართლოს თავი მეგობართან, რომელსაც დღედაღამე მოსვენება არა აქვს და მთელი ძალღონით იბრძვის გეგმის შესრულებისათვის. ლადი მშენებლობის ფრონტზეა, მხნედ მიუძღვის წინ თავის რაზმს და იერიშიდან იერიშზე გადადის, მისი სატრფო კი ვის ადევნებია, ვისთან ატარებს დროს! აკი ათასი მეტრიდან რომ ძირს მოფრინავდა, მაშინაც ლადი ახსოვდა, მას ეძახოდა და უსაყვედურებდა — შენ გვირაბში დაძვრები და ჩემ ხმას როგორ გაიგონებდიო!.. არა, იქნება არ იცის, თუ რა მაცდური მიჰყვება გვერდით, ვინ იცის, ეგება ჰგონია — ამ ყმაწვილის გულიც წმინდაა და სიყვარულით აღსავსე... სად გაჰქრნენ?! იქნება უკან გაბრუნდნენ?

ყველა ხეივანი მოიარა ასალომ, მტკვრისკენაც გადაიხედა, მაგრამ ისინი ვერსად იპოვნა. დაკარგულ ბავშვივით აცეცებდა თვალს და, ვერ ამჩნევდა, მოსეირნენი რომ ირონიულად ახედ-დახედავდნენ ხოლმე ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაოფლიანებულ კაცს, თითქო ხანდაზმული მიჯნური ვნებიან ეკვეს შეუპყვრია და მოღალატეს ამაოდ დაეძებსო.

ბოლოს საზაფხულო კლუბის ფიცარნაგზე შესდგა და.. აგერ წინა რიგებში სხედან ისინი! თავისუფლად ამოისუნთქა ასალომ და გამოსასვლელთან ჩამოჯდა. ესტრადაზე თეთრსამოსიანი ჭაბუკი მოსწრებულად ოხუნჯობდა და ხალხს აცინებდა. მსახიობი რომ მოიწყენდა და ისეთ გამომეტყველებას მიიღებდა, თითქო ტირილს აპირებსო, მაყურებლები სწორედ მაშინ ხარხარებდნენ. ასალოსაც ღიმილი მოერია და მსახიობს თვალი აარიდა, ვინაიდან თავისი მდგომარეობა უფრო სასაცილოდ მიიჩნია. რამ შეაშფოთა წელან, თავქუდმოგლეჯილი რომ დარბოდა ბაღში და რაღაც უსაშველო საფრთხეს მოელოდა? ლადი ეცოდებოდა ეგზომ გულმტკივნეულად, თუ თავის დამწვარ ოცნებას მისდევდა, გაზაფხულის ცვარივით აორთქლებულ ოცნებას? ეგების ელენეს ცრემლები იყო იგი, უკანასკნელი ცრემლები, უმწეო ბავშვს რომ დააფრქვია სიკვდილის ჟამს, და ახლა ვინ გაიგებს, სად დაინთქა იგი, რომელ მდინარეს შეუერთდა, რომელ ოკეანეში გაითქვიფა, სად წაიღეს ღრუბლებმა, რომელ ბაღს მოასხურეს და რომელმა ნერგებმა შეისრუტეს... მაინც ხომ ერის იგი სადმე, ვინაიდან ამბობენ — ამ ქვეყანაზე არც ერთი ატომი არ იკარგებაო, სახეს იცვლოსო მხოლოდ...

ესტრადაზე მეორე ენამჭევრი სატირიკოსი ამეტყველდა და მაყურებლებს ისეთი სიცილი წასკდათ, მთელი დარბაზი არახრახდა. ასალოს რომ ვინმე სახეზე დაჭკვირვებოდა, იტყოდა: ზედმეტი სიცილისაგან ცრემლი მორევიაო, რაკი წამოგზნებულიც იყო და წამწამებზე კურცხალი უბრწყინავდა.

ფარდა ფარდას შეუერთდა და ხალხიც წამოიშალა. სკამს დაეყრდნო ხელებით ასალო და ნათელა რომ მიუახლოვდა, ერთ წამს კილავ გაჭრა სინამდვილე, განძრევა აღარ შეეძლო, თორემ უთუოდ მივარდებოდა და მოეხვეოდა, მაგრამ ვის მოსწრებია, ბნელეთში ღამენათევმა ამომავალ მზეს მისწვდეს და გულში ჩაიკრას! მისი შუქიც ეყოფა, საიცოცხლოდ ანთებული შუქი. იცის ეს ასალომ, იცის და უკვირს: ეს შავგვრემანი სახე, ეს ღიმილი და ეს თვალები ნუ თუ ელენესი არ არის?".

გვერდით რომ ჩაუარეს, ვაჟმა რაღაც წასჩურჩულა ნათელას ყურში და ასალოს არ მოეწონა ეს, თითქო უწმინდური სუნთქვა შეეხო ამ უმანკო სახეს და სულ სხვა იერით დაინისლა იგი; ახლა ნათელას ღიმილიც ეუცხოვა და თვალთაგან გამომკრთალი შუქიც. კვლავ ლადი მოაგონა და წარბები შეიჭმუხნა, მწვავე ტკივილით შეეკუმშა გული. ძლივს აითრია ფეხი და მზვერავივით გაჰყვა მათ.

განაპირა ხეივანში განმარტოვდნენ ისინი. ტოტებდახრილ ხის ძირას მიდგმულ სკამზე ჩამოსხდნენ. ათიოდე მეტრის მანძილზე მდგომი სკამი იყო თავისუფალი და წელმოწყვეტილივით დაეშვა ზედ. ასალო დაიღალა ამდენი მღელვარებით და უღიმღამო ფიქრებიც დაუმძიმდა. ფრთებდამსხვრეულ ფრინველივით გადაიჩეხა ბნელ ნაპრალში მისი უსუსური ოცნება და ახლა რაღა უნდა, ვის უთვალთვალებს, ვის დაეძებს! მეოცე საუკუნეა ახლა და მიცვალებულები მკვდრეთით აღარ სდგებიან. რა არის საერთო ამ საალერსოდ მომწიფებულ ქალსა და უპატრონოდ დაღუპულ ბავშვს შორის? არც ელენესა ჰგავს მაინცა და მაინც... „მუდამ ასეთი იყავი, ბიჭო, შენ! საპატიმროებში შეეჩვიე არსებულის დავიწყებას და შორეთში დაფრინავდი ოცნებით. ამან გაგანაპირა, სინამდვილეში გარკვევის უნარი დაგიკარგა“...

ასე არიგებდა და ტუქსავდა ასალო თავის თავს, რათა ოდნავ მაინც დაეყუჩებია შეჭირვებული გულის ტკივილი. მაგრამ როდესაც მოეჩვენა, თითქო ვაჟმა მეტისმეტად მიუახლოვა სახე ნათელას და ხელიც გულმკერდისკენ შეაპარა, უმალვე წამოიჭრა ასალო, ჯიბიდან ლადის წერილი ამოიღო და მოურიდებლად წარსდგა მათ წინაშე.

— უკაცრავად, თქვენ ალანიას უნდა იცნობდეთ...აი, ეს წერილი გამომატანა თქვენთან.

შეწფა, გაშეშდა ნათელა, მერმე ვაჟისაგან ოდნავ განზე გაიწია; ჯერ მწვავედ წამოენთო ლაწვები, შემდეგ ნაცრისფერი გადაედო. ოდნავ შეუთრთოლდა ხელი. წერილი რომ გამოართვა, თითქო სიზმარშია და საოცარ მოჩვენებას პირისპირ შეეფეთაო. კონვერტი შეატრიალა და ლადის ხელი იცნო. „რას იფიქრებს ახლა ლადი, ეს კაცი რომ დაბრუნდება?“ — მხოლოდ ეს გაუელვა და მყისვე წამოდგა, ბინისაკენ გასწია სწრაფი ნაბიჯით. მოულოდნელად დაეწია ასალო და მაჯაში ხელი ჩაავლო.

— ნათელა, შშ... (უნდოდა ეთქვა „შვილო“, მაგრამ ბაგეზე კბილი დაიდგა და ისე გამოუვიდა, თითქო რაღაც მძიმე საიდუმლო აქვს სათქმელი და ეხვეწება ხმა არ ამოიღოო) — მაგ ყმაწვილს ერიდე, ჩემო კარგო. მაგას ფეხმძიმე ცოლი ჰყავს...

კვლავ ფერი ეცვალა ნათელას, გულიდან ნაფეთქი სისხლი გადაევლო სახეზე, მერმე სავსებით გაფითრდა, თვალები მრისხანედ დაწკურა და ასალოს ახედ-დახედა, ტუჩებიც შეუტოკდა, თითქო შემმუსვრელი სიტყვის თქმას ლამობსო, მაგრამ რაკი ხმა ვერ დასძრა, ხელი გამოგლიჯა და თავის გზას გაუდგა.

მწარედ გაელიმა ასალოს, შემობრუნდა და ქავთარაძე შეეჩეხა წინ, ამასაც მაგრად ჩაავლო მაჯაში ხელი და მბრძანებელივით შეეკითხა:

— თქვენ საით, ყმაწვილო?

— ვინაა ეს დამთხვეული?! ხელი გამიშვი!

ზიზღნარევი სიმკაცრით ჩააშტერდა მას ასალო თვალებში, [illegible] რო მაგრად მოუჭირა და თვითონაც არ იცოდა, რაში დაეხმარა [illegible] ღვავებული ძალა. ამიტომ იყო მისი სიტყვები ესოდენ კადნიერი:

— ვინა ვარ? კაცი ვარ, ადამიანი! იცი შენ რა არის ადამიანი? მე გეუბნები ჩვენი ეპოქის ახალ, დიდ ადამიანზე! მზის ამოსვლა ხომ გინახავს? ისე ამოდის ეგი საბჭოთა ქვეყანაში. დედამიწის ყოველი კუთხე უნდა მოიაროს, ყველგან უნდა დამკვიდრდეს. შენ რათ უნდა ჩამორჩე მას? ამიტომ გარჩევნია, ბიძია, იმ შენ მიტოვებულ ცოლსა და ბავშვს ბიხედო და სხვებს გზაზე ნუ ელობები! ასე აჯობებს, დამიჯერე! — უთხრა ეს და გამარჯვებულ რაინდივით განშორდა.

XXVIII

ერთხელაც არ მოუხედავს უკან ნათელას, ქუჩაში მიმავალთაც ვერ ამჩნევდა, არც ავტოებისა და ტრამვაის გრუხუნი ესმოდა, საკუთარ ფიქრში იყო დანთქმული და... რამდენმა ვაჟმა გააყოლა თვალი ამ მკერდსავსე ქალიშვილს, რომელიც ასე ამაყად მიეშურებოდა სადღაც, თითქო პაემანზე დაუგვიანდა და მის მიერ უკვე არჩეულის მეტს შესახედავადაც არავის ჰკადრულობსო. თეთრი ტილოს კაბა ეცვა და მოხდენილად ინაკვთებოდა ქალწულის მკვრივი აღნაგობა; მოკლე კულულები ოდნავ ჩამოშლოდა; ვაჟკაცურად მიდიოდა, მაგრამ ქალური ეშხი და სინაზე მაინც უხვად გამოსჭვიოდა მის მიხვრა-მოხვრაში.

მიისწრაფოდა და იმიტომ კი არ რჩებოდა ქალაქის ორომტრიალი მისი ცნობიერების მიღმა, რომ ფრიად რთული საგონებელით იყო შეპყრობილი, არა, მხოლოდ ერთ გრძნობას შეემსჭვალა, თითქო გულის სილრმემდე აღწევს ეს უეცარი ჭრილობა და მთელ სიცოცხლეში აღარ განიკურნება ეგი. და არც იმაში ერკვევა ახლა ნათელა, რა არის ეს: სირცხვილი, თუ იმედის დაღუპვა? იქნება სიყრმიდანვე თანშეზრდილი და მუდამ სანატრელი სახე მიეფარა ანაზდად პირდაღებულ ნაპრალს და იმას მისდევს თავდავიწყებით, ვინაიდან უმისოდ არსებობა ვერც კი წარმოუდგენია...

კიბეზე მარდად აირბინა და მოუთმენლად დაარახუნა კარზე.

— რა მოგივიდა, ნათელა, ხომ არავინ მოგსდევს? — შეეკითხა დიასახლისი და დაკვირვებით შეათვალიერა, რაკი ასე შეშფოთებული არასოდეს არ ენახა.

ნათელამ პასუხის მიცემა ვერ მოახერხა, ნაძალადევად გაუღიმა მხოლოდ, თან ხელით ანიშნა — არაფერიც არ მომსვლიაო და თავის პატარა ოთახში შეიჭრა.

— დაიცა, ქალო, ჩაი მაინც დალიე!

— არ მინდა, არა! — მიაძახა ნათელამ და კარი მიხურა.

სარტყელი შეიხსნა და ბრაზმორეულივით დააგდო სკამზე, მერმე ხელი გულზე მიიდო და ღრმად ამოისუნთქა, თითქო ოთახში პუტანელა აიცხე დაგუბებულიყოს და ღია ფანჯრიდან შემოსული ჰაერი არ ყოფნიდეს.

ოთახი მართლაც ვიწრო იყო. ერთი ტახტი იდგა შიგ, ქალურის ხელოვნებით მორთული, და ორიოდე სკამი. ფანჯრის სიახლოვეს მოგრძო მაგიდა, ზედ ცისფერი ქაღალდია გადაფარებული; საწერკალამი, რვეულები და სარკე; იქვე თაროები, წიგნებით სავსე. კედელზე ბელადების პორტრეტები, ყველა კონსტრუქციის დირიჟაბლები და ჰაეროპლანები, პილოტების სურათები. აი ეს კი ლადი და ნათელაა, ლამაზ ჩარჩოში ჩასმული; ამისი ცალი ლადისაც ხომ აქვს ჩემოდანში შენახული, და ასალოც კარგად იცნობს ამ ჯადოსნურ სურათს, დაუვიწყარი ღიმილით რომ შეაშუქებს ხოლმე ელენეს ბუდეშური თვალები და მაცდური ოცნება იტაცებს ათას ჭირვარამში გამოვლილ მარტოხელა კაცს... კუთხეში ჩემოდანი, თეთრეული და პილოტის სამოსი საკიდარზე.

ზოგი რამ ქუთაისიდან ჩამოჰყვა ნათელას, ხოლო დანარჩენი აქ შეიძინა. რამდენიმეჯერ დააჯილდოვეს სწავლაში წარმატებისათვის, თან სტიპენდიიდან და სამსახურში მიღებულ ხელფასიდან ინარჩუნებდა, ძომჭირნეობას ეწეოდა, რათა ეს აუცილებელი ნივთები, წიგნები, და სამოსი შეეძინა.

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ტფილისში ჩამოვიდა და ერთხელაც არ დაბრუნებულა თავის ბინაში ასე გულშეჭირვებული. თვითონაც უკვირდა, დაუშრეტელი ხალისითა და მღელვარე სიცოცხლით სავსე დღეები რომ ესოდენი სისწრაფით გარბოდნენ. მცირეოდენი თავისუფალი დრო შინ სამეცადინოდაც არა ჰყოფნიდა, ხოლო როდესაც აეროდრომზე უწევდა მუშაობა და სწავლა, ერთობ დაღლილი მოდიოდა და მყისვე ჩაეძინებოდა. დილით საყვირის ხმაზე დგებოდა მუდამ და ასე ეგონა — ათასი სიცოცხლე რომ მისცა, ყველას ამოავსებს დაუზარებელი შრომით, საიერიშო სიმღერებითა და სიყვარულით. ახლა კი რა მოუვიდა? მაინც რა მოხდა ისეთი?

შუბლზე მოისვა ხელი. მაგრამ ფიქრთაგან მაინც ვერ გამოერკვა. განა არ იცნობს შალიკოს? განა დაავიწყდა „დაშაქრული ენა და ეგოიზმით გატენილი გული?“ ხომ ახსოვს, როგორ გაეხარდა ლადის, ამ სიტყვებით რომ დაუხასიათა შალიკო. მაშ რატომ ჰგვრიდა სიამეს ამ ბოლოს მასთან შეხვედრა? რა? ძველი ამხანაგია და კომკავშირში ერთად მუშაობდნენ? მარტოოდენ ეს, მეტი არაფერი? ნუ თაღლითობ! ლადი აქ არის, აგერ ეს მისი წერილია და გულახდილად უთხარი მას ყველაფერი... ან კი რა აქვს დასამალავი. განა ოდესმე ულალატნია ბისოვის? განა მუდამ არ ახსოვს? მაშ დღეს რა დაემართა? რამ შებოჭა ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძლავრად, რამ გაარინდა, როდესაც შალიკო მისკენ გადაიხარა და დზეც ხელი შეახო?

მწვავედ შეაჟრჟოლა ნათელას და ხელი გაიქნია, თითქო [illegible] დგას შალიკო მის გვერდით და მოხვევას უპირებსო. კვლავ გაშეშდა, ათრთოლებულ გულის ხმას დაუგდო ყური და შეძრწუნდა, ვინაიდან ახლაც მოეჩვენა, თითქო იდუმალი ცეცხლის ანადენი გადაევლო გულმკერდზე და ნაწვიმარი ღილის ნიავივით მოელის შალიკოს სუნთქვას, მისი მოლაციცე ხლის შეხებას.

— ფუ, წყეულიმც იყოს ქალის გაჩენა! — მრისახანედ ჩაილაპარაკა და ასალო დაუდგა თვალწინ... საკვირველია, სწორედ ამ დროს საიდან გაჩნდა ეს უცნაური კაცი! რალა მაინცადამაინც მაშინ გაუწოდა წერილი, როდესაც შალიკო მოხვევას უპირებდა და თვითონ არავითარი საწინააღმდეგო ძალა აღარ შერჩენოდა. მორწმუნე რომ იყოს, იტყოდა: რალაც იდუმალმა ძალამ დაიფარა ჩემი უმანკოებაო... ალბათ, სადმე ახლოს იჯდა ის კაცი და უთვალთვალებდა. იქნება უნდოდა გაეგო — ლადის როგორი საცოლო ჰყავსო. სირცხვილი! ნეტავი, მიწა გასკდეს და... კი, მაგრამ შალიკოს საიდან იცნობს?!. „მაგ ყმაწვილს ერიდეო... მაგას ფეხმძიმე ცოლი ჰყავსო“... ხრამჰესში გაიგეს ეს და მან კი ვერ შეიტყო? თუმცა რად სჭირდებოდა, ისედაც იცის, ვინც არის შალიკო. არასოდეს სერიოზულად არ უფიქრია მასზე... მით უარესი! რას იტყვის ახლა ის კაცი? იქნება ლადისაც უთხრას — ასე და ასე შეევსწარიო...

თეთრი, მახვილი კბილები დაადგა ნათელამ ქვედა ტუჩს და სიმწრისაგან დაიკვნესა. ლადი უწინაც გაიბუტებოდა ხოლმე, ნათელას რომ შალიკოსთან დაინახავდა და ახლა ხომ მთლად გადაირევა. ვინ დააჯერებს — ნათელას გული არ შეცვლილაო. განა იმ კაცმა თავისი თვალით არ დაინახა ყველაფერი... არა, ის ნათელა არ იყო, ის ერთის წუთით თავდავიწყებული, ძალმილეული ქალი იყო. ნათელა კი, ის კაციც რომ არ მისულიყო, ისედაც აღშფოთდებოდა და თავგასულ ქავთარაძეს ხელს ჰკრავდა. ნათელა აქ არის, გულახდილი, შეუპოვარი ნათელა და სრულებით არ შეჰფერის მას ეს დიაცური შიში ვილაც გადამთიელის წინაშე. რაც უნდა, ისა სთქვას! არა, დარიგებაც რომ კი დაუწყო!.. როგორი გაფითრებული და საბრალო სახე ჰქონდა! არავინ ახსოვს ნათელას ისეთი ნათესავი, რომელსაც ასე შესტკიოდეს გული მისთვის. საოცარია!

უნდოდა წერილი წაეკითხა, მაგრამ ფიქრი ფიქრს აედევნა და გახსნილი კონვერტი ხელში შერჩა. რა მოარბენინებდა? იქნება სჯობდა შეჩერებულიყო და იმ უცხო კაცს მშვიდათ გამოლაპარაკებოდა. მაგრამ არა, თვალთმაქცობა არ ძალუძს ნათელას. ასე ეგონა, მთელი ქვეყანა მას შეჰყურებდა, სამარცხვინო ჭსელში გახვეულს... ის კი არა, ისა სთქვას, იმ წუთში, როცა შალიკო გადაიხარა და გაინაბა, ახსოვდა თუ არა ლადი? გამოტყდეს, მახეში გაბმული ფრინველი ხომ არაა, ერთსა და იმავე ად-

გილას რომ ფართქალობს. არა, არ ახსოვდა. მაშინ მოვიდა ის კაცი და მეხივით დაატყდა ლადი ალანიას ხსენება. გამოიქცეოდა, აბა რას იზამდა, რა ჰქონდა საერთო იმ უმწეოდ აღტკინებულ ქალთან! განა იმ წუთშივე არ უნდა გაეწყვიტა მასთან ყოველივე კავშირი! ჰო — და, ნათელა აქ არის, ვაჟკაცივით ქედმაღალი და სამხედრო დისციპლინით გაწრთვნილი ნათელა. აი ის შლის ბარათს და ჰკითხულობს.

„...ამ წერილს ჩემი კარგი მეგობარი — ასალო გურგენიძე გადმოგცემს. მას ერთხელ შენი სურათი ვუჩვენე და, ვერ წარმოიდგენ, როგორ გაუხარდა. ერთს ჩემს მეგობარ ქალს მაგონებსო, იმას ჰგავსო სავსებით... ერთხელ, თუ გახსოვს, მის მაგიერ მოკითხვაც კი მოგწერე. ძალიან სურს შენი ნახვა და გაცნობა“..

ნათელამ კითხვა შესწყვიტა და უნებლიედ მიმოიხედა, თითქო ეშინია, ასალო იქვე ახლოს არ იდგეს და ულმობელ მამხილებელივით არ შეჰყურებდეს... არა, ამიერიდან არასოდეს არ მოიწადინებს ნათელა მასთან პირისპირ შეხვედრას, მუდამ მოერიდება.

„...გახსოვს, ნათელა, შენი სიტყვები: ვაჟი ქალში მხოლოდ ქალს კი არ უნდა ხედავდესო, არამედ... ამან მე ძალიან ჩამაფიქრა“... — სწერდა კიდევ ლადი და ნათელა უცებ შეკრთა, ეს ნაცნობი ფრაზა რომ ამოიკითხა. წელანდელი სცენა წარმოესახა და... განა მარტო ვაჟი? — გაივლო გუნებაში. — თურმე ქალიც მარტოოდენ ვაჟს კი არ უნდა ხედავდეს ვაჟში, არამედ ამხანაგსა და თანამებრძოლს... მაგრამ ამხანაგი განა ერთია ან ორი? არა, ეს ფრაზა ვერ გამოხატავს მთლიანად იმას, რისი თქმაც ნათელას სურდა. უფრო მკვეთრი და ნათელი სიტყვაა საჭირო და ეს სიტყვა კი ასე გამოითქმის: სიყვარული. (საკვირველია, რატომ არ გახუნდა ეს სიტყვა ამდენი საუკუნის მანძილზე! აი ახლაც ამომავალ მზესავით აენთო ნათელას წინაშე და თვალი მოსჭრა; წამწამებით დაიჩრდილა ანაზდათ მოზღვავებული შუქი და ტუჩებზე ნაზი ღიმილი გაეფურჩქნა, ისეთი ღიმილი, როდესაც მთელი არსება ერთ სახეს შეჰხარის, ეს სახე კი გულის სილრმეში ლივლივებს, როგორც თარაზოში მოთავსებული ვერცხლისწყალი, ვინაიდან გული სარკეა და ღიმილი — შარავანდედი. ჰო-და, რა გაახუნებს ამ სიტყვას — სიყვარულს! თუმცა ხანდახან მიხრწნილ ბერიკაცივით ჟამგადასულია თითქო იგი, მაგრამ მაინც დედის ძუძუებთან მოთამაშე ბავშვივით კისკასობს და იცინის მარადის).

ყუთი გამოაღო ნათელამ და წერილი ჩასდო შიგ, სხვა ბარათებსაც ფრთხილად შეახო ხელი, თითქო იმ ფურცლებს ლადის მაჯისცემა არხევდა და იდუმალად ეალერსებოდა ნათელას თითებს. მერმე მაგიდას დაეყრდნო და მოწყურებული მზერით შეაცქერდა ლადის სურათს... კურცხალი ხომ არ ციმციმებს გრძელ წამწამებზე? იქნება დიდხანს ჰქონდა თვალი გაშტერებული და ცრემლიც ამან გამოიწვია?

* * *

საყვირის შორეული ზუზუნი ჩასწვდა ყურში, ოდნავ [illegible] თოები და ისევ დახუჭა, ტკბილ ბურანში გაეხვია. მაგრამ [illegible] დათან მოახლოვდა, გაძლიერდა და მჭექარე ხმებით გაივსო ნათელას ვიწრო ოთახი. მყისვე წამოჯდა, ფეხი მოირთხა და მხარზე პერანგის ლენტი გაისწორა. ერთის წამით კვლავ მილულა თვალი, ვინაიდან წუხანდელი შემთხვევა მოაგონდა და ასალოს გაფითრებული სახე მოეჩვენა. წარბები შეჭმუხნა, თითქო ვილაცას უჯავრდებაო, მრისხანედ ასწია თავი და შიშველი ფეხებით გადმოეშვა იატაკზე. მაგიდისაკენ მიიხედა, მისებური ეშხით მომუწა ტუჩები და ლადის სურათს გაულიმა, თან ხელიც აღმართა და თითები შეათამაშა. მერმე საკიდარს მიაშურა და პილოტის მწვანე სამოსი ჩამოიღო. აეროდრომზე მიეჩქარება. შეიძლება სააგიტაციო გადაფრენაშიაც მოუწიოს მონაწილეობის მიღება.

მალე გამოეწყო, ტყავის ქურთუკი მკლავზე გადაიდო, სათვალებიანი მუზარადი ხელში დაიჭირა და ავიოკლუბისაკენ გასწია. ქუჩაში და ტრამვაიშიაც ყველანი ამ ვაჟურად ჩაცმულ ქალიშვილს აცქერდებოდნენ და ნათელა, ამდენი თვალების ციმციმში გახვეული, ჯერ კიდევ გრძნობ და მცირეოდენ უხერხულობას, ქალური კდემამოსილებით გამოწვეულს. თუმცა ამ გრძნობაში ფრიად ამამაღლებელი სიამაყეც ერია და თუ რომელიმე თავხედი უძღებად დუწყებდა სინჯვას მის ტანკენარობას, ნათელა შუბლს შეიკრავდა და ელვარე მახვილივით მოიქნევდა თვალთა შუქს. თავისთავად, შეუმჩნევლად სწარმოებდა ეს უჩინარი ბრძოლა და ნათელას არასოდეს არ უფიქრნია მასზე, თუმცა იცოდა კი, რომ გამარჯვება მუდამ მას რჩებოდა.

კლუბში რომ აირბინა, ღაწვები წამოგზნებული ჰქონდა და ბუდეშურ თვალებში დილის სხივი ჩასდგომოდა. ახალგაზრდა პილოტები უკვე თავმოყრილი იყვნენ და ნათელას მეგობრული შეძახილით მიეგებნენ. მათ შორის ნათელას გარდა მხოლოდ რამდენიმე ქალიშვილი ერია, მაგრამ ამ ვაჟებთან ისინი ბავშვობიდანვე თანშეზრდილივით თავისუფლად გრძნობდნენ თავს, გაბედულ ოხუნჯობასა და გადაკრულ სიტყვებს არ ერიდებოდნენ. თუმცა ესეც კია: შესვენების დროს ქალიშვილები განცალკევებით ჩამოსხდებოდნენ, გულგახსნილად მუსაიფობდნენ და ლაღად კისკასობდნენ.

კლუბის უკანა ეზოში ჯარისკაცებივით ჩაამწკრივა პილოტები უფროსმა, თვითონაც წელში გაიმართა და ქორულად შეავლო მათ თვალი; ფრთებაწურულ, მძლავრ ფრინველსა ჰგავდა ამ დროს უფროსის მოგრძო სახე, მზემოკიდებული, ქედმაღალი და მტკიცე, ვით სხმული ფოლადი; ახალგაზრდა პილოტებმაც შემართეს მკერდები, თითქო ყალხზე შემდგარ ტალღად იქცნენ და თითოეული მათგანი გრძნობს, რომ თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს აღარ ეკუთვნის, მაგრამ აი უფროსმა დაყვავებით გაუღიმა, მათ და ეს ლიმილი მყისვე მოიტაცეს, სათითაოდ ჩამოირიგეს, საკუთარი ეერთით ააციმციმეს და ავტობუსში ჩასხდნენ.

მზე გიზგიზებდა და ქალაქში უკვე მოვარვარე სიცხე ჩამოდგა, სახლების სახურავები ალაპლაპდა და ქუჩებმა ნაცრისფერი დოლბანდი წამოისხეს.

გასცილდნენ ნავთლულს და პილოტებმა სიმღერა წამოიწყეს. მტკვრის სიახლოვეს მიჰქროდა ავტობუსი და ყვითლად გადარუჯული ველებიდან ნელთბილი ნიავი მოსისინებდა. კბოდის პირად ყვავები დაბაჯბაჯობდნენ და გუგუნით მიმავალ ავტობუსსა და მომღერალ ახალგაზრდებს არ უფრთხოდნენ, ოდნავ სწევდნენ მხოლოდ თავს და ცალ თვალს აყოლებდნენ მქირდავივით.

ნათელა უფროსის გვერდით იჯდა, ტყავის ქურთუკი და სათვალებიანი მუზარადი მუხლებზე ედო, შორეულ ქედს გაჰყურებდა და სახე შინაგანი ლიმილით ჰქონდა გაბრწყინებული; შავი თმის კულულებს ნიავი უფარფატებდა და გადაშვილდულ წარბებს სიმებივით შეარხევდა ხოლმე, როდესაც ხმას აუმაღლებდა და ვერცხლის ზარის წკრიალი შეიჭრებოდა ჭაბუკთა საიერიშო სიმღერაში. ასეთი განწყობილების ჟამს იყო განცდილი, ლადის რომ მისწერა ერთხელ: ცა და ხმელეთი, მზე და მდინარეები, კავკასიონის მწვერვალები და თვალუწვდენელი ველები — ყველაფერი ჩვენიაო. აი მთელი ხმით მღერის ახლა ნათელა და ჰგონია, ლადიც იქვეა, პილოტთა შორის ზის და ერთად მიჰქრიან წინ, ხოლო შავგვრემან სახეზე თუ მიმზიდველი ეშხი გადაჰფენია, ეს იმიტომ, რომ ლადის თავი მოაწონოს. რატომაც არა? ლადიმ უნდა იცოდეს: ნათელა არავის არ ჩამორჩება არც სილამაზითა და არც ვაჟკაცური სიმამაცით.

ავტობუსი ხევში დაექანა და ქვებზე არახრახდა. სიმღერა შეწყდა. სამაგიეროდ ინსტრუქტორმა ერთ კურსანტს ეშმაკურად შეავლო ცალი თვალი და, ამას წინათ რომ აეროდრომზე ფრთამოტეხილ ორბივით დაეშვა, ის მოაგონა. ყველას სიცილი წასკდა. კურსანტსაც დამნაშავესავით მორცხვად გაეღიმა, მაგრამ სიცილი რომ აღარ დამთავრდა, ქერა სახე დაენისლა, გვერდით მჯდომ ამხანაგს კუშტად მიუხედა და იდაყვი ჰკრა:

— რას ხარხარებ? შენ უარესი არ მოგივიდა!

ახლა ამ ტანმორჩილ ჭაბუკს დაასვეს თვალი და ეს საერთო სიცილი და ლაღი ხუმრობა გარდაბნამდე აღარ დამცხრალა.

რკინისგზის ლიანდაგი გადასჭრეს, ბალახშემხმარ გორზე შეივაკეს და მწირი მინდორი ხელისგულივით გადაიშალა. მტკვრის პირად, ჩავარდნილ ტაფობში, ძველ ნაქალაქარზე, ულრანი ტყის ნაშთი შემეჩხრებულია, ვინ იფიქრებს, აქ თუ რამდენიმე ათეული წლის წინათ ნადირთა საიმედო თავშესაფარი იყო, ირემი, შველი, ხოხობი და დურაჯი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავლობდა. შესაძლებელია, რუსთველს რომ ნადირობა აქვს აწერილი, სწორედ ამ მიდამოების ახლომახლო იყო სადმე.

ნათელამ თვალი მოავლო ფოილოს ხიდამდე ქუფრად გავლებულ ტყის ზოლსა და ხორბლისფერ ტრამალებს. როგორ უცნაურად დატრიალდა ეს სანახები. პირველად რომ აფრინდა და ათასი მეტრის სიმაღლიდან გადმოიხედა. დამხობილ ჯამებივით დაპატარავდა გორაკები, მინდვრები ოქროსფრად ბზინავდა და მტკვარი ვერცხლის ლენტს დაემსგავსა. კი არ შეშინებია, პირიქით, დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა დაეზადა, თითქო ბუმბულივივით ამჩატდა, წონასწორობა დაჰკარგა და დასაყრდენი არსად მოიპოვება, საკმაოა ქარმა მიმართულება იცვალოს და აღარ ექნება დასასრული ამ სიცალიერეში უგზოუკვლოდ ხეტიალს... მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და ახლა მოწყურებული თვალით გაჰყურებს ნათელა შორეულ ჰორიზონტს. ახლა გამოცდა ჩაბარებული აქვს და დამოუკიდებლად ფრენის უფლება მიენიჭა.

აეროდრომზე პატარა კოშკია, გრძელი ანგარი და გვერდია ფარდული. ამ ფარდულში ისაუზმეს პილოტებმა.

მერმე უფროსმა კვლავ ჩაამწკრივა ისინი, რამდენიმე კაცი გამოჰყო, მათ შორის ნათელაც, და სათითაოდ დავალება მისცა.

— არის, ამხანაგო უფროსო! — უპასუხა ნათელამ; ცდილობდა სიდინჯე შეენარჩუნებინა, ტუჩები მომუწა და შუბლი შეიკრა, მაგრამ წყეულ ღიმილი თვალებში მაინც აენთო და ღაწვები შეეფაკლა.

უფროსს მზემოკიდებული მოგრძო სახე ნათელი იერით დაუმშვენდა, მაინც წარბები შეჭმუხნა და ფრიადოსან მოწაფეს თითი დაუქნია.

ცელქი ბავშვივით შეხტა ნათელა და თავის თვითმფრინავისაკენ გაიქცა. ეს მეორეჯერ ხვდა შორ მანძილზე გაფრენა და სიხარულს ვეღარ მალავს.

ჯერ პროპელერი მისწიმოსწია და მყისვე საქმიანი გამომეტყველება აღებეჭდა სახეზე. ახალგაზრდა პილოტია ნათელა, მაგრამ კარგად იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გაფრენის წინ მანქანის ყველა ნაწილის გასინჯვას, კარგი პილოტი მატერიალურ ნაწილს ისე უნდა იცნობდეს, როგორც საკუთარ მაჯისცემას.

მოტორი გულდასმით დაათვალიერა, სტაბილიზატორს ახედ-დახედა, ტრასი სათითაოდ შეარხია, კაბინაში ჩაიხედა და ხელსაწყოებს — ალტიმეტრს, კომპასს, თარაზოს, სახელურსა და სატერფულს ისეთი მზრუნველობითა და ალერსით შეავლო თვალი, თითქო ცოცხალი არსებანი არიანო.

მერმე ტყავის ქურთუკი ჩაიცვა, მუზარადი დაიხურა და ორიოდე წუთიც არ დაჰყოვნებია, უკვე ჰაერში ასრიალდა.

ალტიმეტრს დახედა. ცხრაასი მეტრის სიმაღლეზე გამარჯა. გეზი ძერს სიცხეში მოვარვარე ველი ჩალისფერად ჭრტიალებდა; მტკვარ-ვერცხლივ ძეწკვს დაემსგავსა, გორაკების ფერდოებზე მზის სხივთა ანარეკლი კამკაშებდა.

ხმაშეწყობილი ბუბუნით მიარღვევდა ჰაერს პროპელერი და ნათელას გრილი ქარი ეხვევოდა გარს, საამო შრიალით ადნებოდა სახეზე. სახელურსა და პედალს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ ხელსა და ფეხს, მოტორის მუშაობასაც თავისი გულის ფეთქასავით განიცდიდა. აქ ახლა მარტოოდენ მანქანა კი არ მოძრაობდა, მარტოოდენ ბენზინი კი არ ენთებოდა, ფრთებშესხმული ადამიანის ნებისყოფა დაეუფლა ზესკნელს და უსულო საგნებს სული ჩაუდგა.

სოლანლულისაკენ რომ შეუხვია, ცალყბად გადახედა ალმურში დანთქმულ ტფილისს და წუხანდელმა შეხვედრამ გაუელვა თვალწინ. ლიმილი მოერია. ქალაქს თვალი მოსწყვიტა და სისწრაფის მაჩვენებელს დააცქერდა. ისარი 90 უახლოვდებოდა. გამკილავი ლიმილი მაინც არ შეაშორა ტუჩებზე. თავის ორეულს დასცინოდა, დაფეთებული რომ გამოიქცა წუხელის ბალიდან. მთელი მისი არსება, მთელი გულისყური აქ იყო. მანქანის ნაწილებში გადაზრდილი, მაგრამ გონების ერთი კუნჭული განთვისებულიყო და დამოუკიდებლად ჰფიქრობდა: დღეს თუ არა ხვალ დაბრუნდება ასალო ხრამჰესში. ნეტავი რას ეტყვის ლადის?.. მაინც რამ დააბნია ისე? რა უჭირდა, დამშვიდებით გამოლაპარაკებოდა? სულ ადვილად დაარწმუნებდა, რომ შალიკოსთან მას არაფერი საერთო არა აქვს. ეს ხომ სრული სიმართლეა? იმ კაცს ისეთი კეთილი სახე ჰქონდა, უთუოდ დაიჯერებდა... ფეხმძიმე ცოლი ჰყავსო. მართალი იქნება... გულფიცხია ლადი, ერთხელ ყასიდად გააჯავრა და სამ დღეს ხმა აღარ გასცა.

კუმისის ტბა აბრჭყვიალდა ტაფობში ჩარჩენილ ბროლის თასივით და ნათელამ გონების ეს ერთი კუნჭულიც ცის იერში გადმოღვრილ სიხარულით ამოავსო, თან თითქო ლადის გაბუტული სახე ეზმანა და მკაცრად შეუტია: „აი, შე გიჟო, გიჟო!“

ალგეთის ხეობას აჰყვა, მაღალ კლდეზე გადმოდგმულ ციხე-კოშკს გვერდით ჩეუქროლა და დიდი აღარ დაჰყოვნებია, მანგლისის ნაძვნარს გადაჰყურებდა. შეეძლო აქედან უკან გამობრუნებულიყო, მაგრამ შორეულმა ქედმა თვალი მოსტაცა და წინ გასწია. თან ქციისაკენაც უნდოდა გადაეხედა. იქეთაა სადღაც ხრამჰესი და იქნება ლადიმ მოჰკრას თვალი თვითმფრინავს. ამ საღამოს წერილს მისწერს და გააჯავრებს: მე მანდ დავფრინავდი, შენ კი გვირაბში დაძვრებოდიო. მაჯის საათზე დაიხედა, დრო საკმაო რჩებოდა. ეს ხომ სააგიტაცო გადაფრენაა, რამდენადაც მეტ მიდამოს მოივლის, მით უკეთესია.

ვერეს ხეობიდან მარცხნივ შეუხვია და ანაზდად მზე მიეფარა. თვითმფრინავი ჩრდილში შეიჭრა. მიიხედ-მოიხედა და მყისვე ქუფრ ნისლში

გაეხვია. მობრუნება ახლა გვიანაა, შეიძლება მიმართულება ოდნავ გაუმ-
რუდდეს და კლდეს დაეჯახოს. განუჭვრეტელი ჯანღი [illegible]
გვლივ, თითქო თვალის დახამხამების უმალ დაინთქა მზე [illegible]
უფსკრულში და დედამიწას პირველყოფილი ქაოსი დაეუფლა. მაინც
მზისკენ, ზევით! გაივლო გულში ნათელამ და ისე მძაფრად იგრძნო
სახელური, თითქო შესისხლხორცებული ჰქონოდეს. მთელი გონება და
სმენა დაძაბული ჰქონდა, თვალით ვერაფერს ხედავდა, მაგრამ მანქანის
ხმაშეწყობილი გუგუნით მიარღვევდა უკუნეთს და ნათელ ცისაკენ მი-
იწევდა. საკმაოა ახლა ოდნავ შეკრთეს გული, ან ხელი აუთრთოლდეს,
ნებისყოფის სიმტკიცე დაჰკარგოს და მაშინ ან მთას შეენარცხება, ან
არა და ვერეს ღრმა ხევში ჩაიმსხვრევა. პირველად შეხვდა ნათელას ასეთ
აზღვავებულ ნისლში ბრმა ფრენა. აქ, რომ ირგვლივ მთები და ნაპრა-
ლები არ იყოს, მაშინ საფრთხე მოსალოდნელი არ იქნებოდა, ან შემობ-
რუნდებოდა, ან პირდაპირი ხაზით გასწევდა წინ. უსაზომოდ დამძიმდა
წუთები. ტუჩს კბილი დააჭირა და თვალები დაწკურა, თითქო წყვდიადის
განჭვრეტას ლამობსო. მოტორმა ენა ამოიდგა და მოიერიშე თანამებრ-
ძოლივით ხმიანობს, პროპელერი მტრების ურდოში შეჭრილ მხედრის
ხმალივით ჰკაფავს შემოსეულ გოლიათებს, ჰკაფავს და ზუზუნებს. წუ-
თები მაინც საუკუნეებზე მეტად დამძიმდა. ნათელა თითქო რაღაც და-
ნაშაულსა გრძნობს. მანგლისიდან უნდა დაბრუნებულიყო. ბავშური
ცელქობა იყო ეს. აქაო და ხრამჰესში ლადი მუშაობსო... თვითმფრინავს
რომ რაიმე მოუვიდეს... არა, მოტორი საიმედოდ ხმიანობს და სახელურ-
საც ისე გრძნობს, თითქო მისი სხეულის ნაწილი იყოს. წუთები კი უფს-
კრულივით ღრმაა და ბნელი. შესაძლოა რომელიმე მთას უახლოვდებო-
დეს და საშინელის ძალით დაეჯახოს.

ზევით, უფრო ზევით! — უხმოდ სთქვა და ტუჩს კბილი შეუშვა,
თითქო ღიმილიც კი მოერია, მხნეობის გამაათკეცებელი სიამაყით გა-
იმსჭვალა; კამანინი და მოლოკოვი მოაგონდა, მათი შეუპოვარი ბრძოლა
ყინვიან ქარბუქში. რა არის ეს იმასთან შედარებით? ზაფხულის ნისლია
მხოლოდ და მეტი არაფერი. რამდენჯერ უნატრია, ოდნავ მაინც დამს-
გავსებოდა საბჭოთა სწორუპოვარ გმირებს. ოცნებით წარმოიდგენდა
ხოლმე ქარიშხალსა და გრიგალს, ცის კიდემდე აღმართულ ღრუბლების
კედლებს, რომელთაც უშიშრად ჰკვეთდა თავისი თვითმფრინავით, სივრ-
ცეში აზღვავებულ მრისხანე ტალღებს არ უფრთხოდა და მწვერვალი-
დან მწვერვალზე გადადიოდა... ახლა ეს ოცნება აღარ არის, ახლა მარ-
თლა ამოიდგა ენა მოტორმა და ნათელას გულიც მასთან ერთად ძგერს...

ფართო სათვალეებმაც ვერ უშველა, ცეცხლივით აელვარებულმა
ცის იერმა თვალი მოსჭრა, უსაზომო შვებით აღივსო და მწვავედ შემოე-
სხურა უცებ მოვარდნილი ჩქერი სინათლისა. გეზი მაინც გამართა. ნამ-
ძინარევსავით ძალდატანებით გააჭყიტა თვალი და კომპასს დახედა. სამ-

ხრეთ-დასავლეთი. ალტიმეტრი 2300 უჩვენებს. სივრცეში მიმოტარა თვალი და მოეჩვენა, თითქო თეთრი ზღვის გასწვრივ მიფრენადა ეღ-მოსავლეთით ღრუბლები გადასარკულიყო, მზის სხივებში თოვლივით მოკაშკაშე ღრუბლები; სპეტაკ ჭავლებივით ლივლივებდა ოდნავ დარ-ხეული ტალღები, შორეულ მთის თხემამდე ჯავარიან მარმარილოს ბურუ-ლივით გადადგმული. დასავლეთით კი, თრიალეთის ქედსა და სამსარის მწვერვალებს შორის, სივრცე თავისუფალი იყო, ქვევით პატარა გორა-კები, აქა-იქ ყუთებივით შეჯგუფული სახლები და ყვითლად მობიბინე მინდვრები მოსჩანდა; ქცია თასმის ნაწყვეტებივით მიმოფანტულიყო ტაფობში.

ღრუბლებს გვერდი აუქცია, ასიოდე მეტრით მიწისაკენ დაეშვა და, უკან მობრუნებას რომ აპირებდა, მარჯვენა ვირაჟის დროს, მოტორმა თითქო კილო შეიცვალა და გაბზარული ხმით ახრიალდა. ნათელა სმე-ნად იქცა. „ცილინდრს რალაც მოუვიდა". ტუჩს კბილი დაადგა და ღრუ-ბლებისაკენ მიიხედა; ახლა ქარხნის მილებიდან ამოვარდნილ კვამლი-ვით იგრაგნებოდა იგი და დედამიწამდე ტყვიის ფერი ქსელი ჩაფენილიყო. ეს სეტყვაა, ქციის ხეობის ხშირი სტუმარი. წარღვნასავით ზღვაურობს და მისკენ მოემართება. უთუოდ უნდა მოერიდოს, მაგრამ მანქანას რა დაემარ-თა! სანთელი თუ გაჭუჭყიანდა და ცილინდრი წყობიდან გამოვიდა. „თვითმფრინავი სიმაღლეს ჰკარგავს..." ახლა სხვა გზა არაა, უთუოდ უნდა დაჯდეს სადმე. მინდვრისაკენ გადაიხედა. ამ გორებს როგორმე უნდა გასცილდეს, აქ დაშვება შეუძლებელია. ორიოდე წუთის დაყოვნება და მორჩა — მანქანა დაიმსხვრევა. აქამდე ენაამოდგმული მოტორი გუ-გუნებდა მძლავრად და ნისლში გახვეულ ნათელას ცისაკენ მიაფრენდა, ახლა პილოტის ხელი და თვალი სწყვეტს ორთავეს ბედს...

შეხორცებული სახელურით გამართა გეზი. მანძილს თვალდაწკუ-რული ზომავდა და ველს რომ მიუახლოვდა, ფრთებგაშლილ ორბივით შემოუქროლა, გაშეშებულ მთიბველების სიახლოვეს აირჩია ადგილი და მოხდენილად დაეშვა.მოტორი გამოუერთა და თვითმფრინავი თავისუფ-ლად გასრიალდა მოთიბულ მინდორზე. პროპელერის შრიალი რომ შეწ-ყდა, ნათელაც გაინაბა მცირე ხნით: ახლა იგრძნო, თუ რა საშინელ გან-საცდელს დააღწია თავი ამ უცნობ მიდამოში.

*
* *

მთიბველები მოკრძალებით მიუახლოვდნენ ნათელას. ესენი ადგი-ლობრივი კოლმეურნენი იყვნენ და ასე ახლოს ჰაეროპლანი არასოდეს არ ენახათ. ასიოდე ნაბიჯის მანძილზე შესდგნენ და ერთმანეთს მიუხე-დეს. თვალს არ უჯერებდნენ, ვაჟურად ჩაცმული პილოტი რომ ქალი აღმოჩნდა.

აგერ გადმოვიდა ის კაბინიდან, სათვალებიანი მუზარადი მოიხადა და თმა შეიფერთხა. მერმე მოტორს მიაშურა და სამკუთხა კარი გამოაღო. გულდასმით დაათვალიერა ყველა ნაწილი. ახლა ცხადია: სანთლებს გაჭუჭყიანებულა და ორი ცილინდრი წყობიდან გამოსულა. სანთლებს ახლავე გამოსცვლის და დაუბრკოლებლად გსწევს აეროდრომისაკენ.

საათს დახედა. არა უშავს რა, დიდი, დიდი, ერთი საათი დააგვიანდეს, ამისთვის საყვედურს არ ეტყვიან. სივრცეს მოავლო თვალი და სახე გაუნათლდა: ყომრალი ღრუბლები აღმოსავლეთისაკენ მისცურავს, აქ კი მზე იკბინება და დამჟღრალი თივის სუნი დგას.

ახლომახლო სათიბებიდან და ყანებიდან მორბოდნენ კოლმეურნეები, ქალები და ბავშვები. გზად მიმავალმა მხედარმა ცხენი მოაბრუნა, მათრახი გადაჰკრა და ყველას წინ გაუსწრო. მთიბველებს გული მოეცათ, წინ წაიწიეს.

ნათელამ კაბინიდან ხელსაწყო და სამარაგო სანთლები ამოიღო, გაშეშებულ გლეხებს გაუღიმა და ჰკითხა:

— სადაური ხართ ამხანაგებო?

— ჩვენ აქაური ვართ, ბარმაქსიზელი.

— ბარმაქსიზი?! — გაიკვირვა ნათელამ, ფერი ეცვალა და ქანჩსაღები უხერხულად შეატრიალა ხელში. საოცარია, ნისლს რომ თავი დააღწია და მოტორმა კილო შეიცვალა, მერმე ლადი აღარ მოჰგონებია. ახლა კი...

— შორსაა აქედან?

— რატომ, აქვეა, სულ ახლოს.

ამ დროს მხედარმა გაჭენებული ცხენი ძლივს შეაჩერა და პილოტს ისე დააცქერდა, თითქო უცნაური რამ მოეჩვენაო.

ნათელამ ცხენოსანს თვალი გაუსწორა და ღიმილი მოერია, ამ ჭაბუკის სახეზე რომ ესოდენი განცვიფრება ამოიკითხა.

— თქვენ, ამხანაგო, ხრამჰესში ვერ გამეგზავნებით?

მხედარმა უსიტყვოდ თავი დაუქნია.

— ინჟინერი ლადი ალანია მონახეთ და გადაეცით, ახლავე მოვიდეს აქ. ნახევარ საათში თვითმფრინავი მზად იქნება და მეტს ველარ დავუცდი.

ჭაბუკმა ცხენს აღვირი მოსწია.

— მოიცა, დაიმახსოვრე: ლადი ალანია. ნათელა გხმობილობს-თქვა.

— ვიცი, ვიცი! — წამოიძახა მხედარმა და ცხენიც ადგილიდან მოსწყდა.

თვითმფრინავის ირგვლივ თავმოყრილ ხალხის რიცხვი ყოველ წუთს მატულობდა. თავმორთული ქალები და თმაგაჩეჩილი ბავშვები ისე აცეცებდნენ თვალს, თითქო ეს უცნაური პილოტი ჯადოსანი ყოფილიყო და ცისა და დედამიწის საიდუმლეობა ხელთ ეპყრას.

ხანდაზმული გლეხებიც ფრიად განცვიფრებულნი იყვნენ: „ნუ თუ ამ ვაჟურად მორთულ გოგოს იმდენი სიმამაცე შესწევს, რომ ცაში ფარტი დაფრინავს?! რა იმედით? უშნო მარხილივით გაფარჩხულა ეს თილისმიანი მანქანა და სულს არ ითქვამს. ეს ჯამბაზი ქალბიჭა კი რაღაცას ჩხირკედელაობს. ასე შოფერებმა იციან გზაზე ავტომობილის შეკეთება.. მაგრამ ეს ხომ ცაში დაფრინავს“...

მხოლოდ ერთმა პიონერმა გაბედა, თვითმფრინავთან მივიდა და ფრთხილად შეახო ხელი. მას მყისვე მიაძახეს:

— მოშორდი მალე!

ბავშვმა შიშით მიმოიხედა და უკან დაიხია.

ნათელამ ცილინდრებს სანთელი გამოუცვალა, მოტორის კარი დახურა და საათს დახედა. გვიანდება. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება. წარბები შეჭმუხნა და მუზარადი დაიხურა. კაბინაში ჩაჯდა და გასაფრენად მოემზადა... პროპელერი რომ აჩახჩახდა, ირგვლივ შემოხვეული ხალხი უმალვე მიმოიფანტა.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ორი ცხენოსანი. ნათელას თვალები გაუბრწყინდა და მოტორი გამოუერთა. ნისლში რომ იყო გახვეული და კლდეზე დაჯახებას მოელოდა, მაშინ არ აჩქროლებია ასე გული. ავტომატურად მოიხადა მუზარადი და კაბინიდან გადმოვიდა.

თვითმფრინავის სიახლოვეს შეჯგუფული ხალხიც მასთან ერთად მიაჩერდა გამოჭენებულ ცხენებზე წინ გადმოხრილ მხედრებს. ლადი რამდენიმე მეტრით დაწინაურებულიყო და მოჯირითესავით მოაქროლებდა ტაიჭს, თითქო ფინიშზე უნდა მოუსწროსო. მიხაკისფერი ხალათი ეცვა და თავშიშველი იყო. მარდათ გადმოხტა და... ნათელას შეფაკლულ სახეს ხედავს მხოლოდ, თითქო არც კი შეუმჩნევია, მას რომ ტყავის ქურთუკი აცვია და მწვანე შარვალი.

— ნათელა! მარცხი ხომ არ მოგვივიდა?

მორცხვად დახარა თავი ნათელამ და გამოწვდილ ხელში ხელი ჩაუდო.

— არა. იძულებით დავეშვი. ახლავე გავფრინდები. შენ გელოდებოდი.

მერმე თავი ასწია, თვალი თვალში გაუყარა და საკოცნელად რომ ტუჩები აუთრთოლდა, სრულებით არ მოგონებია, ამდენი ხალხი თუ მისჩერებოდა მათ. არც ლადი ხედავდა ახლა ვისმეს, ანაზდად მოზღვავებულმა ბედნიერებამ დაათრო და მთელი ქვეყნიერება ნათელას თვალთა შუქში გაეხვია; ორი გული ძგერდა ერთ კოცნაში, რომელსაც არც დასაბამი ჰქონდა და არც დასასრული.

პირველად ნათელა გამოერკვია.

— მშვიდობით ახლა... ისედაც დაგვიანებული ვარ. შენ როდის ჩამოხვალ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სექტემბრის ბოლოს. მანამდე გვირაბს აუცილებლად დავამთავრებთ.

— არ გადააცილო, იცოდე! — დაემუქრა ნათელა და კაბინაში ჩახტა. მუზარადის საყურეები შეიკრა და რაღაც მოაგონდა.

— ლადი, მოიწი აქეთ!.. იმ შენმა მეგობარმა ასალომ თუ რაიმე გიხრას ჩემზე, არ დაუჯერო. ხომ გესმის!

სთქვა ესა და პროპელერიც აშრიალდა, თვითმფრინავი ნელა გაგორდა მინდორზე, თანდათან აუჩქარა, ჯერ კუდი ასწია და მერმე უცებ მოსწყდა მიწას, ლამაზად შესცურდა სივრცეში.

სოფლელებმა აღტაცებით გააყოლეს თვალი მანქანას და თავიანთ სიხარულს ხმამაღლა გამოსთქვამდნენ. ლადი კი მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდა, როდესაც ნათელა მაღალ ქედს გასცილდა და წარმტაც ოცნებასავით დაინთქა ცის იერში.

(დასასრული შემდეგ №-ში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰენრიხ ჰაინე

„ღირიკული ინტერმეცცო“

33.

მთისა მწვერვალზე დგას ჩრდილოეთში
მაღალი ფიჭვი, განმარტოებით.
იგი თვლემს, თანაც თოვლით და ყინვა
დაფარულია მისი რტოები.

ფიჭვი ოცნებობს ლამაზ პალმაზე
და ელანდება ცა შორეული —
პიტალო კლდენი მაშრიყის ცხელის
სადაც სწუხს იგი, დარდათ ქცეული.

34.

ამბოლს თავი:

ახ, მე რომ ვიყო ის სკამი, სადაც
სატრფოს ფეხები ისვენებს ხშირად —
რამდენიც უნდა მტკეპნოს იმ ფეხით
არ მივიჩნევდი მე ამას ჩირად.

ამბოლს გული:

ახ, მე რომ ვიყო ბალიში რბილი
რომელზეც სატრფო დაასობს ნემსებს—
დამაჰოს კიდევ რამდენიც უნდა
ეს გამახარებს, არ ამაკვნესებს.

ამბოლს სიმღერა:

ახ, მე რომ ვიყო იგი ქალალდი
პიპილოტკებად სატრფო რომ ხმარობს,
ჩავჩურჩულებდი ყურში ფარულად
რაც ჩემში ცოცხლობს, სუნთქავს და ხარობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

35.

მას შემდეგ, რაც რომ სატრფოს დავშორდი
სიცილის ნდომა სულმთლად დავკარგე,
და ოხუნჯობა, უშნო, უკბილო
ლიმილისათვის არ მიხსნის ბაგეს.

მას შემდეგ, რაც რომ სატრფო დავკარგე
ატირებაც კი არ ძალმიძს მწველი,
თუმცა ტკივილი გულს მიკლავს, მაგრამ
არ ეკარგება ჩემს თვალებს ცრემლი.

36.

დიდ ტკივილებით მე ვქმნი პატარა
სიმღერებს, სავსეს ტკბილი ჰანგებით,
ისინი ეშხით გაშლიან ფრთებს და
სატრფოს გულისკენ მიფრენენ შვებით.

მათ საყვარელის იპოვეს გული
მაგრამ დაბრუნდნენ .უკანვე წყენით,
ჩივიან მწარედ და არ უნდათ სთქვან
რა ნახეს მასში ნაღველის მფენი.

37.

ფილისტერენი, საზეიმოთ მორთულნი,
სეირნობენ, იხარებენ გუნებას,
ლურჯ მდელოზე ციკნებივით დახტიან
შეჰხარიან გალაღებულ ბუნებას.

საამურად აყვავებულ მიდამოს
განაბული თვალებით შესცქერიან,
და უსმენენ გრძელ ყურებით ბელურებს
მინდვრებში რომ გატაცებით მღერიან.

მე კი ამ დროს ჩემს ფანჯრებზე ვაფარებ
ფარდებს, შავათ რომ არიან ხვეული,
და დღისითაც არ მტოვებენ მარტოკა
ჩვენებანი ჩემთან შემოჩვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩნდება სიყვარული ფარული
მოფრენილი სამარიდან, ვით ჩრდილი,
ჯდება ჩემთან იგი განმარტოებით
და გულს მილბობს მე იმისი ტირილი!

38.

დავიწყებული ჟამთ სურათები
ბნელ საფლავებში ტოვებენ ბინას,
ჩემთან ჩნდებიან და მაგონებენ
როგორ ვცხოვრობდი ოდესღაც, წინად.

ვეხეტებოდი ქუჩებში დღისით
გარემოცული ოცნებით, მკრთალით,
და გაოცებით მიცქერდა ხალხი
ვიყავი მუნჯი, სევდით მზირალი.

ღამის სიბნელე მერჩია დღეებს
როს წყნარდებოდნენ ქუჩები — ფართო,
მე ჩემს განუყრელ მეგობარ ლანდთან
ვხეტიალობდი უსიტყვოთ, მარტო.

ხიდზე გავლისას ჩემთა ნაბიჯთა
გამოძახილი მესმოდა ნელი,
და ღრუბლებიდან გამომზირალი
მესალმებოდა მთვარე ნათელი!

შევჩერდებოდი შენი სახლის წინ
მოულოდნელად, დაფიქრებული,
ვაცქერდებოდი, უსიტყვოთ, ფანჯრებს
და ტკივილებით მიკვნესდა გული.

ვიცი შენ ბევრჯერ გადმოგიხედავს
და გინახავარ ფანჯრის მახლობლად —
განათებული მთვარის სხივებით
როგორ ვიდექი სვეტივით ობლად!

39.

ჭაბუკს უყვარს გოგონა
გოგონა კი სხვას ეტრფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ სხვას კიდევ სხვა უყვარს
სურს შეირთოს ცოლად ის.

გულდაწყვეტილი ქალი
ვაჟს მიჰყვება ცოლად კარგს,
მაგრამ ქმარს ის არ უყვარს
და ეძლევა სევდა-დარდს.

ეს არს ძველი ამბავი
მაგრამ მარად ახალი,
შენ რომ ეს დაგემართოს
გულს გაგიპობს ვალალი.

40.

ოდეს მომესმის ჰანგები ტკბილი
გრძნობით რომ მღერის შეყვარებული.
ამდროს მგონია ლამობს გაპობას
მძლავრ ტკივილისგან ეს ჩემი გული.

და მიმაქანებს შავი ნაღველი
მწვერვალებისკენ ნელინელ, რხევით,
და ჩემს უდიდეს ტკივილს და სევდას
იქ ვიმსუბუქებ ცრემლების ფრქვევით.

41.

მე სიზმრად ვნახე მეფის ასული
ავათმყოფი და ფერმილეული,
ერთად ვისხედით მწვანე ცაცხვის ქვეშ
ერთმანეთს მტკიცედ მკერდს ჩახვეული.

— არ მინდა ტახტი მე მამაშენის
არც მისი სკიპტრა, ოქროთი მშვენი,
არც მარგალიტით სავსე გვირგვინი
მე მინდა მხოლოდ შენ იყო ჩემი.

— არ შეიძლება, — მიპასუხა მან —
მე ხომ ბინად მაქვს სამარე ბნელი,
და მხოლოთ ღამით ძალმიძს გეწვიო,
რადგან უშენოთ იქ ვერ გავძელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

42.

ჩემო ძვირფასო, ერთად ვიჯექით
გულს გვიღონებდა სათუთი სევდა:
შორს მივცურავდით მსუბუქი ნავით
და მდუმარებას ღამე გვახვევდა.

ჟაეროვანი კუნძული კოხტა
მთვარის სხივებით კრთოდა წარმტაცად.
იქ გაისმოდა სიმღერა ტკბილი
და ნისლი თრთოდა, ტოკავდა ნაზად.

კვლავ უფრო ტკბილად ისმოდა მღერა
ნისლიც ღელავდა ზვირთად ქცეული.
ჩვენ მივცურავდით უსიხარულოდ
და გვიტაცებდა გზა შორეული.

43.

ძველ ზღაპრებიდან გამოდის იგი
და თეთრ ხელს მიქნევს, ქცეული ჩრდილად
თანაც ჯადოსნურ, უცხო მხარეზე
მოწკრიალე ხმით იმღერის ტკბილად.

სად მწუხარებენ ყვავილნი დიდნი
ალოსფერ ღამის შუქით ნაფერი,
და შესცქერიან ერთმანეთს ისე
როგორც მიჯნურნი ჯვარდანაწერი.

ალადაც ხეები, მოსაუბრენი,
ხშირად იწყებენ საამოდ მღერას.
და საცეკვაო წარმტაც ჰანგების
ნაკადულები ასტეხენ ჟღერას.

ახ. ნეტავ ამდროს იქ გავჩნდებოდე,
გაიხარებდა შვებით ეს გული,
დავივიწყებდი ტკივილს და ტანჯვა
ტკბილ ნეტარებით ატოკებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახ, საოცნებო იგი ქვეყანა
რომელსაც ხშირად სიზმრები ხატავს!..
...მაგრამ ამოვა დილის მზე მწველი
და ჩემს ოცნებას ქაფივით ფანტავს.

44.

მე შენ მიყვარდი, მიყვარხარ ეხლაც
და ქვეყანაც რომ დაიქცეს — მჯერა —
მის ნანგრევთაგან გამოაშუქებს
ტრფობის ალმური, გულში რომ ღელავს!

45.

გაბრწყინვებული ზაფხულის დილით.
მშვენიერ ბალნარს ვეწვევი მარტო,
ყვავილნი თრთიან და ბაასობენ
და მე, მდუმარე, ვსეირნობ, ვდარდობ.

ყვავილნი თრთიან და ბაასობენ
და თანაგრძნობით ახელენ თვალებს,
— „ჩვენს ლამაზ დაზე ნუ გაჯავრდები
ყრმაო ფერმკრთალო და მოვალალევ!“

46.

ჩემში ანთებული სიყვარულის ალი
ბნელი ბრწყინვალებით კრთის, ანათებს მარად.
როგორც მოწყენილი, უსხივო ზლაპარი
ზაფხულის ღამეში ნაამბობი წყნარად.

მომხიბვლელ ბალნარში მოტრფიალე წყვილი
დაზეირნობს მარტო, მდუმარებით სავსე.
ბულბულები სტვენენ, საამოდ გალობენ
და სხივები მთვარის კაშკაშებენ ცაზე.

ქალწული დგას უტყვად, როგორც ქანდაკება
რაინდი მუხლს იდრეკს მის წინ გრძნობით
მთვრალი.
მაგრამ ჩნდება მათთან გოლიათი მხეცი —
გარბის შიშისაგან ფერწასული ქალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლით შელებილი ეცემა რაინდი
და შინისკენ გარბის მხეცი საშიშარი.
...როცა დამმარხავენ ჩემო საყვარელო,
გათავდება მაშინ აქ ჩემი ზღაპარი!

47.

მე მაწამეს, ჯვარზე მაცვეს —
გავხდი მსხვერპლი მათი ვნების, —
ზოგმა თავის სიყვარულით
და სხვებმა კი მძულვარებით.

მომიწამლეს მათ მე პური
საწამლავი მასვეს ბევრი,
ზოგმა თავის სიყვარულით
და სხვებმა კი მძულვარებით.

მაგრამ, ვინაც სხვებზე მეტად
ჯვარს მაცვა და გამამწარა —
არ მაღირსა სიძულვილი,
არც არასდროს შემიყვარა!

48.

შენს მშვენიერ ლოყებზე
ცხელი ზაფხული ღვივის.
და პაწია გულში-კი
არის ზამთარი ცივი.

მაგრამ გელის ძვირფასო
შენ ცვლილება ამგვარი:
გულს ზაფხული გეწვევა
და ლოყებზე ზამთარი!

49.

როს შორდებიან ერთმანეთს ორნი
და გაუწვდიან მოწყენით ხელებს,
მაშინ ოხრავენ დაუსრულებლად
ორთავეს თვალებს ცრემლი უსველებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ძვირფასო, არ გვიკვნესია
და არ გვიღვრია ცრემლები ცხელი —
ჩვენ განშორების შემდეგ გვეწვია
ოხვრა და ვიში გულის დამწველი.

50.

ისინი ისხდნენ და სვამდნენ ჩაის
და სიყვარულზე ჰქონდათ ბაასი,
ვაჟნი — მორთულნი ესთეტიურად
ქალნი — აღსავსე გრძნობებით ნაზით.

— სიყვარული ჯობს პლატონიური, —
სთქვა ეს ჰოფრატმა, გამხდარმა მეტად.
ცოლს გაეღიმა ირონიულად
და თან წამოსცდა: „ახ“ — უცაბედათ.

მაშინ პასტორმა დააღო პირი:
— არ ვარგა ტრფობა ტლანქად, უმსგავსად
რადგან იგი ვნებს ჩვენს ჯანმრთელობას.
— „ნუ-თუ!“ — წარმოსთქვა ასულმა ნაზად.

გრაფის ცოლმა კი ჩაურთო წყენით:
— სიყვარული ხომ ცეცხლია ვნების! —
და თანაც ბარონს ფინჯანი ჩაი
მიართვა კდებით და მორიდებით!

მაგიდას აკლდი შენ, საყვარელო,
ჩემო საუნჯევ, იმედო გულის,
შენ ხომ შესძლებდი აგეხსნა მათთვის
რა არის ტრფობა და სიყვარული!

51.

მოშხამულია ჩემი სიმღერა
არც შეიძლება იყოს სხვაგვარად,
გაფურჩქვნილ დღეებს ჩემი სიცოცხლის
შენ ჩააწვეთე შხამი, სამსალა.

მოშხამულია სიმღერა ჩემი
და განა ძალმიძს არ იყოს ასე?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გველები დამყავს იმ გულით ეხლა
შენდამი ტრფობით რომ არის სავსე.

52.

ისევ მეზმანა ძველი სიზმარი
მაისის ღამის ეშხით ვტკბებოდით,
ცაცხვის ქვეშ მსხდარნი, ერთმანეთს, მარად
ერთგულებაზე ვეფიცებოდით.

ეს იყო ფიცი მეტად უსაზღვრო,
ალერსი, კოცნა სიამის მგვრელად,
და ეს ხსოვნაში რომ ჩამრჩენოდა,
შენ ხელზედაც-კი მიკბინე მწველად.

ჩემო ძვირფასო, ბასრ-კბილიანო,
თვალები შუქით ვინ დაგიმშვენა?
ფიცი მწამს, წესად მიღებულია —
მაგრამ ზედმეტი კი იყო კბენა!

53.

ვდგევარ, მარტო, მთის მწვერვალზე,
და მოწყენა გულს მიგმირავს,
— ნეტავ ჩიტი ვიყო მაინც! —
ოხვრით ვამბობ ამას ხშირად.

მერცხალი რომ ვიყო, მარდი,
გავჩნდებოდი შენთან ფრენით,
ბუდეს იქ გავიკეთებდი
სადაც ფანჯარაა შენი!

ბულბული რომ ვიყო ნაზი
გავჩნდებოდი შენთან ფრენით,
ღამით, ცაცხვის მწვერვალიდან,
გიმღერებდი ჰანგებს ლხენით!

ანდა ვიყო გულწითელა,
გავჩნდებოდი შენთან მყისვე,
შენ ხომ თანაუგრძნობ იმათ,
ძალგიძს განკურნებაც მისცე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

54.

მწვანედ მობიბინე ტყისკენ
მიმაქანებს ეტლი ნელა,
ყვავილოვანი მინდორი
მზის შუქით კრთის მომხიბვლელად.

ვზივარ მარტო და ვოცნებობ
მაგონდება სატრფო ტკბილი,
და თავდახრით, მორიდებით
მესალმება სამი ჩრდილი.

და დაცინვით, თვალთმაქცურად
ერთმანეთში ირევიან,
მარდად ხტიან მანქვა-გრეხით,
ხითხითებენ, ჩემს წინ რბიან.

55.

სიზმრად ვნახე — თითქოს სატრფოვ
იწექი ცივ საბარეში.
გამელვიძა და ლოყებზე
მელვრებოდა ცრემლის თქეში.

სიზმრად ვნახე, თითქოს სატრფოვ
მიმატოვე, მარტო, ობლად,
გამელვიძა, კვლავ ვტიროდი,
მწვავდა ცრემლი შეუშრობლად.

სიზმრად ვნახე — თითქოს სატრფოვ
ერთგული ხარ ისევ ჩემი,
გამელვიძა და ჩემს თვალებს
კვლავ სდიოდა მწველი ცრემლი.

56.

ყოველ ღამე ვხედავ სიზმრად
როგორ მესალმები გულით,
მე გიკოცნი ლამაზ ფეხებს
თვალებზე ცრემლ მორეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ მწუხარედ შემომყურებ
ოქროსთმიან თავის რხევით,
და თვალთაგან გცვივა მალვით,
ცრემლი, მარგალიტის ფერი.

და ტკბილ სიტყვებს ჩამჩურჩულებ
მაწვდი ვარდებს გახარებით,
გავიღვიძებ, ქრება მყისვე
ყვავილები და სიტყვები.

57.

გაისმის ქარის სტვენა-ღმუილი
წვიმს, შემოდგომის ღამეა ბნელი.
სად არის ახლა, ნეტავ ვიცოდე,
სატრფო ძვირფასი და საყვარელი.

ვხედავ ფანჯარას ის მიყრდნობია
და ზის ოთახში მდუმარე, მარტო.
თვალები ცრემლით აქვს ავსებული
ღამეს გასცქერის და მძიმეთ დარდობს.

58.

ღამე არის ნესტიანი ცივი,
არხევს ხეებს შემოდგომის ქარი,
გახვეული ზამთრის მოსასხამში,
ცხენზე მჯდარი, ტყისკენ მივიჩქარი.

მივიჩქარი და ჩემი ფიქრები
წინ მისწრებენ, ვერ აკრთობს ცა ბნელი,
მსუბუქ ფრთებით მიმაფრენენ იქით,
სადაც ცხოვრობს სატრფო საყვარელი.

მორიდებით მხვდებიან მსახურნი
ხელთ უჭირავთ ჭრაქი ალის მფრქვევი,
მე სასწრაფოდ — დეზების წკარუნით —
ხვეულ კიბით ავირბინე ზევით.

საწოლ ბინას, სურნელებით სავსეს
ანათებდა ელნათური მკრთალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ მელოდა სატრფო უნაზესი —
და ჩავეკარ მკერდში — ვნებით მთვრალი.

ქარი უსტვენს, ფოთლებში გაჰკივის,
მუხა ამბობს, ისე თითქოს ჯავრობს:
— ახ, რა გინდა სულელ ოცნებასთან,
შენ სულელო, უცნაურო მგზავრო!

59.

ეშვება დაბლა ვარსკვლავი სწრაფი
მაღალი ზეცის ლურჯი ტატნობით,
ეს ვარსკვლავია სიყვარულისა
ბევრჯელ ხილული, ძველი ნაცნობი.

სცვივა ვაშლის ხეს ფოთოლი უხვად
და ყვავილები აურაცხელ,
მათ ცელქი სიო ეთამაშება
და ისმის ფრთების შრიალი ნელი.

ტბაზე მცურავი იმღერის გედი
წყალს ალივლივებს ფრთების შერხევით,
შემდეგ ანელებს სიმღერას იგი
და ჩაეშვება სილრმეში, ქვევით.

გამეფებულა სიბნელე ირგვლივ,
თრთიან ფოთლები, ტოკავს ყვავილი,
ირღვევა ცაში ვარსკვლავი უცებ,
და სწყდება გედის სიმღერა ტკბილი.

თარ. გერმანულიდან ხ. **ვარდოშვილისა**

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტიციან ტაბიძე

დავით გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-შფაველას პოეტურმა სახელმა სიცოცხლის მიწურულში მოუსწრო. ფშავ-ხევსურეთიდან მომსკდარი პოეზიის ნიაღვარში უკვე გადმოსცდა „სალსა კლდეებსა“ და მეწყერივით ჩამოწვა ბარიან საქართველოში.

ამ დროს თითქო გამომშრალიყო პოეტური ნიადაგი ტფილისში და დედა-ქალაქი სიხარულით და აღტაცებით შეხვდა ვაჟა-ფშაველას დაუთოკავ შემოქმედებას.

აკაკი წერეთელი, რომელიც ყოველთვის განებივრებული იყო ხალხის სიყვარულით და სახელით, ეხლა უკვე გრძნობს ამ დევის სუნთქვას და ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ცნობილ ლექსში ცდილობს გაბზაროს ვაჟას დაგვიანებული დიდება.

ვაჟა-ფშაველა თავის პასუხში მოხუცი პოეტის შარის მოდებას არ მალავს და მოითხოვს „ჭორების მოშორებას“, თანაც გაკვირვებული ჰკითხულობს: „რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი, მთის ჰანგს ბუნება ბარისაო“.

ვაჟას ეს ლექსი თითქო გვაგონებს პოლ ვერლენის სიკვდილის წინ ჟრუანტელით ატირებას: „ჩემო ძმებო, ჩემო ცუდო ძმებო, რისთვის დამივიწყეთ მეო“. ვერლენსაც ვაჟასავით გვიან ეახლა დიდება.

მაგრამ, თუ აკაკი წერეთელი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზენიტშიც უსაყვედურებს ენის სიწმინდის შერყვნას, რაც ჰამბურგის ანგარიშით თითონ პოეზიის დაწუნებას ნიშნავს, მეორე პოეტი, აგრეთვე გამთბარი ხალხის სიყვარულით და დიდებით და თავისი დროის გემოვნების კანონმდებელი ილია ჭავჭავაძე იმ თავითვე აღტაცებით ხვდება ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ქართულ პოეზიაში, თითონ მოიხდის პოეტურ გვირგვინს და მოიდრეკს ქედს ვაჟა-ფშაველის წინაშე.

უეჭველია, ილია ჭავჭავაძისათვის ეს არ ყოფილა არც ხერხი და არც ჟესტი — ეს იყო გულთმისნობით გაზომილი წინასწარმეტყველება, რომ ქართულ პოეზიას დევის ნაფეხურით მობდგა ახალი გოლიათი და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემდეგ გასწია პოეზიის არე და განი.

ილია ჭავჭავაძის გამოცდილ თვალს არ დაეშალა, რომ ვაჟა-ფშაველა მის თანამედროვე პოეტებზე „სამი გაფრენით [illegible] იდგა“ და რომ მას მოჰქონდა შეუვალ მთებიდან შეუ[illegible] შთაგონება.

აკაკისა და ილიას ასეთმა, ერთი მეორის საწინააღმდეგო, შეხვედრამ უფრო დააბნია ქართული კრიტიკა და ვაჟა მან წარმოიდგინა ახალ გამოუცნობ სფინქსად.

ყველა კრიტიკოსი, ვინც კი შეჰხებია ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას, აღნიშნავს, რომ ქართულ მწერლობაში მოულოდნელი იყო ვაჟას გამოჩენა, რომ მას არა ჰყოლია არც წინაპარი და არც მემკვიდრე დარჩენია, რომ მისი ფენომენი ჯერაც აუხსნელია.

ზოგ კრიტიკოსს ვაჟა-ფშაველა ჩამორჩენილ ადამიანად მიაჩნდა, თითქოს მას მხოლოდ მთის ხალხურ მოშაირეთაგან აედგა ენა და იგი პირველყოფილი ადამიანის სიჯიუტეს ატარებდა, ზოგი კიდევ, უფრო ახალი ფორმალისტების სკოლით გატაცებული, ვაჟა-ფშაველაში ხედავდა სიმბოლისტს, ხოლო ყველანი ერთად ამტკიცებდნენ, რომ ვაჟა-ფშაველა ამოვარდნილია კლასიკური ქართული პოეზიის რგოლიდან.

რამდენიმე ხნის წინად არც ჩემთვის იყო ნათელი ვაჟა-ფშაველას პოეზიის სათავე და ვაჟა-ფშაველას ლექსთა სრული კრებულის წინასიტყვაობაში ამ ცნებათა არევაზე ვსწერდი:

— „ეს ჩვენში თითქო გასაგებიც არი, რადგან, ილია ჭავჭავაძის არ იყოს, საქართველოში კრიტიკა ყოველთვის ჩამორჩებოდა მწერლობას. კრიტიკას ჰქონდა თავისი გათლილი ყალიბი და წინდაწინ შემუშავებული ფორმულები, რომელთა დაკანონებისთვისაც სხვა ქვეყნებში სულ სხვა ხალხი იბრძოდა. ვაჟა-ფშაველა კი ისეთი ცომისაგან იყო მოზელილი, რომ არც ერთ ქვეყანაში ამის პურს არ სჭამენ... და გასაგებია, რატომ უპასუხა ვაჟა-ფშაველას გამოჩენას ასე დაბნეულად ქართულმა მწერლობამ“...

მართალია, ქართული პოეტიკის კვლევა-ძიება დღესაც არ გასცილებია პირველ ცდებს და დაუდგენელია ელემენტალური ნორმები, მაგრამ ჩვენი შეცდომა იყო, რომ მხედველობაში არ მივიღეთ თითონ ვაჟა-ფშაველას დეკლარაცია, რომელშიც მან უდიდესი გულწრფელობით და პირდაპირობით დაასახელა თავისი პოეტური წინამორბედი და გვანიშნა თავისი პოეზიის საწყისი. მე ვგულისხმობ ვაჟა-ფშაველას ლექსს, რომელიც მან დავით გურამიშვილის ხსოვნას მიუძღვნა.

ეს ლექსი არის ვაჟა-ფშაველას „l'art Pootic“. ამ ლექსში ყოველ სტრიქონს თავისი აზრი აქვს, იქ ნიუანსებით და ზოგან ფორმალებით მოცემულია ვაჟა-ფშაველას პოეტური აღსარება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენ ჩემო წინამორბედო
უძვირფასესო **პაპაო.**
შენ **ახოდილს** ვეამბორები,
ლექსიც რამ დამიჩხაპაო.
ნეტა რას მემუდარები,
ნე რა გიამბო აბაო, —
ნამდვილო მამულიშვილო,
სამშობლოს ეკლის მკაფაო.
პოეტად ვიხსენიები,
თუმცა ხარი ვარ ლაბაო;
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი აბაო.
ტან-ფეხშიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო;;
შენი ცრემლებით მოვხარშე
ჩემი გრძნობების ფაფაო,
ამგვარი საჭმლის კეთებას
დიდი სდომია ჯაფაო.
გავუღე სული და გული,
როდის ხანია ვყლაპაო,
გაუთავები გამოდგა,
არც დამკარგვია მადაო,
ვიცი, არ გაიჯავრდები
და არცა მკითხავ, რადაო?
მას აქეთ ჩონგურს ვაჟღერებ.
თანაც ლექსებსა ვჩმახაო.
ჩუმჩუმად კიდეცა ვსტირი,
რა დაგიმალო მნახაო?
იქნება მადლობელიც ხარ,
იქნება არა მძრახაო.
გული დადნა და დანაღვლდა,
მიხმება, შრება ხახაო.
დაჩოქილი ვარ თქვენ წინა,
ვით ერთი ვინმე გლახაო,
მიშველეთ, მომაკლებინეთ
ღელო რაც დამისახაო,
მაშინ თქვენ ნათელ სახეებს
მეც პირნათლადა ვნახაო!..“

უფრო აშკარად არ შეიძლება პოეტმა დაასახელოს და გამოამჟღავნოს თავისი პოეტური ვინაობა, როგორც ეს ამ ლექსშია გამოთქმული. მხოლოდ რაღაც გაუგებრობას შეეძლო ამ გულცხელი აღსარების შემდეგ კიდევ სხვაგან ეძებნა ვაჟას შემოქმედების სათავე. თვითონ პოეტმა მაგისტრალი ხაზებით გახსნა და გაშალა თავისი გენიალოგია. ვაჟა-ფშაველა ასე მიმართავს დავით გურამიშვილს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შენი ცრემლებით მოვხარშე
ჩემი გრძნობების ფაფაო.“

და ან კიდევ უფრო მიჭრილი და ლაპიდარი ფორმულა:

„შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო!..“

ამ მაგიური გასაღების შემდეგ ძალიან იოლი ხდება ვაჟა-ფშაველას და დავით გურამიშვილის პარალელების მოძებნა და ფარდა ეხდება ვაჟა-ფშაველას განმარტოებისა და განყენების ლეგენდას.

ამჟამად მოვერიდებით დავასახელოთ ყველა ის ელემენტი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ეს პოეტები; გვინდა შევჩერდეთ მხოლოდ ორ მაგისტრალ ხაზზე, საიდანაც გამოდიან შემდეგ სხვა დეტალები და შემავალი ნასკვები, რომელთაც მხოლოდ აღნუსხვა და რიგზე დალაგება უნდა.

ორი მთავარი ხაზი — ერთი ეროვნული და მეორე ხალხური — აერთებს და ანათესავებს დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს და ვაჟა-ფშაველას.

წარსულ საუკუნეში უდიდესმა პოლონელმა პოეტმა ა დ ა მ მ ი ც კ ე ვ ი ჩ მ ა მოგვცა ნაციონალური პოეზიის ფორმულა. სამშობლო მას უყვარს, ვინც ის დაკარგაო. ეს ფორმულა გამოჭრილია საქართველოს XIX საუკუნის პოეტებისთვისაც.

დღეს ჩვენ ვიცით, რომ ფეოდალური და ბურჟუაზიული პოეზიის ეს ფორფმულა დაყირავდა, დღეს ჩვენ ვიცით, რომ სამშობლოს სიყვარული ნიშნავს ამ სამშობლოს მოპოებას და საკუთარი ხელით შეჰქმნას, რომ სოციალისტური შინაარსი ეროვნულ ფორმას აძლევს ახალ სუნთქვას, ახალ სიცოცხლეს. ეს არის ახალი ადამიანის უპირატესობა. არა წარსულის რომანტიული გამოტირილი, არამედ მომავლისა და დღევანდელი დღის ბედნიერებით ამღერება და ის სულიერი ჰარმონია, რასაც ამყარებს განთავისუფლებული შრომა და მშრომელი კლასი. ხოლო ჩვენთვის დღეს უფრო გასაგებია წარსული ისტორია და დიალექტიკის მეთოდი უფრო ნათლად აშუქებს ამ წარსულის ტრაგედიას. ამ მხრივ დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი წინამორბედია არა მარტო ვაჟა-ფშაველასი, არამედ ნ ი კ ო ლ ო ზ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა და სხვა დანარჩენი დიდი რომანტიკოსი პოეტებისა, რომელთაც ეროვნული სევდა აქციეს თავიანთი პოეზიის მთავარ მოტივად. დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს ბედი ძალიან მიაგავს დიდი ფლორენციელის დ ა ნ ტ ე ს ბედს, რომელმაც გამოიტირა თავისი სამშობლოს იტალიის დაჭუცმაცება იმ დაცემის ეპოქაში, როცა რესპუბლიკები ერთმანეთს ებრძოდნენ და ანადგურებდნენ, როცა დ ა ნ ტ ე მ თითონ გამოსცადა სხვათა კარზე გდება, მწარე პურის ჭამა, დამცირება და სირცხვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით გურამიშვილი მომსწრეა ფეოდალური საქართველოს აგონიისა და მან ეს აგონია ჯერ უნახავი ერუანტელურად გამოსახა, — ეს არის ქართლის ბედი:

„ვით მამალი სხვის მამალსა
დაჰმტერდეს და წაეკიდოს,
მას სცემოს და თვით იცემოს,
დაჰქოჩროს და დაეკიდოს,
რა ორივე დაღალული
ძაღლმან ჰნახოს პირი ჰკიდოს,
ეგრეთ ქართლი და კახეთი
დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

ჩვენ ვიცით, როგორ იწვნია დავით გურამიშვილმა სიყრმიდანვე ლეკის ტყვეობა, როცა ლამის ყანიდან მოიტაცეს.

დავითის ტყვეობაში გოდება მართლაც ჰგავს დავით მეფსალმუნეს დიდ მოთქმას და ამ ხმაში ისმის სასოწარკვეთილი სულისკვეთება ათასი ტყვე ქართველისა, რომელთაც ჰყიდდნენ ანატოლიისა და სტამბოლის ბაზარზე მონებად და ან სულს ლევდნენ, მთიელი ტომების ტყვეობაში.

თუ ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექ. ჭავჭავაძე და გრიგოლ ორბელიანი კიდევ ატარებენ ისტორიულ საქართველოს ორგანიულობას და მათში ცოცხალია სახელმწიფოებრივი ტრადიცია, თუ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და დავით გურამიშვილის „ქართლის ბედი“ ერთმანეთის პოეტური გამოძახებაა, — ილიაჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები მოკლებულია ამ დასაყრდენს, რაც აუცილებელი თავდებია ძლიერი ეპოსისა. ილიას და აკაკის ქართლის ბედი „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოკითხული ქრონიკებია, მათ ისტორიულ გმირებს აშკარად ამჩნევიათ რომანტიული ბურუსი, მათ გმირებს აკლიათ უშუალობა და მთელი პათოსით გადატანილი არიან წარსულში. ამიტომ არის, რომ აკაკისა და ილიას ეპიური შემოქმედება უფრო ციცია და ხშირად რიტორიკა ანელებს უშუალოთ განცდას.

ვაჟა-ფშაველამ პირდაპირ ჩამოართვა ხელი და ხმალი დავით გურამიშვილს. როგორც გურამიშვილი ხედავდა უცხოეთში გახიზნული ფეოდალური არისტოკრატიის წრეში, როგორ ლევდა სულს ქართველი „მაღალი“ წოდება რუსეთის ბიუროკრატიულ სახელმწიფოს კარზე, ასევე ნათლად დაინახა ვაჟა-ფშაველამ იმპერიალისტურ გარემოცვაში რუსეთის ბიუროკრატიის უკანასკნელი იერიშები და მთის საქართველოს, ფშავ-ხევსურთა არწივების ბუდეთა დანგრევა.

ვაჟა-ფშაველა განიცდიდა საშუალო საუკუნის მორალის დაპირდაპირებას კაპიტალისტურ ეპოქასთან.

ხედავდა რომ ძველი ადათისა და ზნე-ჩვეულებისაგან ალარაფერი რჩებოდა, და აქ მან, როგორც კერა დანგრეულმა და კერა გაპარტახებულმა დევთა ხელმწიფემ, საშინელი დრტვინვით შეუტია ... ძალას.

ლენინი უდიდესი გამჭრიახობით აღნიშნავს, თუ რა სიმაღლეზე მიდიოდა ლევ ტოლსტოი კაპიტალიზმის ულმობელ კრიტიკაში და როგორ ამხელდა ბიუროკრატიული რეჟიმის სიმკაცრეს, თუმცა მისი ზნეობრივი იდეალი დიდად იყო დაშორებული მუშათა კლასის რევოლუციურ იდეოლოგიას.

ვაჟა-ფშაველამ და სანდრო ყაზბეგმა, რომელთა ზნეობრივი იდეალიც დაშორებულიყო თანამედროვეობას, გაიმეორეს ეს გზა.

ლევ ტოლსტოის „ჰაჯი მურატსა" და ვაჟა-ფშაველას პოემებს შორის ყოველთვის შეიძლება პარალელის გატარება და იმის დამტკიცება, თუ რა პათოსამდე მიდის კაპიტალისტური წყობილების უარყოფა მისსავე წიაღში. ვაჟა-ფშაველა იმიტომ არის უდიდესი ეპიკოსი, რომ ორგანიულად გრძნობს ხალხურ ძირებს და პირველ წყაროს.

გოგოთურ და აფშინაზე, ალუდა ქეთელაურზე, ჯოყოლაზე და ძაღლიკა ხიმაკაურზე, ზვიადაურზე და გულთმისან მინდიაზე, ბრძენსა და გველისმჭამელზე „ქართლის ცხოვრება" არაფერს ამბობს. ეს უფრო მხედრული შაჰნამეა — წიგნი გმირობისა და ქედმაღლობის აპოლოგია. ვაჟა-ფშაველამ პირველად აალაპარაკა პოეზიაში სახალხო გმირები და შთაბერა მათ უკვდავი სული. ვაჟა-ფშაველა თითონ ამ ხალხის შვილია, მათი ბედის მონაწილე და აკი შესტირის დავით გურამიშვილს:

„ტან-ფეხშიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო.
ჩემისთანები ბაგებზე
ასი, ათასი აბაო!.."

ვაჟა-ფშაველა სწორედ მეწყერია ამ ბაგებზე დაბმულ ლაბა ხარებისა, მოაქვს ამ გაუტეხელი კოლექტივის ნიაღვრის სიმძლავრე.

დავით გურამიშვილის დასახელებით ვაჟა-ფშაველამ თითონ გახსნა თავისი პოეზიის შიფრი და თავისი თავი დაუნათესავა „სამშობლოს ეკლის მკაფავსა და მოზარე" დავითიანის ავტორს.

თუ ამ პირველ მაგისტრალზე დავით გურამიშვილსა და ვაჟა-ფშაველას შორის კიდევ სდგას ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც მესანგრე, რასაც უთუოდ გრძნობს თითონ ვაჟა-ფშაველა ბარათაშვილისადმი მიძღვნილ თავის ლექსებში, პოეზიაში ხალხური ენის შემოტანა და ლექსში პოეტური სახეების გამართვა ვაჟა-ფშაველას დავით გურამიშვილისგან აქვს უშუალოდ ათვისებული. აი სტრიქონები დავით გურამიშვილიდან:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. „კიდევ შევხედე, გავშინჯე
გარჩევით დავინახეო,
თავთ იალქანნი ქალთანი
ლევთა რქად გამოვსახეო.“

2. „რა რომ სთქვეს პურის სახელი
მე იმან მომიფონაო.
ამ სიხარულმა დამშალა
ჯავრით შეკრული კონაო“.

3 „მეხო, ქუხილის ისარო,
მტერთ გულზე დასარჭობელო“.

4. „მთავ ღვთისავ, ძთაო პოხილო,
დავითის საგალობელო“...

სრულიად არ არის საჭირო იყოს კაცი დაოსტატებული სახეების, ეპიტეტებისა და რიტმის ანალოგიების ძებნასა და მისადაგებაში, რომ აღმოაჩინოს ამ ლექსში ვაჟა-ფშაველას და გ უ რ ა მ ი შ ი ლ ი ს ნათესაობა.

თვით ვაჟა-ფშაველას შაირი პირველად გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს აქვს გამართული ხალხურ მოტივზე.

დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს პოემაში „მხიარული გაზაფხული“ აუარებელი ადგილია, რომელთა შედარებაც ვაჟა-ფშაველას პოემებთან აშკარად დაამტკიცებდა, რომ ვაჟა-ფშაველას არა ერთგვარი პოეტური თავდაბლობით და საკუთარი შემოქმედების განზრახი დამცირებით უთქვამს თავისი გულწრფელი აღსარება, ლექსი „დავით გურამიშვილის ხსოვნას“ განდობაა ოსტატისა ოსტატისადმი.

დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს პოეზიასთან დანათესავება და საკუთარ ის გახსნა სრულიადაც არ უკარგავს ვაჟა-ფშაველას დიდი ოსტატისა და ხალხური პოეზიის საკუთარ შემოქმედებაში გადატანის დამსახურებას. ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა რ ა ფ ი ე რ ე რ ი ს თ ა ვ ს ა ც ენათესავება: „სამშობლო ხევსურისა“ პირველი მანიფესტია „მთის პოეზიაში“. მხოლოდ ვაჟა-ფშაველამ უდიდეს სიმაღლემდის აიყვანა ის, რაც მის წინამორბედებს ნიშანდობლივად ჰქონდათ.

ქართული პოეზიის ჯაჭვში ვაჟა-ფშაველას რგოლის მონახვა სრულიადაც არ უშლის მის საკუთარი სახის გამოჩენას, პირიქით, ის უფრო ამტკიცებს მის დიდ სახელს და უკავშირებს ქართული პოეზიის ურყევ საფუძველს, ნიადაგსა და სამყაროს, რომელიც ყოველთვის გვქონდა „უთვალავი ფერითა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. დუდუჩავა.

აკაკი წერეთლის რეალიზმი

1859 წელს ჟურნალ „ცისკრის“ ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს ლექსი: „შტო პალესტინისა“, თარგმანს ხელს აწერდა ს-ლ ი. ეს იყო ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს სამწერლო დებიუტი.

1915 წლის 6 იანვარს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მიახლოვებული ჭაღარა პოეტი პოემა „ო მ ი ს“ დასასრულის სახით უკანასკნელ სტრიქონებს სწერდა. პოემა დასრულდა. დაღლილი, დასუსტებული, ოჯახური მდგომარეობით აღელვებული მგოსანი საწერ მაგიდიდან სარეცელს ეწვია. ხუთი დღის შემდეგ გართულებულ ავადმყოფობას დამბლა დაემატა — პოეზიის „პატრიარქს“ სხეულის მარცხენა ნაწილის მოძრაობა და თავისუფალი მეტყველება წაერთვა. სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი რამდენსამე დღეს გაგრძელდა. 1915 წლის 8 თებერვალს ღამის 12 საათსა და 55 წუთზე სიცოცხლე დამარცხდა: 33 დღის წინად „ომის“ სტრიქონებთან ომში ნახევრად დაფერფლილი დიდი პოეტი სამუდამოდ დადუმდა.

აღნიშნულ თარიღებს — 1859 — 1915 წლებს შორის თავსდება აკაკის შემოქმედების გზა. დიამეტრალურად მოწინააღმდეგე ეპოქებს ეკუთვნის ეს დატები: პირველი — სამოციანი წლების უღელტეხილს, როცა ჯერ კიდევ ბატონობდა ფეოდალური ურთიერთობის ბორკილები, მეორე — მსოფლიო იმპერიალისტური ომის ქარიშხლიან წლებს, რევოლუციის რკალით რომ დამთავრდა. გარდამავლობის, კონტრასტების, სოციალურ ძალთა გადაჯგუფების, კლასობრივი ანტაგონიზმის გამძაფრების მთავრეხილები აკავშირებენ ერთმანეთთან ამ პოლუსებს. ეს უალრესად მღელვარე და ცვალებადი სოციალური გარემო გარკვეულ პროცესს დაედვა საფუძვლად მწერლის შემოქმედებაშიც. მართალია, აღნიშნული პროცესი არ შეხებია დიდი ლირიკოსის ძირითად იდეებს, მაგრამ მათი გამოხატვის ხასიათი, სხვა სიტყვებით: მათზე აგებული პოეტის პოზიცია უდაოდ განიცდიდა ცვლილებას სოციალური სიტუაციის მიმართებასთან დაკავშირებით. ამ ცვლილების ბუნების გამორკვევა წარმოადგენს აკაკი წერეთლის შემოქმედების სოციალოგიის ერთ-ერთ ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითად პრობლემას, რომელსაც დღემდე მხოლოდ განსვენებულმა სიმონ ხუნდაძემ მიაქცია ყურადღება.

„სად მოვნახო ნამდვილი ქართველი?“ — ასეთი იყო პირველი კითხვა, რომელიც ახალგაზრდა აკაკიმ ჯერ კიდევ სამშობლოში დაბრუნებამდე თერგს იქით მყოფმა დასვა. შემთხვევითი არ იყო ამ პრობლემის აკაკის მიერ წამოყენება. იგი მისი ორგანული ძირითადი იდეებიდან მომდინარეობდა. დამახასიათებელია, რომ ეს მომენტი წარმოდგენილია მგოსნის პირველ პოლემიკურ წერილში, რომელიც „ახირებული ფურცლის“ სათაურით 1862 წელს დასწერა ე. წერეთლის წინააღმდეგ და იმავე წელს გამოქვეყნდა „ცისკრის“ მაისის ნომერში მესამე თერგდალეულის ფსევდონიმით. აღნიშნულ წერილში მოყვანილ სიტყვებს შემდეგი კონტექსტი აგრძელებს: „ამ თერგ გამოლმა ძველ ქართველებს მივბაძო, რომლებიც აღარ არიან, თუ ახალს ჭრელაძეებს? ჭრელაძეები ვინ არიან? გაკვირვებით მკითხავთ. განა არ იცით?

„ქართულზედ რომ ხელს იღებენ,
ველარც რუსულს ახერხებენ.
ულვაშებს ემტერებიან,
რუსულად ბაკებს უშვებენ.
. . . . . .
. . . . . .
ქართულ ენას არად ხდიან.
შვილებს რუსულადა ზრდიან,
ტრეტიაკოვსკის აქებენ
და რუსთველს კი დასცინიან
ეს გახლავან ჭრელაძენი,
საქართველოს ფუჭი ძენი,
უსწავლელი სწავლულები,
კიტრი-კროზნი, სულელ ბრძენი“. და სხვა.

ციტირებულ სტრიქონებში, პოეტის თანამედროვე საქართველოს ეროვნული მდგომარეობის დახასიათებასთან დაკავშირებით, „მამების“ წინააღმდეგ მიმართული გესლი და შხამია ჩამარხული. აკაკის ეს გალაშქრება ძველი თაობის წინააღმდეგ არ იყო არც პირველი, არ უკანასკნელი: ათეული წლების მანძილზე იგი ლიბერალურ-პატრიოტული იდეების პოზიციიდან დაუნდობლად ებრძოდა ფეოდალური კონსერვატიზმის წარმომადგენლებს. ამ ბრძოლის ძირითად მომენტს (საფუძველს) ეროვნული პრობლემა წარმოადგენდა. აღნიშნული მოტივი თაობათა ბრძოლაში, სხვა თერგდალეულებთან შედარებით, აკაკიმ განსაკუთრებული სიმკვეთრით განავითარა, ამასთან არა მარტო ამ სფეროში: გასული საუკუნის არც ერთ ქართველ მწერალს ეროვნული პრობლემა ისეთი სიღრმით, ისეთი სისრულით, ისეთი ორგანულობით არ განუცდია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოუხატავს, როგორც აკაკის, მხატვრული სიტყვისა და ლექსიკ-ების ამ დიდ ოსტატს.

„ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე ,თელი ქვეყანა"...

ანდა.

„ცაფირუზ-ხმელეთ ზღვაუხტო
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზევე მგლოვიარეო!"

ბღეროდა იგი და ამ პოეტურ თქმებში სწორად გამოხატავდა თავისი იდეების, შემოქმედების მთავარ ობიექტს, ძირითად მაგისტრალს.

მაგრამ აკაკის ეპოქა, ისევე, როგორც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი, ისეთ პერიოდს წარმოადგენდა, როდესაც ეროვნული პრობლემის ასეთი სიმკვეთრით დასმა შინაგანი აუცილებლობით გულისხმობდა, როგორც მთავარ მომენტს, საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის მიმართ გარკვეულ პოზიციაზე დგომას. ამ მხრივ აკაკი თავიდანვე ოპოზიციური თვალსაზრისის მატარებელი იყო. ამიტომ მისი შემოქმედების ძირითადი ხაზიც უკანასკნელი წლების გამოკლებით, მიემართებოდა თვითმპყრობელობის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ბატონობის წინააღმდეგ. ეროვნულ თემაზე აგებული პირველი ლექსი—„ნ ა ვ ი", დაწერილი 19 წლის მგოსნის მიერ 1859 წლის 25 მარტს, ამ გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენდა. დამახასიათებელია, რომ „ნავის" ნაბეჭდი ტექსტი (დაიბეჭდა „ცისკრის" იმავე წლის სექტემბრის ნომერში), ცენზორის თუ მისი შიშით ჟურნალის რედაქტორის მიერ გადაკეთებისა და დამამთავრებელი სტროფის მოკვეცის გამო, ისეთ თვალსაზრისს შეიცავს, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა ავტორი გვევლინება იმ ეპოქაში მეტად გავრცელებული სამშობლოს ბედის მეფის ტახტთან დამაკავშირებელი შეხედულების გამომხატველად.

„დაემორჩილა ხვამალდსა ნებით
დიდის სურვილით და განსვენებით,
მისსა შემდეგ აქვს მჩვიდობაი ნავს
და მავნებელიც აღარავინ ჰყავს!" *)

ასე მთავრდება ეს ლექსი „ცისკარში", მაგრამ, როგორც საქ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული ავტოგრაფიდან და მოყვანილი სტროფის მხატვრული ანალიზიდან ირკვევა, „ნავის" ასეთი დასასრული აკაკის არ ეკუთვნის. იგი შეცვლილია ცენზურული პირობე-

*) „ცისკარი", № 8, 1859 წ. ლექსი ალეგორიულია: „ხვამალდად" ნაგულისხმევია რუსეთი, ხოლო „ნავად" საქართველო.

ბის გამო იმ ოპოზიციურ იდეებისათვის, რომლებსაც ორიგინალი შეიცავდა. დასახელებული ავტოგრაფი შემდეგი სტროფებით მთავრდება:

„დაემორჩილა ხვამალდსა ნებით,
დიდის სურვილით და განსვენებით,
მის შემდეგ ვითომ აქვს მშვიდობა ნავს
და მავნებელი აღარავინ ჰყავს.
მართალი არის, გარეშე მტერი
მოშორდა იმ ნავს, აღარსადა ჰყავს.
მაგრამ ვაი, რომ თვით ის ხვამალდი
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს.“

ამ სტრიქონებში აშკარა პროტესტია მოცემული საქართველოში რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის წინააღმდეგ. ეს პროტესტი პრინციპულად საწინააღმდეგო პოზიციას შეიცავს „ცისკრის“ ნაბეჭდ ტექსტში წარმოდგენილ იდეებთან შედარებით. და, ალბათ, „ნავის“ ასეთი დამახინჯების გამო სწერდა აკაკი 1860 წ. 25 აპრილს პეტერბურგიდან დედას: „მე და კერესელიძე როგორღაც ვერ მოვეწყვეთ და ლექსები წამიხდინა, თავისებურად გადააკეთა და შარშან სექტემბერს აქეთ აღარაფერს უგზავნი“.*)

ამრიგად, როგორც „ნავის“ ორიგინალის მიხედვით გამოირკვა, ახალგაზრდა მგოსანს თავიდანვე ღრმად სწამდა, რომ რუსეთის ცარიზმის დახმარება სამშობლოს „ნავისათვის“ იმავე დროს თავზე მტვრისა და ნაგავის ყრას ნიშნავდა. ეს ფაქტი, როგორც სამშობლოს „ტანჯვის“, „დამცირებისა“ და „გატალახიანების“ საფუძველი, არა ერთხელ გადაიქცა პოეტის ცრემლისა და კვნესის მიზეზად.

„ვიცი, ცრემლი მამა კაცსა
შეარცხვენს და არ შეშვენის,
მაგრამ ის სჯობს, ჩუმად ტანჯვას,
ცრემლი ვღვარო, არა მრცხვენის!
ნურვინ სცდილობს, იმ ცრემლებში
ნახოს კერძო სიყვარული!
იქ იქნება საიდუმლო,
გულ-გამხეთქი დაფარული!
ყოველს წვეთში ნიშანს ნახავს,
ქართლის ტანჯვის გამომხატველს,
და მწარესა ნაკადულში
გრძელ მოთხრობას გულის დამწველს.
ეჰ, მეზურნე, დაჰკა, დაჰკა!
ეგებ დასდნეს მწუხარება
და ჩემთ თვალთა გადმოსწურონ
ნაღვლიანი მდღვარება.“

* ამ წერილის ავტოგრაფი დაცულია ქუთაისის მუზეუმში.

ასე სწერდა აკაკი ჯერ კიდევ 1863 წერს.* მას შემდეგაც „მტრის მონად ქცეულ სამშობლოს“ ბედით აფორიაქებული არა ერთხელ ამხელ-ებულა სიცოცხლის წინააღმდეგ, ათასი განცდით აკვნესებულს არა ერთხელ უმღერია „ბედის არ წერისა“ და ყოფნის დაისის ცრემლიანი სიმფონია; ბრაზით ანთებული სატიროსაც შეჯახებია, უთქვამს: „ფურთ-ხის ღირსი ხარ შენ საქართველო“-ო და სხვა. მაგრამ ეროვნული განთავისუფლების იმედი არსებითად მაინც არასოდეს არ დაუკარგავს, მაინც არ მისცემია უიმედობას და არ დაკმაყოფილებულა მარტოოდენ ცრემლების ღვრით. ეს მომენტი სამოციან წლებში დაწერილ ნაწარ-მოებთა შორის, არსებული ეროვნული დაცემულობის ჩვენებასთან ერ-თად, განსაკუთრებული სიმკვეთრით ჟღერს 1862 წელს დაწერილ ლექ-სში: „პასუხი ილია მამაცაშვილს“.

უფრო მეტი ოპტიმიზმი და ბრძოლის სურვილით გატაცებაა მოცე-მული ერთი წლის შემდეგ დაწერილ „სიმღერაში“, რომელიც ცენზუ-რული პირობების გამო, „ცისკრის“ 1863 წლის თებერვლის ნომერში შემდეგი სათაურით დაიბეჭდა: „დიდი კნიაზის მიხეილ ნიკოლოზის ძის მობრძანების დროს ახალი შთამომავლობა უმღერის საქართველოს“.

„სა[illegible]ფოვო ძველთა ძველო,
დღეს სნეულო გულის მწველო,
გამჭკნარი გაქვს ძველი ქება,
ვით ზაფხულში მზისგან მდელო!...
მაგრამ აწ-კი დრო მოგიდის,
გამოცოცხლდი საქართველო...
ამდენის ხ[illegible]ის მწუხარება,
ნახავ. მალე გაგეყრება....
დრო მოგველის, გაიღვიძე,
თურომ გინდა ნეტარება.
კმარა ამდენი ხნის ძილი,
გაიღვიძე, გვეჩქარება!..
წინა წავალთ შენი ძენი,
გვსურს ახალ დროს უღოთ ბჭენი,
და დავსთხიოთ წმინდა სისხლი,
რომ გავბანოთ ძველი სენი!..
[illegible]ზა ვართ, მსხვერპლად შეგვიწირე,
აზდეგ, შემოირტყი წენი,“ და სხვ.

ასეთია ამ ლექსის დამახასიათებელი სტროფები. მოყვანილი ფაქტები, რაც ამ მხრივ არსებული დოკუმენტების მხოლოდ ნაწილს წარმოადგენს. გარკვევით მიგვითითებენ იმაზე რომ აკაკი, როგორც ალინიშნა, თავი-დანვე მ ტ რ ო ულ ად ი ყ ო გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ი რ უ ს ე თ ი ს თ ვ ი თ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ო ბ ი ს მ ი მ ა რ თ და „გ ა ე რ თ ი ა ნ ე-

*) იხილე აკაკის ლექსი „შიქასტა“. პირველად დაიბეჭდა 1863 წ. „ცისკარში“.

ბით“, „სისხლისნთხევით“, „თავდადებით“ ცდილობდა, „ახალი დროის“ სამშობლოს ერთგულ ლდღეობის ბჭენი ელო.* მით უფრო [illegible]ოდა და რადიკალური ხდებოდა პოეტში ასეთი განწყობილება, რაც უფრო შორდებოდა იგი სამოციანი წლების უღელტეხილს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ არც ერთ ქართველ მწერალს ეროვნულ ნიადაგზე ისეთი სასტიკი, აშკარა და დაუნდობელი ბრძოლა არ უწარმოებია თვითმპყრობელობასთან, როგორიც სამოციანი წლების ამ დიდ ოპოზიციონერს, რომელსაც სამშობლოს უბედობა პირად ტანჯვად გადაექცა. როგორც აღვნიშნეთ, ხშირად არის ეს ბრძოლა უიმედობითა და ცრემლით აფერადებული, მაგრამ ოპტიმიზმის, ბრძოლისაკენ მოწოდების ზარის რეკაც იმდენად მძლავრად ისმის მისი სიღრმიდან, რომ აკაკი, უკანასკნელი პერიოდის გამოკლებით, არსებითად მაინც გარკვეულ მე-

*) მოყვანილი ლექსის მიხედვით განსვენებული სიმ. ხუნდაძე „ნათობში“ გამოქვეყნებულ ნარკვევში დაასკვნის, თითქოს აკაკი სამოციან წლებში იმ ეროვნული შეხედულების საფუძველზე მდგარიყო, რომელსაც პოეტი-სარდალი გრიგოლ ორბელიანი **გამოხატავდა.**

„უკვე სათაური ლაპარაკობს ლექსის პოლიტიკური აზრის შესახებ. — სწერს ხუნდაძე. — მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ იმ ხანებში მეფის მოადგილედ კავკასიაში, ბარიატინსკის ნაცვლად, დაინიშნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და **სწორედ** ამ ფაქტს გამოუწვევია წერეთლის ლექსიც“... „ეს მოტივი, — განაგრძობს მკვლევარი ლექსის ზოგიერთი სტროფის მოყვანის შემდეგ, — აუცილებლად გაგრძელებაა იმ ეროვნული მოტივისა, რომელიც გამეფებული იყო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის პოეზიაში და რომლის საუკეთესო გამომხატველი იყო გრიგოლ ორბელიანი. ამ მოტივის მთავარი შინაარსი იმ შეხედულებიდან მომდინარეობდა, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა არის ერთად-ერთი საფუძველი საქართველოს აღორძინებისა“, და სხვა (იხ. „მნათობი“, 1930 წ., № 2-3, გვ. 224).

მართლაც, ამ ლექსის „ცისკარში“ დაბეჭდილი სათაური („დიდი კნიაზის“...) გარკვევით იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს. მაგრამ, როგორც გაზ. „საქართველოს“ 1908 წლის მეხუთე ნომერში მოთავსებულ აკაკის მოგონებიდან ირკვევა ეს სათაური არ ეკუთვნის თვით პოეტს.

„ერთხელ, — ვკითხულობთ ამ მოგონებაში, — კერესელიძესთან მივედი. გახარებული დამხვდა: გავაშვებინე შენი ლექსიო! დიდ უარზე კი იდგა, სანამ სათაური არ გამოუცვალეო და „სიმღერის“ მაგიერ ასე დავაწერეო: „დიდი მთავრის მობრძანების დროს ახალი თაობა უგალობს საქართველოს.“ აი, ხერხს რა შეუძლიან! ლექსი სრულიად გავაშვებინე და სათაური რაც უნდა, ის იყოსო! მოჰყვა კითხვას: „სამეფო ძველთა ძველო“ და სხვა“.

ამ ცნობას თვით ლექსის შინაარსისა და სათაურის წინააღმდეგობაც ადასტურებს. ამრიგად, ხუნდაძის მოსაზრება, თითქოს აკაკი სამოციან წლებში გრიგოლ ორბელიანის ეროვნულ თვალსაზრისის საფუძველზე მდგარიყოს, არ ეთანხმება ისტორიულ სინამდვილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბოხედ, მებრძოლი პატრიოტიზმი ყველაზე რელიეფურ და ობიექტურად პროგრესიულ წარმომადგენლად გვევლინება. თვითმპყრობელ-რუსეთს ასე მიმართავდა პოეტი:

„შენი ტყვე ვარ, მაგრამ ჩემ გულს
ანუგეშებს ის იმედი,
რომ ოდესმე შენს ცხრაკლიტულს
მთლად დალეწავს ჩემი ბედი!“ *)

ოთხმოციანი წლების მიჯნაზე ასე გამოხატავდა აკაკი თავის მტრულ დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ ლექსში „ნაძალადევ საქმროს“. ამავე პერიოდში პოეტმა სამშობლოს ეროვნულ გაზაფხულად აღიარა და აღტაცებით შეხვდა იმპერატორის მკვლელობას. ასეთივე პოზიციაა გამოხატული სხვა ფორმაში ჩვენი საუკუნის დამდეგს დაწერილ „გამოტეხილ სიტყვაში“.

აკაკი უმღერდა ყველაფერს, რაც მტერს ასუსტებდა, რაც მტრის წინააღმდეგ იყო მიმართული. მეორე მხრით, დაუნდობელი იყო მისი ბრძოლა ყველა მათ მიმართ, ვინც მტრის მიერ „გამურულ და გატალახიანებულ“ სამშობლოს ბედს პირად კარიერაზე სცვლიდა, მეფისა და იმპერიის ერთგულებას ფიცულობდა.

ეროვნული განთავისუფლების ერთად-ერთ გზად მხოლოდ ბრძოლის, ამბოხების აღიარება — განსაკუთრებული სიმკვეთრით გამომჟღავნებულია „ხმაში“. ეს ლექსი რელიგიური სამოსლით შეიცავს აღნიშნულ ოპოზიციურ-პროტესტანტულ პოზიციას: პოეტის რწმენა ქრისტეს დარიგებაშია გადმოცემული. ქრისტე კი დედოფლის შეკითხვაზე „ქართველთა განსაცდელის“ ირგვლივ, სხვათა შორის, შემდეგ პასუხს იძლევა:

„ჰირის ამტანი გულგრილად
თავს რისთვის უდებს სატანას?
„ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ“,
ასე არ ვამცენ ქვეყანას?!
აბა, ეძიოს იმანაც
საერთო ამბოხებითა,
თუ არ იპოვნის, რაცა სურს
ღვთისმშობლის მეოხებითა“.

კომენტარიებს არ ვურთავთ. ციტირებული სტროფები აშკარად გამოხატავენ მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის ტკივილებსა და მეამბო-

*) იხ. ლექსი: „ნაძალადევ საქმროს“. ეს ლექსი პირველად სხვა ვარიანტით დაიბეჭდა 80-იან წლებში გამოცემულ ერთ-ერთ კრებულში. დაწერილია იმავე პერიოდში (დაახლოებით 1880 წლის შემდეგ). ციტირებული ვარიანტი შეცვლილი სათაურით პირველად გამოქვეყნდა ს. გორგაძის და ს. აბაშელის რედაქციით გამოცემულ რჩეული ნაწერების IV ტომში. (იხ. ამ ტომში მოთავსებული ლექსი: „თვითმპყრობელობას“).

ხე სულს. ესევე მომენტი ზოგად, მაგრამ პოეტის წარსულისათვის მეტად დამახასიათებელი ფორმით წარმოდგენილია 1905 — 1910-იან წლებში(?) დაწერილ ლექსში — „იონა ბრიხნიჩოვს“:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ცოლიც რუსი მყავს, შვილიც რუსი მყავს
და ნეც რუსეთში დავჭაღარავდი,
მიყვარდა რუსი, მაგრამ მის ნაკლს-კი
ვაღვიარებდი... ვერა ვფარავდი!
ეგმობდი მის წარსულს, ვწყევლიდი აწმყოს,
მძულდა მთავრობა ბიუროკრატი“

აკაკის ამ ბრძოლამ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ მწვერვალს 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მიაღწია. ამ ეპოქის ეს განსაკუთრებული და თავისებური გაბრძოლება გარკვეულ საფუძველს ემყარებოდა. ამ საფუძველზე და რევოლუციისადმი პოეტის დამოკიდებულებაზე ქვემოთ შევჩერდებით. ამჟამად კი ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ აკაკის ბრძოლას მხოლოდ ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპი ედვა საფუძვლად. ეს პრინციპი მგოსნის აზროვნებაში არ უპირისპირდება რუსეთთან საქართველოს შეერთების დროს დადებულ ხელშეკრულებას, პირიქით, პოეტის უკმაყოფილებისა და პროტესტის ობიექტს ამ ხელშეკრულების დავიწყება, დარღვევა წარმოადგენდა. „არა ჩვენ ჩვენი წინაპრების ანდერძის წინააღმდეგი არა ვართ, — სწერდა იგი ერთ-ერთ წერილში — დღესაც იმას მოვითხოვთ, რასაც იმათ პირდებოდენ და ისინი მოელოდნენ: ენას, რჯულს და ეროვნულ დამოუკიდებლობას“ (კურსივი ჩემია — მ. დ.).

ასეთი იყო აკაკის ეროვნული მისწრაფებებისა და რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი პრინციპის სუბიექტური საფუძველი. ამ მომენტს ემყარებოდა აგრეთვე აკაკის შემოქმედებაში საკმაოდ მძლავრად წარმოდგენილი წარსულის — ძველი საქართველოს რომანტიკა. ამ მხრივ საკმაოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოს აკაკი თავის შემოქმედებაში რომანტიზმის მომენტებს იმეორებდეს, მართებული არ არის: აკაკი წარსულს თანამედროვეების თვალსაზრისით უცქეროდა და არა რომანტიკოსის თვალით. იგი აიდიალებდა ძველ საქართველოს, ხოტბას ასხამდა მის წარმომადგენლებს („გმირებს“) არა ძველის რესტავრაციისათვის, არამედ თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ მიმართული მებრძოლი ეროვნული იდეების აგიტირების მიზნით.

„რაც ყოფილა, დღეს არ არის,
რაც დღეს არის, ხვალ ნუღა ჰქნას!“

ასე სწერდა აკაკი ოთხმოციან წლებში *). ცხადია, ამ სტრიქონების ავტორს არ შეეძლო რომანტიზმის ორტოდოქსალური იდეები ექადაგა. ამავე დროს ეს სრულიადაც არ უშლიდა პოეტს ჰქონოდა, წარსულის დიდი სიყვარული, აღტაცებული თვალით ეცქირა მისთვის. ძირითად მომენტს, რომელიც მას ასე იტაცებდა საქართველოს წარსულიდან, წარმოადგენდა ეროვნული დამოუკიდებლობა და ამ დამოუკიდებლობისათვის „მამულიშვილთა თავდადებული“ ბრძოლა. ისტორიულ თემაზე აგებულ თითქმის ყველა მის ნაწარმოებში უმთავრესად მხოლოდ ამ მომენტს აქვს გასმული ხაზი თანამედროვეობასთან დაკავშირებით. წმინდა ისტორიზმი ანდა მისი სრული სახით აღდგენის იდეა აკაკის არც ერთ ნაწერებში არ ახასიათებს. შეიძლება მეტიც ითქვას: აკაკის შემოქმედებაში ასახული ისტორიული საქართველო წარმოადგენდა, ერთის მხრივ, მისი დროის საქართველოში თვითმპყრობელურ რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურ ფორმას, მხოლოდ მეორეს მხრივ — სააგიტაციო საშუალებას თანამედროვეთა შორის, ისინიც წინაპრებივით გამოქომაგებოდნენ „დაცემულ ქვეყანას“.

მგოსნის ასეთ დამოკიდებულებას წარსულისადმი, სხვათა შორის, ის გარემოებაც იწვევდა, რომ მას არ გააჩნდა გარკვეული სოციალური დასაყრდენი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. პირიქით, მისი პოზიცია ამ მხრივ ცვლილებას განიცდიდა ისტორიულ ვითარებასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებათა მთავარი შტრიხები, რომელთა შესახებ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი, ზოგადად ასეთია: თუმცა აკაკი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდანვე ეჭვის თვალით უყურებდა და კრიტიკულად ეპყრობოდა თავად-აზნაურობას, ამჟღავნებდა და გმობდა მის ეროვნულ გადაგვარებას, მაგრამ გამოსწორებას მაინც მოელოდა; იგი ყოველთვის ეროვნული მთლიანობის პრინციპს აყენებდა. მომდევნო წლებში (1880-იანი წლების მიჯნამდე) პოეტი დარწმუნდა, რომ ამ ეროვნულ თლიანობაში თავად-აზნაურობას აღარ შეეძლება კვლავ ძირითადი, ნამყენი ფენა იყოს; ცხოვრების ლოგიკამ, მგოსნის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უცხო ძალის ბატონობამ“ იგი „დასცა, გადააგვარა“, უინიციატივო ძალად, „მტრის მონად“ აქცია — პირადი ინტერესების ნაჭუჭში ჩაკეტა. მის ადგილზე აკაკის თვალმა ახალი ძალა, — „მუშათა ერი“ შეამჩნია. ეს მოხდა ოთხმოციანი წლების გადასასვლელზე. ამ რწმენამ კი, პირველად შედარებით მკრთალად რომ მჟღავნდებოდა 1905-იან წლებში რევოლუციასაც დაუკავშირა; მშრომელი ხალხი, რევოლუცია რევოლუციის პერიოდში — ეს მომენტები მიაჩნდა მას ერის ძირითად (წამყვან) ძალად სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. რეა-

*) იხ. აკაკის ლექსი „ახალი გზა“. პირველად დაიბეჭდა „დროების“ 1880 წლის 23 ოქტომბრის ნომერში.

ქცის გამარჯვების შემდეგ მოხუცმა მგოსანმა ეს გზაც უარჰყო, ხოლო მ.ოფლიო ომის ატმოსფეროში სოციალურ დასაყრდენ გამოცლილმა და ბრძოლაზე გულგატეხილმა პოეტმა სამშობლოს ჩაგვრის დასასრული თვით მჩაგვრელ ძალას — რუსეთის თვითმპყრობელ იმპერატორის იმპერიალისტურ ომში აღებულ „ეროვნულ პოლიტიკას“ დაუკავშირა. ამ რწმენით ჩავიდა იგი სამარეში.

აკაკის უთანხმოება თანამედროვეობასთან არ ისაზღვრება მხოლოდ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლით. პოეტი ასეთსავე ბრძოლას ეწეოდა თავისი ეპოქის თავად-აზნაურობისა და სასულიერო წოდების გადაგვარების წინააღმდეგ. რასაკვირველია, ამ ბრძოლას საფუძვლად არ ედვა არც რელიგიის და არც იმ პრინციპის უარყოფა, რომელსაც წოდებათა არსებობა ეყრდნობოდა. ამ მხრივ მგოსანი, როგორც ქვემოთ გამოვარკვევთ, არა რევოლუციის, არამედ რეფორმიზმის თვალსაზრისზე იდგა.

აკაკის ოპოზიცია თავად-აზნაურთა მიმართ უპირისპირდებოდა მათ „წინაპართა აჩრდილად ქცევას“, ერთმანეთს შორის ჩხირკედელაობას, ინდივიდუალიზმით გატაცებას, „მესამე წოდებისადმი“ მკაცრ დამოკიდებულებასა და, რაც მთავარია, თვითმპყრობელურ რუსეთთან შეგუებას, ეროვნული ინტერესებისათვის ზურგის შექცევას. ეს პოზიცია აშკარად არის წარმოდგენილი აკაკის ჯერ კიდევ სამოციან წლებში დაწერილ ლექსებში: „დედამ რომ შვილი გაზარდოს“, „ყადის ჯორები“, „აპელაციის მცოდნე“ და სხვ. ამავე თვალსაზრისზეა აგებული შემდეგი პერიოდის ლექსების, ფელეტონების, წერილებისა და სხვა ჟანრის ნაწარმოებთა მთელი წყება (მათ შორის გამოუქვეყნებელი ლექსი „ასათიანებს“, დაწერილი 1870 წელს, და „კენჭობია“, რომელიც თავის დროზე მეფის ცენზურამ „იდეურად ცოდვილ ნაწარმოებთა წყებას“ მიუმატა).

ასეთსავე პრინციპზეა აგებული აკაკის ბრძოლა სასულიერო წოდების წინააღმდეგ. ეროვნული გადაგვარება, „ქართული რჯულისა“ და ენის დავიწყება, მარტოოდენ შემოსავლით გატაცება, — აი, მიზეზები, რომელთა გამოც პოეტი თავს ესხმოდა ამ სოციალურ წრეს.

აკაკის შემოქმედების ეს მხარე დღემდე ნაკლებად არის ცნობილი, ამიტომ მასზე უფრო დაწვრილებით შევჩერდებით.

1890 წელს მეფის ცენზურის მიერ აღკრძალულ ლექსში შემდეგ სტრიქონებს ვკითხულობთ:

„მღვდელმა უბრძანა დიაკვანს:
ხომ ხედავ, ღმერთი წყრებაო!...
არც ქორწილია, არც ნათლა
და არც არავინ კვდებაო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოლები სხვის ქმრებს მისდევენ,
ვილა დაიწერს ჯვარსაო?
შვილებიც ხომ აღარა ჰყავთ...
ხმარობენ ჯადო ქარსაო.

სიკვდილიც განზე გაგვიდგა,
ის ჩვენი ცოდვით სავსეო!
აღარ გვაქვს შემოსავალი
და გლახაკს დავემსგავსეთო". *)

ამ სტრიქონებში აშკარადაა წარმოდგენილი სამღვდელოებისადმი პოეტის უარყოფითი, კრიტიკული დამოკიდებულების ერთი მხარე. ასეთივე განწყობილებაა მოცემული აკაკის 1892 წელს გამოცემული პოემის „ხოლერის" მეფის ცენზურის მიერ აღკრძალულ სტრიქონებში:

„მღვდელ-დიაკვნებსაც მოვკითხავ,
მკვდრებზე მიუდისთ სულია" **)

ამავე პოემის ცენზურის მსხვერპლად ქცეულ სხვა ნაწილში ეს თემა ეროვნულ მომენტთან არის დაკავშირებული:

„სადღაა მღვდელი ქართველი,
სხვაგვარად თავმომწონია?
წიგნების კითხვა ეშლება,
არც ესმის ტიბიკონია.

დათვურად ბღავის და ფიქრობს,
რომ ტკბილი იადონია!
ხატს წმინდა სანთელს არ უნთებს,
შიგ გარეული ქონია.

საწყალ ხალხს გამოულია
დრამით ძალი და ღონია;
სხვა გზას ადგა, მაგრამ ჯერ
კიდევ გასავალს ელის ფონია!"

1905 წლის რევოლუცია საერთოდ თავისებურად აითვისა აკაკიმ. ამ თავისებურების ამოსავალ პრინციპს პატრიოტიზმი წარმოადგენდა. აღნიშნული თვალსაზრისით უდგება პოეტი რევოლუციას „ასი წლის ამბავშიც".

---

*) ეს ლექსი აიკრძალა 1890 წელს, როცა ის აწყობილი იყო „თეატრში" დასაბეჭდად. ავტოგრაფი დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერთა გან-ში.

**) ამ პოემის ავტოგრაფის ცენზურის მიერ ნებადართული პირი დაცულია ქუთაისის მუზეუმში.

„ჩვენ დრო მოგვეცა, ქართველებს,
დაჩაგრულს დედინაცვლობით,
დაგვიბრუნდება სუყველა,
რაც ჩამოგვართვეს ასწლობით.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ხალხმა, პოეტის აზრით, ვერ გამოიყენა ეს დრო. ვერ დალეწა ეროვნული ჩაგვრის კართაგენი. ვინ არის დამნაშავე? მთელი ერი? არა! მხოლოდ ისინი, ვინც ბრძოლისათვის მზად მყოფ ხალხს შინაურებზე უთითებდა, ვინც ქადაგებდა:

„მაშ ვეცეთ ჩვენც შინაურებს,
რომ მოვიშოროთ მტერიო,
თავადს, აზნაურს, ვაჭარს, მღვდელს
უნდა უცვალოთ ფერიო.

ესენი რომ არ იქნება
და გაქრებიან ყველაო,
მუშათა კითხვა აღიძრის
და გველირსება შველაო.“

ცხადია ეს სტრიქონები იმ პოლიტიკური პარტიის მისამართით არის დაწერილი, რომელიც რევოლუციის ქარიშხალს კლასობრივი ბრძოლის ლიანდაგით მიაქანებდა. პოეტს ნაადრევ ოცნებად და გზის არევად მიაჩნია ასეთი მოქმედება: მას, უპირველეს ყოვლისა, მხოლოდ ეროვნული „ზარბაზნების“ ჭექა-ქუხილის მოსმენა სურდა.

1905 წლის რევოლუციისადმი ასეთი დამოკიდებულება უაღრესად დამახასიათებელია აკაკის მსოფლმხედველობისათვის. ამ მომენტს არსებითი კავშირი აქვს აგრეთვე მგოსნის შემოქმედების იმ მხარესთან, რომელიც დღემდე ნამდვილ დემოკრატიზმად არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ აკაკის დემოკრატიზმის უმართებულოდ გაგების საფუძველზე არსებობს საკმაოდ გავრცელებული შეხედულება, ვითომ პოეტს მთლიანად მიეღოს ჩვენი ქვეყნის პირველი რევოლუცია. ასეთი დასკვნა, რომელიც წარმოადგენს პოეტის საერთო მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ძირითადი მოტივაციის გაუთვალისწინებლობის თუ გარკვეული ტენდენციის შედეგს, ვერ გამოხატავს აკაკის შემოქმედების ობიექტურ ბუნებას. პოემა „ასი წლის ამბავი“ ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობის ფაქტია აღნიშნული დასკვნის წინააღმდეგ. ამ პოემაში, გარკვევით არის გამოთქმული მგოსნის კრედო, კლასობრივი ბრძოლის უარყოფისა და მხოლოდ ეროვნული თავისუფლებისათვის გამიზნული ბრძოლის მოთხოვნის სახით. ცხადია, აქ რევოლუციის ნამდვილი იდეების უარყოფაა მოცემული. სხვა ნაწერები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს აკაკის შემოქმედებაში წარმოდგენილი, უმთავრესად უმართებულოდ გაგებული დემოკრატიზმის ხასიათის განხილვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, დემოკრატიზმი აკაკის შემოქმედების ძირითად მოტივს წარმოადგენს. ასეთი შეხედულება განსაკუთრებული სიმკვეთრით წარმოდგენილია ვახ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი ს და სიმ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს ნარკვევებში.

„აკაკი წერეთლის შემოქმედებას, — სწერს ვ. კოტეტიშვილი, — ორი ძირითადი მსარე აქვს: ეროვნული და მშრომელი ხალხის სატრფიალო".

ასეთსავე დებულებას ავითარებს სიმ. ხუნდაძე:

„როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემცდარი არის ის აზრი, თითქოს აკაკის ჩანგი ერთ ხმაზე ყღერდეს და პატრიოტიკა შეადგენდეს მისი პოეზიის ერთად-ერთ მოტივს. წინააღმდეგ, აკაკი წერეთელი მრავალმხრივი მწერალია და, რაც აღსანიშნავია, მის ნაწერებში საგრძნობი სიძლიერით არის გატარებული დემოკრატიული პრინციპები".

სხვა სტრიქონებში კი დემოკრატიული პრინციპები აკაკის შემოქმედების მოტივად არის აღიარებული.

ამ პოეზიის პრინციპიალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისზე დგას კიტა აბაშიძე. მისი თვალსაზრისით აკაკის შემოქმედებას ამოსწურავს მხოლოდ ერთი მოტივი: ეროვნული პრობლემა (პატრიოტიკა).

„სამშობლოს სიყვარული, — სწერდა იგი. — ეს ის წერტილია, რომელიც რადიუსებით შეერთებულია თ. აკაკი წერეთლის პოეზიის ყოველ ანბანთან და სტრიქონთან".

ჩვენი აზრით, მოყვანილი შეხედულებები ვერ გამონახავენ აკაკის შემოქმედების ობიექტურ ბუნებას. ისინი სინამდვილის ცალკეული მხარეების გაზვიადებულ, ტენდენციურ გადმოცემას შეიცავენ. ფაქტები კი ამ უკიდურესობათა შუა გზაზეა მოთავსებული.

როგორც დავინახეთ, აკაკის შემოქმედება ძირითადად ეროვნული პრობლემის ხერხემალზეა აგებული. ეს მომენტი აკაკის შემოქმედებისა და აზროვნების წამყვან მომენტს წარმოადგენდა. ბრძოლა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, წარსულის რომანტიკა და თითქმის ყველა ძირითადი მაგისტრალი, დიდი პოეტის ჩანგის ყღერას რომ ახასიათებს, ამ პრობლემიდან ამომდინარეობს. მაგრამ ეს მხარე მწერლის შემოქმედების ძირითადი მოტივია და არა ერთად-ერთი. ამიტომ აღნიშნული არ გულისხმობს, თითქოს აკაკის შეხედულებას მხოლოდ ეროვნული მოტივი ამოსწურავდეს, როგორც ამას კიტა აბაშიძე ფიქრობდა. პირიქით, ამ პრობლემის ფონზე აკაკის შემოქმედებაში სხვა არაძირითადი ხასიათის მოტივი და თემატიკაც არის მოცემული, რომელთა შორის ყველაზე რელიეფურად დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი გვევლინება. სხვა სიტყვებით: აკაკის შემოქმედება არ შეიცავს მხოლოდ ეროვნულ პრობლემას, მასში დემოკრატიული ელემენტებიც არის წარმოდგენილი სხვა უფრო მკრთალ მომენტებთან ერთად, მაგრამ არა ძირითადი მოტივის სახით, არამედ, როგორც მ ი დ რ ე კ ი ლ ე ბ ა, ტ ე ნ დ ე ნ ც ი ა.

დემოკრატიული განწყობილება სამოციან წლებიდანვე მეტყველდება აკაკის შემოქმედებაში. ამ თემის გამომხატველი პირველი [illegible] „მუშური“ და „გლეხის ახსარება“ 1861 წელს არის დაწერილი. [illegible] ბულ ლექსებში პოეტი გლეხთა აუტანელი პირობების სურათს იძლევა:

„მარტო ჩვენთვის არ ვეუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური,
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო უბედური!

ყველა თავში გვიჩაჩქუნებს
გარეშე და შინაური;
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი ჩვენგან მონაწური.

ჩვენი ჯაფით მონაყვანი
სხვასთან მიდის საზრდო პური,
შინ ცოლშვილს შიმშილი გვიკლავს,
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?

მათსა საზრდოს სხვა იტაცებს,
სტირის ცოლი მეძუძური,
შიმშილისგან რძე უშრება,
წივის შვილი უსუსური!

ღმერთს ბატონად მოუცია
ჩვენთვის ერთი აზნაური.
მისთვის სუყველა ჩვენა ვართ
მებეგრეცა და მსახური.

მისგან ტანჯვას რომ მოვრჩებით,
მაშინ გეტანჯავს მისი ფური!

. . . . . .

მაშინ ყველა ბატონია!
გამკითხავი სადღა არი!..
მდივანბეგის ბოქაულებს
გაელებათ სახლის კარი.

სულ მათ მიაქვთ, რაც რომა გვაქვს:
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი.
ჩვენც ყოველდღე ტანჯვას ველით...
გლეხებს რა გვაქვს გასახარი?

სამართალს კოლოფში სძინავს,
ის არს ფულის მეგობარი,
არ ილვიძებს თუ უფულოთ
მასთან მივიდა სტუმარი!

შინდის წკნელებზე სწერია
ჩვენი სახელი და გვარი.“ და სხვ.

ასე ახასიათებს აკაკი გლეხთა მდგომარეობას „მუშურში“. ანალოგიური სურათია მოცემული „გლეხის აღსარებაშიც“.

ამ ლექსებში გარკვეულადაა წარმოდგენილი მკაცრი ბატონყმობის, უსამართლობისა და ჩაგვრის ძირითადი მხარე. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ლექსი („მუშური“ და „გლეხის აღსარება“) დაწერილია მაშინ, როცა, ერთის მხრივ, რუსეთში ბატონყმობის გადავარდნა უკვე ფაქტი იყო, როცა შესაფერი პროექტის დამუშავება იწყებოდა ჩვენშიც, ხოლო მეორეს მხრივ — რუსეთის მოწინავე აზროვნება რევოლუციური იდეების ტრიბუნას წარმოადგენდა, ამ ლექსებში გამოყვანილი გლეხები, რომელნიც, ცხადია, თვით ავტორის თვალსაზრისს ატარებენ, მაინც პასიურად ემორჩილებიან თავიანთ ბედს: ცდილობენ „უბედური“ ყოფის დავიწყებას და არა შეცვლას, განადგურებას.

„სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავსძახოთ მუშური;
ეგებ მაშინ დაგვავიწყდეს,
რომ გლეხნი ვართ უბედურნი!

. . . . . .

განვაგრძოთ, ძმებო, მუშებო,
ჩვენი სევდის განმაქარვი“... („მუშური“)

ასე ლაპარაკობენ ისინი. მეტიც: ამავე „მუშურში“ შემდეგ ადგილსაც ვხვდებით:

„უპატრონოდაც არ ვარგვართ,
როგორც ცხვარი უმწყემსური.“

აკაკის გლეხების ეს პრინციპი ამ ლექსებში მოცემული მსოფლმხედველობის გასაღებს იძლევა; ეს მსოფლმხედველობა, ერთის მხრივ, წოდებათა შორის არსებულ მკაცრ დამოკიდებულებას უპირისპირდება, ხოლო მეორეს მხრივ, აუცილებელ მოვლენად სთვლის ამ წოდებათა არსებობას. სხვაგვარად: „მუშურში“ და „გლეხის აღსარებაში“ არსებული ცხოვრების გარდაქმნის რეფორმისტული იდეაა მოცემული *).

---

*) აღნიშნულთან ერთად უაღრესად დამახასიათებელია აკაკის დამოკიდებულება გლეხთა განმათავისუფლებელ რეფორმასთან, როგორც ცნობილია, აკაკი განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდა აღნიშნულ ფაქტს (ლექსი „იმერული ნანა“ და სხვ.), რადგან ამ მოვლენით, როგორც თავადაზნაურობის, ისე გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას მოელოდა. მაგრამ მომდევნო წლებში, როცა გარკვევით გამომჟღავნდა რეფორმის ხასიათი, პოეტმა ზურგი შეაქცია მას.

„რუსეთი რომ მივატოვე, — სწერს აკაკი „ჩემ თავგადასავალში“, — და ცოლშვილით დავბრუნდი სამშობლოში, მაშინ ძალიან არეული და გამოურკვეველი დრო იყო. ბატონ-ყმობა უნდა გადავარდნილიყო, ახალი რეფორმები შემოდიოდა, რასაც ჩვენ ისე შევხვდით, �იც თავისთვის კუდს იტოვებდა: სახელით ყველაფერი კარგი იყო,

შემდეგ პერიოდში, რაც უფრო შორდებოდა პოეტი სამოქალაქო წლების გზაჯვარედინს, მით უფრო მარცხნივ მიდიოდა ეგზისტენციალური „ბილიკი“, „მუშებს“, „მუშის ნატვრა“ და სხვა ამგვარი ლექსების მთელი სერია გარკვევით გამოხატავს ამ ფაქტს. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, აკაკის ეს ლიბერალურ პროგრესიული რადიკალიზმი ძირითადად მაინც „მუშურში“ და „გლეხის აღსარებაში“ გამოხატულ იდეებს შერჩა. ამ მოვლენის საილუსტრაციო დოკუმენტი მრავალია. მათი ერთი ნაწილი ქვემოთ იქნება განხილული. ამჟამად კი დავასახელებთ ორს. პირველი წარმოადგენს სიტყვას, რომელიც აკაკიმ 1911 წ. წინანდალში მის პატივსაცემად შეკრებილ გლეხებს უთხრა:

„ამ ხეს ხომ ხედავთ? სამი ნაწილისაგან არის შემდგარი: ფესვებისაგან, ღრმად რომ არიან მიწაში ჩაფლული და არ სჩანან. ღეროსა და ტანისაგან, ფესვებისაგან რომ არის ამოყრილი, და მერე სათავეში ღეროზე გადმოშლილ შტოებისაგან. ეს სამი ნაწილი, ერთმანეთზე გადაბმული, შეადგენენ ერთ ხეს... ასეთივეა ეროვნების ხეც. ყოველი ერი შესდგება დაბალი, შუათანა და მაღალი წოდებისაგან. ისინი ერთმანეთთან შეკავშირებით შეადგენენ ერთ რომელიმე ერს... უერთმანეთოდ არ ვარგიხართ. თქვენს ერთ მთლიანობას სამივე ნაწილი შეადგენს და ამიტომ მტკიცედ უნდა იყოთ ერთმანეთთან შეკავშირებული... როგორც ხეს შტოები დაღერძი ეჭირ-ვება, ისე ხალხსაც წოდება. მაგრამ წოდება შეგნებული და არა შეუგნებელი. სტყუიან ისინი, რომელნიც ამბობენ, რომ მხოლოდ ფესვებია, თორემ მაღალ წოდებად სხვებიც გამოდგებიან, რადგანაც ხე ყველა ხეაო... ნუ დაივიწყებთ, რომ ფესვი საქართველოს ეროვნების თქვენ ხართ და წოდებანი კი თქვენზე ამონაყარი... თქვენი კავშირი უნდა იყოს მტკიცე“ *) (ხაზი ჩემია. — მ. დ.).

მეორე დოკუმენტია აკაკის დაუმთავრებელი პუბლიცისტური წერილი, რომელიც პოეტის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნის და იმ დროინდელ პოლიტიკურ პარტიებს შეეხება. ამ წერილში სოციალ-დემოკრატების შესახებ ვკითხულობთ:

მაგრამ სახრავად კი არ ვარგოდა. მაგალითად: რა ბატონ-ყმობის მოსპობა, იყო ის მოსპობა, როცა ბატონი და ყმა, ჯაჭვით ერთმანეთზე გადაბმული, ჩინოვნიკს ეჭირა ხელში და ორივეს აღრჩობდა — ულეტდა? რაღა ნაყოფს გამოიღებდა ის სამჯავრო, სადაც ხალხის ენა აკრძალული იყო და ენის უცოდნელობის გამო ხალხი უნდა გამეღლეტ-გამცემლებს ჩავარდნოდა ხელში? ამაებს ყველას ვხედავდი და ამიტომ სრული ჩემი თანაგრძნობა ვერ ვიპოვა რეფორმამ და დაიწერა „ადვოკატი“, „კატა და ძაღლი“, „ვაის უნდა შევეყარო“ და სხვანი.“

ეს პატრიოტიზმის ცეცხლთან დაკავშირებული უარყოფა რეფორმისა, თავადაზნაურობისა და გლეხობის მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული, სხვა დოკუმენტებს შორის განსაკუთრებული რელიეფურობითაა წარმოდგენილი აგრეთვე ლექსში „ბატონ-ყმობა გადააგდეს“ (ავტოგრაფის სახით დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში).

*) გაზ. „თემი“, 1911 წ., № 45. ტექსტი მოყვანილია შემოკლებით.

„ავიღოთ სოციალ-დემოკრატები. რა არის მათი მოძღვრება და მისწრაფება? ისეთ-
რაც მაცხოვრის: კაცობრიობისადმი ძმობის, ერთობის და თანასწორობის მინიჭება, ეს-
იგი სასუფევლის მიცემა, სადაც არც ეროვნება და სისხლის აღება [illegible]
მოყვრობ[ა] — ყველა თანასწორად არის ბედნიერი. მაგრამ მაცხოვ[illegible]
ქვეყნად ძეუძლებლად დაინახა, სასუფეველი საიქიოს სიკვდილის შ[illegible] მიანიჭა
ადამიანს და აქ კი თავისი მოძღვრება სასუფევლისათვის მოსამზადებელ იარაღად
დასტოვა. სოციალ-დემოკრატებმა კი ნამეტანი სურვილით აქვე, ამ ქვეყნად მოინ-
დომეს საიქიოდან ქვეყნად გადმოტანა სასუფეველის, სადაც არც ეროვნება არის, არც
სხვა რამ ქვეყნიური მოთხოვნილება გარდა თანასწორობისა და ეს კი შეუძლებელია",
და სხვ. *).

ეს დოკუმენტები ცხადჰყოფენ, რომ აკაკი ძირთადად ბოლომდის
შერჩა სამოციან წლებში მისთვის დამახასიათებელ გადაკეთების სოცია-
ლურ კონცეპციას — რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ს. როგორც აღვნიშნეთ, მას აქვს
მრავალი ლექსი, სადაც მკვეთრად გამოხატავს თანაგრძნობას მესამე წო-
დებისადმი, იძლევა გლეხობის ცხ ო ვ რ ე ბ ი ს ს ურ ა თ ს და სხვ.,
მ ა გ რ ა მ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი ე ს, მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ი მ ი ს ა,
რ ო მ ხ შ ი რ ა დ ნ ა მ დ ვ ი ლ ი დ ე მ ო კ რ ა ტ ი ზ მ ი ს ა და ა
რ ე ვ ო ლ უ ც ი ი ს ი დ ე ე ბ ი ს გ ა ვ ლ ე ნ ი თ ა რ ი ს გ ა მ ო-
წ ვ ე უ ლ ი, ძ ი რ ი თ ა დ ა დ მ ა ი ნ ც ვ ე რ ს ც ი ლ დ ე ბ ა თ ა-
ვ ი ს ე ბ უ რ ფ ო რ მ ე ბ ი ს გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ თ ა ვ ა დ-ა ზ ნ ა უ-
რ უ ლ ი ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ფარგლებს. ეს ისტორიულადაც გასა-
გებია: აკაკის, სამოციანი წლების მოღვაწეს, ფეოდალურ წრიდან გა-
სულსა და ამავე წოდების ტრადიციებზე აღზრდილს, არ შეეძლო უფრო
შორს წასვლა. მისთვის დიდი გამარჯვებაა ის ფაქტიც, რომ თავისი წო-
დების ლიბერალიზმი, დემოკრატიული ტენდენციისა და მებრძოლი
ეროვნული იდეების სახით, რადიკალიზმის თავისებურ ჩარჩოში მოაქცია.
ამით კი მან შესძლო დამდგარიყო უფრო მაღლა ვიდრე მისი წოდების
ორტოდოქსალური იდეები გულისხმობდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აკაკის დემოკრატიული განწყობილე-
ბისათვის დიდად დამახასიათებელია ეროვნულ პრობლემასთან ორგანუ-
ლი კავშირი. ეს ფაქტი განსაკუთრებით თავს იჩენს ჯერ კიდევ ოთხმო-
ციან წლებში, როცა საკუთარ კლასზე გულგატეხილი პოეტი „მუშათა
ერში" ეძებდა სოციალურ დასაყრდენს — ერის ხელმძღვანელს ძალას
„სამშობლოს ქაჯეთის ციხიდან დასახსნელად". აღნიშნული მომენტი,
რომელმაც უდაოდ გარკვეული როლი ითამაშა მესამე წოდებასთან მგო-
სნის დაახლოებაში, განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ მწვერვალს
1905 წლის რევოლუციის პერიოდში აღწევს.

1905 წლის რევოლუციას აკაკი აღფრთოვანებით შეხვდა. მას უძღ-
ვნა: „ნატვრა", „გურული ნანინა", „ძირს", „ინტერნაციონალი" (თარ-
გმანი), „თქვენი ჭირიმე", „სიმღერა" და სხვ., სადაც ერთის მხრივ, გა-

*) ამ წერილის ავტოგრაფი დაცულია საქართ. მუზეუმის ხელნაწერ. განყოფ-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხატულია რევოლუციით გამოწვეული აღტაცება, ხოლო მეორეს მხრივ — მოწოდება მეტის ბძოლისაკენ.

„ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ სუკუნეში"

(„ნატვრა").

ვიცინი, აღარ ვსტირი მე" („თქვენი პირიმე").

ასე სწერდა ჭალარა პოეტი რევოლუციაზე. მაგრამ, როგორც ზემოდაც აღვნიშნეთ, აკაკის ეს აღტაცება არ ნიშნავდა რევოლუციის ნამდვილი იდეების გაზიარებას. აკაკი არასოდეს არ ამაღლებულა რევოლუციამდის. მას რევოლუცია იტაცებდა მხოლოდ როგორც საშუალება ეროვნული იდეების განხორციელებისათვის და არა იმ განწყობილების გამო, რომელსაც აჯანყებული რევოლუციონერები ეწირებოდნენ ბარიკადებზე. მეტიც: როგორც „ასი წლის ამბის" დასასრულიდან გამოირკვევა, მგოსანი არა თუ არ იზიარებდა რევოლუციურ იდეებს, არამედ კიდეც ებრძოდა მათ „ეროვნული მთლიანობისა" და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით. რევოლუციასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა მის ნაწარმოებშია გამომჟღავნებული ეს პოზიცია. საილუსტრაციოთ გავიხსენოთ რევოლუციის პირველ წელს დაწერილი „მოხუცის ცნობა" *). ამ ლექსის მეორე ნაწილში პოეტი გლეხების გაღვიძებას, მონურ მორჩილებიდან ბრძოლაზე გადასვლას ეხება. ეს ფაქტი მას მზედ მიაჩნია, მაგრამ, მისივე აზრით:

„უეცრად გამოღვიძებულს
და ბნელში დიდხანს ნამყოფსა
რომ შეაშუქებს ერთთვად
მზე, ვერ მოუტანს ნაყოფსა."

ამ გაგებით აქვს ახსნილი მგოსანს გლეხობის კლასობრივი ბრძოლის ფრონტზე გამოსვლაც:

„ქართველი გლეხიც ასეა,
სიბნელით გაბრუებული
ჯერ შინაურებს ეხლება,
რომ მოიფხანოს მან გული."

პოეტს სწამს, რომ გლეხობისა და რევოლუციის ასეთი გზა დროებითია. იგი მოითხოვს უფრო გადამწყვეტ და არსებით ბრძოლას „გარეშე მტრის" წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ხედავს ის ხსნას:

„მერე შეუტევს გარეშეს,
შინვე რომ დაიგეშება
და მაშინ იხსნის თავს მხოლოდ!
მაშინ კი ენუგეშება"!

---

*) ეს ლექსი ცალკე წიგნად გამოვიდა 1905 წელს.

ეს იმედი უდევს საფუძვლად რევოლუციაზე მგოსნის ამღერებას. ამავე იმედის გამო ამთავრებს პოეტი „მოხუცის გრძნობას“ შემდეგ სტრიქონებით:

„სიმად ავიღე კალამი,
ჩანგით მივ.ართე წერასა
და შეუერთე ჩემი სვეც
გლეხობის ბედის წერასა“.

პოეტის უარყოფითი დამოკიდებულება რევოლუციის იდეებისა და პრაქტიკისადმი უფრო მკვეთრად არის წარმოდგენილი იმავე წელს დაწერილ „რჩევაში“.

1905 წლის რევოლუციისადმი აკაკის დამოკიდებულების ასეთივე ტენდენციაა წარმოდგენილი დაუმთავრებელ „სურათებში“. ეს ნაწყვეტი, რომელიც დამახასიათებელია ამ მხრივ აკაკის მსოფლმხედველობისათვის, შემდეგ სტრიქონებს შეიცავს:

„1) მიწის მაძიებელი ღარიბი გლეხები: მუშაობა გვინდა!.. მოგვეცით მიწა...

2) შეშინებული მიწის პატრონი: თქვენ რომ მოგცეთ, მერე მე რაღა ვქნა?

3) ჭაღარა შერთული მომხმარე, ნაციონალისტი: ეს საწყლები მიწას დაეძებენ, უნდა მოვეხმაროთ: მიწა ვაშოვნიოთ, სამუშაო იარაღიც მოვუმზადოთ და მოხმარებაც ვასწავლოთ.

4) ახალგაზრდა პირტიტველა მომხმარე, სოციალ-დემოკრატი: უნდა ეს გლეხები ავახმაუროთ და სხვა სულერთია!

5) სომეხი: მე ამათ უნდა შეუჩხიკინო, რომ თოფი გავარდეს, მაშინ დამფრთხალი ნადირი მე ჩამივარდება ხელში.

6) ჩაფიქრებული მონადირე რუსი: ესენი ერთმანეთში ვერ მორიგებულან, მეც ეს მინდა!... „წამკიდებელს წაჰკიდე, სუყველას თავი წასწყვიტე“. რომელიც გადარჩება იმას მე ვთქვლიფავ თავში“ *).

კომენტარიებს აქაც ზედმეტად ვთვლით. ციტირებული დოკუმენტები ისედაც ნათელს ხდიან პოეტის კონცეპციას. არც სხვა ანალოგიურ ნაწერებზე შევჩერდებით, თუმცა არსებობს ისეთი მეტად დამახასიათებელი დოკუმენტები, როგორიცაა წერილი „იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს“, 1908 წელს „ნიშადურში“ დაბეჭდილი ლექსი „გლეხის საჩივარი“ და სხვა. ჩვენი აზრით, აღნიშნულიც კმარა წამოყენებული დებულე-

*) ავტოგრაფი დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწერ. განყოფილებაში.

ბის დასამტკიცებლად. დავუმატებთ მხოლოდ შემდეგს: მსჯელობიდან არ გამომდინარეობს დასკვნა, თითქოს აკაკის 1905 წლის რევოლუციისადმი-მართ, დამოკიდებულებაში მხოლოდ ეროვნული მხარე იყო მოცემული. როგორც აღვნიშნეთ, ეროვნული პრობლემა ძირითად მოტივს წარმოადგენდა და არა ერთადერთს. მის გვერდით ან მის საფუძველზე დემოკრატიული ტენდენციის გარკვეული ნაკადიც არის მოცემული, უმთავრესად „მშრომელი ერის“ აუტანელი ცხოვრების ჩვენების სახით. ამ მხრივ დამახასიათებელია ლექსები: „ბატონყმობა გადააგდეს“, 1906 წ. დაწერილი „გლეხის საჩივარი“ და სხვ. საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ამ უკანასკნელს:

„დიდება უნდა უფალოო!
რასაც გვთხოვს? რა მოუცია,
რომ ჩამოგვიდგა ჭირივით
სოფელში ეკზეკუცია?

სადაც, ვიღაცას, რაღაცა
ვითომდა ჩაუდენია,
ახლა ჩვენ გვახდევინებენ,
მოგვდეს ცეცხლი და გენია!...

კომლზე სამ-სამი თუმანი
ადვილად გაუწერია...
თითქოს ეს გადასახადი
გლეხისთვის არაფერია!..

სად შეგვიძლია, ამდენი
რომ მოვაგროვოდ ხელადა?
უნდა შორს სადმე წავიდეთ
ფულების საძებნელადა.

რომ დავბრუნდებით, დაგვხვდება
სოფელი აოხრებული,
ცოლ-შვილი ნამუსახდილი,
ოჯახი ატირებული“.

1905 წლის რევოლუციასთან დაკავშირებით აკაკისვე ეკუთვნის ისეთი ლექსებიც, რომლებიც რევოლუციის ცალკე მომენტებს ეხებიან. ასეთ ერთ-ერთ ტიპურ ნაწარმოებს წარმოადგენს „კოჭაობა“ *). ამ ლექსში თვითმპყრობელობის ჯალათთა უსაზიზღრესი მოქმედების ასახვის ფონზე პოეტს შესანიშნავი ოსტატობით აქვს გადმოცემული „ოხრანკის“ მიერ მცირეწლოვანთა ჟლეტის ცნობილი ფაქტი.

*) დაცულია საქ. მუზეუმ. ხელნაწერ განყოფილებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლუცია დროებით დამარცხდა. გამარჯვებული რეაქცია უსასტიკესი შურისძიების გზას დაადგა. ეს ფაქტი განსაკუთრებული ტკივილით განიცადა აკაკიმ. „უ მ წ ე ო, უ ი ა რ ა ღ ო მ თ ე ლ ი ბ ი ბ ლ ი ო ს ე ლ ო ი წ ვ ი ს და ო ხ რ დ ე ბ ა“ *) — სწერდა იგი მელანქოლიით შეპყრობილი და ათასი განცდით აფორიაქებული, ხოლო დამარცხების მიზეზს ხედავდა ერის შიგნით „ძ მ ე ბ ი ს მ ტ რ ო ბ ა შ ი“, რევოლუციის კლასობრივი ბრძოლის საფუძველზე განვითარებაში.

სად არის ხსნა? პასუხს ბურუსი ფარავდა: მოხუცი მგოსანი გარკვეულ უღელტეხილთან იდგა, მაგრამ უღელტეხილის იქით მიმავალი გზები მისთვის ჯერ კიდევ არ მოსჩანდა.

ყველაფერი ეს როგორც მაშინ, ისე მომდევნო წლებში თავისებურ განწყობილებას უქმნიდა დიდ ლოგიკოსს, ხოლო ეს განწყობილობა განსხვავებულ სახეს აძლევდა მის ეროვნულ იდეებს. უპირველეს ყოვლისა, გაჰქრა ს ა მ შ ო ბ ლ ო ს ბ რ ძ ო ლ ი თ დ ა ხ ს ნ ი ს რწმენა. ამავე დროს რევოლუციისა და რეაქციის პრაქტიკამ პოეტისათვის აშკარა გახადა „მუშათა ერის“ რევოლუციურ ბრძოლასა და მის საკუთარ პოზიციას შორის არსებული უფსკრული. ამით დასრულდა ილუზია, რომლის მიხედვითაც აკაკი „მუშათა ერსა“ და რევოლუციაში თავისი ეროვნული იდეების, რეალიზირების სოციალურ დასაყრდენს ხედავდა. მისი კლასის ამ მიმართებით გამოყენების შესაძლებლობა კი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ უარყოფითად გადაწყდა.

და კითხვა: სად არის ხსნა? უპასუხოდ დარჩა.

მაგრამ ძვრა მაინც მოხდა: 1910-ანი წლების მიჯნაზე ნახევარი საუკუნის მანძილზე ნაოცნების ნამსხვრევებში ჩალეწილი, უპერსპექტივოდ დარჩენილი მგოსანის აზრი უკან მოტრიალდა — ვორონცოვის ეპოქამ მიიპყრო, ეს ტენდენცია განსაკუთრებული სიმკვეთრით პოემა „ვორონცოვში“ გამოიხატა.

ეს პოემა **) დიალოგის პრინციპზეა აგებული. დიალოგში მონაწილეობენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დიმიტრი ყიფიანი. ვორონცოვი, თვით მგოსანი და სხვები. ვორონცოვი პოემაში წარმოდგენილია ქართველი ერის ინტერესებით გატაცებულ ადამიანად. მის პოლიტიკას აკაკი ყოველგვარ კრიტიკის გარეშე ღებულობს.

პოემის უკანასკნელ ნაწილში მოცემულია ვორონცოვის პერიოდიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ პოეტის შეხვედრა ვორონცოვთან („სიზმა-

*) იხ. წერილი „იმერეთის გადაწვა მოძრაობის დროს“. დაცულია საქ. მუზეუმის ხელნაწ. განყოფილებაში.

**) პოემა „ვორონცოვი“, როგორც აკაკის ერთ-ერთ პირად წერილიდან ირკვევა, დაწერილია 1910 — 1911 წლ., პარიზში. 1913წელს აკრძალულ იქნა მეფის ცენზურის მიერ (იბეჭდებოდა „ჩემი ნაწერ.“ მეორე წიგნ-ში). გამოაქვეყნა ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი მ ა „მნათობის“ 1935 წლის პირველ ნომერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი"). მგოსანი პოემის ამ ნაწილში შემდეგი სიტყვებით მიმართავს ყოფილ მეფის მოადგილეს:

„ასე ამ რიგად ლონე მიხდილი
ვართ ქართველები დღეს ცოცხალ-მკვდარი
და სანუგეშო რომ რამე გვითხრას,
მომავლისათვის არავინ არი!..

* * * * * * * * *

დიდო მოხუცო! მე წინდაწინვე
ვეთაყვანები მაგ შენ ციურ ხმებს,
რომ სიტყვა სიტყვით მეცა გადავსცე
შენგან სულჩადგმულ ჩემსა მოძმეებს".

ამ მიმართვის შემდეგ პოეტი საპასუხო შთაგონებას ისმენს. პასუხში ქართველი ერის დაცემა თვით ქართველთა მოქმედებით არის ახსნილი.

„ეს რა მეზმანა, რა მომეჩვენა,
რომ ვორონცოვი გამომეცხადა
და დღევანდელი შავი პირდაბე,
ვით მოციქულმა მაღლით ამხადა?"

პოემის მთელ მანძილზე ბრძოლით სამშობლოს დახსნის იდეის მიმართ გარკვეული გულგატეხილობა, უარყოფითი დამოკიდებულება გამოსჭვივის. სხვაგვარი პერსპექტივა აკაკისათვის ჯერ არ არსებობდა. მაგრამ განვლო რამდენიმე წელმა და საქართველო მსოფლიო იმპერიალისტური ომის რკალში მოექცა. ამ ფაქტთან დაკავშირებით რუსეთის თვითმპყრობელობამ თავისებური სიტუაცია შექმნა, განსაკუთრებით კოლონიურ ერებში. აკაკი, ძველი თაობის ინტელიგენციის ძირითად ნაწილთან ერთად, ამ სიტუაციის გავლენის ქვეშ მოექცა. აქ დამთავრდა პოეტის მეამბოხე ოპოზიციური. ბარიკადებთან დაკავშირებული მტრული დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. მეტიც: ამ მიჯნაზე სამშობლოს ეროვნული ხსნა მგოსნის აზროვნებაში დიდ რუსეთს და იმპერატორის მიერ ომში აღებულ პოლიტიკას დაუკავშირდა. ასეთი განწყობილება აკაკიმ გამოხატა თავის უკანასკნელ პოემაში „ომში" და მასზე ადრე ომის შესახებ დაწერილ პუბლიცისტურ წერილში.

„ომში" ავტორი განსაკურთებული თავდაჭერილობით ეპყრობა თვითმპყრობელურ რუსეთთან საქართველოს „შეერთების" ფაქტს, და არა მარტო ამ ფაქტს, არამედ საქართველოში რუსეთის ბატონობის ეპოქასაც კი. ეს მანძილი მას ერის დასვენებისა და რუსეთის კალთაში ძილის საუკუნედ მიაჩნია. გამოღვიძების მიზეზად იგი იმპერიალისტურ ომს, განსაკუთრებით რუსეთის იმპერატორის ეროვნულ პოლიტიკას სთვლის.

პოემის დასასრულ, იმპერიალისტურ ომში რუსეთის მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით, ვკითხულობთ შემდეგს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯერი რომ მიდგა რუსეთზე, მაშინ
ესა თქვა მათმა იმპერატორმა:
„მეც ვეთანხმები ჩემ მოკავშირეთ,
რაც გადაწყვიტეს მაშინ იმ ორმა.

„მეტის დათმობა არ შემიძლია,
აწ საზღვარი აქვს ჩემს მოთმინებას,
და წვრი[ლი] ხალხი რომ დამეჩაგროს,
არავის ამის არ მივცემ ნებას.

მრავალ სულობით გალომებული
დეე ნუ ულაპავს სუსტს[ა] ძლიერი!
სრული უფლება მიენიჭება,
თავის ნებაზე რომ იყოს ერი.

მაშინ მსოფლიოდ სანატრელი დრო
დაწყნარებული დადგება სრული
და დამყარდება ერებთა შორის
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

ა^ას ქადაგებს ჰაგის კავშირი—
და ეს მოძღვრება სანატრელია,
მაგრამ განზრახვა დღევანდელი დღის
ხელის შემშლელი საძაგელია.

მეც რატომ ვიღებ ხელში მახვილსა,
წინააღმდეგ სისხლის ნდომისა
და მოკავშირე ვხდები მეც სხვებთან
ამ უკანასკნელ დიდი ომისა!“

იმპერატორის ასეთი ქადაგებით აღფთოვანებული პოეტი ამ მოწოდებას საფუძვლად უდებს ომში ქართველთა თავგანწირულ მონაწილეობას.

პოეტს ღრმად სწამს, ვითომ ამ ომით ქართველი ერის ეროვნული ჩაგვრის ბორკილები იმსხვრეოდეს. ამიტომ გულწრფელი სურვილით მიმართავს იგი თვითმპყრობელ რუსეთს:

„ჩვენი სიკვდილით, ჩვენის დალევით
ახლა იწყება მომავლის შობა,
და დიდ რუსეთსა, წვრილ ხალხის დამცველს,
ნუ მოეშალოს აწ გამარჯვება.

რომ იმას მტერი არ აწუხებდეს,
არცა ამიერ და [არც] იმიერ,
და ჩვენც ვიძახდეთ
ჩვენის საფარად: მრავალ-ჟამიერ“!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიურ სტრიქონებს შეიცავს ომის შესახებ დაწერილი პუბლიცისტური წერილი, რომელიც გაზ. „თემის“ 1914 წლის 27 [illegible] ნომერში დაიბეჭდა „აკაკის წერილის“ სათაურით.

ამრიგად, ჭაღარით შეეერცხლილი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს მიახლოვებული მგოსანი პოემა „ომში“ და ომის შესახებ დაწერილ წერილში რუსეთის თვითმპყრობელთა სადიდებლად ამღერდა: რუსეთის სარდალი — იმპერატორი — ეროვნული ჩაგვრის მტრად, ეროვნული „ძმობისა“ და „სიყვარულის“ მქადაგებლად აღიარა. ბრძოლაზე გულგატეხილმა პოეტმა იმპერატორის ეროვნულ პოლიტიკას დაუკავშირა სამშობლოს ბედი — თხოვნით შეეცადა „სატრფოს ქაჯეთის ციხიდან გამოტაცებას“. და ეს მაშინ, როდესაც არც ისე შორეულ წარსულში სიხარულით შეხვდა ალექსანდრე მეორის მკვლელობას, ნახევარი საუკუნის მანძილზე აბეზარ, უშნო „ნაძალადევ საქმროს“ უწოდებდა იმავე რუსეთს, დაფსა და ნაღარას სცემდა, გმირებს ეძებდა, ხანჯალს ლესდა მის წინააღმდეგ საბრძოლველად, ბარიკადებისაკენ იშვერდა ხელს ეროვნული თავისუფლების მოსაპოებლად. აკაკის მიერ უკანასკნელ წერილში ასეთ პოზიციაზე დადგომა, ისიც ამგვარი პოზიციის გამართლებისთვის სოციალურად ყოველმხრივ დაცლილ პირობებში, არსებითად წარმოადგენდა იმ ცნობილ თვალსაზრისის აღდგენას, რომელიც სამშობლოს აღორძინებას მეფის ტახტს უკავშირებდა.

ერთი შეხედვით, თითქო საქმე გვაქვს პრინციპულად მოწინააღმდეგე პოზიციებთან, ნამდვილად კი აკაკი, თვითმპყრობელური რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებული, მეფის მკვლელობით აღფრთოვანებული, რევოლუციით გატაცებული და „ომის“ ავტორი, დიდი რუსეთისა და იმპერატორის მეხოტბე — მთლიანია. ძირითადად ორივე შემთხვევაში იგი ერთისა და იმავე იდეების საფუძველზე დგას. სახელდობრ, იგი უკიდურესი პატრიოტი იყო და მომენტის მიხედვით (რადგან გარკვეული სოციალური დასაყრდენი არ გააჩნდა თავისი იდეის რეალიზირებისათვის) იმ მოვლენებს უმღერდა, რომლებიც ეროვნული განთავისუფლების პერსპექტივას გადაუშლიდა. უკანასკნელ პერიოდში ასეთ პერსპექტივას პოეტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში ხედავდა, 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ კი იმპერატორის ეროვნულ პოლიტიკაში. ამით აიხსნება აკაკის შემოქმედებისა და აზროვნების სფეროში არსებული სხვადასხვაობა.

გასული საუკუნის ქართული პოეზიის მთაგრეხილზე ოთხი მწვერვალია ამართული: ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, ი ლ ი ა, ა კ ა კ ი და ვ ა ჟ ა. ოთხივე მწვერვალი გარკვევით განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მსოფლმხედველობის, ისე პოეტიკის თვალსაზრისით. მათ შორის აკაკი თავისებური იყო პიროვნული ბედითაც. იგი განსაკუთრებით აამაღლა თავისმა ეპოქამ: არც ერთ ქართველ მწერალს ისეთი დიდი დაფასება,

სიყვარული და პოპულარობა არ ღირსებია სიცოცხლეში, როგორც მას — ამ უდაოდ დიდ ნოვატორ ოსტატს. მის სახელსა და ნაწერებს იცნობდნენ ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში. იცნობდნენ ბავშვებიც კი. მისი შემოქმედება უშუალოდ ხალხთან იყო დაკავშირებული, ხალხში ცხოვრობდა. ამიტომ გადიქცა მისი იუბილე მადლიერი სამშობლოს ზეიმად, ხოლო დასაფლავება — ეროვნულ გლოვად.

ცხადია, მგოსნის ასეთი „ბედი" მისი შემოქმედების ხასიათთან იყო დაკავშირებული. იდეების მხრივ: მებრძოლი პატრიოტიზმი, რეფორმიზმი, დემოკრატიული ტენდენცია; პოეტიკის თვალსაზრისით: დიდი ოსტატობის რკალში ჩალურსმული სისადავე, პოეტური ფოლკლორის საუკეთესო ტრადიციების თავისებური გამოყენება. ძირითადად ასეთია ის მთავარი მომენტები, რომლებიც აკაკის შემოქმედებაში ობიექტურად პროგრესიულ ფორმაში მჟღავნდებოდა და რომლებიც დიდი პოეტის მიერ მითითებულ ბრწყინვალე „ბედს" ედო საფუძვლად. უაღრესად დამახასიათებელია, რომ ყველა ეს მომენტი მეტნაკლები სიახლოვით ორგანულად არის დაკავშირებული აკაკის შემოქმედებითს მეთოდთან — რ ე ა ლ ი ზ მ თ ა ნ. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით: შემოქმედებითი მეთოდის არსება, — აი, რა წარმოადგენდა ძირითად კვანძს, რომელიც, ერთის მხრივ, თვით მწერლის მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობდა და რომელმაც, მეორეს მხრივ, თავისი აღნიშნული სამშობლო — იდეები ობიექტურად უფრო პროგრესულ ფორმაში წარმოიდგინა: მგოსანი ხალხის, ცხოვრების სულს დაუკავშირდა.

არსებობს აზრი, თითქოს აკაკი წმინდა რეალისტი არ იყო. მეტიც: ხშირად მას რომანტიკოსადაც კი სთვლიან. როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ასეთი გაგება მართებული არ არის. აკაკის რომანტიზმს შემოქმედებითს პრინციპებთან, ისე, როგორც მის მსოფლმხედველობითს საფუძვლებთან, არავითარი კავშირი არა აქვს. ის, რაც აკაკის შემოქმედებაში რომანტიზმად ან, უკეთეს შემთხვევაში, ნეორომანტიზმად არის მიჩნეული, სინამდვილეში რეალისტური რომანტიკაა, დაკავშირებული პოეტის მებრძოლი ეროვნული იდეების აგიტირების მომენტთან. უაღრესად დამახასიათებელია, რომ აკაკის შემოქმედების ეს მხარე — მეთოდის ხასიათი არა მარტო შემოქმედებითს პრაქტიკაშია წარმოდგენილი, არამედ თეორიულადაც მას ხშირად აქვს ხაზგასმული უტილიტარულ-რეალისტური ესთეტიკის პრინციპთა სახით. ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ლექსი „პოეტი".

„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ესა ვარ, არც ისა!
გ ა რ ე მ ო ე ბ ი ს ს ა ყ ვ ი რ ი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.,
. . . . . .

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს გული სარკედ ქცეული,
ბუნების ხათავხედია,
მხოლოდ მის სახეს გიჩვენებთ,
რასაც შიგ ჩაუხედია.

ენაც მას ამბობს, რაც სმენას
სხვისაგან გაუგონია,
ან თვალს უნახავს და ჭკუას
გაუზომ-აუწონია! *)

ასევეთვე თვალსაზრისია წარმოდგენილი „მწერალში“.

„წერა მხოლოდ მაშინ უნდა,
წინ რომ გედგას იდეალი
და გულშიაც გიყვავოდეს
ვარდი ანუ შხამ-ეკალი.

როცა გულში უნებურად
გადიშლება ვარდი... ია
და მიგვიწევს საოცნებოდ
საბოთხისკენ კარი ღია,

მაშინ უნდა ბულბულივით
ჩაიჭიკჭიკ-ჩაამღერო
და მოხიბლულ თანამგრძნობსაც
გული ტკბილად აუძგერო!

და როცა გულს შეგეჭრება
მწარე ისრად ეკალ-ნარი,
შენც გაულენთე ნაღველ-შხამით
სწორ-მეტყველი შენი ქნარი!

მაშინ, როცა საზოგადოდ
სანუგეშოს არას ელი:
ყორანივით დაიჩხავლე,
ასისინდი როგორც გველი!!“ **)

და ეს ცხოვრების სულთან მიჯაჭვა, მომენტთან, ყოველდღიურობასთან დაკავშირებული სიმღერა „სწორ-მეტყველ ჩანგზე“, როგორც პოეტის შემოქმედების ერთად-ერთი გზა, სხვა ნაწერებშიც არა ერთხელ ალუნიშნავს მას. საილუსტრაციოდ დავასახელებთ „პოეტის პროგრამას“. ამ ლექსში შემდეგ სტროფებს ვკითხულობთ:

---

*) პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1886 წ. 30 ოქტომბრის ნომერში.
**) იხ. „ლიტ. მემკვიდრეობა“, № 1, გვ. 338.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჭირში ზარს ვიტყვი საცრემლოს
და ლხინში „მრავალ-ჟამიერს“.
გარჩევა უნდა ავ-კარგსა
და დრო—გულისთქმას წამიერს.
მაქებარი ვარ ერთგულის
და მგმობი ქვეყნის მტერისა,
მათი პასუხის მიმცემი
საკადრის-შესაფერისა“ *).

ამგვარ პრინციპზეა აგებული აკაკის მთელი შემოქმედება. სინამდვილე, გადმოცემული ხან სიხარულის, ხან ცრემლების შემცველი სტრიქონებით, ყოველთვის გარკვეული იდეის გზით მოძრაობა, ხან ბულბულივით ჭიკჭიკი, ხან გველივით სისინი, ნალველი და შხამი ან აღტაცება, — ასეთია ამ პრინციპის ხერხემალი. ამიტომ ათასჯერ მართალი იყო აკაკი, როცა იგი თავისი შემოქმედების შესახებ შემდეგ სტრიქონებს სწერდა:

„ცრემლში მილესავს ნალველი
და მელნად ის ნიხმარია,
ამიგ თაფლი არის ნარევი
და ზოგან ცხარი ძმარია!

ზოგს ეტკბილება, ზოგს ეარა,
მაგრამ რა ჩემი ბრალია?..
ბულბული ვარდს და ეკალზე
თანაბრად მომღერალია“...

ბუნებრივია, რომ მგოსნის შემოქმედებითი პრაქტიკის ასეთ გზას საფუძვლად ედვა გარკვეული უტილიტარულ-რეალისტური შეხედულება საერთოდ მწერლობაზე. 1884 წელს გამოცემულ გ. ერისთავის თხზულებათა I ტომის წინასიტყვაობაში იგი სწერდა:

„მწერლობა ზნეობითი და გონებით მესარკეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს ნწერლის თანადროება მისის სასწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებად გადასცეს მომავალ დროებას. და როგორც სარკეში მხოლოდ ის იხატება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მას გულში ჩაჰყურებს, ისე პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და, მაშასადამე, მწერალს ნება არ აქვს, რომ ყოველდღიურ საერთო მოვლენებს, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს. რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემომოყვანილ პირობებს“ **) (ხაზი ჩემია — მ. დ.).

ან კიდევ:

„მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოდეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდ“ ***).

*) პირველად დაიბეჭდა 1898 წ. „კრებულის“ მე-11 ნომერში.
**) გ. ერისთავის თხზულებათა დასახელებული გამოცემა, გვ. VIII.
***) იქვე, გვერდი VII.

ამ სტრიქონებში წარმოდგენილი გაგება არ გულისხმობს, თითქოს მწერლობა პირდაპირ, ემპირიულად უნდა სახავდეს სინამდვილეს. პირიქით, აკაკი ასეთი პოზიციის — ე. წ. „ფოტოგრაფიული რეალიზმის" სტატიკი წინააღმდეგი იყო. „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში" იგი სწერდა:

„ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა... მართალია, ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიორსაც არ დაკლებს მაგრამ მაგიერად განმაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას... ხელოვანი მხატვარი კი იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეურჩევს მისთანა წამს გრძნობა-გონების გამონეტყველებისას რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს".

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აკაკი თავისი რეალისტური კონცეპციით არ დაქანებულა მისი დროის რუსულ ლიტერატურულ აზროვნებაში საკმაოდ გავრცელებულ ულტრაუტილიტარიზმის სიდაბლემდე. ამ უკანასკნელ თვალსაზრისსა და „წმინდა ხელოვნების" თეორიის მომხრეებს შორის მას საშუალო გზა ჰქონდა არჩეული:

„„ზაიცევს არად ვაგდებდი, — სწერს აკაკი „თავის თავგადასავალში" — ნიჭიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი. მაგრამ მისი ბევრი არ მომწონდა და არც ის მჯერა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ ფუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარად." *)

ასეთია აკაკის ლიტერატურული მსოფლმხედველობა. ამ ნიადაგზე გამოიკვეთა მისი შემოქმედებითი მეთოდიც — რეალიზმი. და ეს მეთოდი იმდენად ამაღლდა დიდი პოეტის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ლირიკაში, რომ ვერც ერთი ქართველი პოეტი ლირიკოსი ამ მხრივ ვერ უთანასწორდება მას. აკაკის მიერ შექმნილი რეალისტური ლირიკა არის ლირიკაში რეალიზმის გამოყენების კლასიკური ფორმა.

ცხადია, აკაკის აღნიშნული როგორც ესთეტიკური კონცეპცია, ისე შემოქმედებითი მეთოდი ორგანულ ურთიერთობაში იმყოფება მგოსნის საერთო მსოფლმხედველობასთან, განსაკუთრებით გარკვეულ პოლიტიკურ იდეებზე დამყარებულ თანამედროვეობისადმი კრიტიკულ-ოპოზიციურ დამოკიდებულებასთან. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც მსოფლმხედველობა საზღვრავდა შემომქმედის შემოქმედებითს კრედოს. მაგრამ ობიექტურად აკაკის შემოქმედებაში შედეგი — რეალისტური შემოქმედებითი მეთოდი — უფრო შორს წავიდა, ვიდრე ამის შესაძლებლობას იძლეოდა საფუძველი — პოეტის იდეები. ეს გასაგებიცაა, რადგან აკაკი გარდამავალი ეპოქის მთაგრეხილებში ცხოვრობდა და მის რეალისტურ ხედვას არ შეეძლო მხოლოდ დაღმავალი კლასის ლიბერალურ ინ-

*) რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 73.

ტერესებზე აგებული რეფორმისტული და ავტ-
ტრიოტული იდეების ვიწრო ჩარჩოში ჩაკეტილ-
ყო, — ან შეემჩნია, ვერ ეგრძნო ის სიახლე, რა-
მელიც მის თვალწინ მოძრავ, მღელვარე ცხოვ-
რებას თითქმის ყოველ ნაბიჯზე ახასიათებდა.
აქედან იწყება სწორედ მის შემოქმედებაში
პროგრესიული თვალსაზრისი.

ძირითადად აღნიშნული მომენტებით იფარგლება აკაკის მრავალ-
მხრივი შემოქმედების არსება. ცხადია, ამ მომენტებს, როგორც ეს წარ-
მოებულ მსჯელობიდანაც სჩანა, გარკვეული სოციალური ადგილი და
ბუნება აქვთ. ამ უკანასკნელის ირგვლივ თავისებური შეხედულება აქვს
გამოთქმული განსვენებულ სიმონ ხუნდაძეს. მისი აზრით:

„აკაკი თავისი შემოქმედებით და აზროვნებით გარდამავალ საფეხურს წარმოად-
გენდა თავად-აზნაურულ ლიბერალიზმიდან ნამდვილ დემოკრატიზმისაკენ და, როგორც
ერთი, ქანაობდა თავად-აზნაურულ და დემოკრატიულ მსოფლმხედველობათა შორის.
ამიტომ მას არ შეეძლო სავსებით თავისუფალი ყოფილიყო თავად-აზნაურული ტენდენ-
ციებისაგან“ *) (ხაზი ჩემია — მ. დ.).

წინამდებარე წერილში წარმოდგენილი აკაკის შემოქმედების დამა-
ხასიათებელი ფაქტები არ ამართლებენ მკვლევრის ამ დასკვნას. პირი-
ქით, როგორც დავინახეთ, აკაკი თავად-აზნაურული ტენდენციით კი არ
ხასიათდება, არამედ ძირითადად დგას ამ კლასის პრო
გრესიულ ლიბერალიზმის საფუძველზე. და თუმცა
„ნამდვილი დემოკრატიზმის“ გავლენით გამოწვეულ, მაგრამ არსებითად
მაინც იმავე სოციალური პირობებით განსაზღვრულ, ხშირად ეროვ-
ნულ პრობლემასთან დაკავშირებულ დემოკრატიულ ელემენტებს (ტენ-
დენციას) ანსახიერებს. ეს სოციალური დასაყრდენი მხატვრული სიტყვისა
და სისადავის დიდმა ოსტატმა ობიექტურად, უკანასკნელი წლების გა-
მოკლებით, გარკვეულ პროგრესიულ ფორმებში გა-
მოხატა. ისტორიულად მას ხვდა წილად თავისი კლასის
იდეების რადიკალიზმის უკანასკნელ-საზღვრამ-
დე მიყვანა, რაც მან ბრწყინვალედ შეასრულა.

---

*) ს. ხუნდაძე „აკაკი წერეთელი“, ჟურნ. „მნათობი“, 1930 წ. № 4, გვ. 185.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერ. ასტვაცატუროვი

სანდრო შანშიაშვილის პოეზია

(ლექსების ახალი წიგნის „გავლილი შარას" გამო).

სანდრო შანშიაშვილს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში. იგი თემატურად მრავალფეროვანი და სხვადასხვა ჟანრის მწერალია. მისი ლიტერატურული მოღვაწეობისა და მსოფლმხედველობრივი ევოლუციის დასახასიათებლად საკმაო არ არის მარტოდ პოეტურ ნაწარმოებთა განხილვა-ანალიზი. სამი ათეული წლის განმავლობაში, სანდრო შანშიაშვილმა შექმნა მრავალი ლირიკული ლექსი, რამდენიმე პოემა და უფრო მეტი სხვადასხვა სახის დრამები და ტრაგედიები.

ეს სხვადასხვა ლიტერატურული ჟანრი ერთი საერთო ფსიქიურ-იდეური სულით არის გაჟღენთილი, ერთი მეორის პარალელურად ვითარდება და ერთი მეორეს ავსებს.

ამიტომ ს. შანშიაშვილის, როგორც მწერლის, დასაფასებლად აღებულ უნდა იქნას მისი შემოქმედება მთლიანად. გარეშე ამისა შეუძლებელია ვიქონიოთ სრული და ყოველმხრივი წარმოდგენა იმ მდიდარ და მრავალფეროვან მხატვრულ პროდუქციაზე, რომელიც მწერალმა — პოეტმა, ბელეტრისტმა და დრამატურგმა — სამი ათეული წლის მანძილზე დააგროვა. უფრო მეტიც: შეუძლებელია მწერლის მსოფლმხედველობრივი ევოლუციის მოხაზვა, თუ არ იქნება ანალიზირებული მისი დრამატურგიული ნაწარმოებები, რადგან ყველაზე უფრო მკვეთრად ს. შანშიაშვილის მსოფლმხედველობრივი გარდაქმნა მის პიესებშია მოცემული, იქ არის მთელი ძალით განცდილი რევოლუცია და მისი მონაპოვარი.

ს. შანშიაშვილის საბჭოთა პერიოდის პიესები მწვერვალია მწერლის შემოქმედებაში. ამ პიესებში მოცემულია მწერლის რეალისტური ყნოსვა, რევოლუციური პათოსი და საკუთარი წარსული შემოქმედების იდეური გადაფასება, ამასთან მოცემულია ისეთი სიძლიერით, როგორსაც ვერც ერთ მის ლექსში ვერ ვხედავთ.

ეს გარემოება, ჩვენის აზრით, უნდა აიხსნას იმით, რომ საბჭოთა პერიოდში მწერალი უფრო ნაყოფიერად მუშაობდა დრამატურგიაში, ვიდრე პოეზიაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ს. შანშიაშვილი, როგორც პოეტი, ბევრად უფრო გვიან განთავისუფლდა წარსულის გავლენისაგან, მისი ლექსები პიესებზე უფრო კონსერვატული აღმოჩნდა. ჩვენის აზრით, დრამატურგიულმა შემოქმედებამ შექმნა პოეტში ის შინაგანი განწყობილება, რომელმაც უკარნახა მას პოეზიაში.

მაგრამ ზემო აღნიშნული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ შეიძლებოდეს ს. შანშიაშვილის, როგორც პოეტის, დამოუკიდებლივ განხილვა.

ს. შანშიაშვილი იმდენად ძლიერი ფიგურაა XX საუკუნის ქართულ პოეზიაში, რომ მისი მხოლოდ ლექსების განხილვაც საკმაო წარმოდგენას მოგვცემს მწერლის მ თ ე ლ ი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ხასიათზე და მსოფლმხედველობრივ ევოლუციაზე.

* * *

ს. შანშიაშვილი ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა ქართული სიმბოლიზმის „აყვავების“ პერიოდში. მისი პირველი ლექსები დათარიღებულია 1905 წლით. ქართველი სიმბოლისტების გამოსვლას წინ უსწრებდა შესაბამი სოციალ-პოლიტიკური ვითარება. რომელიც სულიერ საზრდოს აძლევდა მათ. ეს იყო პირველი რევოლუციის დამარცხება და რეაქციის გაბატონება. რამაც წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთი ნაწილი დიდი ხნით დააავადა პესიმიზმით და ანტისაზოგადოებრივი ინდივიდუალიზმით. ინტელიგენციის ეს ფენა ღრმად ვერ იხედებოდა ცხოვრებაში და გაურბოდა კლასობრივ წინააღმდეგობათა რეალური სინამდვილის ასახვას, იგი თავს სინამდვილიდან გაქცევითა და შეცნობილ სამყაროში ნავარდით ირთობდა. სიმბოლისტები გაურბოდნენ ბობოქარ ცხოვრებას და ეძებდნენ სულის დამამშვიდებელ მყუდროებას.

„სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებას — როგორც სამართლიანად ამბობს ამბ. მალაქია ტოროშელიძე თავის მოხსენებაში საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობაზე, — რომელიც ვითარდებოდა დასავლეთ ევროპის დეკადენტური ლიტერატურის უშუალო გავლენის ქვეშ, ახასიათებდა კონკრეტულ სოციალ-პოლიტიკური ვითარებისაგან მოწყვეტა, ოცნების მეთიერ მოჩვენებათა და რომანტიკული ბურუსით მოცული ძველი ცხოვრების სფეროში ნავარდი“.

თითქმის ყველგან სიმბოლისტებს საერთო სენი სჭირდათ. შემოქმედების ასპარეზზე გამოსვლისას ისინი ყოველთვის ფიქრობდნენ, რომ ახალი იდეების გამომხატველები და ნოვატორები იყვნენ, — ახალ ჰანგზე, ახალ მოტივზე მღეროდნენ. ახალ იდეებს ავრცელებდნენ. ფაქტიუ-

რად კი ღრმად ჰქონდათ ფესვები გადგმული წარსულში. სიმბოლისტების შემოქმედებაში ძლიერი იყო წარსულთან დაკავშირებული [illegible] და ამიტომ არ შეეძლოთ მათ გაეგოთ მომავლის ნათელი [illegible] არ შეეძლოთ მისწდომოდნენ ისტორიული პროცესის იმანენტურ მწვერვალებს, და როცა არსებული სინამდვილის წინააღმდეგობებიდან გამოსავალს ვერ პოულობდნენ და იხლართებოდნენ ამ წინააღმდეგობებში, იწყებდნენ უიმედო ქვითინს და ნავარდს მისტიურ სამყაროში.

ასეთივე ხასიათისაა ს. შანშიაშვილის შემოქმედებითი გზა. პოეტი იმის ღრმა რწმენით გამოვიდა ლიტერატურული მოღვაწეობის ასპარეზზე, რომ იგი ისე არ მღეროდა, როგორც მღეროდნენ უწინ, მისი პოეზია, მისივე სიტყვით, ახალი სიმღერა იყო, ახალი იდეური მოტივებით:

„ისე არ ვიმღერ, ვით უწინ მღერდნენ
წინამორბედნი ჩემი დიდების;
თვალებში რჩეულს შემომაჩერდნენ
ბრძენ მახარობელს დიდ იდეების“.

ეს რწმენა მოჩვენებითი ხასიათისაა. პოეტის შემოქმედებას ისე ღრმად აქვს ფესვები გადგმული წარსულში და ისე მტკიცედ არის დაკავშირებული ძველთან, რომ იმავე ლექსში ამჟღავნებს პოეტი თავისი „დეკლარაციის“ ზერელობას („ძველზე ვაშენებ სხვა კოშკის კედლებს“). რამდენადაც ცდილობდა პოეტი ძველზე აეგო „ახალი“ კოშკის კედლები, იმდენად არ შეეძლო განთავისუფლებულიყო იგი წარსულის მავნე სოციალური ტრადიციებისაგან, არ შეეძლო გაბედულად ებრძოლა ახლისათვის. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ იქვე, სადაც თავს იჩენდა ხოლმე პოეტის შემოქმედებაში ერთგვარი იმედისა და „ბრძოლის“ ტენდენცია, მათ თან სდევდა სევდა და უიმედობა.

სევდა და მისტიური განწყობილება პოეტის მუდმივი თანამგზავრი იყო. პოეტს „თალხი ერტყა შავათ მხრებზე და შავი ნავით დასცურავდა მყუდროების შავ ტალღებზე“.

1905 წლის რევოლუციის აღმავლობა პოეტმა თავისებურად განიცადა. ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სულიერი აღმაფრენა და „ბრძოლებით“ გატაცება. რეაქციის გამარჯვებით პოეტის სულში ულმობელმა სევდამ დაისადგურა და „ყრმობის გიჟური სიხარული და სიამე წაშალა“...

„ულმობელმა, შემხუთველმა სევდამ ფრთები გაშალა!
შურის ქარმა, ბრალობის ზარმა ჩემი შვება წაშალა!..
სიცოცხლესა ხანმოკლესა უდგა ცუდი ტარები,
გულმოკლული, გაისრული დავალ დავიარები.
დღეს ჩემს სულში ულმობელმა სევდამ ფრთები გაშალა,
ყრმობის გიჟური სიხარული და სიამე წაშალა!..
რალა დამრჩა სანუგეშო ოდნავ გამხარებელი? —
ცივი გული, ცივი გრძნობა შურის მაძიებელი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურმა რეაქციამ ფრთები შეუკვეცა პოეტის ბურჟუაზიულ პატრიოტიკას და რომანტიკას, ველარ ხედავდა პოეტი თავის ... მზიან მომავალს და წუხდა, რომ ამ საუკუნეში დაიბადა:

„ამ საუკუნეს რად ავხსენ ფარდა?
რად შემოვაღე მისი ჭიშკარი? —
თუ ყრმობის პირველ ღიმილთან ერთად
ჩამიქრებოდა ბნელში ცისკარი?!"

ს. შანშიაშვილი, რომელიც ფიქრობდა, რომ იგი ძველს არ ეკუთვნის და ქმნის ახალ პოეზიას ახალი იდეებით, თავის გარშემო უსაზღვრო სიცალიერეს და ბნელ უდაბნოს გრძნობს, სადგას „მ ა რ ტ ო კ ა აღელვებული", უწოდებს თავის მთრთოლვარე ხელს სულის დემონს, მტანჯველ ღმერთს და მასთან ერთად ეძებს ს ა დ გ უ რ ს, სადაც სულიერად დამშვიდდება და კმაყოფილებას მიეცემა. ეს „სადგური" წარსულია და წარსულთან ერთად ითხოვს იგი დასამარებას. (!)

პოეტმა რევოლუციამდე ამოსწურა თავისი იმედები და, მარტოობაში დარჩენილი, აღარაფერს ელოდა:

„სდუმს ღანე ბნელი. არავის ველი!
მიყუჩებულა ტყე, მთა და ველი.
ვინ ჩამორეკა მწუხარე ზარი?
მუდამ მარტო ვარ... სევდა მკლავს მწველი.
არავის ველი... არავის ველი!"

ვაგრამ თუ აღმავლობის პერიოდში, როცა ნაციონალისტურ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციასაც შეეძლო რაღაც სულიერი კმაყოფილების ნიშნები ეპოვა და თავი ცოტა უფრო ლაღად ეგრძნო, სანდრო შანშიაშვილის ბურჟუაზიული პატრიოტული რომანტიკის ერთგვარი „გააქტივება" ხდებოდა, თუ პოეტი ფიქრობდა, რომ „რაღა ხელი აქვს ჩვენთან ნაღველს ან მყუდროებას, სული ზრახვით ელვარე ხან ზღვას, ხან გრიგალს ედარება" და სხვ. ეს მხოლოდ მოჩვენებითია (არა არსებითი) და მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ს. შანშიაშვილის შემოქმედების ხასიათისა და ბუნების გარკვევისათვის.

ს. შანშიაშვილს გულწრფელად სძულდა მეფე-მტარვალი, მას ღრმად სწამდა, რომ „შვილებსაც ტანჯვას გადავცემთ, ვიდრე საერთო მტარვალს არ დავცემთ"... მაგრამ, მეფე-მტარვალის წინააღმდეგ ბრძოლაში იგი მაინც შორს იდგა მებრძოლი რევოლუციური იდეისაგან, იგი ვერ სცილდებოდა წვრილი ბურჟუზიის უსუსურ პროტესტს. პოეტი არასოდეს არ იყო ბოლომდე თანმიმდევრული, იგი ზოგჯერ პასიობასაც ქადაგებდა, იმ იმედით, რომ თავისთავად „რაც იყო კიდევ განმეორდება."

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან პოეტი თავისი პასიობით შემარიგებლობამდე დადგებოდა და არ-სებულისადმი შეგუებას ცდილობდა:

„თუ გსურს სიცოცხლე, იტანჯე კიდეც!
ძეძოუცურდი ცხოვრების ტალღებს“.

*
* *

ს. შანშიაშვილმა თითქმის მთელი ორი ათეული წლის მანძილზე თავისი შემოქმედებითი გზა გაიარა, როგორც ტიპიურმა ქართველმა სიმ-ბოლისტმა. ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის პოეზიის დამახასიათებელი იყო ინდივიდუალიზმი, ამსტრაქტულობა. მენშევიზმის ბატონობის ხანაში ეს ხაზი მან უფრო გააღრმავა და უკიდურეს ნაციონალურად ამ-ღერდა.

ს. შანშიაშვილი მსოფლმხედველობრივად ძალიან შორს იდგა პრო-ლეტარიატისაგან, იგი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ახ-დენს თავისი წარსულის სრულ გადაფასებას და ხდება საბჭოთა რევო-ლუციის მოწინავე იდეების მატარებელი.

საბჭოთა რევოლუციას საქართველოში ს. შანშიაშვილი პირველ ხა-ნებში ვერ შეხვდა კარგად, ის რამდენიმე წელს კვლავ ძველ გაიცდათა რკალში იყო მოქცეული.

ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის ლექსები ცივია და დაფარული სევ-დის გამომხატველი. იგი ძველებურად არ სწუხს, არ კვნესის, მაგრამ, უძილობის. „ჭინკა“ მოსვენებას არ აძლევს. იტანჯება, ყინვის ოფლში კანკალებს:

„უძილობის ბრელი ჭინკა
თავზე მაზის, ეიტანჯები;
სიბნელიდან მეძახიან
ავსული და ალქაჯები:
— გარედ გამო! გამო გარედ!
მაჯლაჯუნა ჩემს ლოგინში
დაჭყეტილი შემომიძვრა;
ყინვის ოფლში ავკანკალდი,
ჩემი ტახტი ნთლად შეინძრა —
ყელში მიჭერს.
მკოცნის მწარედ!
თან იძახის: — გამო გარედ!“

სანდრო შანშიაშვილი თავს არიდებს ბობოქარ ცხოვრებას, რომელ-საც სიცოცხლე შეაქვს საქართველოს მოდუნებულ სხეულში. მიდის იგი მყუდროების მოსაპოებლად სოფელში და ხელს ჰკიდებს მეურნეობას. ყოველივე ეს პოეტის იდეურ განწყობილებიდან გამომდინარეობდა და ახდენდა უშუალო გავლენას მის პოეზიაზე.

ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის ლექსები იდეურად „დაცლილი", ზერელე, აბსტრაქტული და საზოგადოებრივად პასიურია, ფორმის მხრივ ძველი ლექსების განმეორებაა.

ს. შანშიაშვილი თანდათან იღებს სწორ ორგანიზაციას და დგება საბჭოთა პლატფორმაზე. 1927 წელს დაწერილ ლექსში — „გავლილი შარა", სადაც პოეტი თითქოს თავისი წარსულის გადაფასებას ახდენს, აშკარად მცდარ შეხედულებას ანვითარებს. აქაც კი არ არის პოეტი განთავისუფლებული ანტიპროლეტარული თვალსაზრისისაგან. პოეტი ამ ლექსში ისე გვიხატავს საბჭოთა ხელისუფლების ლიტერატურულ პოლიტიკას, თითქოს იგი (საბჭოთა ხელისუფლება) თოხის მუშას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე პოეტს, მგოსანს, და სწუხს, რომ ათეული წლების მანძილზე პოეზიის ცეცხლზე სწვავდა საკუთარ გრძნობებს:

„არვის უთმობდი პოეტის პორფიტ,
მეფიდურობა მქონდა მე ორბის.
და რა რიგ ვნანობ... ამდენ ღელვაში
რად დავწვი გრძნობა? სულს რად ვქანცავდი?
რად ვაღამებდი დღეს ოცნებაში:
მეოსნებს ხომ ჰქონდათ ბედი ნაცადი?
მეც ხომ შემეძლო დამეკრა თოხი,
ან ვგდებულიყავ სადმე მეღორედ
(იტყოდნენ ჩემზე, ხალხს ეგ აცხოვრებს,
არ დამსახავდნენ მტრად ან მეკობრედ!)".

ეს იყო ს. შანშიაშვილის წვრილბურჟუაზიული განწყობილების ნაყოფი. ამ განწყობილებებისაგან განთავისუფლებისათვის პოეტს დიდხანს დასჭირდა ბრძოლა და იგი ახლა მოწინავე საბჭოთა მწერლების რიგებში დგას, უმღერს ახალ საქართველოს, სოციალიზმის გამარჯვებას, და უყვარს ჩვენი ქვეყნის მიღწევები:

„ვისაც სძულს და არ უნდა
საქართველოს ახალი —
ის ცოცხალი გვამია,
მკვდარი — დაუმარხავი!"

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში მსოფლმხედველობრივი გარდატეხის წერტილად 1927 — 28 წლები უნდა ჩაითვალოს. ამ წლებიდან იწყებს პოეტი საზოგადოებრივად აქტიურ, იდეურად გამართლებულ და ფორმალურად მაღალხარისხოვან — სადა ლექსების წერას. ასეთ ლექსთა რიცხვს ეკუთვნის „არსენა ჯორჯიაშვილი", „დედისერთა ლენინთან", „ქალს", „ეპოპეია 26 კომუნარზე", „სნაიპერი", „იოსებ სტალინს", „ახალ საქართველოში" და სხვ.

სანდრო შანშიაშვილის ლექსები სისადავის განსახიერებაა, ისინი მეტის მეტად ნათელია და დახვეწილი, თითქმის ვერც ერთ ლექსში ვერ შეხვდებით ბუნდოვან ადგილს და ზედმეტ სტრიქონს. ამასთან სანშიაშვილის პოეტური მეტყველების ქვაკუთხედს ფოლკლორი წარმოადგენს, იგი ხალხურ-კახური სასიმღერო მოტივებით ქმნის თავის ლექსებს. მაგრამ არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ ლექსის სისადავე გაუბრალოებამდე დაჰყავს პოეტს და იაფფასიანი რითმები ხელოვნურობის შთაბეჭდილებას სტოვებს (ასეთია, მაგ., „ღვინოში“ და სხვ.).

„გავლილი შარა“ აჯამებს ს. შანშიაშვილის ვრცელ შემოქმედებითი გზას.

• • •

ლავროსი კალანდაძე.

ჭეშმარიტება და მხატვრულობა*)

სიბრძნისა და სიმართლის ყველაზე ვრცელი და უშრეტი წიგნია გადაშლილი ჩვენს წინაშე — სოციალისტური ქვეყნის სინამდვილე.

ყველაზე მშვენიერი და ძლიერი გმირია ამ წიგნში — სოციალისტური ადამიანი.

ყველაზე მართალი და საღი ნება სუფევს აქ — ბედნიერი და საამური ცხოვრების განმტკიცების ნება.

დიდია ამ ახალი ქვეყნის ახალ ადამიანთა მხატვრული და ესთეტიკური მოთხოვნილებაც. ვერავითარი სიყალბე და ვერავითარი სქემები ვერ ასაზრდოებენ მათ.

გინდათ მისცეთ ნამდვილი მხატვრული საზრდო ამ ბრძოლასა და ამ შრომაში საბედნიეროდ გაღვიძებულ და განახლებულ სულს? — კეთილი ინებეთ, გაიგეთ და შეისწავლეთ, რა მოსწონს და რა უყვარს, რა ატკბობს და რა აღელვებს, რა აკაჟებს და აკრისტალებს სოციალისტურ ადამიანს, სტახანოველს, საბჭოთა გმირს, საბჭოთა მეცნიერს. აი, მშვენიერებისა და ესთეტიკურობის საუკეთესო საზომი, საუკეთესო კრიტერიუმი.

სოციალისტური რეალიზმი არის ის იარაღი, რომლის საშუალებითაც სინამდვილიდან შეიძლება ისეთი მხატვრული სახეების გამოკვეთა, რომლებიც აღძრავენ და აღზრდიან სოციალისტური ადამიანის გრძნობებსა და ვნებებს, ფიქრებსა და აზრებს.

გაუსწორდით სოციალისტური სამშობლოს მოწინავე ადამიანების მაღალ მხატვრულ მოთხოვნილებას, — ასეთია საბრძოლო ძახილი საბჭოთა მწერლის მიმართ.

სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა გემოვნების, ვნებისა და გრძნობების ინდივიდუალური მრავალფეროვნების საერთო ფონზე იბადება და მძლავრ ნაკადად გადმოსჩქეფს სოციალისტური ადამიანების ერთი მთა-

* კამათის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარი და ძირითადი, საერთო და საყოველთაო ნება — ნება სიმართლის და ჭეშმარიტებისა.

გამარჯვებული და განთავისუფლებული ადამიანი ყველაფერში ჭეშმარიტებას ეძებს. ჭეშმარიტება მისი იარაღია. შემცდარი აზრით, შემცდარი გეზით, ყალბი წარმოდგენით იგი ვერ დაიპყრობს ბუნების ძალებს, ვერ იფრენს ცაში, ვერ მისწვდება არქტიკას, ვერ გადაშლის მიწის წიაღს, ვერ უხელმძღვანელებს საზოგადოებრივ განვითარებას, ვერ შექმნის ბედნიერ და საამურ ცხოვრებას.

თუ საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე სხვადასხვა საზოგადოებრივ კლასებს ჰქონდათ რაიმე მოთხოვნილება და შესაძლებლობა მისწდომოდნენ ზოგიერთ ჭეშმარიტებას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების შესახებ, ამ მხრივ ყველაზე მეტი მოთხოვნილება და პოტენტიური შესაძლებლობა მუშათა კლასსა, სოციალისტური ქვეყნის მშრომელებს აქვთ. მუშათა კლასს არ ეშინია საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური ჭეშმარიტებისა. ჭეშმარიტება მის მხარეზეა.

რეალური სამყაროს მოვლენათა ღრმა არსის შეგნებისაკენ — ობიექტური ჭეშმარიტებისაკენ მიილტვის მუშათა კლასის შეგნება.

კლასს, რომელიც ეყრდნობა ყველა გარდასული კლასის გამოცდილებას და ისტორიულად, თავისი საზოგადოებრივი პრაკტიკით და საზოგადოებრივი შეგნებით მაღლა დგას წარსულის ყველა კლასებზე, რომლის სასიცოცხლო ინტერესები ეფარდება საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ სვლას, — აი, ასეთ კლასს ყველაზე მეტად შეუძლია მისწვდეს რეალური სამყაროს ობიექტურ ჭეშმარიტებას. დღეს ასეთი კლასი პროლეტარიატია, ასეთი ხალხი გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ხალხია, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად მიდის წინ.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მშენებლებში, როგორც ვთქვით, ყველაზე მეტია ცხოვრების დაფუძნების ნება. ცხოვრების გაჯანსაღება, ბედნიერი და საამური ცხოვრება, — აი რა სურთ სოციალისტური ქვეყნის ადამიანებს.

ამ ადამიანების მოწინავე საზოგადოებრივი ნება და აზრი უკუაგდებს, როგორც სიყალბეს და სიბინძურეს, ყოველივე იმას, რაც ხელს უშლის და აფერხებს ცხოვრების გაჯანსაღებას, საამური და ბედნიერი ცხოვრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის მოსპობას. ის, რაც სასარგებლო არ არის ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, მიუღებელია მუშათა კლასისათვის, სოციალისტური ქვეყნის ადამიანებისათვის. ამ ადამიანებისათვის ჭეშმარიტი, მშვენიერი, ამაღელვებელი და საამურია ის, რაც საამური ცხოვრების განმტკიცებასა და ზრდას ემსახურება. მუშათა კლასისა და სოციალისტური ქვეყნის ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანთა შემეცნების მიზანიც ეს არის. ხოლო „შემეცნება შეიძლება იყოს... სასარგებლო ადამიანის ეკონომიკაში, ცხოვრების დაცვაში, სახის [illegible] მხოლოდ მაშინ, თუ იგი ასახავს ადამიანისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ ჭეშმარიტებას.“ *)

ამრიგად, შემეცნება, რომელიც არ ასახავს ობიექტურ ჭეშმარიტებას, არ შეიძლება მუშათა კლასისათვის სასარგებლო იყოს და, მაშასადამე, არ შეიძლება საამური, მშვენიერი და სასიცოცხლო ძალთა ამმაღლებელი იყოს.

ჭეშმარიტების იარაღი ადამიანთა აზროვნებაა, მისი საზომი კი — ადამიანთა საზოგადოებრივი პრაქტიკა. ბუნება და საზოგადოებრივი ყოფა ადამიანს აძლევს აზროვნებას, აზროვნების უნარს. ადამიანთა აზროვნება კი ასახავს რეალურ ქვეყანას და ასახავს არა სარკისებრ მკვდრად, არამედ ცოცხალი გადამუშავებით, სოციალურ-კლასობრივი გაშუალებით. (опосредствованием) „ადამიანის აზროვნება არა მარტო ასახავს რეალურ ქვეყანას, არამედ კიდევაც ქმნის მას“ **).

და მართლაც, საზოგადოებრივი განვითარების ყოველი ახალი ფორმა, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევა, თვითმფრინავი, რადიო, ელექტრომავალი და სხვა არასდროს არ მოუსხავს ვაშლის ხეს, ესენი ბუნებასა და საზოგადოებაში უშუალოდ არასდროს არ ყოფილან მოცემული. ყოველივე ეს ადამიანის აზრმა, ადამიანის გენიამ შექმნა. აზრმა შექმნა, მაგრამ არა თავისი საკუთარი „სხეულიდან“, არამედ ისევ ბუნებიდან. აზრმა ბუნებაში აღმოაჩინა მათი მოძრაობის კანონები, მათი ნივთიერი შესაძლებლობა. და ამდენადვე ესენი ბუნებაში არსებობდნენ, როგორც რეალური შესაძლებლობანი. და რა უსაზღვროდ სავსეა ასეთი შესაძლებლობებით ბუნების უსაზღვრო და ბარაქიანი წიაღი! ადამიანის გენიის საქმეა დაუსრულებლად თხაროს და გახსნას სამყაროს ულეველი საიდუმლოებანი.

ადამიანთა საზოგადოებრივი შეგნება ასახავს და ქმნის რეალურ ქვეყანას. მაგრამ ამავე დროს თვით ადამიანთა შეგნება ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქციაა.

„შეგნება არასდროს არ შეიძლება იყოს სხვა, გარდა მხოლოდ ყოფის შეგნებისა, ხოლო ადამიანთა ყოფა ეს არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი. თუ მთელს იდეოლოგიაში ადამიანები და მათი ურთიერთობა

---

*) В. И. Ленин. Соч., т. XIII, გვ. 114 (ხაზი ჩვენია. — ლ. ج.).
**) Ленинский сборник, Москва, გვ. 239.

მოსჩანს თავდაყირა დაყენებული, როგორც რომელიმე კამერობა-კურცში, ესეც მათი ცხოვრების ისტორიული პროცესიდან გამომდინარეობს. მგავსად იმისა, როგორც საგნების პირუკმო გამოხატულება მათ ... გამომდინარეობს მათი ცხოვრების უშუალო ფიზიკური პროცესიდან". *)

ადამიანთა საზოგადოებრივ-კლასობრივი შეგნება სხვადასხვა იდეოლოგიურ ფორმაში გამოვლინდება.

მ ა რ ქ ს ი თავის ცნობილ შესავალში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის" ანსხვავებს სამყაროს მხატვრული შემეცნების წესს ფილოსოფიურ-მეცნიერული შემეცნების წესისაგან. მ ა რ ქ ს ი ს ამ დებულებას ზოგიერთები ხშირად ივიწყებენ და ფონს იოლად გადიან იმის თქმით, რომ შემეცნების საერთო კანონები სავალდებულოა საზოგადოებრივი იდეოლოგიის ყველა ფორმისთვისო. ეს მართალია, მაგრამ იგი ისეთი სიმართლეა, რომელიც ამა თუ იმ იდეოლოგიური ფორმის, კერძოდ მხატვრული შემეცნების გაგებისათვის სრულიად საკმაო არ არის და საკითხის დასმის გამოსავალ წერტილშივე გვაჩერებს.

მხატვრული შემეცნება, როგორც საზოგადოებრივი შეგნების ერთერთი იდეოლოგიური ფორმა, რეალური ისტორიული მოვლენაა. ყოველივე მოვლენას კი, რაკი იგი წარმოიშვა და არსებობს, აქვს თავისი არსებობისა და განვითარების ასე თუ ისე სხვათაგან განსხვავებული შინაგანი კანონები.

დღეს ჩვენში თითქმის ყველას მირ აღიარებულია ის ჭეშმარიტება, რომ მხატვრული აზროვნება არის აზროვნება მხატვრული სახეებით ანუ აზროვნება მხატვრულ სახეებში.

მაგრამ ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნის ნაშრომში არის ტენდენცია, რომ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი ს ა ხ ე წარმოადგინოს შინაარსის გ უ ლ გ რ ი ლ ფ ო რ მ ა დ. თითქოს მხატვრული სახე ამა თუ იმ კლასობრივი იდეის (შინაარსის) უბრალო ფარჩისა ან ჩითის მოსასხამი იყოს და თითქოს იდეისათვის სულ ერთი იყოს — რომელი სამოსით მოირთვება იგი.

მართალია, მეცნიერების, ფილოსოფიის, პოლიტიკის, ხელოვნებისა და სხვა იდეოლოგიური ფორმების შინაარსი ერთი და იგივეა იმ გაგებით, რომ ყველა ისინი ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფის რეალური პროცესების გამოხატულება, ადამიანთა საზოგადოებრივი შეგნების ფორმებია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალცალკე ამ იდეოლოგიურ ფორმებში განხორციელებულ კონკრეტიულ იდეათა შორის ს რ უ ლ ი იგივეობის გავლება შეიძლება. მაგალითად, ერთსა და იმავე საზოგადოებრივ პოლიტიკურ იდეაზე შეიძლება დაიწეროს მეცნიერული, პუბლიცისტური და მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ იდეა, რომელიც მხატვრულად განხორ-

*) М а р к с и Э н г е л ь с. Архив, кн. I, გვ. 216.

ციელდება, იქნება არა მარტო პოლიტიკური იდეა, არამედ პოლიტიკური მხატვრული იდეაც, რადგან მხატვრული სახე, რომელშიც [illegible] ეს იდეა, არის ამ იდეის არა გულგრილი ფორმა, არამედ [illegible] ცალებელი შინაგანი სტრუქტურა და ამდენად ეს ფორმა შინაარსიც არის.

მხატვრული სახე არის შემეცნებითი კატეგორია ანუ სინამდვილის შემეცნების იარაღი. ყოველ მხატვრულ სახეში მოცემულია წინააღმდეგობათა ერთიანობა, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა. მხატვრული სახე არის თავისი შინაარსის ფორმა და თ ა ვ ი ს ი შინაარსი მის გარეშე არ არსებობს. ლუარსაბ თათქარიძე „კაცია-ადამიანიდან" არის არა მარტო მწერლის იდეური მიმართების ორგანიზაცია, არამედ იმავე დროს მწერლის თვით იდეური მიმართებაც. ამ მხრივ სავსებით სამართლიანია ლ ე ვ ტ ო ლ ს ტ ო ი ს დაახლოებით შემდეგი განცხადება: თუ გინდათ გითხრათ, რა მინდოდა მეთქვა ჩემი მხატვრული ნაწარმოებით, მე ისევ თავიდან ბოლომდე უნდა წაგიკითხოთ იგიო. ამით ტოლსტოი ამბობს, რომ მისი მხატვრული სახეები განუყოფელია მის იდეებთან, რომ თვით მხატვრული სახეები მისი იდეებია.

ყოველი მხატვრული სახე რეალური ქვეყნის, საზოგადოებრივი ყოფის რეალური პროცესის შემეცნებაა და, როგორც ასეთს, მას უეჭველად შეესაბამება მხატვრული სინამდვილე ანუ მხატვრობა სინამდვილეში. მხატვრულ აზროვნებას, ისე, როგორც საერთოდ აზროვნებას, არ შეუძლია ასახოს სხვა რამ, გარდა რეალური პროცესისა; სხვა ობიექტი მას არა აქვ. სულ სხვა საკითხია სწორად ასახავს თუ არა.

მხატვრული აზროვნებაც არა მარტო ასახავს, — მას კიდევაც გამოაქვს განაჩენი მოვლენების შესახებ, კიდევაც ქმნის რეალურ ქვეყანას, მაგრამ არა საკუთარი „სხეულიდან", არამედ ისევ რეალობიდან.

მხატვრულ სახეს, არის ის სინამდვილის სწორი ასახვა თუ სინამდვილე მასში თავდაყირაა დაყენებული, მაინც შეეფარდება რეალური პროცესი. ადამიანთა მთელი აზროვნება დიალექტიკური პროცესია, ხოლო აზრის დიალექტიკა ნივთთა დიალექტიკის გამოკრთომაა, „ნივთთა დიალექტიკა ქმნის იდეათა დიალექტიკას". *)

ამრიგად, მხატვრული, მშვენიერი, დიდებული, ტრაგიკული თუ კომიკური არსებობდნენ როგორც რეალური პროცესები, როგორც რეალური შესაძლებლობანი, და მხატვრული აზროვნება ასახავს მათ როგორც რეალურ პროცესს. ყოველი მხატვრული სახე იმდენად არის ჭეშმარიტი მხატვრული სახე, რამდენადაც იგი უახლოვდება შესაბამის რეალურ პროცესებს.

ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, თავის შესანიშნავ დისერტაციაში „Эстетическия отношения искуства к действительности" სამართლიანად ამტკი-

*) Ленинский сборник, IX, გვ. 211.

ცებს, რომ მშვენიერება სინამდვილეში უფრო მდიდარი და ამოუწურავია, ვიდრე მშვენიერება ხელოვნებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა ამისა, ჩერნიშევსკი სავსებით სწორ აზრს ანვითარებს, როცა ამტკიცებს, რომ მხატვრულობა, ესთეტიკურობა მშვენიერების ცნებით არ იფარება, რომ მშვენიერების ცნება ესთეტიკურის ეოთი ელემენტთაგანია, რომ ყოველი მხატვრული არ არის მშვენიერი. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჩერნიშევსკი სამართლიანად ანსხვავებს „მშვენიერი სახის დახატვას“ და „სახის მშვენიერად დახატვას“.

ჩერნიშევსკი, გამოდის რა იმ დებულებიდან, რომ მშვენიერება არის თვით ცხოვრება, რომ მშვენიერება სინამდვილეში მაღლა სდგას მშვენიერებაზე ხელოვნებაში, ისე როგორც ორიგინალი მაღლა სდგას სურათზე, რომ ესთეტიკურია ის, რაც იწვევს ადამიანის სასიცოცხლო ძალთა გაღვიძებას, — ანვითარებს საღ უტილიტარულ შეხედულებას ხელოვნებასა და პოეზიაზე.

ჩერნიშევსკის ესთეტიკური მოძღვრების მეთოდოლოგიურ საფუძველს ფეირბახიანული მატერიალიზმი წარმოადგენს. ამიტომ, ცხადია, მასში ასე თუ ისე თავს იჩენს ფეირბახიანიზმის სუსტი მხარეებიც, განსაკუთრებით ფეირბახიანული აბსტრაქტული ადამიანის, როგორც ნივთიერ-ფიზიკური ერთეულის, თვალსაზრისის გამოვლენის მხრივ. მაგრამ მემკვიდრეობის კრიტიკული ათვისების აზრიც იმაში მდგომარეობს, რომ ამ სუსტი მხარეებიდან გამოვყოთ საღი და ჭეშმარიტი. უეჭველად სწორი შეხედულებაა ჩერნიშევსკის უტილიტარული შეხედულება, ამ აბსტრაქტული ადამიანის თვალსაზრისის გამოკლებით. სწორია ის, რომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი ეპოქისათვის, ამა თუ იმ კლასისათვის ესთეტიკური და მხატვრულია ის, რაც იწვევს კლასისა და კლასობრივი ადამიანის სასიცოცხლო ძალების, გრძნობების, ვნებების გაღვიძებას, სასიცოცხლო ძალების გამახვილებასა და შემოკრებას.

მხატვრული აზროვნების განვითარებას შეეფარდება ობიექტური სინამდვილის შესაბამისი განვითარება. ყოველ მხატვრულ სახეს, როგორც მხატვრული აზროვნების პროდუქტს, შეეფარდება განსაზღვრული რეალური პროცესი. მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, ყოველი მხატვრული სახე არ შეიძლება სხვა რამ იყოს, გარდა რეალური პროცესის შემეცნებისა, რეალური სამყაროს გამოხატულებისა. სხვა საკითხია, როგორი შემეცნებაა, როგორი გამოხატულებაა. რეალური სამყარო მხატვრული აზროვნების ობიექტია, მისი საგანია. იგი მიილტვის მისწვდეს თავის საგანს, გამოხატოს ობიექტის ნამდვილი არსი, შექმნას ნათელი წარმოდგენა საგანზე, მოგვეცეს საგნის ჭეშმარიტი მხატვრული იდეა. მხატვრული სახის ესთეთიკური ღირსებაც ობიექტური ჭეშმარიტების, ობიექტური მხატვრულობის მიწვდომის ხარისხით განისაზღვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსებით სწორია პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი, როცა სწერს, რომ „როცა ყალბი იდეა საფუძვლად ედება მხატვრულ ნაწარმოებს, მას შეაქვს ამ ნაწარმოებში ისეთი შინაგანი წინააღმდეგობანი, რომლებისაგანაც ... იბღალება მისი ესთეტიკური ღირსება.“ *)

მაგრამ ამხ. ა ლ. ჩ ა ვ ლ ე ი შ ვ ი ლ ი პლეხანოვის ამ დებულებას უმართებულოდ სთვლის და აცხადებს, რომ „იგი არ მართლდება ლიტერატურული ისტორიით“-ო **). ჩავლეიშვილი უმართებულოდ სთვლის პლეხანოვის ამ დებულებას, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ადგილას მასვე მოჰყავს, როგორც სწორი დებულება, ლ ე ნ ი ნ ი ს ანალოგიური შეხედულება: „როცა ავტორი თავის მოთხრობაში თავისთვის უცნობ თემას უძღვნის, გამოდის არა მხატვრული ნაწარმოები. მის შესახებ რომ ნიჭიერად დასწერო, საჭიროა მისი ცოდნა“ (ლენინი). ცხადია ლენინს აქ მხედველობაში აქვს არა ყალბი და შემცდარი, არამედ ნამდვილი, ჭეშმარიტი ცოდნა. ხოლო ცოდნა იდეის თუ იდეების გარეშე არ არსებობს. ყალბი იდეა კი სინამდვილის დამახინჯებაა და თავის თავად ობიექტის არცოდნას ნიშნავს. ბურჟუაზიას სურს, რომ კაპიტალიზმი მარადიული იყოს. ეს მისი ყალბი იდეაა. და ეს იდეა თავისთავად, არსებითად ხომ ისტორიული განვითარების აუცილებელი კანონების არცოდნას ნიშნავს. რასაკვირველია შეიძლება რომელიმე ბურჟუაზიულ იდეოლოგს ესმოდეს, რომ ისტორიულად აუცილებელია კაპიტალიზმის დაღუპვა, მაგრამ კაპიტალიზმის მარადიულობის ყალბ იდეას იგი მაინც ქადაგებდეს. და ეს ყალბი იდეა თავისთავად მაინც ისტორიული აუცილებლობის ანუ რეალური პროცესის არცოდნა იქნება.

ამრიგად, ლ ე ნ ი ნ ი ს დებულებითაც, როცა მწერალი სწერს ისეთ მოვლენაზე, რომლის ნამდვილი არსის ცოდნა მას არა აქვს, გამოდის არამხატვრული ნაწარმოები, ანუ როცა ცნობიერება და ობიექტი ერთმანეთს არ ემთხვევა, როცა იდეა ყალბია, არ შეიძლება ნაწარმოები ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები იყოს.

ამხ ალ. ჩავლეიშვილი ცდილობს ყველა თავის ნააზრევს მარქსისტულ-ლენინური მარკა მიაკრას. იგი სწერს:

„მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობა კი მხატვრული ლიტერატურული სახისა და იდეიის ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი განხილვის დროს ხაზს უსვამს ორ გარემოებას: 1) როგორიც არის მწერლის მსოფლმხედველობა, ისეთივეა მისი შემოქმედების სახეთა სისტემა და წერის მანერა; მათ შორის გათიშვა და ანტაგონიზმი შეუძლებელია; 2)იდეის ნაირობა არ განსაზღვრავს მხატვრულობას, ე. ი. როგორც ყალბი (ა რეაქციონური, ისე ჭეშმარიტი იდეა შეიძლება მოცემულ იქნას მხატვ-

*) Г. В. Плеханов. Соч., т. XIV, გვ. 150—151.

**) „მნათობი“, № 7—8, 1935 წ. „ლიტერატურული სახის პრობლემები“, გვ. 323.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულად, მხოლოდ იმ წინაპირობით, თუ იგი გულწრფელად სწამს მწერალს *).

უპირველეს ყოვლისა, გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურათმცოდნეობას არსად და არასდროს ასეთი წინააღმდეგობებით აღსავსე დებულებები თავის არა თუ ხაზგასმულ, არამედ ხაზგაუსმელ გარემოებებადაც კი არ გამოუცხადებია.

ჩავლეიშვილის პირველი გარემოების თანახმად, „როგორიც არის მწერლის მსოფლმხედველობა, ისეთივეა მისი შემოქმედების სახეთა სისტემა და წერის მანერა“ ანუ, სხვა სიტყვებით, როგორც არის მწერლის იდეათა სისტემა (მსოფლმხედველობა), ისეთივეა მისი შემოქმედების სახეთა სისტემა. ლოგიკურად კი ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მწერლის იდეები ყალბია, ნაშინ მისი შემოქმედების სახეთა სისტემაც ყალბი და არა მხატვრული იქნება. თავისთავად ჩავლეიშვილის ამ პირველი გარემოების ნამდვილი აზრი ვულგარული და არასწორია. ამაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ. მაგრამ თვით ჩავლეიშვილის კონცეპციაში ეს პირველი გარემოება ხომ არსებითად ეწინააღმდეგება მისივე მეორე საქვაკუთხედო გარემოებას, რომ ყალბ და რეაქციურ იდეაზე შეიძლება აიგოს მაღალ-მხატვრული ნაწარმოები.

ჩავლეიშვილის პირველი გარემოება, ამრიგად, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება მის მეორე გარემოებას. თუ პირველი გარემოებით გვაუწყა, რომ როგორიცაა იდეათა სისტემა, ისეთივეა შემოქმედების სახეთა სისტემა, რომ მათ შორის არავითარი გათიშვა არ შეიძლება არსებობდეს, მეორე გარემოებით გვიმხელს, რომ იდეის ნაირობა არ განსაზღვრავს მხატვრულობას. რომ ყალბი და რეაქციური იდეა შეიძლება მოცემულ იქნას ბხატვრულად, ე. ი. იდეათა სისტემასა და მხატვრულ სახეთა სისტემას შორის შეიძლება არსებობდეს სრული გათიშვა და გულგრილობა ურთიერთისადმი ანუ მხატვრულობისათვის სულ ერთია, იდეა ყალბი და რეაქციონური იქნება თუ ჭეშმარიტი.

ეხლა საკითხის არსებით მხარეზე. ალ. ჩავლეიშვილის პირველი დებულებით, მწერლის მსოფლმხედველობასა და მის შემოქმედების სახეთა სისტემას შორის არავითარი გათიშვა არ შეიძლება არსებობდეს, რომ „როგორიც არის მწერლის მხატვრულობა, ისეთივეა მისი შემოქმედების სახეთა სისტემა და წერის მანერა“.

სადაო არ არის, რომ შემუშავებული და დადგენილი მსოფლმხედველობა შემოქმედების მთავარი მაცოცხლებელი ნაკადი უნდა იყოს. ამიტომაც არის, რომ დღეს ჩვენი პარტია ჩვენი საბჭოთა მწერლობის აუცილებელ იარაღად სთვლის მეცნიერულ-რევოლუციურ მსოფლმხედველო-

*) „მნათობი“, № 7—8, 1935, წ. გვ. 322.

ბის დაუფლებას, რომ მხოლოდ ასეთი მსოფლმხედველობით შეუძლია ჩვენს ნამდვილ მხატვარს მართლად და მხატვრულად ასახოს ეპოქა. მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას, ე. ი. ყველაზე ჭეშმარიტ-მეცნიერულ-რევოლუციურ და მთლიან მსოფლმხედველობას, თუ ის მართლაც ღრმად აქვს შესისხლხორცებული მწერალს, შეუძლია აღმოფხვრას მხატვრის შემოქმედებაში სტიქიურობა, აღმოფხვრას გათიშვა იდეათა სისტემასა და შემოქმედების სახეთა სისტემას შორის და მით მწერლის ნამდვილი ღვაწლი დააგვირგვინოს მთლიანი და მაღალ-მხატვრული ნაწარმოებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლიტერატურის განვითარება იმ თავითვე ამ გზით მიიმართებოდა, რომ ყველა მწერლის მსოფლმხედველობასა და მისი შემოქმედების სახეთა სისტემაში მუდმივი თანხმობა და ჰარმონია სუფევდა. პირიქით, ლიტერატურის ისტორია მოწმობს, რომ მწერლების, თუგინდ დიდი მწერლების, ღარიბი და ყალბი მსოფლმხედველობა ხშირად იწვევდა მათ შემოქმედებაში ერთგვარ წინააღმდეგობას, სტიქიურობას და, თუ გნებავთ, მათი მსოფლმხედველობისა და შემოქმედების სახეთა სისტემის ერთგვარ გათიშვას. ბ ა ლ ზ ა კ ი, როგორც მხატვარი, უდიდესი რეალისტი იყო. ამაშია მის ნაწარმოებთა მხატვრული ღირსება. მაგრამ მსოფლმხედველობით ბალზაკი ლეგიტიმისტი იყო. არა თავის ლეგიტიმიზმით შესძლო ბალზაკმა დაესახა მომავლის ადამიანები იქ, სადაც ისინი ნამდვილად იყვნენ, და არა იქ, საითკენაც მისი პირადი სიმპატიები ეწეოდნენ, არამედ თავისი რეალიზმით. ბალზაკი რომ ყველგან და ყველაფერში თავის ლეგიტიზმს გაჰყოლოდა, ის თავის რეალიზმამდე ვერასოდეს ვერ მივიდოდა. გოგოლის შემოქმედებისა და მისი მსოფლმხედველობის ურთიერთობაც დაახლოებით ასეთსავე მოვლენას წარმოადგენს. დაახლოებით ასეთივე მოვლენებს აქვს ადგილი ტ ო ლ ს ტ ო ი ს, გ ო ე ტ ე ს, ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს და სხვათა შემოქმედებაში. უფრო მეტიც: ბურჟუაზიული და გარდასული კლასების ყველა დიდი მწერლის შემოქმედებაში, მეტად თუ ნაკლებად, ასეთი წინააღმდეგობა, ასეთი გათიშვა უეჭველად გამოსჭვივის. ამ მოვლენის ახსნა, ერთის მხრივ, უნდა ვეძიოთ ამ მწერლების კლასობრივი შეგნების შეზღუდულობაში (შეზღუდული მსოფლმხედველობა), ხოლო მეორეს მხრივ — მათ ინდივიდუალობაში. ლ ე ნ ი ნ ი თავის გენიალურ ფილოსოფიურ ნაშრომში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ არა ერთხელ აღნიშნავს, რომ მრავალი ბუნებისმეტყველი, მიუხედავად თავისი რეაქციურ-იდეალისტური მსოფლმხედველობისა, ხშირად სტიქიურად ანვითარებს მატერიალისტურ შეხედულებას ბუნებაზე. აღნიშნული მხატვრების შემოქმედებაშიაც ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ამ თვალსაზრისით, როგორც სჩანს, შესაძლებელია ერთგვარი გათიშვა, ერთგვარი წინააღმდეგობა მწერლის მსოფლმხედველობასა და მისი შემოქმედების სახეთა სისტემას შორის.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ თუ კი რომელიმე რეაქციური მსოფლმხედველობის მწერალი იძლევა რეალისტურ და ჭეშმარიტ მხატვრულ სახეებს, ეს არავითარ შემთხვევაში იმას არ ნიშნავს, თითქოს ლენინური შეხედულებები განხორციელდა რეალისტურად და ჭეშმარიტ მხატვრულ სახეებად, ისე, როგორც იდეალისტური მსოფლმხედველობის ბუნებისმეტყველის სტიქიური მატერიალისტური შეხედულება ბუნებაზე არ ნიშნავს იმას, თითქოს იდეალისტური მსოფლმხედველობა განხორციელდა მატერიალისტურ შეხედულებად.

ალ. ჩავლეიშვილის მეორე დებულების მიხედვით, „როგორც ყალბი და რეაქციური, ისე ჭეშმარიტი იდეა შეიძლება მოცემულ იქნას მხატვრულად, მხოლოდ იმ წინაპირობით, თუ იგი გულწრფელად სწამს მწერალს". სანამ ამ დებულების არსებით უსაფუძვლობას განვიხილავდეთ, საჭიროა ამ დებულების შესაძლებელი ორაზროვნება ჩავლეიშვილის ნაშდვილ აზრამდე მივიყვანოთ. ავტორი ამ დებულებით იმას კი არ ამტკიცებს, რომ ყალბი და რეაქციური იდეა, როგორც ობიექტი, როგორც საგანი მხატვრული შემოქმედებისა, შეიძლება მოცემულ იქნას მხატვრულად... ამაში,ვფიქრობთ, არც არავინ შეედავებოდა, რადგან მხატვარს, რასაკვირველია, შეუძლია მოგვცეს მართალი, დამაჯერებელი და ჭეშმარიტი მხატვრული სახე რეაქციონერისა — მთელი მისი რეაქციური იდეებით. უფრო მეტიც: მწერალს შეუძლია მოგვცეს თავისივე რეაქციური შეხედულებებისა და ფიქრების მართალი და ჭეშმარიტი სურათი, ე. ი. მოგვცეს რეაქციური და ყალბი იდეა. არა! ჩავლეიშვილი ამტკიცებს სხვა რამეს, სახელდობრ იმას, რომ ყალბი და რეაქციური იდეა „შესაძლებელია საფუძვლად დაედოს მხატვრულ შემოქმედებას და განხორციელდეს, როგორც ესთეტიკური ფენომენი". ამრიგად, ჩავლეიშვილის აზრი მდგომარეობს არა იმაში, რომ სიმახინჯე და სიყალბე, ყალბი და რეაქციონური იდეა შეიძლება მოცემულ იქნას მხატვრულად, არამედ იმაში, რომ თვით ყალბი და რეაქციური იდეა შეიძლება იქცეს მხატვრულ ფაქტად ანუ განხორციელდეს ესთეტიკურ ფენომენად.

მწერლის იდეა თუ იდეები, როგორც ვიცით, შეადგენენ ნაწარმოების შინაარსს, მხატვრული სახეები კი — მის ფორმას. ჩავლეიშვილის კონცეპციით, მხატვრობა ანუ მხატვრული ფორმა ამ შინაარსის შინაგანი მოთხოვნილება, შინაგანი სტრუქტურა კი არ არის, არამედ რაღაც გარეშე გულგრილი მოვლენაა, ე. ი. რა ნაირიც არ უნდა იყოს შინაარსი ანუ იდეა, გინდ ყალბი და რეაქციური, გინდ ჭეშმარიტი, — ეს მხატვრულობას, მხატვრულ ფორმას არ ეხება. ამრიგად, გამოდის, რომ მხატვრულობისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა იდეას იძლევა, თუ რ ა ს ამბობს მწერალი, არამედ იმას, თუ რ ო გ ო რ ამბობს. ხოლო იმისთვის, თუ რ ო გ ო რ ამბობს, მთავარია გულწრფელობა. გულწრფელობა რომ კარგი თვისებაა და რომ იგი საჭიროა არა მარტო

მხატვრულ, არამედ ადამიანის ყოველგვარ შემოქმედებაში, ამას არც ერთი ჭკუათამყოფელი სადაოდ არ მიიჩნევს. მაგრამ რეაქციონერობა და სიყალბე, რანაირი გულწრფელობითაც არ უნდა იყოს შესრულებული „ესთეტიკურ ფენომენად“ რომ ვერ იქცევა, ეს ყოველმა მარქსისტ-ლენინელმა უნდა იცოდეს, თუნდაც იმ უბრალო მოტივითაც, რომ რეაქციური იდეა რევოლუციისა და რევოლუციონერისათვის სარგებლიანობის მიკროსკოპიულ ნაწილაკსაც კი არ შეიცავს.

შემოქმედების ხარისხის გულწრფელობით განსაზღვრის დებულება ამხ. ჩავლეიშვილს ამხ. ნუსინოვისაგან აქვს ნასესხები.

ყალბი და რეაქციური იდეები, იმდენად, რამდენადაც ისინი ნამდვილად არსებობენ რეაქციონერების შეგნებაში, რეალური მოვლენებია. ყალბ და რეაქციურ იდეაზე როგორც რეალურ მოვლენაზე, შეიძლება დაიწეროს მაღალმხატვრული ნაწარმოები, ე. ი. შეიძლება მოცემულ იქნას ყალბი იდეის ჭეშმარიტი მხატვრული სახე. და ეს სახე იმდენად იქნება ჭეშმარიტი მხატვრული სახე, რამდენადაც ის იქნება ყალბი იდეის უარყოფა, რამდენადაც ის იქნება მხატვრული ჩვენება იმისა, რომ ეს ყალბი იდეა ნამდვილად ყალბია, რომ მისი რეალობა მის სიყალბეშია. მაგრამ მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით, რევოლუციური პროლეტარიატის მოთხოვნილებების, გრძნობების, ვნებების, მისწრაფებებისა და განცდების თვალსაზრისით, ყალბი და რეაქციური იდეა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება „განხორციელდეს როგორც ესთეტიკური ფენომენი“.

რეაქციური და ყალბი იდეა, ისევე, როგორც თვით რეაქციური და ყალბი სოციალური მოვლენა, მუშათა კლასისა და საერთოდ მშრომელების სასიცოცხლო ძალებისა და ინტერესების ჩახშობისაკენ არის მიმართული. ამიტომ ის არ შეიძლება პროლეტარიატის მხატვრულ ფაქტად, ესთეტიკურ ფენომენად იქცეს. მხატვრულისა და ესთეტიკურის განსაზღვრა კლასის სასიცოცხლო ძალებისა და ინტერესების გაღვიძების თვალსაზრისით ნიშნავს არა ვულგარულ-მატერიალისტურ, არამედ სულ მარქსისტულ-ლენინურ უტილიტარიზმს.

ცხადია, რეაქციურ კლასებს, რეაქციურ სოციალურ ჯგუფებსა და ცალკეულ რეაქციონერებს ნაწარმოები თავის რეაქციური და ყალბი იდეებით მხატვრულ ფაქტად, ესთეტიკურ ფენომენად წარმოუდგებათ. ეს მათი კლასობრივი ინტერესების, კლასობრივი სარგებლიანობის თვალსაზრისით იქნება განსაზღვრული, ვინაიდან რეაქციური იდეები მხოლოდ მათი ინტერესებიდან გამომდინარეობენ და ეს იდეები მათთვის სიყალბე და სიცრუე კი არა, ხალასი სიბრძნე და ჭეშმარიტება იქნება.

ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ იმაზე, რომ მხატვრულობა შემეცნების შედეგია, რომ მხატვრული სახე შემეცნებითი კატეგორიაა. მხატვრული შემეცნების ობიექტს, ისე, როგორც ყოველგვარი შემეცნების ობიექტს,

საზოგადოებრივი ყოფის რეალური პროცესები, რეალური ქვეყანა წარმოადგენს. ჩავლეიშვილის აზრით კი, მხატვრულობისათვის [illegible] იდეა ანუ ქვეყნის შემეცნება ყალბი იქნება თუ ჭეშმარიტი. [illegible] გამოდის, რომ მხატვრულობა თუ მხატვრული სახე არის არა ქვეყნის შემეცნება, არამედ ქვეყნის შემეცნების ანუ იდეის განურჩეველი (безразличная) ფორმა. და რაკი მხატვრული სახე ქვეყნის შემეცნების (იდეის) განურჩეველი ფორმაა, მას არც რაიმე შემეცნებითი ფუნქცია ჰქონია. ეს ფორმა თითქოს არა შემეცნებიდან, არამედ რაღაც სხვა წყაროდან ბოდის და ჩაჩივით ჩამოეცმება თავზე ყალბ ან ჭეშმარიტ იდეას. ასეთ დასკვნას, სხვა რომ არა იყოს რა, მარქსიზმ-ლენინიზმთან საერთო არაფერი აქვს.

მეორე მხრივ, თუ მხატვრულობისათვის სულ ერთია, რანაირი იქნება იდეა, მაშინ მას (მხატვრულობას) არც რაიმე სოციალურ-კლასობრივი ფუნქცია ჰქონია, იგი ზეკლასობრივი მოვლენა ყოფილა, რადგან, როგორც ვიცით, კლასობრიობა მხოლოდ იდეურ მიმართებაში იხატება.

მხატვრულობის ზეკლასობრივ მოვლენად აღიარების ტენდენცია მართლაც აქვს ჩავლეიშვილს. იგი სწერს: „შემოქმედების მხატვრულობისათვის ღირებულია არა ის, თუ როგორია იდეა პროლეტარიატის თვალსაზრისით, არამედ ის, თუ როგორია იგი მწერლისა და მისი კლასისათვის“. ამრიგად გამოდის, რომ იდეა შეიძლება პროლეტარიატისათვის მიუღებელი იყოს, მაგრამ ამ იდეის მხატვრულობა ანუ მხატვრული ფორმა მისაღები იქნება როგორც პროლეტარიატისათვის,ისე იმ კლასისათვის, რომლის იდეა პროლეტარიატისათვის მიუღებელია.

იდეები კლასობრივი, მხატვრულობა საყოველთაო ზეკლასობრივი — ასეთია ჩავლეიშვილის დებულებებიდან გამომდინარე დასკვნა.

ან კიდევ ჩავლეიშვილი სწერს: „მხატვრულობა არ არის აუცილებლად „სინამდვილის რეალისტური გამოხატვის ზომა“. და მართლა, რომ ყალბ იდეაზე არ შეიძლებოდეს მხატვრული ნაწარმოების დაწერა, მაშინ ხელოვნება დაჰკარგავდა თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას იმ კლასისათვის, რომელსაც წარმოების პროცესში თავის მდგომარეობის გამო არ შეუძლია ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიოს სინამდვილის შესახებ“. ამ ამონაწერის ერთი აზრი, რომელსაც ასე თავგამოდებით იცავს ავტორი, მდგომარეობს იმაში, რომ, თურმე ნუ იტყვით, ყალბ იდეაზე შეიძლება ნაწარმოების დაწერა, ხოლო მეორე აზრი — იმაში, რომ, რაკი ყალბ იდეაზე შეიძლება ნაწარმოების დაწერა, ის უეჭველად მხატვრული უნდა იყოს, თორემ ხელოვნება დაჰკარგავს კლასობრივ ფუნქციას. აი მაგალითი იმისა, თუ ნათელი აზრი როგორ გააბუნდოვანა ადამიანმა. არა მგონია, ავტორს შეედაოს ვინმე იმაში, რომ ყალბ იდეაზე შეიძლება ნაწარმოების დაწერა.

ყალბ იდეაზე შეიძლება ნაწარმოების დაწერა. ეს შესაძლებელია. მერე რა? ეს ნაწარმოები ხომ ყველასათვის მხატვრული და ესთეტიკური არ იქნება? ის ესთეტიკური და მხატვრული იქნება მხოლოდ ... და იმ ადამიანებისათვის, რომელთაც „არ შეუძლიათ ჭეშმარიტი წარმოდგენა იქონიონ სინამდვილის შესახებ“ (აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ კლასის გონების ასეთი აბსოლუტური შეზღუდვა არასოდეს არ ხდება).

ხელოვნების კლასობრივი ფუნქციონალური დანიშნულება მდგომარეობს არა იმაში, რომ მხატვრულობას აქვს რაღაც საერთო, საყოველთაო, ზეკლასობრივი ზომა, განსხვავებული „სინამდვილის რეალისტური გამოხატვის ზომისაგან“, არამედ სწორედ იმაში, რომ მხატვრულობის ზომა ისტორიულ-კლასობრივია, რომ სხვადასხვა კლასსა და სხვადასხვა ეპოქას მხატვრულობის სხვადასხვა ზომა აქვს. ჩავლეიშვილს კი ჰგონია, რომ კლასობრივია მხოლოდ იდეები, ხოლო მხატვრულობა საყოველთაო და საკლასთაშორისოა.

ჩავლეიშვილი არ სცხრება:

„ხშირად უაღრესად რეაქციური იდეა უდიდესი მხატვრულობით არის შესრულებული. მაგ., ტურგენევის „Отцы и дети“, მეჩვიდმეტე თავი, რომელშიაც მოთხრობილია ბაზაროვის სიკვდილი, მისი სოციალური უნარიანობა, როგორც ავტორის ყალბი წარმოდგენის მაჩვენებელი რაზნოჩინური ინტელიგენციის შესახებ, იკითხება უდიდესი განცდით“.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს მეტის-მეტად სუსტი საილუსტრაციო არგუმენტია ესოდენ „გაბედული“ დებულების დასამტკიცებლად.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ტურგენევის „Отцы и дети“ რეალისტური ნაწარმოებია, რომ მასში იმ დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი შეგნების ზოგიერთი მხარე სწორად არის ასახული. ტურგენევმა იცის ცხოვრება და იგი მრავალ ჭეშმარიტ მხატვრულ იდეას იძლევა მაშინდელი ცხოვრების შესახებ. ავიღოთ თვით ბაზაროვი. ტურგენევმა ამ სახეში უეჭველად მოგვცა რაზნოჩინური ინტელიგენციის ზოგიერთი მართალი რეალური ხაზი, მაგრამ ამავე სახეში მოცემულია პაროდია რევოლუციურ ნაროდნიკებზე, მოცემულია ყალბი წარმოდგენები. აქ სიყალბე და ჭეშმარიტება ერთმანეთშია გათქვეფილი. და შეიძლება ვინმესთვის სწორედ იმ გარემოებამ, რომ მხატვრული ნაწარმოები თუ მხატვრული სახე შეიცავს არა ერთ იდეას, თუ გინდ მთავარსა და ძირითადს, არამედ იდეათა და წარმოდგენათა მთელ სისტემას, შექმნას ილუზია, რომ ჭეშმარიტ იდეათა შორის თითქო ყალბი იდეაც არის განხორციელებული, როგორც „ესთეტიკური ფენომენი“.

თუ თქვენ ნამდვილი პროლეტარულ-სოციალისტური შეგნების ადამიანი ხართ და გრძნობთ, რომ ნაწარმოების იდეა ყალბი და რეაქციურია,

როგორ შეგიძლიათ ეს რეაქციურობა და სიყალბე „ესთეტიკურ ფენომენად“ განხორციელებული მიიჩნიოთ, რანაირი გულწრფელობითაც არ იყოს ის გამომჟღავნებული?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავლეი'შვილი დაჟინებით ცდილობს მხატვრულობას, მხატვრულ სახეს ყაართვას შემეცნებითი ფუნქცია: ის ხშირად იმეორებს, რომ ესა და ესაო. „...არის მისი შემეცნებითი ღირსების ხარისხი და არა მხატვრულობის მაჩვენებელი“-ო. თითქოს მხატვრულობა არ იყოს შემეცნების პროდუქტი.

არ შეიძლება ფორმისა და შინაარსის გაიგივება, მაგრამ არ შეიძლება მათი გათიშვაც. „შეგნება და მდგომარეობა, იდეა და მატერია — ეს ორი სხვადასხვანაირი ფორმაა ერთი და იმავე მოვლენისა, რომელსაც, საერთოდ რომ ვსთქვათ, ბუნება ეწოდება, მაშასადამე, ისინი არც უარყოფენ ერთმანეთს და არც ერთსა და იმავე მოვლენას წარმოადგენენ“ (ს ტ ა ლ ი ნ ი) *).

ვიმეორებთ, რომ ეს ფორმა არის ა ს ე თ ი, და არა სხვანაირი, იმიტომ, რომ ის ა მ ანუ ა ს ე თ ი და არა სხვა შინაარსისაა, და — პირიქით. აბა სცადეთ, როგორც მხატვრული სახე, როგორც ფორმა დაკოჭლეთ ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „მერანი“, — თუ არ დაკოჭლდეს თვით შინაარსი, თვით „მერნის“ იდეა. სცადეთ, გახადეთ ტ ა რ ე ლ ს ვეფხის ტყავი და ჩააცვით ანაფორა, თუ არ შეიცვალოს ამ სახის შემეცნებითი (იდეური) შინაარსიც. ო ნ ე გ ი ნ ს წაართვით თუნდაც ისეთი თვისება, როგორიცაა ფრანგული ენის ცოდნა, და უეჭველად მიიღებთ ასე თუ ისე უკვე შეცვლილ იდეურ შინაარსს.

მხატვრული ნაწარმოების სისადავე და ხალხურობა, რასაც ჩვენ ჩვენი მწერლებისაგან მოვითხოვთ, არსებითად ხომ ფორმის საკითხია, მაგრამ იმავე დროს ის იდეური ანუ შინაარსის საკითხიცაა.

უბრალოება და ხალხურობა სოციალისტური ქვეყნის მშრომელთა მოთხოვნილებაა და ის მათი იდეური და ესთეტიკური კოდექსის შემადგენელი ელემენტია. წარმოვიდგინოთ ორი ერთგვარ ძირითად რევოლუციურ იდეაზე აგებული მხატვრული ნაწარმოები, იმ განსხვავებით, რომ ერთი სადად და ხალხურად არის შესრულებული, მეორე კი „მაღალი შტილით“. ამ ორი ნაწარმოების ერთგვაროობა ნამდვილად არ იქნება ერთგვაროობა, რადგან უბრალოება და „მაღალი შტილი“ არა მარტო წმინდა ფორმებია, არამედ გარკვეული იდეური მიმართებებიც.

ჩავლეი'შვილი ხან ყურს გვიჭედავს იმის მტკიცებით, რომ რეაქციური და ყალბი იდეა „შეიძლება განხორციელდეს როგორც ესთეტიკური ფენომენი“, ხან კი სულ სხვა რამეს ჩაურთავს. აი რასა სწერს იგი:

---

*) ციტატი მოგვყავს ამხ. ლ. ბ ე რ ი ა ს წიგნიდან: „ა/კ ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1935 წ., გვ. 103.

„ახლის თქმა კი მოვლენის არსის გახსნის გარეშე შეუძლებელია, სწორედ ეს არის ხელოვნების შინაარსი: სინამდვილის ცოდნის გარეშე შემოქმედება შეუძლებელია. ცოდნა არსის ცოდნაა და იგი განსაზღვრავს არა მარტო სახის შემეცნებითს ღირებულებას, არამედ მის მხატვრულობასაც". *).

კარგი და პატიოსანი. თუ არსის ცოდნა განსაზღვრავს მხატვრულობასაც, ყალბი და რეაქციური იდეა ხომ არსის ცოდნა არ არის, მაშინ როგორღა ხორციელდება რეაქციური იდეა „ესთეტიკურ ფენომენად"? თურმე ნუ ტიტყვი:

„ერთია, როდესაც მწერალი ისეთ რამეზე სწერს, რაც არ იცის, მეორეა, როდესაც იცის, მაგრამ თავისი კლასობრივი განსაზღვრულობის გამო, შეგნებულად ამახინჯებს მას, არ გვაწვდის მას, არ გვაწვდის ისე, როგორც ცოდნის საგანი ნამდვილად არსებობს. ეს უკანასკნელი სინამდვილის ფალსიფიკაციაა და, როგორც ვნახეთ, ყალბი იდეის სახით გვევლინება". **).

მართალია, სინამდვილის შეგნებული დამახინჯება ყალბი იდეაა, მაგრამ შეუგნებელი დამახინჯებაც ხომ ყალბი იდეაა. შემეცნების ისტორიულ-კლასობრივი განსაზღვრულობა გულისხმობს, რომ არა მარტო ის არის ყალბი იდეა, ყალბი წარმოდგენა სინამდვილეზე, როცა კლასობრივი ადამიანი განზრახ, შეგნებულად ამახინჯებს სინამდვილეს, არამედ ისიც ყალბია, როცა სინამდვილე შეუგნებლად და სტიქიურად არის დამახინჯებული. ჩავლეიშვილის აზრთა დინება კი შემდეგნარია: თუ მწერალი შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ამახინჯებს სინამდვილეს, მაშინ იბადება ყალბი იდეა, ხოლო ყალბი იდეა „შეიძლება განხორციელდეს, როგორც ესთეტიკური ფენომენი" ანუ „როგორც ყალბი და რეაქციური, ისე ჭეშმარიტი იდეა შეიძლება მოცემულ იქნას მხატვრულად, მხოლოდ იმ წინაპირობით, თ უ ი გ ი გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ ს წ ა მ ს მ წ ე რ ა ლ ს, (ხაზი ჩვენია. — ლ. კ.). მაგრამ რატომ არ ინება ჩავლეიშვილმა, ესოდენ მაღალფარდოვან სიძნელეთა შორის ისიც აეხსნა ჩვენთვის, თუ როგორ შეიძლება, რომ მწერალს მის მიერვე შეგნებულად ყალბად შედგენილი იდეა გულწრფელად სწამდეს?

თუ მწერალი სინამდვილეს შეგნებულად ამახინჯებს, შეგნებულად ეწევა ფალსიფიკაციას, შეგნებულად ადგენს ყალბ იდეას, მაშინ არ შეიძლება ეს იდეა მას გულწრფელად სწამდეს. და რაკი არაგულწრფელობის პირობებში მხატვრული ნაწარმოების შექმნა შეუძლებელია, ასეთი ყალბი იდეა ვერ გამხორციელდება „ესთეტიკურ ფენომენად".

---

*) „მნათობი" № 10, 1935 წ. გვ. 174.

**) იქვე.

თუ ყალბ იდეად სინამდვილის ისეთ შემეცნებას მივიჩნევთ, როცა მწერალი, თავისი შემეცნების კლასობრივი განსზაღვრულობის გამო, თავის და უნებურად შეუგნებლად ამახინჯებს სინამდვილეს, მაგრამ ასეთი ყალბი იდეა არსის არ ცოდნაა... და ჩავლეიშვილიც ხომ თანახმაა, რომ არსის არცოდნა მხატვრულად არ ხორციელდება. ამრიგად, არც ერთ შემთხვევაში ყალბი და რეაქციური იდეა არ ხორციელდება, როგორც „ესთეტიკური ფენომენი“.

მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობა, ესთეტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკითხების გარკვევისას, ვერ ასცდება ისეთ გენიალურ ნაშრომებს, როგორიცაა მ ა რ ქ ს-ე ნ გ ე ლ ს ი ს „წ მ ი ნ დ ა ო ჯ ა ხ ი“, ლ ე ნ ი ნ ი ს სტატიები ტ ო ლ ს ტ ო ი ზ ე, ს ტ ა ლ ი ნ ი ს მითითებები სოციალისტურ რეალიზმსა, მწერლობის დანიშნულებასა და დრამის მნიშვნელობაზე და მარქსიზმ-ლენინიზმის ამ ფუძემდებელთა სხვადასხვა ნარკვევი, მოსაზრება, დებულება ხელოვნების, ლიტერატურისა და ესთეტიკის შესახებ.

„წმინდა ოჯახში“ მ ა რ ქ ს ი და ე ნ გ ე ლ ს ი არჩევს ე ჟ ე ნ ს ი უ ს რომანს „პარიზის საიდუმლოებებს“ და თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით ატარებენ იმ აზრს, რომ სინამდვილის ფალსიფიკაცია— ყოველთვის არამხატვრული და არაესთეტიკურია. მ ა რ ქ ს ი ჩვეულებრივი სარკაზმით შენიშნავს აგრეთვე, რომ ბურჟუაზიული სალონები, ბურჟუაზიული საბალო დარბაზები, ბანოვანნი, „რაინდები“ და მათი ყოფა-ცხოვრება მხოლოდ მედუქნეებსა, ჩარჩებსა და სოფლის უბადრუკ პასტორებში იწვევენ სრულქმნილების გრძნობებსა და ესთეტიკურ ატაცებას.

ლ ე ნ ი ნ ი ტ ო ლ ს ტ ო ი ს სიდიადეს მის ფხიზელ რეალიზმში ხედავს; ტოლსტოი იმ იდეათა და განწყობილებათა ბართალი მხატვარია, რომლებიც ახასიათებდნენ რუსეთის პატრიარქალური გლეხობის მილიონებს. ხოლო ტ ო ლ ს ტ ო ი ს რეაქციურ იდეებს ლ ე ნ ი ნ მ ა „ერთ-ერთი ყველაზე უფრო საზიზღარი საგნის ქადაგება“ უწოდა. განა შეიძლება სადაო იყოს ის, რომ ლ ე ნ ი ნ ი ს გენია ამ „ქადაგებაში“ არაფერს ესთეტიკურს, არაფერს მხატვრულს არ ხედავდა? განა ლ ე ნ ი ნ ი ს სტატიებში ტოლსტოის შესახებ და საერთოდ სადმე ლ ე ნ ი ნ ი ს ნაშრომებში შეგიძლიათ აღმოაჩინოთ ნატამალიც კი იმისა, რომ ამ „საზიზღარმა“ იდეებმა ესთეტიკური ხორცშესხმა მიიღეს და ისინი „ესთეტიკურ ფენომენებად“ გადაიქცნენ? ლ ე ნ ი ნ მ ა ტ ო ლ ს ტ ო ი ს მხატვრული სიდიადის ზომად „უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყოველი და ყოველნაირი ნიღაბის ჩამოგლეჯა“ გამოაცხადა.

ს ტ ა ლ ი ნ ი ს გენიალური მითითებები სოციალისტურ რეალიზმზე განა არსებითად იმას არ ნიშნავს, რომ პროლეტარული, სოციალისტუ-

ერი შეგნების კონდესირებულმა გენიალობამ მხატვრულობისა და ესთეტიკურობის კრიტერიუმად სინამდვილისა ალისტური, მართალი, ჭეშმარიტი ასახვა გამოაცხადა, ხოლო მხატვრულობის ზომად სინამდვილის ჭეშმარიტ მხატვრულ იდეებში მოცემა დაუწესა? ყალბი და რეაქციური იდეა არ შეიძლება გადაიქცეს „ადამიანის სულის ინჟენერთა“ მხატვრულ იარაღად.

მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც სამყაროს ჭეშმარიტ რევოლუციურ-მეცნიერულ მატერიალისტურ-დიალექტიკურ ახსნას იძლევა და რომელიც ყოველთვის რეალური ქვეყნის ჭეშმარიტ რევოლუციურ შემეცნებას გულისხმობს, მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგება ყალბი და რეაქციური იდეების „ესთეტიკურ ფენომენად“ განხორციელების აზრს.

შეიძლება გავულგარების რომელიმე მოყვარულმა გვითხრას, რომ, რაკი მოვლენათა არსის მხატვრული მიწვდომის სილრმე და ჭეშმარიტი იდეები განსაზღვრავენ მხატვრული შემოქმედების ესთეტიკურ ღირსებას, ყოველი ახალი საზოგადოებრივი საფეხურის მხატვრული პროდუქცია მაღლა უნდა იდგეს წინანდელზე, რადგან ყოველი ახალი ხანა უკვე მიღწეულ ჭეშმარიტებათა მემკვიდრეცაა და მათი გამლრმავებელიც (თუმცა ყოველთვის ასე არ არის მაგრამ აქ ამის გარკვევა შორს წაგვიყვანს).

უპირველეს ყოვლისა, განმეორებით ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ არაყოველი ჭეშმარიტი იდეა, რომელიც განხორციელებულია კონკრეტულ გრძნობითს ფორმაში, ინდივიდუალიზირებულია, ანუ ის არის არა ჭეშმარიტი იდეა საერთოდ, არამედ ჭეშმარიტი მხატვრული იდეა. მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური ღირსებაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ღრმად და ფართოდ არის ასახული თავისი ეპოქა ან ჭეშმარიტ მხატვრული იდეები.

და განა თავიანთ დროს, თავიანთ ეპოქას უფრო ღრმად და უფრო ფართოდ არ ასახავდენ ჭეშმარიტ მხატვრულ იდეებში რუსთაველი და დანტე, შექსპირი და ტოლსტოი, ბალზაკი და გოეტე, ვიდრე მათ მიერ დადგმულ მხატვრულ იალბუზებს ამოფარებული მწერლები?

მეორეს მხრივ, მარქსმა გენიალურად ახსნა ის, თუ რატომ გვანიჭებს დღესაც ძველი ბერძნული ხელოვნება ესთეტიკურ სიამოვნებას და რატომ ინარჩუნებს იგი ერთგვარად ნორმისა და მიუწვდომელი ნიმუშის მნიშვნელობას:

„მამაკაცი ხელახლა ბავშვად ვერ იქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაბავშვდება, მაგრამ განა მას არ ახარებს ბავშვის გულუბრყვილობა, განა თვით იგი არ უნდა მიისწრაფოდეს, რომ უმაღლეს საფეხურზე გად-

მოსცეს მისი ნამდვილი არსება, და განა ბავშვის ბუნებაში სიცოცხლეს არ მოიღებს ყოველ ეპოქაში მისი საკუთარი ხასიათი თავისებურად ჭეშმარიტი ბუნებრივი სახით? კაცობრიობის საზოგადოებრივ ბავშვობას, რომელსაც იგი უმშვენიერესად გაიშალა, რატომ არ უნდა ჰქონდეს ჩვენთვის მარადიული მიმზიდველობა, როგორც განუმეორებელ საფეხურს?" *).

გარდა ამისა, ცნობილია, რომ მარქსი დიდად აფასებდა შექსპირის შემოქმედებას. ის ხშირად ამაგრებდა თავის გენიალურ დებულებებს შექსპირის ჭეშმარიტი მხატვრული იდეებით (მაგალითად, ფულის ბუნების, კაპიტალისა და შრომის დამოკიდებულების და სხვათა შესახებ). ცნობილია აგრეთვე, რომ მარქსი მიუთითებდა შექსპირის რეალიზმზე. ერთი შეხედვით კაცი იფიქრებს: რა არის რეალისტური ამ ზღაპრულ სუეტებსა და ფაბულებში, ამ სულებსა და აჩრდილებში, ამ ნიღვარივით მოვარდნილ ფანტაზიაში? მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად კი მხატვრული შემეცნება არის არა სინამდვილის სარკისებრ მკვდარი და ფოტოგრაფიული ასახვა, არამედ შეგრძნებათა და შთაბეჭდილებათა გადამუშავების რთული პროცესი, და მხატვრული შემეცნება არა მარტო ასახავს სინამდვილეს, არამედ კიდევაც ჰქმნის მას. ამიტომ მწერალს მოვლენათა ღრმა არსის, ღრმა მხატვრული არსის გამოსავლენად სახეების, შედარებების, ალეგორიების და ფორმის სხვა თვისებათა ზღვა სჭირდება. ცხადია, იმას, თუ რომელი გარემოდან ჰკრეფს მწერალი ფორმის ამ თვისებებს, ისევ მისი ისტორიული და კლასობრივი საზოგადოებრივი შეგნება განსაზღვრავს. როგორც, მაგალითად, ძველი „ბერძნული მითოლოგია შეადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც" (მარქსი) და შეადგენდა იმიტომ, რომ თვით მაშინდელი საბერძნეთის საზოგადოებრივი განვითარება გულისხმობდა ბუნების მითიზირებას, ბუნებასთან მითოლოგიურ დამოკიდებულებას.

მოვლენათა ღრმა არსის მიწვდომაში, ჭეშმარიტ მხატვრულ იდეებში ხედავდა მარქსი შექსპირის სიდიადეს. მწერალი კი, რომელიც ვერ იძლეოდა მოვლენათა ღრმა არსს, ვერ იძლეოდა ჭეშმარიტ მხატვრულ იდეებს, მარქსისათვის ნამდვილი მხატვარი არ იყო. ასეთი იყო მაგალითად, შატობრიანი, რომელიც მას „მუდამ ეჯავრებოდა".

აზრისა და არსის ურთიერთობა ილუზიების რეალურ შესაძლებლობასაც არ გამოქვითავს. ამიტომ ადამიანები ილუზიებიდან დაზღვეული არ არიან. თუ რომელიმე ჩვენი დროის ლიტერატურათმცოდნეს რაიმე ყალბი და რეაქციონური იდეა „ესთეტიკურ ფენომენად" განხორციელებული

*) კარლ მარქსი. „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის", სახელგამი, 1932 წ., გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოუდგება, ეს, უკეთეს შემთხვევაში, ილუზიაა, ხოლო უარეს შემთხვევაში მოწმობს, რომ ასეთი ლიტერატურათმცოდნის ფეხებიც ჯერ კიდევ დაავადებულია დროგადასული კლასებისა და სოციალური ჯგუფების იდეური გავლენით.

ზოგჯერ ამბობენ ხოლმე, რომ ესა და ეს ნაწარმოები იდეოლოგიურად გამართლებულია, ხოლო მხატვრულად არა ან და — პირიქით. ნაწარმოების ზოგადი და სახელდახელო შეფასებისათვის ასეთი შეხედულება დასაშვებია, მაგრამ ღრმა ანალიზის შედეგად ასეთი ზოგადი შეფასება უეჭველად მოიხსნება, როგორც არა საკმაო და ამდენადვე არასამართლიანი.

დ ო ს ტ ო ე ვ ს კ ი ს „Бесы“, რასაკვირველია, მიუღებელია იდეოლოგიურად, მაგრამ მას აქვს ზოგიერთი მხატვრული ღირსება. რაში მდგომარეობს ეს მხატვრული ღირსება? ცხადია, არა იმაში, რომ რეაქციური იდეა განხორციელებულია „ესთეტიკურ ფენომენად“, არამედ იმაში, რომ მასში მოცემულია რეალური პროცესების ზოგიერთი მხარის, განსაკუთრებით გარკვეული წრეების ფსიქოლოგიური მოვლენების რეალისტური ასახვა, მათი ჭეშმარიტი მხატვრული იდეები.

ლ ე ნ ი ნ ი სწერს: „ერთი სიტყვით, ისტორიულად ყოველი იდეოლოგია პირობითია, მაგრამ უცილობელია ის, რომ ყოველ მეცნიერულ იდეოლოგიას (რელიგიური იდეოლოგიისაგან განსხვავებით მაგალითად) შეესაბამება ობიექტური ჭეშმარიტება, აბსოლუტური ბუნება“. *).

ლ ე ნ ი ნ ი ს გენიალურ დებულებაში, სხვათა შორის, მოცემულია მემკვიდრეობის ათვისების გასაღებიც, მემკვიდრეობის ათვისების გამოსავალი წერტილიც. ეს გასაღები იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ ის იდეოლოგიური ფორმიდან მემკვიდრეობად მივიღებთ იმას, რაც მასში ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს. რელიგიურ იდეოლოგიას არ შეესაბამება რაიმე ობიექტური ჭეშმარიტება და ამიტომ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რელიგიური იდეოლოგიიდან რაიმე მემკვიდრეობის მიღებაზე.

ლ ე ნ ი ნ ი ს ეს დებულება, მეტად თუ ნაკლებად, უეჭველად ვრცელდება მხატვრულ ნაწარმოებებზედაც, და სწორედ ამდენადვე შეგვიძლია ვილაპარაკოდ მხატვრულ მემკვიდრეობაზე. ყ ე ლ ა ნ ა მ დ ვ ი ლ მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ს, ა ს ე თ უ ი ს ე, უ ე ჭ ვ ე ლ ა დ შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა.

ხელოვნებისა და ლიტერატურის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ამ განვითარებაშიაც ხდება ხოლმე ფორმის ჩამორჩენა შინაარსისაგან. ფორმა და შინაარსი, როგორც წინააღმდეგობათა ერთიანობა, მუდ-

*) Ленин. Соч., т. XIII, გვ. 111.

მივ ურთიერთ ბრძოლასა და ერთიანობაშია, მაგრამ როგორც პროცესი, როგორც მოძრაობა. მაგალითად, საზოგადოების საწარმოო ძალები (შინაარსი) ყოველთვის აქვს თავისი გარკვეული სტრუქტურა — ორგანიზაცია ანუ მასში დამყარებულია გარკვეული საწარმოო ურთიერთობა (ფორმა), რომელიც თვით საწარმოო ძალების განვითარების გარკვეული დონის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს. ამდენად ფორმა შინაარსიც არის. მაგრამ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საწარმოო ძალები (შინაარსი) იმდენად გაიზრდებიან, რომ ველარ ეტევიან ძველი საწარმოო ურთიერთობის (ფორმის) ჩარჩოებში. საწარმოო ძალები ველარ იტანენ ძველ სტრუქტურას, რადგან ის ამუხრუჭებს და აფერხებს მათ განვითარებას. ძველი ფორმა უნდა გასკდეს, უნდა დაირღვეს და გაზრდილი საწარმოო ძალები ანუ ახალი შინაარსი ახალ ფორმაში შევა. ასეთია ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა, რაც კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის აუცილებელი დარღვევის, კაპიტალიზმის აუცილებელი დალუპვის მაგალითზე ლ ე ნ ი ნ მ ა გენიალურად ახსნა და გვიჩვენა თავის წიგნში: „იმპერიალიზმი, როგორც უმაღლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“.

ამრიგად, ფორმის ჩამორჩენა შინაარსისაგან არის პროცესი. ის ხდება მხოლოდ მოძრაობასა და განვითარებაში. ასევე ხდება მწერლის შემოქმედებაში, ასევე ხდება ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. მაგრამ სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე უკვე დასრულებულ ცალკეულ ნაწარმოებებში, რომლებსაც აღარავითარი განვითარება აღარ აქვთ. შ ო თ ა ს „ვეფხის-ტყაოსანი“ თავისთავად მუდამ დარჩება იმად, რაც არის. ეს პოემა შინაარსითაც და ფორმითაც ის არის, რაც უკვე არის და იქნება. ეს ფორმაა ამ შინაარსისა და ეს შინაარსი ეტევა ამ ფორმაში. აქ სრული სიმშვიდე, ერთიანობა და წონასწორობაა. აქ ფორმასა და შინაარსს შორის არავითარი ჩამორჩენა და წინ გასწრება არ ხდება. ასეთ წონასწორობას ანუ მექანიკური კანონების მოქმედებას რომ სინამდვილეში ადგილი აქვს და რომ ის არა თუ არ ეწინააღმდეგება და არ გამოქვითავს განვითარების დიალექტიკურ კანონებს, არაშედ ექვემდებარება მათ და შეადგენს მათ მომენტებს, ამის ახსნას ე ნ გ ე ლ ს ი თავის „ბუნების დიალექტიკაში“ იძლევა.

ამრიგად, არსებითად არ არის სწორი, როცა ამბობენ — ამა და ამ ნაწარმოებებში ფორმა ჩამორჩება შინაარსს ან — პირიქით. უკეთეს შემთხვევაში, ასეთ გამოთქმას მეტად განსაზღვრული და პირობითი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს.

დღეს ჩვენ ვამბობთ, რომ ლიტერატურა და ხელოვნება ჩამორჩებიან ჩვენს ეპოქასო. ეს სავსებით სწორია, რადგან ჩვენში ლიტერატურა ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დაეუფლა იმ ობიექტურ მხატვრულ სიმდიდრეს, რითაც ყველა სხვა ეპოქაზე უფრო მეტად სავსეა სოციალისტური ქვეყნის სინამდვილე. ამავე ნიადაგზე დღეს ლიტერატურის განვითარება-

ში, როგორც პროცესში, უეჭველად ხდება ფორმის ჩამორჩენა შინაარსისაგან. იმ ღრმა იდეებმა, იმ ახალმა გრძნობებმა, ფიქრებმა, და ვნებებმა, რომლებიც ფლობენ დღეს ჩვენი ქვეყნის მილიონებს, რომ [illegible] ცდიან ჩვენი მწერლები და მხატვრები, ჯერ კიდევ ვერ ჰპოვეს მესაფერი მხატვრული განხორციელება.

მხატვრულობის ყოველივე მომენტს ანუ მხატვრული სახის ყველა თვისებას, ხელოვნების ყველა დარგში აზრობრივი დანიშნულება აქვს და მისი ღირსებაც აზრის ანუ შემეცნების ხარისხით განისაზღვრება.

ცნობილია, რომ დიდი და ჭეშმარიტი მწერლები მხატვრული ფორმის ისეთი თვისებებითაც კი, როგორიცაა რიტმი და რითმა, თვით მოვლენის, საგნის თუ განწყობილების რიტმისა და მოძრაობის გადმოცემას ცდილობენ. ეს ადიდებს ყოველთვის ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას. ასე იქცევა შ ო თ ა, ა კ ა კ ი, ვ ა ჟ ა, პ უ შ კ ი ნ ი და სხვ..

კომპოზიცია, სუჟეტი, ფაბულა, რითმა, რიტმი და სხვა, მხატვრული ფ ო რ მ ი ს თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი ა. მართალია, რიტმი და რითმა, კომპოზიცია და სუჟეტი არ შეიძლება მხატვრულ სახედ მივიჩნიოთ, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ მხატვრული ფორმის თვისებები გულგრილ და ტექნიკურ ფორმებად გამოაცხადო ისე, როგორც არ შეიძლება ადამიანის სხეულის ცალკეული ნაწილები ადამიანის არსების გულგრილ და გარეშე ნიშნებად აღიარო. უხელო ადამიანი კვლავ ადამიანია, მაგრამ უხელობა მის არსებაშიაც ჰპოვებს გამოხატულებას, ე. ი. ამ ადამიანის არსება მაშინ, როცა ორივე ხელი ჰქონდა, ნაწილობრივ სხვა იყო, ვიდრე ეხლა, როცა ცალხელაა, რადგან ადამიანის არსება არის ყველა თავისი სოციალური და ფიზიკური თვისების მთლიანობა. ასევეა მხატვრული სახე. მხატვრული სახე არის ყველა თავისი თვისებისა და ნიშნის მთლიანობა. ამ მთლიანობიდან ერთი ნიშნის გამოკლებაც კი ასე თუ ისე, სცვლის მხატვრული სახის რაობას.

ავიღოთ რიტმი მუსიკაში. მუსიკაში შინაარსი უმთავრესად რიტმით არის ორგანიზებული. მაგალითად, ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი ს მუსიკალური გაფორმება გ ო ე ტ ე ს „ეგმონტი“-სა არის გარკვეული იდეოლოგიური მუსიკალური სახე თუ სახეთა სისტემა. ამბობენ, რომ იგი რევოლუციურ-პროტესტანტული სულისკვეთებით გ ო ე ტ ე ს „ეგმონტზე“ უფრო მაღლა დგასო. გ ო ე ტ ე გულგრილად მოეკიდა ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი ს მიერ მისი ნაწარმოების მუსიკალურ გაფორმებას. ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ მ ა „ეგმონტში“ შედარებით ჭარბი რევოლუციური რიტმის შეტანით უკუაგდო გ ო ე ტ ე ს „ეგმონტის“ შემარიგებელი შტრიხები. ამ რიტმის გამოკლებით ბ ე თ ჰ ო ვ ე ნ ი ს „ეგმონტი“, როგორც იდეოლოგიური მუსიკალური სახე, უკვე აღარ იქნებოდა ის, რაც არის.

ის გარემოება, რომ მხატვრული ფორმის ყველა თვისებას ანუ ყველა კომპონენტს აზრობრივი ფუნქცია აქვს, იმას არ ნიშნავს, თითქოს

არ არსებობდეს უაზრო ფორმები. რამდენიც გნებავთ, ჩვენს დროშიაც კი. მაგრამ უაზრო ფორმაც მწერლის გარკვეულ იდეურ მიმართულებას-ნაწარმოადგენს და ამდენად ამ უაზრობასაც ერთგვარი აზრი აქვს. ხანდახან ვინმესათვის ეს უაზრო ფორმა მხატვრულიც იყოს, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, პროლეტარულ-სოციალისტური შეგნებისათვის იგი არასოდეს არ იქნება მხატვრული.

უაზრობა, უშინაარსობა და სიყალბე მხატვრული ნაწარმოების უმნიშვნელო დეტალებშიაც კი ვნებს მხატვრულობას, ამცირებს ნაწარმოების ემოციონალური გავლენის ძალას.

ავიღოთ თუნდაც სიმონ ჩიქოვანის ლექსი „დონბასის ღამე".

დონბასის ღამე მშვენიერი თემაა. პოეტს განუზრახავს შეაქოს სოციალისტური ქვეყნის ერთ-ერთი საამაყო სამრეწველო ცენტრის — დონბასის ღამე. განზრახვა დიდებულია, მაგრამ ლექსი არც თუ საკმაოდ მხატვრული და ემოციონალურია. ეს იმიტომ, რომ ვერ არის იდეურად საკმაოდ გამართული ანუ ლექსი ვერ გამოხატავს მოვლენის ღრმა არსს, ვერ სწვდება ობიექტურ ჭეშმარიტებას. პოეტი აგვიწერს, თუ როგორ „შეყავს ღამეში ციმციმა ჩქერებს" ქარხანა, თუ როგორ „აზმორებს ცუდათ" „ქარხნის შუქით ტანში დახვრეტილს" ქარის წისქვილს; „მატარებლები გაუელვებენ მიწიდან ამდგარ კვამლს და მნათობებს"; შემდეგ „გამოყავს ქარს ლამანჩელი", „ის აჩხარუნებს ჯავშანს, კაეშანს" (?). სხივი ხმალს გადაუმტვრევს მას. შემდეგ პოეტი აგვიწერს, რომ დგება კვლავ დღე. ქარხანა შემოხედავს თვით მგოსანს, მიმართავს მას (პოეტს) და, ვფიქრობ, პირველად პოეტის ლანძღვა გამოუდის („მუხის ნაფოტო, რიონის ჩქერში ტალღით ნაცემო, ალვის შრიალში ამონაბოდო"), მაგრამ ამშვიდებს იმით, რომ საბჭოეთში ნავაჟკაცებს უწოდებს და ბოლოს ეუბნება:

„და ქართლის სიტყვა ამ ბუნებაში
პოებს სამშობლოს და შთაგონებას."

ამრიგად, პოეტი დონბასის ღამეში მხოლოდ ნივთებსა და ნივთების მექანიკურ ურთიერთობას ხედავს. ლანდებსაც ხედავს — დროგადასულ ლანდებს: ლამანჩელს, ოდიშელ ბატონს. მაგრამ ვერ ხედავს ცოცხალ ხალხს, ცოცხალ ადამიანებს. და თუ იცის, რომ იქ ხალხია, იცის იმით, რომ ქარის წისქვილი დაჭერილ ქარს უმტკიცებს,

„რომ ეს ქარხანა ხალხით, ხრახნილით,
არა არის რა, წისქვილს გარეშე"

ან და მით, რომ:

„რიჟრაჟი ხალხის ჟრიამულს შეჰყრის."

ხალხი დახრახნილი ერთ მწკრივზე? ხალხი და ხრახნილი ქარხნის ერთგვარი მასა?

პოეტი ვერ ხედავს კონკრეტულ ადამიანებს, ქარხნის [illegible] ცხოვრების შემომქმედებს, ვერ ხვდება, რომ ლამანჩელ[illegible] წისქვილებს ადამიანები ამარცხებენ ქარხნებით. და ელექტრომანქანებით და, არა ქარხნები — „ხალხით, ხრახნილით". დაახლოებით ასეთია ლექსის „დონბასის ღამის" მხატვრული სახე. დეტალებში კი ხშირია უაზრობა.

„ქარის წისქვილი, როგორც სირცხვილი
დაკიდებს ფრთებს და მიაგავს ჩხავილს."

როგორ მიაგავს ქარის წისქვილი ჩხავილს, ძნელი წარმოსადგენია. ან რას ნიშნავს ეს „როგორც სირცხვილი დაკიდებს ფრთებს"? არ ვიცით, სად ნახა პოეტმა ფრთებდაკიდებული სირცხვილი. იქნებ უნდოდა ეთქვა, რომ ქარის წისქვილი სირცხვილია. ესეც შეუსაბამობა იქნებოდა.

„მოდის ღამე და მუცლის ბარბაცით"...

მუცლის ბარბაცი წარმოუდგენელია, ხოლო ადამიანის ბარბაცი უაზრობისაგან ფაქტია.

ან კიდევ ფრაზა:

„ვით მოსირმული ხავსით მნათობი
უძლური ფრთები ეხვევა ქარში."

აქ თითქოს ლამაზი სიტყვებია, მაგრამ სრული უაზრობაა. ვსთქვათ, დიდი ძალდატანებით შევსძელით წარმოვიდგინოთ ხავსით მოსირმული მნათობი, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ხავსით მოსირმულ მნათობსა და ქარში გახვეულ უძლურ ფრთებს შორის რაიმე „ვ ი თ"-ის, ე. ი. მსგავსების დამყარება.

უაზრო ფრაზების შედგენა, თუნდაც ლამაზი სიტყვებით, ძალიან იოლი საქმეა. ამას არც დიდი ნიჭი უნდა. „დონბასის ღამეში" სიმონ ჩიქოვანი (მე მხოლოდ ამ ერთ ლექსზე ვლაპარაკობ) როდი ცდილობს, რომ რითმითა და რიტმით გადმოგვცეს თვით მოვლენის მოძრაობა და სიცოცხლე; იგი მხოლოდ რითმავს რითმისათვის, ლამაზ სიტყვებს ამბობს ლამაზი სიტყვებისათვის. ასეთი ხერხები ფორმალიზმის ბალშია დაკრეფილი.

„მნათობის" იმავე მეათე ნომერში მოთავსებულია პ ე ტ რ ე ს ა ვ ს ო ნ ი ძ ი ს ლექსი „მდინარეს". ამ პოეტსაც დიდებული განზრახვა აქვს — დაგვიხატოს ბოლშევიკ-პოეტის დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის სინამდვილისადმი. მაგრამ ერთია განზრახვა, ხოლო მეორე შესრულება.

ბოლშევიკ-პოეტისა და სოციალისტური სინამდვილის ურთიერთობა მეტად მდიდარი რეალური პროცესია. ბოლშევიკი პოეტი მარტო პასიური მჭვრეტელი არ არის დიდი სოციალისტური მშენებლობის პროცესისა, იგი მისი შემომქმედიც არის, ახალ ადამიანთა მქადელიც, ადამიანთა სულის ინჟენერი. და აი ამ რეალური პროცესის — ბოლშევიკ-პოეტისა და სოციალისტური სინამდვილის ურთიერთობის ღრმა არსს სამსონიძე თავისი ამ ლექსით ვერ სწვდება, ვერ იძლევა ჭეშმარიტ მხატვრულ იდეას. ლექსი იწყება ასე:

„სწრაფათ მიგყევარ, დიდო მდინარევ,
აღელვებულო შავი ზღვასავით“...
„მიმიყვა მზესთან დამაბინადრე
იქ დავასრულოთ გზები სავალნი“.

სოციალისტური მშენებლობის სავალი გზები არ სრულდება და პოეტი ამაოდ ითანაზიარებს მდინარეს სოციალისტური მშენებლობის სავალი გზების დასრულებაში. გარდა ამისა, პოეტები საერთოდ მზისკენ მფრინავი რაშებით, არწივის ფრთებით და სხვა ასეთებით მიილტოდნენ და ეს, ცოტად თუ ბევრად, ეგუებოდა აღმა, მზისკენ სრბოლას, მაგრამ მზესთან მდინარით მისვლა თუ მიცურვა არაბუნებრივი და ნაძალადევია.

მხატვრული სახე მაშინ არის ნამდვილი მხატვრული სახე, როცა ყველა მისი ელემენტი ჰქმნის კონკრეტულ ინდივიდუალიზებულ მთლიანობას. თუ გამოთქმები, შედარებები, მარტივი სახეები და სხვა „უმსგავსო და შორი შორია“, არ შეიძლება მთლიანი იდეოლოგიური მხატვრული სახის მოცემა. პ. სამსონიძე ამ ლექსში ამ წესს ივიწყებს. მაგალითად: პირველი ტაეპით ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, რომ სამსონიძე მდინარეშია და მდინარეს მიჰყავს სწრაფად. მეორე ტაეპში ვტყობილობთ, რომ ის უკვე ადევნებია მდინარეს „როგორც თოლია, როგორც ფრთამალი მთის შევარდენი“. მესამეში — იგი უკვე „ერთი ჩქერია“, რომელიც მდინარეს ეუბნება:

„შენსა დინებას ბედი მივანდე
სხვა რამ ამ ქვეყნათ რა დამრჩენია“.

მეოთხეში კი:

„მუდამ ვიცურო შენთან (თუ შენში? — ლ. კ.)
მინდა მე
თუ არა ფერი დამედოს მკვდრისა“.

ამრიგად, მდინარეს მიჰყავს პოეტი. უცბად იგი თოლიად და შავარდენად გადაიქცევა და მისდევს მდინარეს. მერე მდინარის „ერთი ჩქერია“, შემდეგ მისცურავს მასთან (და არა მასში), და ჩვენც ველოდებით, რომ სადაც არის... დაყვინთავს.

„სულმოკლეობას მუდამ ვქოლავდი,
როცა მგელივით იწყებდა ღმუილს“.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულმოკლეობას მუდამ ჰქოლავდით, თუ მხოლოდ მაშინ, „როცა მგელივით იწყებდა ღმუილს“? გარდა ამისა, მეტის-მეტად ნაძალადევია სულმოკლეობის მგელივით ღმუილი. ლექსში არის ასეთი მოხდენილი ფრაზა:

„გავკაუებულვარ როგორც ფოლადი
დავიმსხვრევი და არ გავიღუნები“.

მაგრამ საერთოდ ლექსი „მდინარეს“ ვერ იძლევა ოქტომბრის რევოლუციასა და სოციალისტურ მშენებლობაში ბოლშევიკ-პოეტის მონაწილეობის რეალური პროცესის ღრმა ობიექტურ შინარსს და ამდენადვე იგი არ წარმოადგენს მაღალ იდეოლოგიურ მხატვრულ სახეს.

შეიძლება ზოგიერთ მწერალს ასეთი შეხედულება ჰქონდეს: იქნებ ფორმა დამიწუნონ, მაგრამ შინაარსით მაინც ძლიერი ვარო, ან — პირიქით: იქნებ შინაარსი დამიწუნონ, მაგრამ ფორმით მაინც დიდი მხატვარი ვარო. ერთიც და მეორეც ილუზიის ბურუსში გახვევას მოასწავებს. ეპოქა მათ ეუბნება: „მე მრწამს მაღალი შინაარსი მაღალ ფორმაში. ერთ-ერთის უვარგისობა მეორის უვარგისობასაც მოასწავებს.

ჭეშმარიტი იდეური მხატვრული სახის გარეშე მწერალი ნამდვილი მხატვარი არ არის“.

● ● ●

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ლ. ბერია — ს. ს. რ. კავშირის ახალი კონსტიტუცია და ამიერ-კავკასიის ფედერაცია 3
ლეო ქიაჩელი — გვადი ბიგვა (რომანი. გაგრძელება) 11
გრ. აბაშიძე — მოედანთან (ლექსი) 33
მიხეილ ჯავახიშვილი — ქალის ტვირთი (რომანი. გაგრძელება) . 35
ვლ. მაიაკოვსკი — შინისკენ უცხოეთიდან (ლექსი. თარგ. ნ. მიწიშვილმა) 51
ა. ბელიაშვილი — ბაგრატა (მოთხრობა) 55
გრ. ცეცხლაძე — დაბრუნება (ლექსი) 66
ს. თავაძე — ფრთები (რომანი. გაგრძელება) 68
ჰენრიხ ჰაინე — ლირიკული ინტერმეცცო (თარ. ხ. ვარდოშვილმა) 108

ლიტერატურის ისტორია

ტ. ტაბიძე — დ. გურამიშვილი და ვაჟა-ფშაველა 120
მ. დუდუჩავა — ა. წერეთლის რეალიზმი 127

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ე. ასტვაცატუროვი — ს. შანშიაშვილის პოეზია 156

ხელოვნებათმცოდნეობა

ლ. კალანდაძე — ჭეშმარიტება და მხატვრულობა 163